გ. გამყრელიძე

დემოგრაფიული სტატისტიკა

სტალინის სახელობის
ელისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

1955

I თ ა ვ ი

მოსახლეობის სოციალისტიკის საგანი და ამოცანები

§ 1. მოსახლეობის კანონების ისტორიული ხასიათი

მოსახლეობის სტატისტიკის საკითხები შეიძლება გარკვეულ და გადაჭრილ იქნეს მოსახლეობის კანონების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე. ამიტომ, უპირველესად, საჭიროა ამ მოძღვრების ძირითად დებულებათა განხილვა და გათვალისწინება.

ადამიანები — როგორც საწარმოო ძალის ელემენტები

საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი, საზოგადოების განვითარება ერთი წყობილებიდან მეორისაკენ, — თანახმად ისტორიული მატერიალიზმის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა, — განისაზღვრება საარსებო საშუალებათა მოპოვების წესით, მატერიალური დოვლათის წარმოების წესით. ადამიანები, რომლებიც ამოძრავებენ წარმოების იარაღებს და ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას განსაზღვრული საწარმოო გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების მეოხებით, საწარმოო ძალების ელემენტს შეადგენენ.

ადამიანთა გარკვეული მინიმუმის არსებობის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრება; ადამიანები შეადგენენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელემენტს.

მოსახლეობა არ წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მთავარ ძალას

მაგრამ ადამიანთა მასას, — „...მოსახლეობის ზრდას გავლენა აქვს საზოგადოების განვითარებაზე, იგი აადვილებს, ან აძნელებს საზოგადოების განვითარებას. მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარების მთავარი ძალა, და მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე არ შეიძლება იყოს გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი გავლენა. ვინაიდან თავისთავად მოსახლეობის ზრდა არ იძლევა გასაღებს იმის ასახსნელად, თუ რატომ იცვლება მოცემული საზოგადოებრივი წყობილება სახელდობრ ამა და ამ ახალი წყობილებით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით, რატომ იცვლება პირველყოფილ-თემური წყობილება სახელდობრ მონათმფლობელური

წყობილებით, მონათმფლობელური წყობილება — ფეოდალურით; ფეოდალური — ბურჟუაზიულით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით.

მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალას რომ წარმოადგენდეს, მოსახლეობის უფრო მაღალ სიმჭიდროვეს აუცილებლად უნდა გამოეწვია საზოგადოებრივი წყობილების შესაბამისად უფრო მაღალი ტიპი. მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ვხედავთ" (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 682—683).

ასე, მაგალითად, ქვეყნები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგანან, ხშირად გვიჩვენებენ მოსახლეობის უფრო ნაკლებ სიმჭიდროვეს, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილნი არიან. „ბელგიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 19-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, და 26-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სსრ კავშირში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ბელგიაზე უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, სსრ კავშირს კი ბელგია მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორჩა; ვინაიდან ბელგიაში კაპიტალისტური წყობილება ბატონობს, მაშინ როდესაც სსრ კავშირმა უკვე ბოლო მოუღო კაპიტალიზმს და დაიმყარა სოციალისტური წყობილება" (იქვე, გვ. 683).

მოსახლეობა გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე

არ წარმოადგენს რა საზოგადოების განვითარების მთავარ ძალას, მოსახლეობა, როგორც „საზოგადოების მატერიალურ პირობათა" აუცილებელი ელემენტი, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, იგი აადვილებს ან აძნელებს საზოგადოების განვითარებას. მაგრამ როგორია მოსახლეობის განვითარების კანონზომიერება, რა ხასიათისაა ის კანონები, რომლებიც აწესრიგებენ მოსახლეობის ზრდას, მის რიცხვსა და შემადგენლობას.

მოსახლეობის აბსტრაქტული კანონი არ არსებობს

„მოსახლეობის მარადიული, აბსოლუტური კანონი,—როგორც ეს დაამტკიცა მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ, — არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ასეთი აბსტრაქტული კანონი არ არსებობს ადამიანთა საზოგადოებისათვის.

მოსახლეობის ზრდის, მისი რიცხვისა და შემადგენლობის ცვლილების, საერთო დემოგრაფიული პროცესების ახსნა შეიძლება არა რაიმე ბიოლოგიური და მარადიული კანონების საფუძველ-

-ზე, არამედ იმ საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა საფუძ-ველზე, რომელშიც ეს პროცესები მიმდინარეობს. „...ყველა განსა-კუთრებულ ისტორიულ წარმოების წესს ნამდვილად თავისი განსა-კუთრებული, ისტორიულად მნიშვნელობის მქონე, მოსახლეობის კანონი აქვს“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1930, გვ. 579).

ამრიგად, მოსახლეობის კანონი, გამოსადეგი ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის, რომელიც არ გამომდინარეობს ისტორიუ-ლად განსაზღვრული საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა პირობებიდან. არ არსებობს, ეს ბუნებრივად აიხსნება იმ გარემო-ებით, რომ „ადამიანის გამრავლების პირობები უშუალოდ დამო-კიდებულია სხვადასხვა სოციალური ორგანიზმის აგებულებაზე, ამიტომ მოსახლეობის კანონი ყოველი ასეთი ორგანიზმისათვის უნდა შევისწავლოთ ცალკე და არა «აბსტრაქტულად», საზოგადო-ებრივი წყობილების ისტორიულად სხვადასხვა ფორმის დამოუკი-დებლად“ (ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, 1948, გვ. 549).

ყოველი წარმოების წესს განსაკუთრე-ბული მოსახლეობის კანონი შეესაბამება

ამრიგად, ვინაიდან ყოველ ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესს თავისი გან-საკუთრებული მოსახლეობის კანონი შეესაბა-მება, კაპიტალისტური წარმოების წესის პი-რობებში მოქმედი მოსახლეობის კანონი გან-სხვავებულია, ერთი მხრით, წინანდელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესაბამისი მოსახლეობის კანონებისაგან და, მეორე მხრით, სოციალისტური საზოგადოების კანონისაგან.

დასკვნები

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე-ობს შემდეგი:

ა. მოსახლეობა, ადამიანთა მასა, საზოგადოების მატერია-ლური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელე-მენტს შეადგენს, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების განმსა-ზღვრელ ძალას არ წარმოადგენს;

ბ. მოსახლეობის აბსტრაქტული, მარადიული კანონი, მოქმედი ყველა დროისა და ყოველგვარ პირობებში, არ არსებობს. არსე-ბობს წარმოების ყოველი ისტორიული წესის შესაბამისი მოსახლეობის კანონი;

გ. მოსახლეობის კანონი განსაზღვრულია არა ბიოლოგიური, არამედ საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობე-ბით.

დ. ვინაიდან მოსახლეობის კანონებს ისტორიული ხასიათი აქვს წარმოების განსაკუთრებული ისტორიული წესის შესაბამისად, ამიტომ კაპიტალისტური წარმოების წესის პირო-ბებში მოქმედებს განსაკუთრებული, მხოლოდ ამ წარმოების წე-

სის დამახასიათებელი მოსახლეობის კანონი, ისევე, როგორც სოციალისტური წარმოების წესის პირობებში ძალაშია განსაკუთრებული, წარმოების ამ წესისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის კანონი.

§ 2. მოსახლეობის კანონი კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში წარმოების შინაარსსა და მიზანს წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების წარმოება, მისი ზრდა, ხოლო მთავარი ნიშნები თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა, რომელიც განსაზღვრავს წარმოების ამ წესის საფუძველზე აგებულ მთელ თანამედროვე ეკონომიურ სისტემას,—როგორც გვასწავლის ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, — არის მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციისა, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების ხალხთა, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ხალხთა დამონებისა და სისტემატური ძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რომლებიც უდიდესი მოგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება.

კაპიტალის დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება

მაღალი მოგების მიღების უსაზღვრო სურვილი აიძულებს კაპიტალისტებს მათ მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი წარმოების შემდგომ გაფართოებას მოახმარონ და გაფართოებული კვლავწარმოების მიზნებისთვის გამოიყენონ. გაფართოებული კვლავწარმოება კი შესაძლებელია განხორციელდეს კაპიტალის დაგროვების გზით—ზედმეტი ღირებულების ნაწილის გარდაქმნით კაპიტალად და მისი გამოყენებით წარმოების გაფართოებისათვის. „კაპიტალისტური წარმოების განვითარება აუცილებელს ხდის ინდუსტრიალურ სარეწაოში დაბანდებული კაპიტალის განუწყვეტელ ზრდას, ხოლო კონკურენცია თითოეულ ინდივიდუალურ კაპიტალისტს უკარნახებს კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტურ კანონებს, როგორც გარეშე იძულებითს კანონებს. იგი არ ანებებს მას შეინარჩუნოს თავისი კაპიტალი ისე, რომ განუწყვეტლად არ აფართოვებდეს მას, მისი გაფართოვება კი მას შეუძლია მხოლოდ შეუწყვეტელი დაგროვების გზით“ (კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, 1, 1930, გვ. 537).

დამატებითი სამუშაო ძალა როგორც პირობა ზედმეტი ღირებულების გარდაქმნისა კაპიტალად

ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა კაპიტალად მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, უკეთუ ზედმეტი პროდუქტი, რომლის ღირებულებასაც ის წარმოადგენს, უკვე შეიცავს ახალი კაპიტალის ნივთიერ შემადგენელ ნაწილებს და უკეთუ არსებობს დამატებითი სამუშაო ძალა (თუ არ შეიძლება გაძლიერდეს უკვე დაქირავებული მუშების ექსპლოატაცია ექსტენსიურად ან ინტენსიურად). ამ პირობათა შესახებ თვით კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი ზრუნავს: კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტური კანონები აიძულებს კაპიტალისტებს აწარმოონ კაპიტალის დაგროვება; ამავე დროს ეს მექანიზმი აღადგენს მუშათა კლასს, როგორც ხელფასზე დამოკიდებულ კლასს, რომლის ჩვეულებრივი მინიმალური ხელფასი საკმარისია მის შესანარჩუნებლად და განსაზღვრულ ფარგლებში გასამრავლებლადაც.

სამუშაო ძალის მოთხოვნა კაპიტალის ორგანული შემადგენლობის უცვლელობისა და ცვლილების პირობებში

კაპიტალის ორგანული შემადგელობის უცველელობის პირობებში, ე. ი. როდესაც საწარმოო საშუალებათა განსაზღვრული მასა ანუ კაპიტალი მოითხოვს მოძრაობაში მოსაყვანად სამუშაო ძალის იმავე მასას, სამუშაო ძალის მოთხოვნა იზრდება დაგროვების პარალელურად. ამ შემთხვევაში კაპიტალზე მუშათა დამოკიდებულება „უფრო ექსტენსივური ხდება, ე. ი. კაპიტალის ექსპლოატაციის და ბატონობის სფერო მხოლოდ ფართოვდება მის საკუთარ სიდიდესა და მისი დაქირავებული მუშების რიცხვის გაზრდასთან ერთად“ (კ. მარქსი, იქვე. გვ. 563).

მაგრამ დაგროვების მსვლელობაში ადგილი აქვს კაპიტალის სხვადასხვა ნივთიერი ელემენტის არა მარტო რაოდენობრივ ზრდას, არამედ თვისობრივ ცვლილებებსაც კაპიტალის ორგანულ შემადგენლობაში: „შრომის პროცესის ობიექტური, ნივთიერი ფაქტორი იზრდება სუბიექტურ, პიროვნულ ფაქტორთან შედარებით, ე. ი. შრომის საშუალებათა და ნედლი მასალის მასა იზრდება მათი გამომყენებელი სამუშაო ძალების ჯამთან შედარებით. იმ ზომით, რა ზომითაც კაპიტალი შრომას უფრო ნაყოფიერად ხდის, მცირდება მისი მოთხოვნა შრომისა შედარებით მის სიდიდესთან“ (კ. მარქსი, იქვე, გვ. 569).

ცვალებადი კაპიტალის ნაწილის შეფარდებითი შემცირება კაპიტალის დაგროვებასთან ერთად

ამრიგად, კაპიტალის დაგროვებას თან ახლავს კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შეფარდებითი შემცირება. კაპიტალის ღირებულების მუდმივი შემადგენელი ნაწილი იზრდება მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილი კი შეფარდებით მცირდება (რაც. რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ ცვალებადი შემადგენელი ნაწილის აბსოლუტური სიდიდის ზრდას).

კაპიტალის დაგროვების პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს და აძლიერებს კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ცენტრალიზაციის ორ უაღრესად მძლავარ ბერკეტს წარმოადგენს კონკურენცია და კრედიტი, რომელთაგან პირველს შედეგად აქვს მრავალ წვრილ კაპიტალისტთა მოსპობა (რომელთა კაპიტალი ნაწილობრივ გამარჯვებულთა ხელში გადადის, ხოლო ნაწილობრივ იღუპება), ხოლო მეორე—კაპიტალისტების ხელში იზიდავს დიდ ან პატარა მასებად დაქსაქსულ ფულად საშუალებებს. ცენტრალიზაცია ამთავრებს დაგროვების საქმეს. სამრეწველო კაპიტალისტებს საშუალებას აძლევს გააფართოონ თავიანთი ოპერაციების მასშტაბი. დაგროვების შედეგების გაძლიერებით და დაჩქარებით ცენტრალიზაცია იმავე დროს აფართოებს და აჩქარებს გადატრიალებას კაპიტალის ტექნიკურ შემადგენლობაში.

კაპიტალის დაგროვება, ამრიგად, წარმოებს მისი შემადგენლობის მუდმივი თვისობრივი ცვლილებით — მუდმივი შემადგენელი ნაწილის გადიდებით ცვალებადი ნაწილის ხარჯზე. მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან თუ თავდაპირველად იყო 1 : 1, ახლა იგი იცვლება როგორც 2 : 1, 3 : 1, 4 : 1, 5 : 1, 6 : 1 და ა. შ., ასე რომ დაგროვების წინსვლასთან ერთად სამუშაო ძალად იქცევა კაპიტალის მთელი ღირებულების $^1/_2$-ის ნაცვლად მხოლოდ $^1/_3$, $^1/_4$, $^1/_5$, $^1/_6$, და ა. შ., ხოლო საწარმოო საშუალებებად იქცევა კაპიტალის ღირებულების $^2/_3$, $^3/_4$, $^4/_5$, $^5/_6$, და ა. შ.

შეფარდებითი ზედმეტი ანუ ჭარბი მოხახელეობა როგორც კაპიტალის დაგროვების პროდუქტი

შრომის მოთხოვნა განისაზღვრება არა მთელი კაპიტალის მოცულობით, არამედ მისი ცვალებადი ნაწილით. ამიტომ ეს მოთხოვნა პროგრესულად მცირდება მთელი კაპიტალის ზრდასთან ერთად. კაპიტალის ცვალებადი ნაწილის რელატიური „დაგროვება მუდამ ქმნის, თავის ენერგიასა და მოცულობასთან შეფარდებით, რელატივურ, ე. ი. კაპიტალის ზრდის საშუალო მოთხოვნი-

ლებისათვის მუშათა გარდამეტს, ამიტომ—ზ ე დ მ ე ტ ა ნ უ ჭ ა რ ბ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს“ (კ. მ ა რ ქ ს ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი, ტ. I, გვ. 577).

საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვების მოძრაობა პერიოდული ცვლილებების სახეს იღებს: ზოგ სფეროში კაპიტალის შემადგენლობა იცვლება მარტოოდენ ცენტრალიზაციის გამო, მისი აბსოლუტური სიდიდის გაუზრდელად; ზოგან კაპიტალის აბსოლუტური ზრდა დაკავშირებულია სამუშაო ძალის აბსოლუტურ შემცირებასთან, მაშასადამე, კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შემცირებასთან; ზოგან კაპიტალი თავის ზრდასთან შეფარდებით დამატებით სამუშაო ძალას იზიდავს; ზოგან კიდევ—მცირდება მისი ცვალებადი ნაწილი.

კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ზრდა და, ამრიგად, წარმოებაში ჩაბმული მუშათა რიცხვის ზრდაც მუდამ დაკავშირებულია ჭარბი მოსახლეობის დროებით შექმნასთან. კაპიტალის მიერ მუშების გაძლიერებული მიზიდვისა და მათი გაძლიერებული უკუგდების მასშტაბი ფართოვდება საზოგადოებრივი კაპიტალის სიდიდის ზრდასთან ერთად, წარმოების გაფართოებასა და მოქმედ მუშათა მასის გადიდებასთან ერთად, შრომის საწარმოო ძალის განვითარებასთან და სიმდიდრის გადიდებასთან ერთად. იმავდროულად მატულობს კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ცვლილების სისწრაფე.

ამრიგად, მუშა-მოსახლეობა მის მიერ წარმოებული კაპიტალის დაგროვებასთან ერთად მზარდი ფარგლებით აწარმოებს იმ საშუალებებს, რომლებიც თვით მას შ ე დ ა რ ე ბ ი თ ჭ ა რ ბ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა დ ხდიან.

სამრეწველო სარეზერვო არმია როგორც საექსპლოატაციოდ გამზადებულ ადამიანთა მასა

თუ, ერთი მხრით, მუშათა ჭარბი მოსახლეობა კაპიტალისტური დაგროვების აუცილებელი პროდუქტია, ეს ჭარბი მოსახლეობა, თავის მხრით, კაპიტალისტური დაგროვების ბერკეტს და თვით კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის პირობასაც კი წარმოადგენს. ეს ჭარბი მოსახლეობა წარმოადგენს ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ს ა რ ე ზ ე რ ვ ო ა რ მ ი ა ს, კაპიტალის განკარგულებაში არსებულს, მუდამ საექპლოატაციოდ გაზადებულ ადამიანთა მასას. დაგროვების და მის თანხლებ შრომის საწარმოო ძალის განვითარებასთან ერთად იზრდება კაპიტალის უეცარი გაფართოების ძალა. მისი ელასტიკურობა, დამატებითი კაპიტალის დაუყოვნებლივი გამოყენების შესაძლებლობა კრედიტის სახით, შესაძლებლობა ზედმეტი პროდუქტის ფრიად სწრაფი გადაქცევისა დამატებით საწარმოო საშუალებად. ადამიანთა დიდი მასების ერთბაშად გადა-

ტყორცნა კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა, ძველ ან ახალ, სფეროში ისე, რომ წარმოების მასშტაბი არ შემცირდეს სხვა სფეროში, შესაძლებელი ხდება ჭარბი მოსახლეობის არსებობის მეოხებით.

ამრიგად, წარმოების მასშტაბის უეცარი და ნახტომისებური გაფართოება შეუძლებელია მზადმყოფ. ადამიანთა მასალის გარეშე, მოსახლეობის აბსოლუტური ზრდისაგან დამოუკიდებელ მუშათა რაოდენობის გადიდების გარეშე. კაპიტალისტური მრეწველობის მთელი მოძრაობის ფორმა წარმოდგება მუშა-მოსახლეობის ერთი ნაწილის განუწყვეტელი გადაქცევისაგან უმუშევარ მუშა-ხელად.

კაპიტალისტური წარმოებისათვის საკმარისი არ არის მოსახლეობის ბუნებრივი მატების გზით მიტაცებული თავისუფალი სამუშაო ძალის რაოდენობა. კაპიტალისტური წარმოების თავისუფალი განვითარება საჭიროებს ბუნებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სამრეწველო სარეზერვო არმიას.

კაპიტალისტური დაგროვების ზრდასთან ერთად მეტ ცვალებად კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს მეტი შრომა ისე, რომ მუშათა რიცხვი არ გაადიდოს; მეორე მხრით, იმავე სიდიდის ცვალებად კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს მეტი შრომა სამუშაო ძალის იმავე მასით და, ბოლოს, მოძრაობაში მოჰყავს მეტი დაბალი ღირსების სამუშაო ძალა მაღალი ღირსების სამუშაო ძალის გაძევებით.

ამიტომ რელატიური ჭარბი მოსახლეობის წარმოება უფრო ჩქარა მიმდინარეობს, ვიდრე წარმოების პროცესის ტექნიკური გარდაქმნა და კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შესაფერი პროპორციული შემცირება მუდმივ ნაწილთან შედარებით. წარმოების საშუალებანი, მათი მოცულობისა და მოქმედების ძალის მატებასთან ერთად, თანდათან ნაკლებ ხდებიან მუშების წარმოებაში ჩაბმის საშუალებად. მეორე მხრით, რამდენადაც იზრდება შრომის საწარმოო ძალა, კაპიტალი უფრო სწრაფად ადიდებს შრომის მიწოდებას თავისადმი, ვიდრე თავის მოთხოვნას მუშა-ხელისადმი. წარმოებაში ჩაბმულ მუშათა გადიდებული შრომა ადიდებს მუშათა რეზერვის რაოდენობას, ხოლო იმ რეზერვის გაძლიერებული დაწოლა წარმოებაში ჩაბმულ მუშებზე, გამოწვეული კონკურენციის მეოხებით, ამ უკანასკნელთ „...აიძულებს მას გასწიოს ზედმეტი შრომა და კაპიტალის ბრძანებლობას დაემორჩილოს. მუშათა კლასის ერთი ნაწილის განწირვა იძულებით უსაქმობაზე მეორე ნაწილის გადამეტებული შრომის გამო, და პირიქით, ცალკე კაპიტალისტთა გამდიდრების საშუალება ხდება და ამასთანავე აჩქარებს სამ-

რეწველო სარეზერვო არმიის წარმოებას საზოგადოებრივი დაგროვების პროგრესის შესაფერი მასშტაბით“ (კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 583).

შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის ფორმები

რელატიური ჭარბი მოსახლეობა მრავალი სახისაა. მას მიეკუთვნება ყოველი მუშა იმ დროის განმავლობაში, როდესაც იგი ნახევრად ჩაბმულია ან სრულიად არ არის ჩაბმული წარმოებაში.

რელატიური ჭარბი მოსახლეობა შეიცავს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის იმ დიდ ფორმებს, რომლებითაც სამრეწველო ციკლის ფაზების ცვლა მას გამოსახავს, სამ ფორმას: მიმდინარეს, ფარულს და შეფერხებულს (შეჩერებულს..

მრეწველობის ცენტრებში მუშები ხან განიდევნებიან, ხან უფრო მეტი რაოდენობით ისევ მიიხიდებიან, ისე რომ საერთოდ წარმოებაში ჩაბმული მუშათა რიცხვი მატულობს, კლებადი პროპორციით წარმოების მასშტაბთან შედარებით. ჭარბი მოსახლეობა ამ შემთხვევაში მ ი მ დ ი ნ ა რ ე ფ ო რ მ ი თ არსებობს.

კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში იწვევს კაპიტალის დაგროვებასთან ერთად სოფლის მუშა-მოსახლეობის მოთხოვნის აბსოლუტურ კლებას. სოფლის მოსახლეობის ნაწილი მუდამ მზად არის გადავიდეს ქალაქის პროლეტარიატის რიგებში და იგი ამ გადასვლის ხელსაყრელი პირობების მოლოდინშია, ასე რომ რელატიური ჭარბი მოსახლეობის ეს წყარო შეუწყვეტლად მიმდინარეობს. ამ მოსახლეობის განუწყვეტელი დენა ქალაქისაკენ გულისხმობს სოფლად მუდმივად ფ ა რ უ ლ ი ჭ ა რ ბ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს არსებობას, რაც მხოლოდ მაშინ ხდება შესაჩნევი, როდესაც მისი დენა ფართოდ წარიმოებს.

რელატიური ჭარბი მოსახლეობის მესამე ფორმა, შ ე ფ ე რ ხ ებ უ ლ ი, ქმნის აქტიურ მუშათა არმიის ნაწილს, რომელიც წარმოებაში არარეგულარულად არის ჩაბმული. ეს ნაწილი შეადგენს კაპიტალისთვის გამოსაყენებელი სამუშაო ძალის დაუშრეტელ აუზს, ვინაიდან მისი ცხოვრების დონე მუშათა კლასის საშუალო ნორმალურ დონეზე დაბალია.

რელატიური ჭარბი მოსახლეობის უდაბლესი ფენა მდებარეობს პაუპერიზმის სფეროში.

რელატიური ჭარბი მოსახლეობა ანუ სამრეწველო სარეზერვო არმია მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი სიმდიდრე, მოქმედი კაპიტალი, მისი ზრდის მოცულობა და ენერგია, რაც უფრო მეტია პროლეტარიატის აბსოლუტური სიდიდე

და მისი შრომის საწარმოო ძალა. სამრეწველო სარეზერვო არმიის შეფარდებითი სიდიდე კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის პარალელურად იზრდება. რაც უფრო დიდია ეს რეზერვი, აქტიურ მუშათა არმიასთან შედარებით, მით უფრო მასობრივია მუდმივი ჭარბი მოსახლეობა.

ასეთია კაპიტალისტური დაგროვების აბსოლუტური, საყოველთაო კანონი, რომლის თანახმადაც საწარმოო საშუალებათა მუდამ ზრდაში მყოფი მასა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების პროგრესის გამო, შეიძლება ამოძრავდეს ადამიანის ძალის მუდამ კლებადი დახარჯვით. „... რაც უფრო მაღალია შრომის საწარმოო ძალა, მით უფრო დიდია მუშათა წნევა მათი წარმოებაში ჩაბმის საშუალებებზე, მით უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილია, ამიტომ, მათი არსებობის პირობა: საკუთარი ძალის გაყიდვა სხვისი სიმდიდრის გასადიდებლად ანუ კაპიტალის თვითზრდისათვის“ (კ. მარქსი. იქვე. გვ. 592).

რა ზომითაც კაპიტალი გროვდება, იმ ზომით უარესდება მუშათა მდგომარეობა

ვინაიდან ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი იმავდროულად დაგროვების მეთოდია, ამიტომ რა ზომითაც კაპიტალი გროვდება, იმ ზომით უარესდება მუშათა მდგომარეობა. კანონი, რომელიც იცავს წონასწორობას შეფარდებით ჭარბ მოსახლეობასა ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიასა და დაგროვების მოცულობასა და ენერგიას შორის, იწვევს კაპიტალის დაგროვების შესაფერი სიღატაკის დაგროვებას. „ამრიგად, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უვიცობის, გავეულურების და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს“ (კ. მარქსი, იქვე).

შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის კანონის ილუსტრაცია

კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონისა და იმავდროულად შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის კანონის თვალსაჩინო ილუსტრაცია მოგვცა კ. მარქსმა კაპიტალისტური საზოგადოების იმდროინდელი პერიოდის მონაცემების საფუძველზე, უპირველესად კი თვით ინგლისის მაგალითზე, რომელიც იმ დროს განვითარებული კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენდა. კ. მარქსმა გვიჩვენა, თუ როგორ იზრდებოდა კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად, ერთი მხრით, კაპიტალის დაგროვება, ხოლო, მეორე მხრით,

მოსახლეობის დაბალი ფენების აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება; რომ სიმდიდრის ზრდა მშრომელი მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი ძალების განადგურების ხარჯზე ხდებოდა, რომ „კაპიტალს თავით ფეხამდე ყველა სვრეტიდან სისხლი დაჰეპეკი სდის" (კ. მარქსი, იქვე, გვ. 592).

ისტორიული მასალა, რომელიც კ. მ ა რ ქ ს მ ა გამოიყენა მუშათა კლასის დაუნდობელი ექსპლოატაციისა და კოლონიური ხალხების ძარცვის საილუსტრაციოდ, კიდევ უფრო გაფართოვდა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების მსვლელობაში. კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი თანდათან უფრო გამანადგურებელი ძალით გამომჟღავნდა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ს ა ე რ თ ო კ რ ი ზ ი ს ი ს თანამედროვე ე პ ო ქ ა შ ი, როდესაც გაღრმავდა და გამწვავდა კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წინააღმდეგობა. კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენციის შესაბამისად, რაც კ. მ ა რ ქ ს მ ა მეცნიერულად გაითვალისწინა და დაასაბუთა, კაპიტალის მზარდ ცენტრალიზაციასა და კონცენტრაციასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა მუშათა სარეზერვო არმია და გაძლიერდა მუშათა გაღატაკება. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში მონოპოლისტური კაპიტალის ხელში დაგროვდა სიმდიდრის უდიდესი მასა, ხოლო მშრომელი მასების ისედაც დაბალი საარსებო დონე კიდევ უფრო გაუარესდა.

განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი ქრონიკულმა უმუშევრობამ, მუშათა სარეზერვო სამრეწველო არმიის წნევამ აქტიურ მუშათა ნაწილზე მ ე ო რ ე მ ს ო ფ ლ ი ო ო მ ი ს შ ე მ დ ე გ,— კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შემდგომი გაძლიერების პერიოდში,—იმის შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მეთაურობით იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული ბლოკი შეიქმნა, გაჩაღდა უჩვეულო სამხედრო ფსიქოზი და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა მძაფრი სამხედრო სამზადისისათვის ამუშავდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მილიტარიზაციამ, რაც გაძლიერებული ტემპით ტარდება უკანასკნელი წლების განმავლობაში, გამოსახულება პოვა იმით, რომ ამ ქვეყნების სამხედრო მრეწველობის დარგები გაფართოვდა და გაიზარდა სამოქალაქო წარმოების შეკვეცის ხარჯზე, რომ მათი სამხედრო ბიუჯეტები კოლოსალურად გაიზარ-

და და ამასთან დაკავშირებით დიდად გაიზარდა საგადასახადო ტვირთი. რომლის ზიდვა მოსახლეობის დაბალ ფენებს უხდებათ, გაძლიერდა ინფლაცია, გაძვირდა პირველი მოთხოვნილების საგნები, შემცირდა ან, უკეთეს შემთხვევაში, „გაიყინა" ხელფასის დონე (ჰაშასადამე, მკვეთრად შემცირდა რეალური ხელფასი) და ყოველივე ამის შედეგად დიდად დაეცა მოსახლეობის ქვედა ფენების, უპირველესად კი—მუშათა კლასის, საარსებო დონე. მუშათა კლასის მდგომარეობაზე გამანადგურებელი გავლენა აქვს ქრონიკულ უმუშევრობას—უმუშევართა მრავალმილიონიანი არმიების არსებობას კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც სამხედრო ეკონომიკის გაფართოებასა და სამოქალაქო წარმოების შემცირებასთან დაკავშიოებით დღითი დღე იზრდება.

მუშათა აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება

როგორც ვ. ლენინი აღნიშნავდა „მუშა ღატაკდება აბსოლუტურად, ე. ი. წინანდელზე პირდაპირ უფრო ღარიბი ხდება, იძულებულია უფრო ცუდად ცხოვრობდეს, უფრო ნაკლებად იკვებებოდეს, უფრო მეტს შინშილობდეს, სარდაფებსა და სხვენებს აფარებდეს თავს". (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 528).

„მაგრამ კიდევ უფრო თვალსაჩინოა მუშების შეფარდებითი გაღატაკება, ე. ი. საზოგადოებრივ შემოსავალში მათი წილის შემცირება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც სწრაფად მდიდრდება, მუშების შედარებითი წილი სულ უფრო ნაკლები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები" (იქვე).

მართლაც, კაპიტალისტურ ქვეყნებში, უპირველესად კი თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მშრომელთა წილი ნაციონალურ შემოსავალში მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში მკვეთრად მცირდება: მშრომელთა მრავალრიცხოვანი მასები უმუშევარნი ან ნახევრადუმუშევარნი არიან და ღატაკურ პირობებში ცხოვრობენ. ოფიციალური სტატისტიკური ცნობების თანახმად (რაც, რა თქმა უნდა, დიდად შემცირებულია) ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 5 მილიონი ოჯახის წლიური შემოსავალი 1 ათას დოლარზე ნაკლებია, 6 მილიონი ოჯახისა—1-დან 2 ათასამდე დოლარს შეადგენს, ხოლო 8 მილიონ ოჯახზე მეტისა—2-დან 3 ათასამდე დოლარს შეადგენს. მაშასადამე, 20 მილიონამდე ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკლებულია საარსებო მინიმუმს და განწირულია ნახევრადმშიერი არსებობისათვის.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა უკვე საბოლოოდ დაექვემდებარა ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს და კარნახს: მშრომელთა საარსებო დონე აქ კიდევ უფრო დაბალია, უმუშევართა არმია შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი, საგადასახადო ტვირთი, სამხედრო ბიუჯეტების ზრდის გამო, კიდევ უფრო მძიმე.

განსაკუთრებით უნუგეშოა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობა: უმკაცრესი ექსპლოატაციისა და არაადამიანური საარსებო დონის პირობებში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი შიმშილით სიკვდილის მსხვერპლი ხდება.

„...კაპიტალიზმს არ შეუძლია განვითარდეს, — აღნიშნავს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, —მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების. მშრომელთა უმრავლესობის ნახევრად-მშიერი არსებობის გარეშე. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგვრის გაძლიერების. მსოფლიო ბურჟუაზიის სხვადასხვა იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის კონფლიქტებისა და შეტაკებების გარეშე... კაპიტალიზმის განვითარების გზა არის გზა მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის გაღატაკებისა და ნახევრადმშიერი არსებობისა, როცა ამ მშრომელთა უმნიშვნელო ზედაფენა მოსყიდულია და ნასუფრალით იკვებება“ (თხზულებანი, ტ. 7, გვ. 105—106).

იმპერიალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის გაძლიერებული გაღატაკების პროცესის პარალელურად ამ ქვეყნების მცირერიცხოვან კაპიტალისტთა ხელში გროვდება კოლოსალური ქონება. ამ ქვეყნების ეკონომიკის მილიტარიზაციას თან ახლავს კაპიტალისტური მონოპოლიების მიერ სამხედრო შეკვეთების შესრულებისა და მუშათა გაძლიერებული ექსპლოატაციის შედეგად მაქსიმალურ მოგებათა მიღება, რაც საგრძნობლად აჭარბებს არა მარტო მეორე მსოფლიო ომამდელ მოგებათა დონეს, არამედ თვით ამ ომისდროინდელ მოგებათა დონესაც. კიდევ მეტი, ეს მონოპოლიები იღებენ ისე მაღალ მოგებას, რომ იგი აღემატება მათ მიერ ოდესმე მიღებულ მოგებათა დონეს.

მშრომელი მოსახლეობის გაძლიერებული ექსპლოატაცია და ძარცვა მონოპოლისტური კაპიტალის მიერ ბუნებრივად იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებში: მონოპოლისტური კაპიტალის შეტევას მშრომელთა საარსებო დონის მიმართ და პოლიტიკურ ტერორს მათ მიმართ მშრომელი მასები უპასუხებენ გაფიცვებით, მეტი დარაზმულობით, ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენე-

ბით, შეიარაღებისა და ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლისა და მშვიდობიანობის დაცვის ლოზუნგებით. მოსახლეობის მშრომელი მასები ამ ქვეყნებისა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე თანდათან მეტად ეჩკვევიან არსებულ ვითარებაში, რომელიც მათ გარდაუვალად კარნახობს გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ, მრავალმილიონიანი მშრომელი მასების სასიცოცხლო პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების დასაცავად.

თანამედროვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისს ცხოველად ეხმაურება კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციის ანალიზი, მოცემული კ. მ ა რ ქ ს ი ს მიერ გენიალური წინასწარხედვით და მეცნიერული საფუძვლიანობით: „კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად... იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონავება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფ და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილ, გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკასაკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციაქმნილი ხდებიან“ (კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ, 704).

დასკვნა

ამრიგად, წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, რომელიც აღსავსეა წარმოების ამ წესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით, ძირითადად კი—წინააღმდეგობით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის, წარმოიშობა არა აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობა, არამედ—შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ჭ ა რ ბ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა — ს ა რ ე ზ ე რ ვ ო ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ა რ მ ი ა. ასეთი შეფარდებით ჭარბი მოსახლეობის არსებობა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში გამოწვეულია თვით ამ წესის იმანენტური კანონებით.

§ 3. მოსახლეობის კანონი სოციალისტური წარმოების წესის პირობებში

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სადაც კაპიტალის საყოველთაო დაგროვების კანონი იწვევს მოსახლეობის უმეტესობის—ექსპლოატატორების—ხელში სიმდიდრის უდიდესი მასის დაგროვებას, მშრომელი მოსახლეობის განუწყვეტელ გაღატაკებას, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, სოციალისტური საზოგადოების ძირითადი ეკონომიური კანონის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია. — როგორც ი. სტალინი გვასწავლის,—მთელი საზოგადოების, მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ სოციალიზმი შეიძლება აშენდეს მხოლოდ საზოგადოების საწარმოო ძალთა მძლავრი ზრდის ბაზაზე, პროდუქტთა და საქონელთა სიუხვის ბაზაზე, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების ბაზაზე, კულტურის მძლავრი ზრდის ბაზაზე.

სოციალისტური საზოგადოების განვითარება, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა გამომდინარეობს სოციალისტური საზოგადოების თვით შინაგანი ბუნებიდან: სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები, საწარმოო ძალების და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს შორის სრული შესაბამისობაა, მოსპობილია უმუშევრობა და სიღატაკე, სამუშაო ძალა აღარ წარმოადგენს საქონელს, რომელსაც კაპიტალი ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად მოიხმარს, სრულიად არ არსებობს შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობა, პირიქით, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები უზრუნველყოფენ მთელი მზარდი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველზე განიცდის გეგმაზომიერ განვითარებას. სოციალისტურ გაფართოებული კვლავწარმოების დამახასიათებელ ნიშნებს კი წარმოადგენს საზოგადოებრივი სიმდიდრის განუხრელი

ზრდა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა.

სსრ კავშირში, მეურნეობის საბჭოთა სოციალისტური სისტემის პირობებში წარმოების განვითარება ემორჩილება მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფის კანონს. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სსრ კავშირის მუშათა კლასს ეკონომიური კრიზისებისა და უმუშევრობისაგან „ექსპლოატაციის მოსპობა,— აღნიშნავს ი. სტალინი,—უმუშევრობის მოსპობა ქალაქად, სიღატაკის მოსპობა სოფლად—ეს ისეთი ისტორიული მიღწევებია მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობაში, რომელზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ ყველაზე უფრო „დემოკრატიული“ ბურჟუაზიული ქვეყნების მუშებსა და გლეხებს“ (ლენინიზმის საკითხები, გვ. 570).

მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობით კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის მოხმარების (მყიდველობითი უნარის) ზრდა წინ უსწრებს წარმოების ზრდას, წინ სწევს მას, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, „პირიქით, მასების მოხმარების (მყიდველობითი უნარის) ზრდა ვერასოდეს ვერ ეწევა წარმოების ზრდას, მუდამ უკან ჩამორჩება მას და წარამარა განუმზადებს წარმოებას კრიზისებს“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 351).

სოციალისტური სისტემის უპირატესობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაჩვენებელს წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი, მისი სოციალურ-ეკონომიური ბუნება, ზრდის ტემპები, სტრუქტურა და მისი განაწილება ხალხის ინტერესების შესაბამისად. „კლასების მიხედვით სახალხო შემოსავლის განაწილების საკითხი მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით ძირითად საკითხს წარმოადგენს“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1935, გვ. 451).

სახალხო შემოსავალი არის მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მიიღება დახარჯულ წარმოების საშუალებათა ანაზღაურების შემდეგ. მაშასადამე, სახალხო შემოსავალი არის წლის განმავლობაში შრომის მიერ ახლად შექმნილი ღირებულება.

სახალხო შემოსავალი წარმოადგენს გაფართოებული სოციალის-

ტური კელავწარმოების მოცულობისა და ტემპების განზოგადებულ და შეჯამებულ დახასიათებას და, მაშასადამე, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ზრდის დახასიათებასაც.

სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი

სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი პრინციპულად განსხვავებულია კაპიტალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავლისაგან. სოციალისტურ საზოგადოებაში მიღებული სახალხო შემოსავალი წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც შექმნილია თავისუფალ მშრომელთა შრომით. იგი აქ გამოიყენება მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური აღმავლობისათვის.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ უზრუნველყო სახალხო შემოსავლის ზრდის უჩვეულო ტემპები. სსრ კავშირში 1940 წლისათვის იგი შეადგენდა 128,3 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1913 წლის 21 მილიარდი მანეთისა, ე. ი. 1913 წელთან შედარებით იგი ექვსჯერ მეტი იყო (500 %-ზე მეტი). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე (ომისშემდგომი პირველი) ხუთწლიანი გეგმის თანახმად სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე უნდა გადამეტებულიყო 38 %-ით; ფაქტიურად კი იგი 1940 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 64 %-ით გადიდდა. 1950 წელს 1949 წელთან შედარებით სახალხო შემოსავლის ზრდა 21 %-ს შეადგენდა, ხოლო 1951 წელს 1950 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 12%-ით გაიზარდა. სახალხო შემოსავლის ზრდის ასეთი ტემპები სსრ კავშირში აიხსნება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური მეურნეობის საბჭოთა სისტემის მეოხებით, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სწრაფ ზრდას, სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას. სახალხო შემოსავლის ზრდის მსგავსი ტემპები წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ომისშემდგომ წლებში ეს ზრდა აღწევს მხოლოდ 0,5—1,5 %-ს.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის კიდევ უფრო თვალსაჩინო მაჩვენებელია სახალხო შემოსავლის განაწილება. სსრ კავშირში „სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი მრავალრიცხოვანი პარაზიტი დამქაშების გამდიდრების ინტერესებისათვის, არამედ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობე-

სებისა და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესებისათვის" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 349—350).

კაპიტალისტურ ქვეყნებში სახალხო მეურნეობის შემოსავლის ნახევარზე მეტს თუ კაპიტალისტთა კლასი ითვისებს, სსრ კავშირში მთელი სახალხო შემოსავალი მშრომელ მოსახლეობას ეკუთვნის. სსრ კავშირის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1950 წელს მიიღეს სახალხო შემოსავლის 74 %, ხოლო დანარჩენი 26 % დარჩა სახელმწიფოსა, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და სხვა საერთო საჭიროებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო შემოსავლის სწრაფი ზრდის შედეგად 1946—1950 წლების განმავლობაში შესაძლებელი გახდა კაპიტალურ დაბანდებათა ხუთწლიანი გეგმა შესრულებულიყო 22 %-ის გადამეტებით, 1947 წლის დეკემბერში განხორციელებულიყო ფულის რეფორმა და გაუქმებულიყო სასურსათო და სამრეწველო საქონლეის საბარათო სისტემა, ოთხჯერ განხორციელებულიყო მასობრივი მოხმარების საქონელთა ფასების შემცირება, სერიოზულად გადიდებულიყო მშრომელთა რეალური ხელფასი და შემცირებულიყო გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის შესაძენად; 62 %-ით გადიდებულიყო მუშა-ოსამსახურეთა შემოსავლისა და გლეხთა შემოსავლის საეოთო თანხა 1950 წელს 1640 წელთან შედარებით.

ამავდროულად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, როგორიცაა: სოციალური დაზღვევა, სანატორიუმებისა და სხვ., საგზურები, დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება, მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფოს ხარჯზე, სტიპენდიები, შეებულებანი ხელფასის შენარჩუნებით და სხვ. ასეთი დახმარება და შეღავათები სახელმწიფოს ხარჯზე 1950 წელს მოსახლეობამ მიიღო 120 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით (ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს), ხოლო 1951 წელს—125 მილიარდი მან.

ოსახლეობის მატერიალური ბედგომარეობის აღმავლობასთან ერთად ომისშემდგომ პერიოდში მიღწეულ იქნა სამკურნალო და სანატორიულ-პროფილაქტიკური მომსახურების გაუმჯობესება, საბჭოთა ეაკრობის შემდგომი გაფართოება, ფართო საბინაო მშე-

ნებლობა და მოსახლეობის საბინაო პირობების, აგრეთვე კომუნალური საწარმოთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობა, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება.

მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობის ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებას თან ერთვის სახელმწიფოს ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა: სსრ კავშირის ც. ა. კ-ისა და სახ. კომ. საბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილება აბორტების აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების, მრავალწევრიანი ოჯახთათვის სახელმწიფო დახმარების დაწესების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებისა და სხვ. შესახებ, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ.

სოციალისტური სახელმწიფო ნამდვილად უზრუნველჰყოფს საბჭოთა მოქალაქის დიად უფლებებს, აღბეჭდილს საბჭოთა კონსტიტუციაში: შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის და სხვ. უფლებებს.

დემოგრაფიული პროცესები სსრ კავშირში

ყველა ზემოაღნიშნული პირობის ზეგავლენით მიმდინარეობს სსრ კავშირში მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიულ პროცესები. ჯერ კიდევ 1930 წელს ი. სტალინი აღნიშნავდა: „გასაკვირველი არ არის, რომ მუშები და გლეხები ჩვენში საერთოდ ცუდად არ ცხოვრობენ, მოსახლეობის სიკვდილიანობა ომამდელ დროსთან შედარებით შემცირდა საერთოდ 36 %-ით, ბავშვთა სიკვდილიანობა—42, 5 %-ით, ხოლო მოსახლეობის ყოველწლიური მატება ჩვენში დაახლოებით 3 მილიონ სულს შეადგენს“ (თხზულებანი, ტ. 12, გვ. 325).

სსრ კავშირის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში უდიდესი წარმატებები იქნა მიღწეული ხუთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგად, ხოლო ამან კი მოსახლეობის რიცხვის ზრდისა და სიკვდილიანობის შემდგომი შემცირებისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობა შექმნა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობამ 1950 წლის დამლევისათვის 39, 2 მილ. მიაღწია და 1940 წლის დამლევისათვის არსებულ რაოდენობასთან შედარებით იგი 7, 7 მილიონით გაიზარდა. 1951 წლის დამლევისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 40, 8 მილიონს შეადგენდა და მეტი იყო 1950 წლის დამლევთან შედარებით 1, 5 მილიონით.

ამრიგად, წარმოების სოციალისტური წესის პირობებში, როდესაც არ არსებობენ ანტაგონისტური კლასები და სრული შესაბამისობაა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს შორის, სოციალისტური საზოგადოების ძირითად ეკონომიურ კანონს წარმოადგენს საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. ამის გამო სოციალისტურ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს შეფარდებით ჭარბ მოსახლეობას და მოსახლეობის განუხრელი ზრდისათვის არავითარი სოციალური და ეკონომიური დაბრკოლება არ არსებობს. პირიქით, მოსახლეობის ზრდისა და ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების სრულქმნილი განვითარებისათვის აქ ყოვეგვარი ხელშემწყობი პირობაა შექმნილი, რის შედეგად დემოგრაფიული პროცესები აქ თავისებურ, სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ხასიათს ატარებენ.

§ 4. მოსახლეობის ბურჟუაზიულ-რეაქციული თეორიები და მათი კრიტიკა

წინააღმდეგ მოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა, რომლის თანახმადაც ისტორიულად წარმოების ყოველ წესს თავისი განსაკუთრებული მოსახლეობის კანონი შეესაბამება, მოსახლეობის ბურჟუაზიულ-რეაქციული თეორიები ცდილობენ „დაასაბუთონ“ მოსახლეობის აბსტრაქტული კანონის არსებობა, რომელიც ვითომდა შეიძლება წარმოების ყოველი ისტორიული წესის პირობისათვის „მარადულ“ კანონად იქნეს მიჩნეული.

ბიოლოგიზმი — მოსახლეობის ბურჟუაზიული თეორიების დამახასიათებელი ნიშნებია

ამ „თეორიების“ დამახასიათებელ ნიშნებს შეადგენს ბიოლოგიზმი: ცდა — დაადგინონ მოსახლეობის კანონი არა სოციალურ ეკონომიურ ურთიერთობათა კანონზომიერების ახსნის, არამედ—ბუნების მოვლენათა კანონზომიერების საფუძველზე, თანაც —ბიოლოგიური ფაქტორის როლი და განვითარების ტენდენცია არასწორად განსაზღვრონ და „დაასაბუთონ“.

მოსახლეობის ასეთი ბურჟუაზიულ-რეაქციული „თეორიების“ ძირითადი ამოცანაა: აპოლოგეტურად დაიცვან და „გაამარადისონ“ კაპიტალისტური წყობილება, მშრომელი მასების ღატაკური არსებობა კაპიტალისტური წყობილების პირობებში „ახსნან“ აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობის „კანონით“, რომლის დაძლევა არავითარი სოციალური ცვლილებით არ არის შესაძლებელი. ეს „თეორიები“ ამავე დროს უაღრესად რეაქციულ ხასიათს ატარებენ, ვინაიდან ცდილობენ „დაასაბუთონ“, რომ სიღატაკისა და უმუშევრობის მოსპობა კაპიტალისტური წყობილების დამხობით და, მაშასადამე, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით კი არ არის შესაძლებელი, არამედ ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მოსახლეობის გამრავლების ხელოვნური შეზღუდვა და სხვ.

მალთუსის „თეორია“

მოსახლეობის ბურჟუაზიულ-რეაქციულ და ბურჟუაზიულ-სოციოლოგიურ „თეორიათა“ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თ. რ. მალთუსის (1766—1834) „თეორიას“. ეს „თეორია“ არა მარტო ყველაზე გავრცელებულ „თეორიას“ წარმოადგენს ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, არამედ მისი უკიდურესად რეაქციული ხასიათის გამო, ყველაზე მეტად მოწოდებულია ახალ-ახალი ფორმით და „დასაბუთებით“ დაამტკიცოს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი უდანაშაულოა მშრომელი მასების გაღატაკების საქმეში; რომ ჭარბი მოსახლეობის არსებობა „ბუნების გარდუვალი კანონების“ შედეგია.

თანახმად მალთუსის „თეორიისა“, მოსახლეობის რიცხვი, უკეთუ მისი ზრდა არ ფერხდება რაიმე დაბრკოლებით, ორმაგი ხდება ყოველი 25 წლის გასვლის შემდეგ და, მაშასადამე, ყოველ შემდეგ ოცდახუთწლიან პეიოდში გეომეტრიული პროგრესიით მატულობს.

საარსებო საშუალებანი კი, თანახმად მალთუსის შეხედულებისა, არასოდეს არ შეიძლება არითმეტიკულ პროგრესიაზე მეტი სისწრაფით იზრდებოდეს, თუნდაც ადამიანთა შრომა ყველაზე ხელსაყრელ პირობებში იქნეს გამოყენებული.

ამრიგად, მოსახლეობის ზრდა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256, და ა. შ... საარსებო საშუალებათა ზრდა კი ასე: 1 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. ასეთი ვარაუდით ორი საუკუნის შემდეგ მოსახლეობის რიცხვისა და საარსებო საშუალებათა მოცულობის შეფარდება იქნება: 256 : 9; სამი საუკუნის შემდეგ— 4096 : 13, და ა. შ.

მოსახლეობის მუდმივი ზრდის კანონი, ამრიგად, იმდენად აჭარბებს საარსებო საშუალებთა ზრდის კანონს, რომ მათ შორის წონასწორობის დასაცავად აუცილებელია მოსახლეობის გამრავლებას საზღვარი დაედოს რაიმე „უმაღლესი კანონით“.

აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობა

უთანაბრობა მოსახლეობის გამრავლებისა და საარსებო საშუალებთა ზრდას შორის,— თანახმად მალთუსისა,—წარმოშობს აბსოლუტურ ჭარბ მოსახლეობას, რომელიც სიღატაკეში ვარდება საარსებო საშუალებათა ნაკლებობის გამო. მოსახლეობის ეს ნაწილი „ზედმეტი“ ხდება და მას უფლება არა აქვს საზოგადოებისაგან საარსებო საშუალებანი მოითხოვს, ვინაიდან მისი სიღატაკის მიზეზი იგი თვითვეა. ამიტომ, როგორც მალთუსი აღნიშნავს, დიდ ნადიმში, რომელიც ამ ქვეყნად არის გაშართული, „მისთვის ადგილი აღარ მოიპოვება. ბუნება უბრძანებს მას იქაურობას გაეცალოს და იგი (ბუნება) არ დააყოვნებს ამ განაჩენის აღსრულებას“.

სიღატაკე გამოწვეულია „ბუნებრივი“ პირობით

ამრიგად, მალთუსის შეხედულებით, სიღატაკე გამოწვეულია „ბუნებრივი“ კანონებით, რომლებიც მოსახლეობის გამრავლებასა და საარსებო საშუალებათა ზრდას აწესრიგებენ. მოსახლეობის სიჭარბე საარსებო საშუალებებთან შედარებით წარმოადგენს სიღარიბის მიზეზს და მისი შეცვლა ადამიანთა ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ, მალთუსის თანახმად, პასუხისმგებლობა სიღატაკისათვის ეკისრება თვით მუშათა კლასს, რომელიც „განუზომლად“ მრავლდება. „სიღატაკის მთავარი და მუდმივი მიზეზი, – წერს მალთუსი,—ნაკლებ არის ან სრულიად არ არის დამოკიდებული მმართველობის წესზე, ან ქონების უთანაბრო განაწილებაზე; მდიდრებს არ ძალუძთ მოუპოვონ ღარიბებს სამუშაო და საზრდო; ამიტომ ღარიბებს, თვით საქმის არსის გამო, უფლება არა აქვთ მოთხოვონ მათ სამუშაო და საზრდო“. ეს “მნიშვნელოვანი ეშმარიტება“,—როგორც მას მალთუსი უწოდებს,—ადვილად უნდა შეითვისონ მოსახლეობის დაბალმა ფენებმა, რის შემდეგ ისინი მეტ მოთმინებას გამოიჩენენ და თავიანთ მძიმე მდგომარეობას უკეთ აიტანენ; მთავრობისა და მდიდრების წინააღმდეგ ისინი ამდენ გულისწყრომას აღარ გამოიჩენენ და მუდამ მზად აღარ იქნებიან ურჩობისა და ამბოხებისათვის; სამაგიეროდ საზოგადოებრივ და კერძო ქველმოქმედთა მიმართ ისინი უფრო მადლიერნი იქნებიან და მათ მიერ ბოძებულ „მოწყალებას“, რასაც ისინი დროდან დრომდე გასცემენ დაბალი კლასების

ასასარგებლოდ, უფრო მეტად დააფასებენ. ეს ხელს შეუწყობს მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ერთი სიტყვით, მალთუსის შეხედულებით, თუ ეს დაბალი კლასები შეიგნებენ მის მიერ აღმოჩენილ ამ „ჭეშმარიტებას", მაშინ უფრო ადვილად აიღებენ ხელს თავიანთი მდგომარეობისათვის ბრძოლაზე.

თვით ხელფასის სიდიდეც,— მალთუსის თანახმად,—მოსახლეობის რიცხვთან არის დაკავშირებული. მუშათა ხელფასის ფონდი მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს, რის გამო ხელფასის სიდიდე განისაზღვრება მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვის ცვლილების შესაბამისად: რაც უფრო დიდია ეს რიცხვი, მით უფრო დაბალია ხელფასი, და პირიქით.

მიწის კლებადი ნაყოფიერების „კანონი"

მალთუსის მოსახლეობის „თეორიის" საფუძველს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული მიწის კლებადი ნაყოფიერების „კანონი": მიწა უფრო და უფრო ცუდი ხდება იმავე ზომით, რა ზომითაც მას მოსახლეობა მეტსა სთხოვს. იგი შედარებით სულ ნაკლებ ნაყოფიერი ხდება. ამის გამო ისტორიულ განვითარებაში ახალ-ახალი მიწების დამუშავება ხდება უკეთესი მიწებიდან უფრო ცუდ მიწებზე გადასვლით. ამითვე აიხსნება, თანახმად კლებადი ნაყოფიერების „კანონისა", მიწის რენტის ზრდაც.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მალთუსის „თეორიის" შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა თავიანთ შრომებში დაამტკიცეს და ცხადჰყვეს, რომ მალთუსის მოსახლეობის მთელი „თეორია" შინაარსობლივად ანტი-მეცნიერულია, იგი ყველგან ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს და რეაქციული ხასიათისაა.

კ. მარქსმა ცხადყო, რომ „მთელი მისი მოსახლეობის თეორია უსირცხვილო პლაგიატს წარმოადგენს" და რომ „...ეს ნაწარმოები თავისი პირვანდელი ფორმით მხოლოდ მოწაფისებურ ზერელე და ხუცურ-დეკლამატორული პლაგიატია (ქურდობა) გადმოღებული De Foe-ს, სერ James Steuart-ის, Townsend-ის, Franklin-ის, Wallace ის, და სხვებისაგან და არც ერთ დამოუკიდებლად ნააზრევ დებულებას არ შეიცავს" (კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 453, 562).

მარქსის აზრით, "მალთუსს ახასიათებს აზროვნების ღრმა უმსგავსოება; ეს უმსგავსოება შეუძლია დაუშვას მხოლოდ ხუცეს, რომელიც ადამიანის სიღატაკეში ხედავს ცოდვაში შთა-

ვარდნის სასჯელს...“ მ ა ლ თ უ ს ი ს „თეორიის“ ამოცანა იყო „სიკოფანტური სამსახური არისტოკრატისათვის, და სიმდიერის შემქმნელი მწარმოებელთა სიღატაკის ახალი .გამართლება, შრომის ექსპლოატატორთა ახალი აპოლოგია“. „მალთუსის მეცნიერული დასკვნები აგებულია საერთოდ გაბატონებული კლასების და განსაკუთრებით კი ამ გაბატონებული კლასების რეაქციული ელემენტების ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ; ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ამ ინტერესებისათვის მეცნიერებისათვის ა ყ ა ლ ი ბ ებ ს. პირიქით, მისი მეცნიერული დასკვნები სრულიად უ ლ მ ო ბ ე ლ ი ა, რამდენადაც საქმე დამონებული კლასების ინტერესებს ეხება. მალთუსი არა მარტო დაუნდობელია ამ მხრივ. მას თ ა ვ ი მ ო ა ქ ვ ს ამ დაუნდობლობით, ციინიკურად თავი მოსწონს მით და ა ჭ ა რ ბ ებ ს დასკვნებს, რამდენადაც ისინი მიმართულია სიღატაკეში მცაოვრებთა წინააღმდეგ, აჭარბებს თვით იმ ზომაზე ზევითაც კი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მეცნიერულად მისი თვალსაზრისით.

მაშასადამე, ინგლისის მუშათა კლასის სიძულვილი მ ა ლ თ უ ს ი ს ა დ მ ი — „mountebank-parson ისადმი (ბაზარზე მყვირალა ხუცესისადმი), როგორც მას კ ო ბ ე ტ ი უხეშად უწოდებს — სრულიად გამართლებულია; ხალხი გრძნობდა აქ სწორი ინსტიქტის საშუალებით, რომ მის წინაშე დგას არა მ ე ც ნ ი ე რ ებ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი, არამედ მ ო ს ყ ი დ უ ლ ი ა დ ვ ო კ ა ტ ი, მისი მტრების ინტერესების დამცველი, გაბატონებულ კლასთა უსირცხვილო სიკოფანტი“ (კ. მ ა რ ქ ს ი. ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ, II, ნაწ. 1, 1933, გვ. 295, 295).

მ ა რ ქ ს ი ს აზრით, მალთუსი კონსერვატიული ინტერესების მონა იყო და ეს ინტერესები „...ხელს უშლიდა მას დაენახა, რომ სამუშაო დღის უზომო გაგრძელებას და მასთან ერთად მანქანების არაჩვეულებრივ განვითარებას და ქალებისა და ბავშვების შრომის ექსპლოატაციას, „ზედმეტად“ უნდა გაეხადა მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით როდესაც მოისპობოდა ოქით გამოწვეული მოთხოვნა და ინგლისის მონოპოლია მსოფლიო ბაზარზე. რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადვილი იყო და უფრო შეეფერებოდა გაბატონებული კლასების ინტერესებს, რომელთაც მალთუსი წმინდა ხუცური გულმოდგინებით გუნდრუკს უკ-მევდა. რომ ეს «ქარბი მოსახლეობა» ბუნების გარდუვალი კანონებით აეხსნა და არა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების ისტორიული ბუნებრივი კანონებით“ (კაპიტალი, ტ. I, გვ. 474).

ასეთივე დახასიათებას აძლევს მალთუსის თეორიას ფ. ე ნ გ ე ლ ს ი,

რომელიც ამ „თეორიას“ უწოდებს „...ყველაზე უფრო აშკარა ომის გამოცხადებას ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის წინააღმდეგ“ (ბუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935, გვ. 258). ეს არის „ბილწი, მდაბალი თეორია“, „ბუნებისა და ადამიანის საზიზღარი დაცინვა“ (К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, т. II, 1931, გვ. 313).

მალთუსის თეორიის ძირითად დებულებათა განხილვისას ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ აქ „...საქმე იმას კი არ შეეხება რომ გამოკვებილ იქნეს ჭარბი მოსახლეობა, არამედ იმას, რომ იგი, რამდენადაც შეიძლება, შემცირებულ იქნეს. თითოეული ადამიანისთვის აქამდე აღიარებულ უფლებას საარსებო საშუალებებზე მალთუსი პირდაპირ ნამდვილ უაზრობას უწოდებს. მას მოჰყავს პოეტის სიტყვები: ღარიბი ბუნების სადღესასწაულო სუფრას მიუჯდება, მაგრამ თავისუფალ ჯამ-ბერჭელს თავისთვის ვერ პოულობს, და—უმატებს იგი თავის მხრივ—ბუნება მას ეუბრძანებს იქაურობას გაეცალოს (she bids him to be gone), „ვინაიდან, ვიდრე დაიბადებოდა, მან საზოგადოებას არ ჰკითხა, სურდა თუ არა მას მისი მიღება“. ეს თეორია ამჟამად ყველა ჭეშმარიტი ინგლისელი ბურჟუას კუთვნილ თეორიას შეადგენს, და სრულიად ბუნებრივად, რადგან ეს მათთვის მეტად ხელსაყრელია... რაკი საკითხი უკვე იმას აღარ შეეხება, რომ „ჭარბი მოსახლეობა“ სასარგებლო გახდეს, მოსაქმე მოსახლეობად გარდაიქმნეს, არამედ მარტოოდენ იმას, რომ ადამიანები რაც შეიძლება ადვილად დაიხოცონ შიმშილით და თან ხელი შეეშალოთ ბევრი ბავშვის გაჩენაში,—მაშინ, რასაკვირველია. საქმე მარტივდება; მაგრამ—იმ პირობით, რომ ამ გარდამეტმა მოსახლეობამ თვითვე სცნოს თავისი თავი ზედმეტად და შიმშილით სიკვდილზე დათანხმდეს. მაგრამ ამის იმედი ჯერ კიდევ არ არის, მიუხედავად ჰუმანური ბურჟუაზიის თავგამოდებით ცდისა, რომ მუშები ამაში დაარწმუნოს. პროლეტარებმა, პირიქით თავში ჩაიქედეს, რომ ისინი სწორედ თავიანთი გამრჯელი ხელებით საპირონი არიან, ხოლო ზედმეტნი, არსებითად, არიან მდიდარი ბატონები, რომელნიც არაფერს აკეთებენ“ (მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1933, გვ. 258—259).

მალთუსი,—როგორც ამას აღნიშნავს ფ. ენგელსი,—ღატაკს ან, უფრო სწორად, ულუკმაპუროს ზედმეტად და დამნაშავედ აცხადებს, რომელიც საზოგადოებამ შიმშილისაგან სიკვდილით უნდა დასაჯოს.

მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ ცხადყო მიწის კლებადი ნა-

ყოფიერების „კანონის“ სრული უსაფუძვლობა. მეცნიერებისა და ინდუსტრიის განვითარებამ სრულიად ნათლად დაამტკიცა, რომ მიწის კლებად ნაყოფიერებას არა თუ ადგილი არა აქვს, არამედ განუსაზღვრელი შესაძლებლობა არსებობს მიწის მზარდი ნაყოფიერებისათვის. მარქსის მიერ დასაბუთებულმა დიფერენციალური რენტის თეორიამ გამოარკვია და ნათელყო, რომ სოფლის მეურნეობის ისტორიული განვითარება ხდებოდა როგორც ნაყოფიერი მიწებიდან ნაკლებ ნაყოფიერზე გადასვლის გზით, ისე პირიქითაც; რომ დიფერენციალურ რენტას შეიძლება ადგილი ექნეს მიწის ნაკვეთებში თანამიმდევრული კაპიტალდაბანდების როგორც მზარდი ისე კლებადი შემოსავლიანობის პირობებში; რომ ტენდენცია რენტის ნორმის და მასის ზრდისა გამოწვეულია თვით კაპიტალისტურ ურთიერთობათა მეოხებით.

„უეჭველია,—წერს მ ა რ ქ ს ი,—რომ ცივილიზაციის პროგრესთან ერთად სულ უფრო და უფრო ცუდი მიწები შედის დამუშავებაში. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ეს ცუდი მიწები შეფარდებით კარგი მიწებია იმ მიწებთან შედარებით, რომლებიც წინათ კარგ მიწებად ითვლებოდა; ამის მიზეზია მეცნიერებისა და ინდუსტრიის პროგრესი“ (კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, გვ. 38).

ე ნ გ ე ლ ს ი ს აზრით, კიდევაც რომ დავუშვათ, რომ მიწის ნაყოფიერება არ მატულობს იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება შრომის დანახარჯი,—მაინც რჩება კიდევ მესამე ელემენტი, როგორიცაა—მეცნიერება, პროგრესი, რომელთა განვითარება უსაზღვროა და წარმოებს, ყოველ შემთხვევაში, ისევე სწრაფად, როგორც მოსახლეობის ზრდა. მოსახლეობა იზრდება უკანასკნელი თაობის რიცხვის პროპორციულად, ხოლო მეცნიერება კი წინ მიიწევს ცოდნის იმ მასის პროპორციულად, რომელიც მან მიიღო მემკვიდრეობით ყველა წინა თაობათგან, „...მაშასადამე, სრულიად ჩვეულებრივ პირობებში იგიც აგრეთვე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. და მერე რაა შეუძლებელი მეცნიერებისათვის“ (М а р к с и Э н г е л ь с, Сочинения, т. II, 1931, გვ. 316).

მართლაც, სოფლის მეურნეობის ისტორიულმა განვითარებამ სრულიად უარყო მიწის კლებადი ნაყოფიერების „კანონი“: საბუნებისმეტყველო, კერძოდ — სასოფლო სამეურნეო მეცნიერებათა განვითარებამ და ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო შრომის არა თუ კლებადი, არამედ მზარდი ნაყოფიერება. მაგრამ ბურჟუაზიული ეკონომისტები სოფლის მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს „დროებით“ ტენდენციად თვლიდნენ, ხოლო

კანონს კაპიტალის დამატებით დაბანდებათა ნაყოფიერების თახდათან შემცირებისა შეუცვლელი ტექნიკის ბაზაზე „უნივერსალურ მნიშვნელობას“ მიაწერდნენ. ასეთ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შესახებ ლენინი დაცინვით აღნიშნავდა: „ეს სავსებით იგივეა, რომ ვთქვათ: მატარებლების გაჩერება სადგურებზე ორთქლის ტრანსპორტის უნივერსალურ კანონს წარმოადგენს, ხოლო მატარებლების მოძრაობა სადგურებს შუა—დროებითი ტენდენციაა, რომელიც აუქმებს გაჩერების უნივერსალური კანონის მოქმედებას“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 129). ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მთელი ისტორია მასობრივი მონაცემებით, რომლებიც სულ სხვადასხვა ქვეყანას შეეხება, უცილობლად ამტკიცებს, რომ კლებადი ნაყოფიერების «უნივერსალური კანონი» სრულიად გაბათილებულია იმ ტექნიკური პროგრესის «დროებითი» ტენდენციით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სოფლის შედარებით (ზოგჯერ კი აბსოლუტურადაც) კლებად მოსახლეობას აწარმოოს მიწათმოქმედების პროდუქტთა მზარდი რაოდენობა მოსახლეობის მზარდი მასისათვის“ (იქვე, გვ. 131).

მალთუსიანიზმის მარქსისტული კრიტიკა

ლენინმა და სტალინმა განავითარეს მალთუსიანიზმის მარქსისტული კრიტიკა და გამანადგურებელი არგუმენტაციით ნათელჰყვეს მისი სრული უსაფუძვლობა. ლენინმა თავის შრომებში აგრარული საკითხის შესახებ გამოამჟღავნა მიწის „კლებადი ნაყოფიერების კანონის“ რეაქციული შინაარსი და მეცნიერული უსაფუძვლობა. ლენინი წერდა: „ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული აპოლოგეტი ცდილობს უგულებელყოს მიწათმოქმედების ჩამორჩენილობის საზოგადოებრივი და ისტორიული მიზეზები და ბრალს სდებს „ბუნების ძალთა კონსერვატიულობას“ და „კლებადი ნაყოფიერების კანონს“: აპოლოგეტიკისა და გონებასიჩლუნგის გარდა ამ უბადაღებულ კანონში არაფერია“ (თხზულებანი, ტ. 13, 1950, გვ. 220).

ლენინი მკვეთრად ილაშქრებდა მალთუსიანელთა წინააღმდეგ, რომ მათ თავიანთი იდეები თავს არ მოეხვიათ მუშათა კლასისათვის და აღნიშნავდა: „შეგნებული მუშები ყოველთვის ფრიად დაუნდობლად შეებრძოლებიან იმის ცდას, რომ ეს რეაქციული და ლაჩრული მოძღვრება თავს მოახვიონ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ, დიადი გარდაქმნებისათვის ყველაზე უფრო მზადმყოფ კლასს“ (თხზულებანი, ტ. 19, 1951, გვ. 273).

ი. სტალინმა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა მალთუსიანური „თეორიის "რეაქციული შინაარსი. რუსეთის მაგალითზე ი. სტალინმა გვიჩვენა, რომ ცარიზმის პირობებში რუსეთში არსებული „ჭარბი მოსახლეობა" და „მიწის სიმცირე" ახსნას პოულობს არა ბუნების კანონებში, არამედ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში, რომ საზოგადოებისა და კერძოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შედეგად ორივე მოისპობა.

თანამედროვე მალთუსიანიზმი

მიუხედავად იმისა, რომ მალთუსის „თეორია" სრულად იქნა გაბათილებული როგორც მეცნიერულად, ისე ისტორიული განვითარების მსვლელობით, იგი მაინც ფრიად მიმზიდველია ყველა იმათთვის, ვინც ცდილობს ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტიკა აწარმოოს და იმპერიალისტური და ფაშისტური ექსპანსია „დაასაბუთოს". მალთუსის „თეორია" ახალ-ახალი სამოსელით და მეტ-ნაკლებ სახეშეცვლილი შინაარსით გამოიყენებოდა და გამოიყენება როგორც იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი მუშათა კლასის წინააღმდეგ. ყოველთვის, როდესაც მწვავდება კაპიტალისტური წინააღმდეგობანი. განსაკუთრებით კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში, ყოველთვის, როდესაც საჭიროა იმპერიალისტური ექსპანსია და მძარცველური ომები „დასაბუთდეს", ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტები განსაკუთრებული ხალისით მიმართავენ იდეოლოგიური ბრძოლის ამ იარაღს, მასების თვალახვევის ამ ნაცად საშუალებას. ასე გამოიყენეს იგი რასობრივი „თეორიის" დასაბუთებისათვის გერმანელმა და იტალიელმა ფაშისტებმა, რათა მასზე დაყრდნობით „საარსებო სივრცის" გაფართოების მტაცებლური გეგმები აეგოთ. მაგრამ როგორც ცნობილია, ეს გეგმები ჩაფუშა საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობათა უაღრესი გამწვავების პირობებში, მალთუსიანიზმის პოოპაგანდა ისევ განახლებულ იქნა ინგლის-ამერიკული ბლოკის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი—ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკანასკნელი წლების განმავლობაში აშშ-ში გამოქვეყნდა რიგი „შრომებისა", რომლებშიც ცდილობენ დაასაბუთონ აუცილებლობა „ზედმეტი მოსახლეობის" განადგურებისა. ასეთ „შრომებს" მიეკუთვნება, მაგ., ჰ. ი. ბერჩის—„რამდენი ადამიანის გამოკვება შეუძლია დედამიწას", უ. ფოგტის—„გზა ხსნისაკენ", პ. ჯეიმსის

—„ადამიანის გეოგრაფია“, რ. ლუკის—„ადამიანთა ნაყოფიერება—თანამედროვე დილემა“ და სხვ.

ყველა ამ „შრომათა“ მიზანია შენიღბოს და „დაასაბუთოს“ რეაქციის თარეში ქვეყნის შიგნით და აგრესიული, მტაცებლური პოლიტიკა მის გარეთ, იდეოლოგიურად მოამზადოს ახალი ნსოფლიო ომი, გაამართლოს კაპიტალისტური ჩაგვრა და იპერიალისტური ექსპანსია.

ყველა ამ „თეორიას“ საფუძვლად უდევს მალთუსის „თეორია“ აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობის შესახებ, ხოლო ამოსავალ თვალსაზრისს წარმოადგენს ბიოლოგიზმი. ამ „თეორიების“ ამოცანაა მოსახლეობის კანონი დაასაბუთოს ბიოლოგიური ფაქტორების გავლენის საფუძველზე, ხოლო იმავდროულად ამ ფაქტორების როლი და მათი განვითარების ტენდეცია სრულად დამახინჯებულად წარმოადგინონ.

აბუ, მაგ., ფოგტი ცდილობს მალთუსიანურ „თეორიას“ მიცეს ცრუმეცნიერული „ბიოლოგიური ფორმულის“ გამოსახულება. „ამა თუ იმ ტერიტორიის ტევადობა, — წერს ის,—წარმოადგენს განაყოფს, მიღებულს მისი ბიოლოგიური პოტენციალის გაყოფით გარემოს წინაღობაზე“. „ტერიტორიის ტევადობა“ მას ნაგულისხმევი აქვს ტერიტორიის უნარი—უზრუნველყოს საკმლით, წყლით და ბინით ცოცხალ არსებათა განსაზღვრული რაოდენობა. ამ ტევადობას განსაზღვრავს, ერთი მხრით, „ბიოლოგიური პოტენციალი“ ანუ უნარი მიწისა აწარმოოს ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი მცენარეულობა, ხოლო, მეორე მხრით, მოსახლეობის რიცხობრიობით შექმნილი პირობები.

ფოგტის ამ „ბიოლოგიური ფორმულის“ შესაბამისად, ადამიანი მთლიანად ბუნებაზეა დამოკიდებული და ამიტომ იგი უნდა შეეგუოს მის შეზღუდულ შესაძლებლობებს. სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფართობი იმდენად შეზღუდულია, თანახმად ფოგტისა, რომ კაცობრიობას, რომელიც მეტისმეტად მრავლდება, არ შეუძლია მით გამოიკვებოს, მით უფრო, რომ ეს ფართობი თანდათან მცირდება. ამიტომ ერთადერთ „ხსნას“ შიმშილისა და სიღატაკისაგან, ფოგტის აზრით, წარმოადგენს მოსახლეობის რიცხვის შემცირება ყოველგვარი საშუალებით. ფოგტის კაცთმოძულეობა იქამდე მიდის, რომ იგი მძიმე დანაშაულად თვლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, ვინაიდან ამით „ზედმეტ ადამიანთა“ სიცოცხლე ხანგრძლივდებაო.

ფოგტი კიდევ უფრო შორს მიდის და ვითომდა „დემოგრაფიული მუქარის“ გამო მოითხოვს სსრ კავშირის მოსახლეობის რი-

ცხვის შემცირებას 100 მილიონამდეც კი. ასევე მოითხოვს იგი ევროპის მოსახლეობის რიცხვის შემცირებას, ინგლისის მოსახლეობის მოძრაობის „მოთავსებას“ მის მიერ დადგენილ „ბიოლოგიურ ფორმულაში“, „ჭარბ მოსახლეობის„ წარმოშობის საშიშროებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ.. და „ხსნას“ აქაც მოსახლეობის რიცხვის შემცირებაში ხედავს.

კაცთმოძულეობის ანალოგიური „იდეებით“ არის გაჟღენთილი მეორე ამერიკელი მალთუსიანელის რ. კუკის „თეორიაც“. კუკი აღიარებს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეს განიცდის და შიმშილობს. მაგრამ ამის მიზეზად მას მიაჩნია არა კაპიტალიზმის ეკონომიური სისტემის პირობები, არამედ ის, რომ „თავშეუკავებელი ნაყოფიერება“ წარმოშობს იმაზე მეტ ადამიანებს, რაც არსებული საკვები საშუალებებით შეიძლება გამოიკვებოს. ამიტომ, კუკის აზრით, უნდა დაწესდეს კონტროლი შობადობაზე. ასეთი კონტროლისათვის, მისი მეხედულებით, ორი საშუალება არსებობს: „ბუნებრივი“—შიმშილი, ავადმყოფობა, ომი, და „პოზიტიური“—მოსახლეობის მასობრივი იძულებითი სტერილიზაცია. ორივე ეს საშუალება, კუკის აზრით, გამოყენებული უნდა იქნეს მოსახლეობის რიცხვისა და შემადგენლობის „მოწესრიგებისათვის“.

ანალოგიური შინაარსისაა არსებითად თანამედროვე მალთუსიანელთა სხვა „თეორიებიც“, რასაც განსაკუთრებული გულმოდგინეობით უწევენ ამჟამად პროპაგანდას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ჭარბი მოსახლეობის და ნაყოფიერების „პრობლემებით“ გატაცებული არიან იქ არა მარტო ცალკეული ავტორები, არამედ მთელი „მეცნიერული საზოგადოებანი“ და სხვადასხვაგვარი ასოციაციები და მთავრობის ორგანოებიც კი. ყველა ამ „მეცნიერთა“ და „სამეცნიერო საზოგადოებათა“ ზურგს უკან დგანან ამ ქვეყნების მტაცებელი იმპერიალისტები, რომლებიც წარმოადგენენ ამ „თეორიების“ ნამდვილ შემკვეთებს. ეს წრეები არიან დაინტერესებული იმით, რომ შეფერადებულ და შენიღბულ იქნეს კაპიტალისტური სინამდვილე, რომ კაპიტალისტური ქვეყნების გაღატაკებული მასების ყველა უბედურებათა მიზეზად გამოცხადებულ იქნას არა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, არამედ „ბუნების ულმობელი კანონები“.

კაპიტალიზმი, რომელმაც უკიდურესად გაამწვავა მშრომელი მასების ექსპლოატაცია, ისინი მინიმალურ საარსებო საშუალებათა უქონლად დატოვა და თავის იდეოლოგთა „თეორიების“ სახით ერთადერთ გზად ხსნისათვის „ზედმეტ ადამიანთა“ დაუნდო-

ბელი მოსპობა დასახა,—დიდი ხანია პროგრესისა და ცივილიზაციის შემფერხებელი გახდა. „კაცობრიობა,—წერს ენგელსი,—უფრო ჩქარა გამრავლდებოდა, ეს რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ჩვენთვის ეს წარმოადგენს კიდევ ერთ საბუთს იმისა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება გამოვაცხადოთ განვითარების დამაბრკოლებელ ზღუდედ, რომელიც უნდა დაემხოს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 181).

სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება როგორც მალთუსიანური „თეორიების“ უარყოფა

სოციალისტური მშენებლობის დიადი გამოცდილება სსრ კავშირში წარმოადგენს მალთუსიანური „თეორიების“ თვალსაჩინო უარყოფას. სოციალისტურმა წყობილებამ საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი გადაშალეს. საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აწარმოებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის განხორციელებას, იმორჩილებენ ბუნების ძალებს და იმსახურებენ მათ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების ნეოხებით მიწის ნაყოფიერება სსრ კავშირში წლიდან წლამდე იზრდება. მაღალი და მტკიცე მოსავლის მიღებას ხელს უწყობს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, წყალსაცავებისა და ხელოვნური ზღვების მოწყობა. გიგანტური ელექტროსადგურები და სარწყავი სისტემები, რასაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად წარმატებით ახორციელებს, მტკიცე მატერიალურ ბაზას ქმნის მოხმარების საგანთა სიუხვისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალები განუხრელად ვითარდება. აქ არც შეიძლება წარმოიშვას „ჭარბი მოსახლეობის“ პრობლემა: არ არის უმუშევრობა, არ არის კრიზისები, არ არის მასების სიღატაკე. მზარდი მოსახლეობის გამოყენებისათვის აქ განუსაზღვრელი შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ ჩვენში მოსახლეობის რიცხვი განუხრელად იზრდება და ამასთან ერთად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. მაშინ როდესაც კაპიტალიზმი მოსახლეობის ფიზიკური განადგურების „თეორიებს“ წარმოშობს და ასეთ განადგურებას ფაქტიურადაც აწარმოებს, სოციალიზმმა ყველა პირობა შექმნა მასების კეთილდეობის ზრდისა და მისი სულიერი ძალების გაშლა-განვითარებისათვის. ეს არის სოციალისტური სისტემის უმნიშვნელოვანესი უპირატესობა კაპიტალიზმის სისტემასთან შედარებით.

§ 5. მოსახლეობის სტატისტიკის საგანი

მოსახლეობის ანუ დემოგრაფიული [ბერძნულიდან: „დემოს“ (ხალხი) — „გრაფო“ (ვწერ, ავწერ)] სტატისტიკის საგანს შეადგენს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა.

მოსახლეობის სტატისტიკის ამოცანა

მოსახლეობის სტატისტიკის ამოცანაა სტატისტიკური ხერხების საშუალებით შეისწავლოს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა (რიცხვი და შემადგენლობა) რიგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით დროის განსაზღვრული მომენტისათვის და ის პ რ ო ც ე ს ე ბ ი, რომლებსაც ადგილი აქვს მოსახლეობაში (მის რიცხვსა და შემადგენლობაში) სოციალურ-ეკონომიურ მიზეზთა ზეგავლენის შედეგად საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს სტატისტიკური შესწავლა გულისხმობს გაირკვეს განსაზღრული მომენტისათვის: მოსახლეობის რიცხვი, მისი განაწილება გეოგრაფიულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, მისი შემადგენლობა ისეთ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით, როგორიცაა: სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, დედაენა, განათლება, ეროვნება, პროფესია, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისადმი (კლასისადმი) კუთვნილება და სხვ...

მოსახლეობაში მომხდარი ან მიმდინარე პროცესების — დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს — სტატისტიკური შესწავლა კი მიზნად ისახავს გაირკვეს მოსახლეობის რიცხვსა და შემადგენლობაში მომხდარი ან მიმდინარე ცვლილებანი დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების და მიგრაციის (მოსახლეობის ადგილგადანაცვლების) — იმიგრაციისა და ემიგრაციის — შედეგად.

მოსახლეობის სტატისტიკის საკითხები

ამრიგად, მოსახლეობის სტატისტიკის სფეროში განიხილება შემდეგი საკითხები:

1. მოსახლეობის რ ი ც ხ ვ ი (დროის ცალკეული მომენტისათვის);

2. მოსახლეობის ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა;

3. მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა რიგ ფიზიკურ და სოციალურ ნიშანთა მიხედვით: სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, დედაენა, განათლება, ეროვნება, პროფესია, საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილება და სხვ.;

4. მოსახლეობაში მომხდარი ან მიმდინარე ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების განქორწინების და მიგრაციის შედეგად, აგრეთვე ადამიანთა მასების გადასვლის შედეგად ამა

თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთი ჯგუფიდან სხვა ჯგუფში. ეს ცელილებანი ცნობილია მოსახლეობის სტატისტიკაში დემოგრაფიული პროცესების სახელწოდებით.

მეთოდოლოგიური საფუძველი

მოსახლეობის შესწავლისას დემოგრაფიული სტატისტიკა ემყარება განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების არსის და კანონზომიერებათა სწორი გარკვევა-დადგენა. ასეთ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ის, რომ მოსახლეობის რიცხვი, შემადგენლობა და მასში მიმდინარე პროცესები თავიანთ ახსნას პოულობენ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში. ამიტომ დემოგრაფიული მოვლენების და პროცესების შესწავლა და ახსნა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ანალიზს უნდა ემყარებოდეს და მისგან გამომდინარეობდეს (ნ. ამის შესახებ აგრეთვე ზევით, § 1). ეს გარემოება თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისას უკუგდებული უნდა იქნას ბიოლოგიური თვალსაზრისი, რომლის საფუძველზე ბურჟუაზიული მეცნიერება ცდილობს დემოგრაფიულ მოვლენათა ახსნას. მოსახლეობა და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროს ეკუთვნიან და ამიტომ მათი ახსნა ბიოლოგიის კანონების საფუძველზე შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ დემოგრაფიული სტატისტიკა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფს ეკუთვნის. ამიტომ მოსახლეობის შესწავლისას ის უპირველესად ემყარება მეცნიერების იმ დარგს, რომელიც გასაღებია ყველა დარგის მოვლენის შესწავლისათვის: „...ესარის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 741).

დემოგრაფიული სტატისტიკა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, ახლო კავშირშია რიგ მეცნიერებებთან, რომელთაც აგრეთვე საქმე აქვთ საზოგადოებრივ მოვლენებთან და, მაშასადამე, მოსახლეობასთან, როგორც შესწავლის საგანთან. მაგრამ მოსახლეობის შესწავლისას დემოგრაფიული სტატისტიკის

თვალსაზრისით განსხვავებულია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა თვალსაზრისისაგან. ასე, მაგ., პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის, როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოების და განაწილების, ე. ი. ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების კანონებს. მოსახლეობის სტატისტიკა კი შეისწავლის, რიცხობრიობისა, შემადგენლობისა და ცვლილებათა მხრივ თვით ადამიანთა მასას — მოსახლეობას, რომელიც ამ საზოგადოებრივ-წარმოებითი ანუ ეკონომიურ ურთიერთობაში მონაწილეობს და საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელემენტს შეადგენს.

ასევე ცნობილია, რომ „ენათმეცნიერების მთავარი ამოცანაა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა“ (ი. სტალინი), ხოლო მოსახლეობის სტატისტიკა შეისწავლის ამა თუ იმ ენის გავრცელების ფარგლებს: მოსახლეობის რომელი ნაწილი ლაპარაკობს ამა თუ იმ ენაზე, რა ნაწილისათვის წარმოადგენს ესა თუ ის ენა დედაენას ან ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას.

მოსახლეობის ესა თუ ის პროფესიული მოსაქმეობა სპეციალური დისციპლინის (სათანადო დარგის მეცნიერების) შესწავლის საგანია, ხოლო მოსახლეობის სტატისტიკა შეისწავლის ამ მოსაქმეობას, როგორც სოციალურ ნიშანს, რომლის მატარებელი არიან მოსახლეობის ძასები, სოციალური ჯგუფები.

მოსახლეობის სტატისტიკის საგანი

ამრიგად, მოსახლეობის სტატისტიკის, როგორც მეცნიერების, შესწავლის საგანია საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში აღებული მოსახლეობა, როგორც სოციალური მასა, და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, განხილული ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომლებიც სტატისტიკურ შესწავლას ექვემდებარებიან.

მოსახლეობის შესწავლისას დემოგრაფიული სტატისტიკა თეორიული სტატისტიკის დებულებებს იყენებს მოსახლეობის, როგორც დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობის, სტატისტიკური შესწავლისას იგი ამავე დროს საფუძვლად იღებს იმავე პრინციპებს, რაც საერთოდ მასობრივი მოვლენების და პროცესების ერთობლიობის შესწავლისას გამოიყენება.

ამავე დროს დემოგრაფიული სტატისტიკა უახლოეს კავშირშია ეკონომიურ სტატისტიკასთან: ამოსავალი თვალსაზრისი, რომელითაც ეკონომიური სტატისტიკის ცალკე საკითხები განიხილება და გადაიჭრება, უკავშირდება მოსახლეობის რიცხვს, შემადგენლობას და მოსახლეობის სფეროში მიმდინარე დემოგრაფიული

პროცესების შესწავლას. ეს გარემობა თავის ახსნას პოულობს სოციალისტური საზოგადოების ძირითადი ეკონომიური კანონის დამახასიათებელ ნიშნებში: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველჰყოფაში უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების ზრდისა და სრულყოფის გზით. ამის გამო დემოგრაფიული სტატისტიკა, გარდა დამოუკიდებელი დალაგებისა, ეკონომიური სტატისტიკის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს.

§ 6. მოსახლეობის სტატისტიკის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა წარმოადგენს გეგმიან მეურნეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეურნეო ცხოვრებას აქ განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმა. გეგმიანი მეურნეობა სსრ კავშირში აწარმოებს საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის გამტკიცების და მისი თავდაცვაუნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი ხასიათი

სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით წარმოადგენს სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი ხასიათი. სოციალისტურ საზოგადოებაში მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წარმოების იარაღთა და საშუალებათა მთელი მასა ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანებულ მშრომელებს. სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობა ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს და იგი მეცნიერულად დასაბუთებულ დაგეგმვას ექვემდებარება.

გეგმიანი მეურნეობა და სტატისტიკა

გეგმიანი მეურნეობის წარმოება კი, თავის მხრივ, მოითხოვს ზუსტ სააღრიცხვო მონაცემთა, უპირველესად კი—სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვებას და დამუშავებას, ვინაიდან,— როგორც ი. სტალინი აღნიშნავს, „... არავითარი საალმშენებლო მუშაობა, არავითარი სახელმწიფოებრივი მუშაობა, არავითარი გეგმიანი მუშაობა არ არის წარმოსადგენი სწორი აღრიცხვის გარეშე. აღრიცხვა კი წარმოუდგენელია უსტატისტიკოდ. აღრიც-

ხვა უსტატისტიკოდ ვერც ერთ ნაბიჯს წინ ვერ გადადგამს“ (თხზულებანი, ტ. 6, გვ. 246—247).

ამრიგად, სახელმწიფოებრივი და გეგმიანი მუშაობა აუცილებლად მოითხოვს სტატისტიკური აღრიცხვის ორგანიზაციას, სწორ სტატისტიკურ მონაცემთა გამოყენებას. ამიტომ სტატისტიკა წარმოადგენს დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს იარაღს; სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლები მოითხოვს დადგენას და დასაბუთებას სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე; სტატისტიკა აღრიცხავს საწარმოო ძალთა განვითარების არსებულ დონეს, არსებულ მატერიალურ რეზერვებს, გასული პერიოდის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებს და სხვ.

მაგრამ სტატისტიკის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობის პროცესში: სტატისტიკამ უნდა დაამუშაოს, ანალიზი გაუკეთოს და დროულად წარუდგინოს მთავრობას მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ სახელმწიფო გეგმების შესრულების მსვლელობას, სოციალისტური სახალხო მეურნეობის და კულტურის ზრდას, სახალხო მეურნეობაში არსებულ მატერიალურ რესურსებს და მათ გამოყენებას, მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარებაში არსებულ თანაფარდობას და რეზერვებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანი, ადამიანთა სოციალური ჯგუფები, კლასები.

სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი და შრომა ნამდვილად განთავისუფლდა ექსპლოატაციისაგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, განსხვავებით წინანდელი რევოლუციებისაგან, რომელთა შედეგად ექსპლოატაციის ერთი ფორმა მეორე ფორმით იცვლებოდა. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა პირველად ავიდა კაცობრიობის ისტორიაში განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურზე და შეიქმნა შრომისადმი სრულიად ახალი დამოკიდებულება, განსხვავებული შრომისადმი დამოკიდებულებისაგან საზოგადოების განვითარების ყველა წინა საფეხურზე. სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიათა შრომის შედეგი მთელი საზოგადოების, თვით მშრომელი მასების სრული კუთვნილება გახდა.

ასეთ პირობებში სოციალისტური საზოგადოების მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის აუცილებელ პირობას.

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის შედეგად მოპოვებული მონაცემები სსრ კავშირში გამოიყენება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საგეგმო მუშაობის მეცნიერული დასაბუთებისა, შემოწმებისა და ანალიზისათვის. ეს მონაცემები შესაძლებლობას იძლევა დასაბუთდეს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მაჩვენებლები, დაკავშირებული მოსახლეობის რიცხვის, შემადგენლობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, მოსახლეობის ზრდისა და მოძრაობის მაჩვენებლებთან.

მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა დანიშნულება

ამის გამო მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემები შემდეგი ძირითადი დანიშნულებისათვის გამოიყენება:

ა. სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გამოსამუშავებლად, დასასაბუთებლად და შესამოწმებლად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოსახლეობის რიცხვსა, შემადგენლობასა, ცვლილებასთან და ზრდასთან;

ბ. სამუშაო ძალის ბალანსისა და განაწილების შესასწავლად (შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხვი, საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმული სამუშაო ძალის შევსებისა და გახრდის რეზერვები და წყაროები, სამუშაო ძალის განაწილება მატერიალური წარმოების დარგებსა და საზოგადოებრივად-სასარგებლო საქმიანობის დარგებს შორის, სამუშაო ძალის გამოყენება და შრომის ნაყოფიერების ზრდა);

გ. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და მატერიალური წარმოების სხვა დარგთა დასაგეგმად;

დ. უშუალოდ მოსახლეობის მომსახურებისათვის დანიშნულ ღონისძიებათა დასაგეგმად (სასკოლო ქსელი, სავაჭრო ქსელი, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, სოციალური უზრუნველყოფა, კომუნალური საწარმოები, საბინაო მშენებლობა და სხვა.);

ე. ქვეყნის თავდაცვისათვის—ადამიანთა რესურსების და კერძოდ სათავდაცვო კონტიგენტების დასადგენად.

სახალხო მეურნეობის დაგეგმისათვის დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემთა ასეთი მნიშვნელობის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები ითვალისწინებენ დემოგრაფიული სტატისტიკის სამუშაოთა წარმოებას ისეთი პროგრამით და მეთოდოლოგიით, რომლებიც უზრუველჰყოფენ სათა-

ნადო მონაცემთა დროულად მოპოვებას, დამუშავებას და ანალიზს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად.

§ 7. ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა და საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა

საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა ძირეულად, პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკისაგან. ეს განსხვავება გამომდინარეობს შესწავლის ობიექტის შინაარსის თავისებურებისაგან და შეეხება როგორც ძირითად თვალსაზრისს, რომლითაც დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები განიხილება, ისე პროგრამულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს.

ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი სტ ა ტ ი ს ტ ი კ ა შემდეგი ძირითადი ნიშნებით ხასიათდება:

ბიოლოგიზმი

ა. ემყარება რა ბურჟუაზიულ-რეაქციულ ფილოსოფიას, ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიულ პროცესებს განიხილავს ბ ი ო ლ ო გ ი ზ მ ი ს თვალსაზრისით, ე. ი. მოსახლეობის სფეროში მიმდინარე პროცესთა ახსნას და დასაბუთებას იგი პოულობს არა სოციალური ფაქტორების სფეროში, არამედ ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ფაქტორების და ბიოლოგიური პირობების სფეროში. ამიტომ ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტისტიკის დებულებები და დასკვნები საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა და სოციალურ ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე კი არ არის მიღებული და დასაბუთებული, არამედ მოსახლეობის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის, განხილვის საფუძველზე. ამით ადამიანთა საზოგადოება და აქ მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები გაიგივებულია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთან, რის შესაბამისად სოციალური ფაქტორები ან სრულიად გამორიცხულია ანალიზის სფეროდან, ან უკანა რიგშია დაყენებული; ასეთია, მაგ., მოსახლეობის ორგანული „თეორია“ სპენსერისა, რომ არაფერი ვთქვათ მალთუსიანიზმზე, როგორც ამ „თეორიის“ უხეშ გამოსახულებაზე;

უნივერსალიზმი

ბ. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ბურჟუაზიული დეოგრაფიული სტატისტიკა ცდილობს დემოგრაფიული პროცესების განხილვა-ანალიზის დროს დაემყაროს უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი ზ მ ი ს პრინციპს, ე. ი. მოსახლეობის კანონი, დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებანი „მარადული“, უნივერსალური კანონების სახით დაადგინოს, რომლებიც ძალაში იქნებიან არა მარტო ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმი-

ᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ-ᲠᲘᲒᲐᲓ, ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ, ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲘᲛ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ;

ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲠᲝᲚᲘ

Გ. ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ-ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲭᲠᲔᲚ ᲠᲝᲚᲡ ᲛᲘᲐᲬᲔᲠᲡ ᲒᲔᲝᲗᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲡ. ᲒᲔᲝᲗᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲕᲘᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲩᲥᲛᲐᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲒᲔᲝᲗᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲮᲡᲜᲐᲡ;

ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲣᲚ-ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ

Დ. ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲣᲚ-ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲗᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲗᲠᲐᲛᲣᲚ-ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲗᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲗᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲬᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛ ᲞᲠᲝᲒ-ᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲘᲩᲥᲛᲐᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲗᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲓᲐᲛᲣ-ᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲓᲐᲯ�გᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ-ᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲐᲠ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲡ ᲣᲒᲣᲚᲕᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲗᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ, ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮ-ᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ.

ამავე მიზანს ემსახურება ფორმალურ მათემატიკური ხერხები, რასაც ბურჟუაზიული სტატისტიკა დიდი ხალისით იყენებს დემოგრაფიული მოვლენების შესწავლის დროს. ნაცვლად იმისა, რომ შესასწავლი მოვლენების თვისობრივი მხარეები და შინაარსი იქნეს გარკვეული და ისინი სოციალურ-ეკონომიურ ანალიზს დაექვემდებაროს, ბურჟუაზიული სტატისტიკა წინა, რიგში აყენებს დემოგრაფიული მოვლენების გამოსახულებას მათემატიკურ განტოლებათა სახით, რომელთა მეოხებით მოვლენების შინაგანი ბუნება და მატერიალური შინაარსი მსხვერპლად ეწირება ამ მათემატიკურ განტოლებათა მიღების ინტერესებს. ამ გზით დემოგრაფიული მოვლენების და პროცესების, როგორც სოციალური ფაქტორების შედეგად წარმოშობილი და შექმნილი მოვლენების ხასიათი და შინაარსი გაურკვეველი რჩება ან დამახინჯებული და გაყალბებული სახით წარმოიდგინება;

ძირითადი ამოცანაა კაპიტალიზმის აპოლოგია

ე. ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკის ძირითადი ამოცანაა კაპიტალიზმის აპოლოგია—წინასწარ აღებული აზრით კაპიტალისტური წყობილების დაცვა და გამართლება და ამ მიზნით დემოგრაფიული მონაცემების ობიექტური დამუშავებისა და ანალიზის ნაცვლად ამ მონაცემთა გაყალბება და დამახინჯება.

აპოლოგეტური მიზნებისათვის ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა მიმართავს დემოგრაფიული მოვლენების დაკვირვებისა და მიღებული მასალების დამუშავების ისეთ მეთოდოლოგიას, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მონაცემთა ხასიათსა და შინაარსს: მათ საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა აპოლოგეტური მიჩქმალვა; სინამდვილის შეფერადება და ექსპლოატირებული მოსახლეობის გაჩანაგების და სილატაკის ფაქტის დამალვა ან შერბილება;

რასობრივი თვალსაზრისი და დემოგრაფიული „საფრთხე“

ვ. ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა წარმოადგენს „იდეურ“ არსენალს რასობრივი სიძულვილის დასანერგად და „დასასაბუთებლად“ დაიმპერიალისტური აგრესიის გასამართლებლად. ამიტომ იგი ცდილობს კაცობრიობის „საფრთხედ“ გამოაცხადოს მოსახლეობის მატება, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა სსრ კავშირსა და ჩინეთში. ამ „საფრთხის“ თავიდან ასაცილებლად იგი პროპაგანდას ეწევა მოსახლეობის რიცხვის შესამცირებლად ყოველგვარი გზით: ომებით, ეპიდემიებით, მოკვდაობის მატებისა და შობადობის შემცირების

ყველა მისაწვდომი საშუალებით. ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა იმპერიალისტური აგრესიისა და რასობრივი „თეორიების“ სამსახურშია მთელი თავისი შინაარსით: იდეალისტური ფილოსოფიური საფუძვლებით, მალთუსური თეორიით „ჭარბი მოსახლეობის“ შესახებ, პროგრამით, დაჯგუფებისა და ანალიზის მანკიერი მეთოდოლოგიით, მიღებული დასკვნებით.

საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

პრინციპულად სხვა საფუძვლებზეა აგებული საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა, რომელიც შემდეგი ძირითადი ნიშნებით ხასიათდება:

ა. საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა ემყარება მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის მოძღვრებას. ამ მოძღვრების საფუძველზეა შესაძლებელი სწორად იქნეს განსაზღვრული მოსახლეობის, როგორც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელი ელემენტის, როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში; სწორად იქნეს წარმოდგენილი მოსახლეობის კანონების ისტორიული ხასიათი და მათი კავშირი წარმოების წესთან. ეს მოძღვრება საშუალებას იძლევა მეცნიერული სისწორით აიხსნას მოსახლეობის ზოდისა და მოძრაობის კანონზომიერებანი კაპიტალიზმის პირობებში და სოციალისტური საზოგადოების პირობებში, რომლებსაც ცათი შესაბამისი, პრინციპულად ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსახლეობის კანონები შეესაბამებათ;

ბ. საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შესწავლა-ანალიზისას გამოდის არა ბიოლოგიური, არამედ სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისიდან, რის შესაბამისად დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ახსნას იგი პოულობს არა ბიოლოგიურ, ან ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში, არამედ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონების, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების საფუძველზე. ამიტომ საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც მოსახლეობის შესწავლას სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით აწარმოებს და თავის დასკვნებსა და დებულებებს მოსახლეობის, როგორც სოციალური მოვლენის, თვალსაზრისზე აფუძნებს.

გ. საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის სტატისტიკურ შესწავლას აწარმოებს პრინციპულად სხვა სოციალურ-ეკონომიურ პირობებში,

ვიდრე ბურჟუაზიული სტატისტიკა, რის გამო საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკის წინაშე სრულიად არ დგას ის პრობლემები, რომელთა გადაჭრას ამაოდ ცდილობს ბურჟუაზიული დემოგრაფიული მეცნიერება: „ჭარბი მოსახლეობა“, უმუშევრობა, შობადობის შემცირება, მოკვდაობის ზრდა, სტერილიზაცია, რასობრივი დისკრიმინაცია, „დემოგრაფიული საშიშროება“ და სხვ. საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკის ამოცანაა სოციალისტური საზოგადოების მოსახლეობის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესწავლა იმ მიზნით, რათა დადგენილ იქნეს სოციალისტური საზოგადოების დემოგრაფიული პროცესების და მოვლენების კანონზომიერებანი, რომლებიც ყველაზე თვალსაჩინო გამოსახულებას პოულობენ მოსახლეობის განუწყვეტელ ზრდაში და მისი შედგენილობის ცვლილებაში, რაც მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობასთან არის დაკავშირებული.

II თავი

მოსახლეობის სტატისტიკის წყაროები

§ 1. მოსახლეობის სტატისტიკის წყაროები და მათი შედარებითი დახასიათება

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლა, როგორც აღნიშნული იყო (ნ. ზევით. თავი 1. § 5), მიზნად ისახავს გაარკვიოს, ერთი მხრით, მოსახლეობის რიცხვი და შედგენილობა რიგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით, და, მეორე მხრით, მოსახლეობის მოძრაობა — მის რიცხვსა და შედგენილობაში მომხდარი ცვლილებანი — სოციალურ-ეკონომიური და ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენის შედეგად. ამ ამოცანათა შესაბამისად მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისათვის მოპოვებული უნდა იქნას ისეთი პირველადი მასალა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გაირკვეს: ა) მოსახლეობის რიცხვი და შედგენილობა დროის განსაზღვრული მომენტისათვის და ბ) მოსახლეობის მოძრაობა, მის რიცხვსა და შედგენილობაში მიმდინარე ცვლილებები.

ამ ორი ძირითადი ამოცანის შესრულება მოითხოვს სტატისტიკური დაკვირვების ორი ძირითადი სახის გამოყენებას, რომლებიც ერთიმეორისაგან განირჩევიან დაკვირვების მომენტის თვალსაზრისით: ერთდროული დაკვირვებისა და მიმდინარე დაკვირვების გამოყენებას.

ერთდროული სტატისტიკური დაკვირვება, როგორც ცნობილია, უკავშირდება დროის განსაზღვრულ მომენტს და ჩვეულებრივ ჩატარდება ერთჯერ ანდა, ხშირად, რეგულარულად დროის განსაზღვრულ შუალედებში. რეგულარული გამეორებისას მას ეძლევა პერიოდულ ერთდროულ დაკვირვებათა ხასიათი.

ერთდროული სტატისტიკური დაკვირვების მიზანია მოიპოვოს ცნობები შესასწავლი მოვლენის მოცულობის (რიცხობრიობის) და შემადგენლობის შესახებ დროის განსაზღვრული მომენტისათვის. ამიტომ ასეთი დაკვირვება მოიცავს ისეთ კითხვებს, რომელთა გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ დროის განსაზღვრულ მომენტთან დაკავშირებით და ამ მომენტში მოვლენის მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

მოსახლეობის აღწერა

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისათვის გამოყენებული ერთდროული სტატისტიკური დაკვირვების ძირითად სახეს წარმოადგენს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ა ღ წ ე რ ა. აღწერის მონაცემები — უკეთუ აღწერა სწორ პროგრამულ-მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს ემყარება — წარმოადგენენ მოსახლეობის რიცხობრიობისა და შედგენილობის სტატისტიკური შესწავლის ყველაზე სწორ და საიმედო წყაროს. აღწერის ასეთი მნიშვნელობა აიხსნება პროგრამულ-ორგანიზაციული თავისებურებით, რის გამო აღწერის საშუალებით მოპოვებული მონაცემები გამორჩევიან როგორც სისრულით (შესასწავლი მოსახლეობის მოცულობის სრული აღრიცხვით), ისე აღწერის პროგრამით გათვალისწინებული კითხვების გარკვევისა და რეგისტრაციის სისრულითა და სისწორით.

მიმდინარე დაკვირვება

მოსახლეობის სტატისტიკის მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ მ ი მ დ ი ნ ა რ ე დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს მონაცემები. მიმდინარე დაკვირვებისას მოვლენათა რეგისტრაცია წარმოებს მათი წარმოშობის და მიმდინარეობის პროცესში. რის გამო იგი განუწყვეტელ ხასიათს ატარებს, რამდენადაც წარმოშობილი მოვლენის ან მომხდარი ფაქტის რეგისტრაცია უშუალოდ მათ წარმოშობა-დადგომას უკავშირდება.

მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვება საშუალებას იძლევა მოპოვებულ იქნას პირველადი მასალა მოსახლეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნას დაბადება-გარდაცვალებისა და ქორწინება-განქორწინების შემთხვევებით.

მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვების საშუალებით მოიპოვება აგრეთვე პირველადი მასალა მოსახლეობის მ ი გ რ ა ც ი ი ს მოვლენების — მოსახლეობის ადგილგადანაცვლების — შესასწავლად.

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება მოსახლეობაში მიმდინარე ისეთ მოვლენათა შესწავლას, რომელთაც განუწყვეტელი ხასიათი აქვთ. ამიტომ ამ მოვლენათა სრული და დროული რეგისტრაციისათვის განუწყვეტლივ წარმოებული მ ი მ დ ი ნ ა რ ე დაკვირვებაა საჭირო.

მოსახლეობის რიცხვსა და შედგენილობაში მომხდარი ასეთი ცვლილების, ანუ, მოკლედ, მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ი ს (დემოგრაფიული მნიშვნელობით) სტატისტიკური შესწავლისათვის გამოიყენება მ ო ქ ა ლ ა ქ ე ო ბ რ ი ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა ქ ტ ე ბ ი ს

რეგისტრაციის მონაცემები და მოსახლეობის ადგილგადანაცვლების რეგისტრაციის მონაცემები, მიღებული ქალაქ ადგილებსა და პასპორტიზებულ სოფელ ადგილებში ჩამოსული და აქედან წასული მოსახლეობის გაწერა-ამოწერის საშუალებით.

სხვა წყაროები

გარდა ზემოაღნიშნული ორი ძირითადი წყაროსი — მოსახლეობის აღწერისა და მიმდინარე რეგისტრაციისა — მოსახლეობის სტატისტიკა ემყარება რიგ სხვა წყაროებს, რომელთა საშუალებით მიიღება მონაცემები მოსახლეობის ცალკე ჯგუფთა შესახებ. ასეთი წყაროებია:

ა) სასოფლო საბჭოებში მოსახლეობის აღრიცხვის მონაცემები, დამყარებული საკომლო აღრიცხვისა და სასოფლო საბჭოს აღრიცხვის სიებზე;

ბ) მოსახლეობის ერთდროული სტატისტიკური აღრიცხვა, რომლის მაგალითს წარმოადგენს სსრ კავშირის სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის ყოველწლიური ერთდროული აღრიცხვა;

გ) სასწრაფო აღწერები, რასაც ადგილი ჰქონდა დიდი სამამულო ომის პერიოდში და ეხებოდა მოსახლეობის ცალკე ჯგუფებს (კმაყოფაზე მყოფ პირთ, ქალაქის არამომუშავე მოსახლეობას, ევაკუირებულ მოსახლეობას და სხვ.);

დ) მოსახლეობის შერჩევითი დაკვირვებანი, რომელთა ამოცანაა მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა და ნაწილთა სტატისტიკური შესწავლა სპეციალური მიზნებისათვის.

მოსახლეობის ისტორიულ-სტატისტიკური საკითხების შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა წყარო. რომელთაგან მრავალი სრულიად არ ატარებს დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ხასიათს. ასეთ წყაროებს მიეკუთვნება ისტორიული წერილობითი ძეგლები, ფისკალური ხასიათის სხვადასხვა საბუთი, ასეთივე ხასიათის აღწერის დავთრები და სხვა ჩანაწერები.

ასეთი წყაროების გამოყენებისას დემოგრაფიულ-სტატისტიკური მიზნებისათვის აუცილებელია მათი კრიტიკული შესწავლა როგორც საერთო ისტორიული მეცნიერების, ისე კერძოდ დემოგრაფიულ-სტატისტიკური თვალსაზრისით (საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკის წყაროების შესახებ ნ. ქვეევით, § 6).

§ 2. მოსახლეობის აღწერა

ა. მოსახლეობის აღწერის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები

მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს სპეციალურად სტატისტიკური მიზნებისათვის ორგანიზებულ ერთდროულ დაკვირვებას, რომლის მიზანია გამოარკვიოს: ა) მოსახლეობის რიცხვი ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულისა და მის ცალკეული ნაწილების ფარგლებში და ბ) მოსახლეობის შედგენილობა უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით დროის განსაზღვრული მომენტისათვის.

მოსახლეობის აღწერამ უნდა მოგვცეს მოსახლეობის რიცხობრიობისა და შედგენილობის ერთდროული, მომენტალური სტატისტიკური სურათი. ასეთი ერთდროული სურათის მიღება კი საკმაო სიძნელეს წარმოადგენს ისეთ პირობებში, როდესაც მოსახლეობა განუწყვეტელ ცვლილებას განიცდის და ამ ცვლილებათა შეჩერება, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთით, შეუძლებელია. ამის გამო თვით აღწერის ორგანიზაცია უნდა მოეწყოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის სტატისტიკური ასახვა უძრაობისადმი მიახლოებულ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში მოსახლეობის სფეროში მომხდარი ცვლილებანი ზეგავლენას არ მოახდენენ დაკვირვების შედეგებზე, ვინაიდან ეს ცვლილებანი პერიოდის განმავლობაში პირობით გამოირიცხებიან.

მოსახლეობის აღწერის სწორი ორგანიზაცია მოითხოვს მთელ რიგ პირობათა დაცვას, რათა მიღებული შედეგები სწორად ასახავდეს მოსახლეობის სტატისტიკურ სურათს დაკვირვების მოძენტისათვის და ეს შედეგები შედარება-დაპირისპირების შესაძლებლობას იძლეოდეს სხვა ანალოგიურ მონაცემთა მიმართ. ამიტომ მოსახლეობის აღწერა, მისი სწორი მეცნიერული ორგანიზაციის მიზნით, შემდეგ მოთხოვნათა დაცვით უნდა მოეწყოს:

ხელსაყრელი დრო

1. მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის უნდა შეირჩეს ყველაზე ხელსაყრელი დრო. ასეთად კი უნდა იქნას მიჩნეული ისეთი დრო, როდესაც მოსახლეობა ნაკლებ მოძრაობს და საცხოვრებელ ადგილს ნაკლებად იცვლის. ჩვეულებრივ ასეთ დროდ ზამთრის თვეები უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მოსახლეობის ადგილგადანაცვლება ამ პერიოდში რიგ გარემოებათა გამო ყველაზე ნაკლებ წარმოებს. ამით აიხსნება, რომ მოსახლეობის აღწერები სსრ კავშირში ზამთრის პერიოდში ჩატარდა: 1926 წლის აღწერა — 17 დეკემბერს, 1939 წლის აღწერა — 17 იანვარს.

უმოკლესი ვადა

2. მოსახლეობის აღწერა უნდა ჩატარდეს, რამდენადაც შესაძლებელია, **უმოკლეს ვადაში**. ჩვეულებრივ ეს ვადა რამდენიმე დღით განისაზღვრება, იშვიათად —ერთი-ორი კვირით. აღწერის ასეთი მოკლე ვადა აღსაწერი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის პირობებში უზრუნველჰყოფს, სხვა პირობათა დაცვასთან ერთად, მოსახლეობის რიცხობრიობისა და შედგენილობის სწორ ასახვას გამოტოვებათა და ორმაგ აღრიცხვათა გარეშე.

კრიტიკული მომენტი

3. მოსახლეობის აღწერის ჩატარების დროს დაკვირვების ერთეულისა (ცალკეული მცხოვრების, ოჯახის) და მისი ნიშნების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დროის მტკიცედ განსაზღვრულ მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით. დროის ასეთ მომენტს, რომლის შესაბამისადაც წარმოებს მოსახლეობის რეგისტრაცია, **კრიტიკული მომენტი** ეწოდება.

მოსახლეობა, მისი რიცხვი, შემადგენლობა, მისი ნიშნები განუწყვეტელ ცვალებადობას განიცდის სხვადასხვა გარემოებათა გამო: მოსახლეობა გადად-გადმოდის ერთი ტერიტორიული ერთეულის ფარგლებიდან მეორეში, მასში განუწყვეტლივ ხდება დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების აქტები; იცვლება მოსახლეობის ფიზიკური და სოციალური ნიშნები. ასეთი უწყვეტი ცვალებადობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დროის ისეთი მომენტის დაწესებას, რომელიც განსაზღვრავს დაკვირვების ერთეულისა და მისი ნიშნების რეგისტრაციის მდგომარეობას დროის მიხედვით. კრიტიკული მომენტი წარმოადგენს სწორედ დროის ასეთ მტკიცედ განსაზღვრულ მომენტს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მოსახლეობა აღირიცხოს ამ მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ცვლილება განიცადა მან ამ მომენტამდე ან განიცდის ამ მომენტის შემდეგ. ასეთ კრიტიკულ მომენტად აიღება ჩვეულებრივ აღწერის დღის წინა ღამის 12 საათი.

მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის დაწესებით შესაძლებელი ხდება მოსახლეობა აღირიცხოს ერთ, მტკიცედ განსაზღვრულ ადგილას ანუ მოხდეს დაკვირვების ერთეულის ლოკალიზაცია და, ამრიგად, თავიდან იქნეს აცილებული მისი გამოტოვება ან ორმაგი აღრიცხვა. გარდა ამისა, აღწერის კრიტიკული მომენტი შესაძლებელს ხდის დასაკვირვებელ ნიშანთა რეგის-

ტრაცია მოხდეს ერთდროულად მთელ აღსაწერ მოსახლეობაში და ამით დაცულ იქნეს მოპოვებული მასალის ერთგვაროვნობა დაკვირვების მომენტის თვალსაზრისით.

საყოველთაო ხასიათი

4. მოსახლეობის აღწერამ უნდა მოიცვას მთელი მოსახლეობა, რომელიც მოცემული ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ცხოვრობს. ამით აღწერას ეძლევა საყოველთაო ხასიათი და გამორიცხულია მოსახლეობის რაიმე ჯგუფის ან ნაწილის გამოტოვება. ასეთ გამოტოვებას ხშირად ჰქონდა ადგილი მოსახლეობის ადრინდელ აღრიცხვათა დროს, როდესაც მოსახლეობის შესწავლისას პირველ რიგში ფისკალურ-სამხედრო ამოცანები იყო დასახული.

ერთდროულობა

5. მოსახლეობის აღწერა უნდა ჩატარდეს აღწერით მოცულ მთელ ტერიტორიაზე ერთდროულად. ამიტომ მოსახლეობის რეგისტრაციისათვის უნდა დაწესდეს დროის ერთი და იგივე მომენტი. ამით შესაძლებელი გახდება მთელი მოსახლეობა აისახოს ისეთ მდგომარეობაში, რომ ყველა მის ნაწილზე თანაბარი გავლენა ექნეს დროის მიხედვით გამოწვეულ ცვლილებებს.

აღწერის ერთდროული ჩატარების მოთხოვნა შესაძლებელია ყოველთვის სრულიად არ იქნეს დაცული და ზოგი გამონაკლისი იქნეს დაშვებული. ასე, მაგ., სსრ კავშირში მოსახლეობის 1939 წლის აღწერის ჩატარების დროს, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, აღწერა ზოგ რაიონში (უკიდურესი ჩრდილოეთი, ზოგი მთიანი რაიონი) ჩატარდა საგანგებოდ დაწესებულ ვადებში, რომლებიც აღწერის დღისაგან განსხვავებული იყო.

ერთიანი პროგრამა

6. მოსახლეობის აღწერა ერთიანი პროგრამით უნდა ჩატარდეს აღწერით მოცულ მთელ ტერიტორიაზე, ხოლო აღწერების პერიოდული გამეორების შემთხვევაში ეს პროგრამა ნაკლებად უნდა იცვლებოდეს. ამ მოთხოვნათა დაცვით შესაძლებელი იქნება მიღებული შედეგების მეტი შესადარობა უზრუნველყოთ.

დაკვირვების ხერხის ერთნაირობა

7. მოსახლეობის აღწერის დროს გამოყენებული დაკვირვების ხერხი ერთნაირი და უცვლელი უნდა იყოს, ვინაიდან ამ ხერხის ცვალებადობა გამოიწვევს აღწერით მიღებულ მონაცემთა არაერთგვაროვნობას.

მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის ყველაზე მიზანშეწონილ ხერხად ითვლება ექსპედიციური ხერხი, ვინაიდან

იგი უზრუნველჰყოფს პირველად მონაცემთა მიღებას უშუალოდ თვით მოსახლეობის დაკითხვით და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების შემოვლით. ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის აღწერის გზით მიღებული ცნობების სისწორეს და სისრულეს.

ერთიანი ინსტრუმენტარი

8. მოსახლეობის აღწერის ერთიანი პროგრამა და ერთიანი ხერხი გულისხმობს აღწერის ჩატარებას ერთიანი სტატისტიკური ინსტრუმენტარის საშუალებით. როგორც სააღწერო დოკუმენტები, ისე აღწერის შედეგების შემცველი დოკუმენტები, ერთიან საფუძველზე დამუშავებულ დოკუმენტთა სისტემას უნდა წარმოადგენდნენ.

რეგულარობა

9. მოსახლეობის აღწერები რეგულარულად უნდა მეორდებოდეს, რამდენადაც შესაძლებელია) დროის თანაბარ შუალედებში. ეს გარემოება აადვილებს აღწერის შედეგთა და მოსახლეობის რიცხვსა და შედგენილობაში მომხდარი ცვლილებების ხასიათისა და ინტენსიობის გარკვევას.

ცენტრალიზმი

10. მოსახლეობიხ აღწერის ორგანიზაცია ცენტრალიზმის პრინციპზე უნდა იქნეს აგებული, ეს იმით აიხსნება, რომ აღწერა მოიცავს შესასწავლი ერთობლიობის მრავალრიცხოვან მასებს, რის გამო აღწერის სამუშაოთა მოცულობა მეტად დიდია. გარდა ამისა, აღწერის დროს დაცული უნდა იქნეს პროგრამული და მეთოდოლოგიური ერთიანობის პრინციპი; სააღწერო სამუშაოთა ჩატარება უმოკლეს და მტკიცედ განსაზღვრულ ვადაშია აუცილებელი მთელ ტერიტორიაზე. ყოველივე ეს აუცილებელს ხდის მოსახლეობის აღწერა მოეწყოს ერთიანი პროგრამულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი ცენტრით.

ბ. აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები

მოსახლეობა, რომელიც აღწერას ექვემდებარება, აღწერის ადგილას ყოფნის ხასიათის მიხედვით, ერთგვაროვანი არ არის. ერთი ნაწილი მოსახლეობისა ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მუდმივი მცხოვრებია (ამ პუნქტში ყოფნის ხანგრძლიობის თვალსაზრისით); მეორე ნაწილი კი ამ პუნქტის დროებითი მცხოვრებია; მოსახლეობის ერთი ნაწილი კიდევ ამა თუ იმ პუნქტის ფარგლებიდან დროებით წასულია. ამრიგად, მოსახლეობის ცალ-

კეული მასები მუდმივ მოძრაობაში არიან, საცხოვრებელ ადგილს ისინი სხვადასხვა ვადით იცვლიან. მოსახლეობის აღწერისათვის საჭიროა გაირკვეს, სახელდობრ, მოსახლეობის რა ნაწილი შეადგენს ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მოსახლეობას, ე. ი. საჭიროა დადგენილ იქნეს აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები.

მოსახლეობის აღწერების ორგანიზაციის დროს განასხვავებენ აღსაწერი მოსახლეობის შემდეგ კატეგორიებს: 1) სახეზე ყოფ ანუ ფაქტიურ მოსახლეობას, 2) მუდმივ მოსახლეობას და 3) მიწერილ ანუ „იურიდიულ" მოსახლეობას.

სახეზე მყოფი მოსახლეობა

1. სახეზე მყოფ ანუ ფაქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება ის მოსახლეობა, რომელიც აღწერის მომენტში („კრიტიკულ მომენტში") მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში იმყოფება, თუნდაც როგორც დროებით ან გავლით მცხოვრები, იმ მცხოვრებთა (თუნდაც მუდმივთა) გამოკლებით, რომელნიც ამ პუნქტში არ იმყოფებიან აღწერის მომენტში.

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის საააღწერო ფურცლის შევსებისათვის დადგენილი ინსტრუქცია შემდეგნაირად განმარტავდა სახეზე მყოფი მოსახლეობის კატეგორიას:

„სახეზე მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება ყველა, ვინც კი ამ სადგომში გაატარა 16/17 იანვრის ღამე და ყველა ამ სადგომში ნცხოვრები, მაგრამ ამ ღამეს ამავე საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფი, აგრეთვე სამუშაოზე მყოფნი, თუნდაც მოცემული საბჭოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ან ისეთ ადგილებში წასულნი, სადაც ისინი არ შეიძლება აღიწერონ.

ამისდაშესაბამისად, იმის გარდა, ვინც 16/17 იანვრის ღამე ამ სადგომში გაატარა, სახეზე მყოფ მოსახლეობას უნდა მიეკუთვნონ კერძოდ:

ა) ღამის ცვლაში მომუშავენი, საგუშაგოზე ან მორიგეობაზე მყოფნი, ან ღამით წარმოებულ სხვა რომელიმე სამუშაოზე მყოფნი;

ბ) რკინიგზელები, რომლებიც სამსახურის მოვალეობათა შემსრულებლად იმყოფებოდნენ (მემანქანენი, ცეცხლფარეშები, კონდუქტორები, გამყოლები და სხვ.). წყლის ტრანსპორტის მუშაკები, მფრინავები, ვაგონ-რესტორანების პერსონალი;

გ) გზაში მიმავალნი ავტომობილებით, ჭაპანტრანსპორტით, ცხენით, ქვეითად და სხვ., ტვირთის და ფოსტის გამყოლნი ყველა სახის ტრანსპორტზე. ჯოგის გამყოლნი;

დ) საკოლმეურნეო ფერმებში, მინდვრის ბანაკებში, მინდორში სალეწავად და სხვ. წასულნი;

ე) თეატრში, კლუბში, რესტორანში მყოფნი, წამსვლელთა გამცილებელნი და სხვ;

ვ) ერთდღიან დასასვენებელ სახლში დამსვენებელნი და ხუთ-დღიან საბავშვო ბაღებსა და საბავშვო ბაგებში მყოფი ბავშვები;

გ) ადგილობრივი და საგარეუბნო მატარებლებით, ავტობუსებით, ადგილობრივი მიმოსვლის გემებით 16/17 იანვრის ღამეს გამგზავრებულნი;

თ) ბაზარში, ბაზრობაზე, ქირაზე, წისქვილში წასასვლელად, ტყეში შეშის მოსატანად, სანადიროდ, სათევზაოდ, თივის მოსატანად და სხვ. სახლიდან გასული პირები;

ი) ყველა, ვინც კი სახლის გარეთ, მაგრამ ამავე საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იმყოფება სტუმრად ნათესავებთან, ნაცნობებთან და სხვ."

ამრიგად, აქედან ჩანს, რომ სახეზე მყოფი მოსახლეობის ერთი ნაწილი, თუმცა ფაქტიურად არ იმყოფება თავისი ბინადრობის ადგილას აღწერის მომენტში, მაგრამ მაინც სახეზე მყოფი მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან ისეთ ადგილას არის წასული, სადაც მისი აღწერა არ შეიძლება და ამიტომ ის იმ ადგილას უნდა აღიწეროს, სადაც მისი ჩვეული ბინადრობის ადგილია.

საგანგებო წესების თანახმად ხდებოდა 1939 წლის აღწერის დროს შორი ნიმოსვლის მატარებლების მგზავრებისა და ვაგზლებში მოლოდინეთა აღწერა. მატარებლებში აღწერილი მოსახლეობა მიეკუთვნებოდა იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის ჯამს, სადაც გამოყოფილ იქნა სააღწერო ბრიგადები. ვაგზლებსა, სადგურებსა და ასაქცევებზე აღწერილი მგზავრები კი მიეკუთვნებოდა იმ ადგილის მოსახლეობის ჯამს, სადაც ეს ვაგზლები და სადგურები იმყოფებოდა.

მუდმივი მოსახლეობა

2. მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება მოსახლეობა, რომელიც განსაზღვრულ პუნქტში მეტნაკლებ ხანგრძლივად ცხოვრობს, იმ მუდმივ მცხოვრებთა ჩათვლით, რომელნიც ამ პუნქტიდან დროებით წასულნი არიან, და იმათი გამოკლებით, რომელნიც ამ პუნქტში დროებით იმყოფებიან.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერა, სახეზე მყოფი მოსახლეობის აღწერის გარდა, ითვალისწინებდა დროებით მცხოვრებთა და დროებით წასულთა აღრიცხვას. ამისდა შესაბამისად სააღწერო ფორმულარი ითვალისწინებდა შემდეგ კითხვებს:

მე-2 კითხვა: „აქ მუდმივად ცხოვრობს თუ დროებით?“ დროებით მცხოვრებად უნდა ჩათვლილიყო ყველა ის პირი, რომელიც ჩვეულებრივ სხვა ადგილას ცხოვრობდა და დროებით წასული იყო მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან არა უმეტეს 6 თვის ვადით. ის პირნი, რომელნიც მოცემულ ადგილას იყვნენ გადმოსულნი მუდმივ საცხოვრებლად, მუდმივ მცხოვრებად ითვლებოდნენ მათი იქ ყოფნის ხანგრძლიობის მიუხედავად. მუდმივ მცხოვრებად ითვლებოდა აგრეთვე: ა) წინანდელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აღწერის დღემდე 6 თვეზე მეტი ხნის წინათ წამოსული, წამოსვლის მიზეზისაგან დამოუკიდებლად; ბ) მოსწავლე, რომელიც სწავლის ადგილას ცხოვრობდა; გ) ის პირი, რომელსაც არ შეეძლო სხვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დასახელება.

მე-3 კითხვა: „დროებით მცხოვრებისათვის აღინიშნოს: ა) მუდმივი ბინადრობის ადგილი, ბ) რამდენი ხანია რაც წამოსულია მუდმივი ბინადრობის ადგილიდან“.

მე-4 კითხვა: „მუდმივად აქ მცხოვრებისათვის, მაგრამ დროებით არმყოფისათვის ჩაიწეროს: „დროებით არ იმყოფება“ და აღინიშნოს რამდენი ხანია რაც არ იმყოფება“.

ამრიგად, მოსახლეობის 1939 წლის აღწერის საააღწერო ფურცლის ზემოაღნიშნული კითხვების საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვეულიყო: ა) სახეზე მყოფი მოსახლეობა ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით; ბ) მუდმივი მცხოვრებნი; გ) დროებით წასულნი.

მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, მაგ., მთელი ქვეყნის, ფარგლებში, — თუ ადგილი არა აქვს მნიშვნელოვან მიგრაციულ მოვლენებს ამ ერთეულის ფარგლებს გარეთ, — სახეზე მყოფი მოსახლეობა და მუდმივი მოსახლეობა ერთიმეორეს უდრის. მაგრამ ცალკეული დასახლებული პუნქტისათვის მოსახლეობის ეს ორი კატეგორია ჩვეულებრივ ერთიმეორისაგან განსხვავებულ სიდიდეს წარმოადგენს. სხვაობა ამ ორ სიდიდეს შორის მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია სხვაობა დროებით მცხოვრებთა და დროებით წასულთა რიცხვებს შორის. ამიტომ მ უ დ მ ი ვ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა უდრის აღწერის ადგილას სახეზე მყოფ მოსახლეობას — (მინუს) დროებით მცხოვრებნი + (პლუს) დროებით წასულნი. ს ა ხ ე ზ ე მ ყ ო ფ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა კი უდრის მუდმივ მოსახლეობას — (მინუს) დროებით წასულნი + (პლუს) დროებით მცხოვრებნი.

მოსახლეობის თანამედროვე აღწერების ორგანიზაცია უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ორი — სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის — კატეგორიის აღწერას, ვინაიდან სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები უმთავრესად მოსახლეობის ამ ორი კატეგორიის შესწავლასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ორივე კატეგორიის ერთდროული აღწერა შესაძლებლობას იძლევა აღწერის შედეგების საკონტროლო შემოწმება ჩატარდეს ჯამების ურთიერთდაპირისპირების საშუალებით.

მიწერილი მოსახლეობა

3. **მ ი წ ე რ ი ლ ი** ანუ **ი უ რ ი დ ი უ ლ ი მ ო - ს ა ხ ლ ე ო ბ ა**, ე. ი. მოსახლეობა, რომელიც ფორმალურადაა დაკავშირებული და მიწერილი რომელიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისადმი. მოსახლეობის ამ კატეგორიის აღწერას ამჟამად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა ფორმალური მომენტი მოსახლეობის ამა თუ იმ პუნქტისადმი მიწერისა, არამედ მოსახლეობის **ფ ა ქ ტ ი - უ რ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა** დასახლებულ პუნქტებს შორის. ამიტომ მიწერილი მოსახლეობის კატეგორიის აღრიცხვას თანამედროვე აღწერები არ ითვალისწინებენ.

8. აღწერის პროგრამა

მოსახლეობის აღწერის **პ რ ო გ რ ა მ ა** სხვადასხვა ხასიათის კითხვებს მოიცავს და მისი მოცულობაც ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარია. საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ცდილობდნენ გამოემუშავებინათ ერთიანი პროგრამა - მინიმუმი, რომლითაც ცალკე ქვეყნების მოსახლეობის აღწერების დროს იხელმძღვანელებდნენ და, ამრიგად, პირობებს შექმნიდნენ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მონაცემთა შედარება-დაპირისპირებისათვის საერთაშორისო მასშტაბით. ასეთი **პ რ ო გ რ ა მ ა მ ი ნ ი მ უ მ ი ს** გამომუშავების საქმეში განსაკუთრებით დიდი ამაგი მიუძღვის ცნობილ რუს გეოგრაფს და სტატისტიკოსს **პ. პ. ს ე მ ი ო ნ ო ვ — ტ ი ა ნ - შ ა ნ ს კ ი ს** (1827—1914). მისი ინიციატივით 1872 წელს ს. პეტერბურგში შეიკრიბა საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესი, რომელზეც მოხსენება მოსახლეობის აღწერების ორგანიზაციის პრინციპების შესახებ თვით სემიონოვ ტიან—შანსკიმ გააკეთა. ეს მოხსენება საფუძვლად დაედო კონგრესის დადგენილებებს ამ საკი-

თხის შესახებ, რომლებითაც დემოგრაფიული სტატისტიკა დღემდე ხელმძღვანელობს მოსახლეობის აღწერების ჩატარების დროს.

პროგრამა მინიმუმი

მოსახლეობის აღწერის პროგრამა-მინიმუმი, გამომუშავებული ამ კონგრესის დადგენილებით, შეიცავდა: სახელი და გვარი, სქესი, ასაკი, დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია და სოციალური მდგომარეობა, რელიგია, რვეულებრივი სალაპარაკო ენა, წერაკითხვის ცოდნა, დაბადების ადგილი და ეროვნება, საცხოვრებელი ადგილი, ფიზიკური და ფსიქიური ნაკლი.

მოსახლეობის აღწერის პროგრამის ეს სანიმუშო სქემა შემდგომი პერიოდების აღწერების დროს მეტ ნაკლები შესწორებებით გამოიყენებოდა, ხოლო აქედან სამი კითხვა (გვარსა, სახელსა და მამის სახელთან ერთად) ყველა აღწერის პროგრამაში შეიტანებოდა როგორც აუცილებელი დემოგრაფიული ნიშანი. ეს სამი კითხვაა: სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა.

1939 წლის აღწერის პროგრამა

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პროგრამა შემდეგ 16 კითხვას შეიცავდა (იმ რედაქციით, როგორც იგი სააღწერო ფორმულარში იყო მოცემული):

1. დამოკიდებულება ოჯახის უფროსთან (ცოლი, შვილი, დედა, ძმისწული და სხვ.);
2. აქ მუდმივად ცხოვრობს თუ დროებით?
3. დროებით მცხოვრებისათვის აღინიშნოს: ა) მუდმივი ბინადრობის ადგილი, ბ) რამდენი ხანია. რაც წამოსულია მუდმივი ბინადრობის ადგილიდან;
4. მუდმივად აქ მცხოვრებისათვის, მაგრამ დროებით არმყოფისათვის ჩაიწეროს „დროებით არ იმყოფება“ და აღინიშნოს რამდენი ხანია რაც არ იმყოფება;
5. სქესი (მამრობითი, დედრობითი);
6. რამდენი წელი შეუსრულდა დაბადებიდან, ერთ წლისაზე უმცროსი ბავშვებისათვის კი—რამდენი თვე.
7. ეროვნება;
8. დედაენა;
9. ქორწინებაში იმყოფება თუ არა?
10. რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა?
11. წერა-კითხვის ცოდნა: ა) კითხულობს და წერს, თუ მხოლოდ კითხულობს რომელსამე ენაზე, ბ) თუ სრულიად უცოდინარია წერა-კითხვისა;

12. მოსწავლისათვის აღინიშნოს: ა) სასწავლებლის, სკოლის ან კურსების სრული სახელწოდება, ბ) რომელ კლასში ან რომელ კურსზეა (კურსებისათვის სწავლის ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლიობით ჩაიწეროს „მოკლევადიანი“);

13. დაამთავრა თუ არა საშუალო ან უმაღლესი სკოლა (ჩაიწეროს „საშ“ „უმ“.):

14. მოსაქმეობა (სამსახური) ამჟამად ან საარსებო საშუალებათა სხვა წყარო;

15. მუშაობის ადგილი (საწარმოს, კოლმეურნეობის. დაწესებულების სახელწოდება);

16. რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის: მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, კოოპერირებული შინამრეწველების. ერთპიროვნული გლეხების, არაკოოპერირებული შინამრეწველების, თავისუფალი პროფესიის პირების, თუ კულტის მსახურთა და არამშრომელთა ელემენტების ჯგუფს?

გარდა ზემოაღნიშნული კითხვებისა აღწერის პროგრამა ითვალისწინებდა სამისამართო ცნობების მოპოვებას და ამ მიზნით საააღწერო ფორმულარი შეიცავდა ცნობებს: დასაკითხი პირის გვარის, სახელის და მამის სახელის შესახებ, ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებას (რესპუბლიკა, მხარე, ოლქი, რაიონი, ქალაქი, სოფლის საბჭო) მისამართს, აღწერის ორგანიზაციული ჩატარების მიზნით საჭირო აღნიშვნებს (ააღწერო განყოფილების №, საინსტრუქტორო უბნის № და სხვ.). აღწერის ფორმულარით გათვალისწინებული ეს კითხვები ძირითადად საკონტროლო დანიშნულებისაა: საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა გახდეს ააღწერო დოკუმენტის და იქ მოცემული ცნობების სისწორის შემოწმება.

მაგრამ სამისამართო ცნობები გამოსადეგია აგრეთვე მასალების თავმოყრისათვის ტერიტორიული ნიშნის მიხედვით და, გარდა ამისა, ამ ცნობების საფუძველზე შესაძლებელია გაირკვეს მოსახლეობის მიგრაციის საკითხები ცალკეული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

ამ გარემოებათა გამო ასეთი ცნობის მოპოვება, აღწერის პროგრამის ჩვეულებრივი კითხვების გარდა, ყოველი აღწერის დროს არის გათვალისწინებული.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამაში შესული კითხვები შინაარსობრივად შეიძლება შემდეგ ძირითად ჯგუფებად დაიყოს:

ა) ფიზიკური ნიშნები (მე-5 და მე-6 კითხვა);

ბ) ნიშნები ოჯახის შედგენილობისა და ოჯახური მდგომარეობის გასარკვევად (1-ლი და მე-9 კითხვა);

გ) ნიშნები მოსახლეობის ბინადრობის ხასიათის გასარკვევად (მე-2, მე-3 და მე-4 კითხვა);

დ) ნაციონალურ-პოლიტიკური კითხვები — ეროვნული შედგენილობის, დედაენისა და მოქალაქეობის გასარკვევად (მე-7, მე-8 და მე-10 კითხვა);

ე) ნიშნები მოსახლეობის კულტურული დონის შესასწავლად. (მე-11, მე-12 და მე-13 კითხვა);

ვ) ნიშნები მოსახლეობის პროფესიულ-საწარმოო შედგენილობის დასახასიათებლად (მე-14 და ნე-15 კითხვა);

ზ) ნიშანი მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯგუფების — კლასობრივი სტრუქტურის — შესასწავლად (მე-16 კითხვა).

როგორია აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ კითხვათა არსი და მნიშვნელობა?

მოსახლეობის დანაწილება სქესის მიხედვით

მოსახლეობის დანაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით წარმოადგენს უმარტივეს ბუნებრივ ფაქტს, რომელიც სოციალური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია: იგი განსაზღვრავს მოსახლეობის ელემენტარულ აგებულებას.

მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია სსრ კავშირის პირობებში, სადაც მოსპობილია უფლებრივი და ეკონომიური განსხვავება მამრობითი და დედრობითი სქესის პირთა შორის და განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თითოეული სქესის მოსახლეობის რიცხვისა და შედგენილობის გარკვევა როგორც ცალკეულ-ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, ისე სახალხო მეურნეობისა და პროფესიულ-საწარმოო საქმიანობის ცალკეული დარგების მიხედვით.

ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის გარკვევა. ასაკი არის ამა თუ იმ პირის დაბადების მომენტიდან ნაცოცხლი დროის ხანგრძლიობა, გამოსახული წლებში, როდესაც საქმე ეხება ერთ წელზე უხნეს პირებს. ერთი წლისაზე უმცროსი ბავშვებისათვის ასაკის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ შესრულებული თვეების მიხედვით, ხოლო ერთ თვეზე უმცროსი ბავშვებისათვის აღინიშნება, რომ „თვეზე ნაკლებია“.

ასაკის სისწორით რეგისტრაციას თან ახლავს რიგი სიძნელენი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ასაკის დამრგვალება (მისი გამოსახვა ხუთეულ ან ათეულ წლებში). ამ სიძნელის დაძლევა

ხდება იმით, რომ ასაკის რეგისტრაციისას მხედველობაში იღებენ დასაკითხი პირის დაბადების წელს, რომლის საფუძველზეც ასაკის სისწორით გამორკვევა ადვილი ხდება.

მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია გაირკვეს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან ერთად მოსახლეობის დანაწილება საწარმოო და არასაწარმოო ასაკობრივ ჯგუფად.

კითხვა ოჯახის უფროსისადმი დამოკიდებულების შესახებ გამოიყენება ოჯახის შესწავლის მიზნებისათვის. ოჯახის უფროსად ითვლება ის, ვინც მთავარ საარსებო სახსარს იძლევა ოჯახში.

ოჯახური მდგომარეობა

ამავე მიზნებს ისახავს კითხვა ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ოჯახური მდგომარეობა არის ამა თუ იმ პირის დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტისადმი. მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამით ეს კითხვა ალტერნატიული ფორმით იყო დასმული: „ქორწინებაში იმყოფება თუ არა?". ქორწინებაში ყოფნის საკითხი გადაიკრებოდა ფაქტიური ვითარების საფუძველზე დამოუკიდებლად იმისა, ქორწინება სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში რეგისტრირებული იყო თუ არა. ქორწინებაში არმყოფთ მიეკუთვნებოდნენ, იმათ გარდა, ვინც ქორწინებაში არასოდეს არ ყოფილა, აგრეთვე ქვრივები და განქორწინებულნი.

კითხვები ბინადრობის გასარკვევად

კითხვები მოსახლეობის ბინადრობის ხასიათის გასარკვევად, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ (ნ. ამავე §-ის ბ) ლაპარაკი, საშუალებას მოგვცემს დავანაწილოთ: ა) აღწერის მომენტში აღწერის ადგილას ფაქტიურად მყოფ მოსახლეობად და ბ) მუდმივ მოსახლეობად.

მოსახლეობის ორივე ამ კატეგორიის რიცხვის და შედგენილობის გამორკვევა ფრიად მნიშვნელოვან მასალას იძლევა საგეგმო გაანგარიშებათათვის: სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის საკითხების გადაჭრა მოითხოვს ამ მონაცემთა გამოყენებას; ასევე აუცილებელია იგი ადმინისტრაციული დარაიონების საკითხების დადგენისათვის.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკისა, რომელსაც საკითხი მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის შესახებ დაყვანილი აქვს საკითხზე ენის შესახებ და, მრავალ შემთხვევაში, რასობრივი წარმოშობის საკითხზე, საბჭოთა დემოგრაფიული

სტატისტიკა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად სვამს კითხვებს ეროვნებისა და დედაენის შესახებ და, ამრიგად, აძლევს ამ ნიშანთა შესწავლას ნამდვილად მეცნიერულ შინაარსს.

ეროვნება და დედაენა

დაკითხული პირის ეროვნებად, თანახმად მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამისა, ითვლება ის ეროვნება, რომელსაც თვით დაკითხული პირი აკუთვნებს თავის თავს.

ანალოგიურად ამისა, დედაენად აღწერის პროგრამა თვლის იმ ენას, რომელსაც თვით დაკითხული პირი მიიჩნევს დედაენად. ბავშვებისათვის, რომელთაც ენა ჯერ არ ამოუდგამთ, დედაენად ითვლება ის ენა, რომელზედაც ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ოჯახში. ყრუ-მუნჯთა დედაენად ითვლება ის ენა, რომლითაც სარგებლობენ მათი ოჯახის წევრები ან ის პირები, რომელთა შორის ისინი იმყოფებიან.

დედაენა შეიძლება არ დაემთხვეს ეროვნებას.

აქედან ჩანს, რომ საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა ეროვნების და დედაენის გარკვევის საფუძვლად იღებს არა გენეტური თვალსაზრისის, ე. ი. ტომობრივ წარმოშობას და ამა თუ იმ ეთნიური ჯგუფისადმი კუთვნილებას, არამედ სოციალურ თვალსაზრისს. დაკითხული პირის თვითგამორკვევას და თვითშეგნებას. გენეტური თვალსაზრისით ეროვნება (და დედაენა) ურყევი, მტკიცე ნიშანია, რომელიც ცვალებადობას არ ექვემდებარება. სოციალური თვალსაზრისი თვითგამორკვევისა კი მოიცავს ყველა იმ ცვლილებას, რასაც ადგილი აქვს მოსახლეობაში აღნიშნულ ნიშანთა მიხედვით განაწილების მხრით სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით.

მოქალაქეობა

მოსახლეობის აღწერის პროგრამის ჩვეულ საკითხთა ჯგუფს ეკუთვნის საკითხი მოქალაქეობის შესახებ. ამ ნიშნის მიხედვით მოსახლეობის შესწავლა ინტერესს წარმოადგენს როგორც პოლიტიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით.

კულტურული დონე

მოსახლეობის აღწერის პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კითხვები მოსახლეობის კულტურული დონის შესასწავლად. მოსახლეობის 1939 წლის აღწერა არ კმაყოფილდებოდა ელემენტარული წერაკითხვის ცოდნის საკითხის გარკვევით. აქ დასმული იყო აგრეთვე კითხვები: ა) მიღებული განათლებისა და ბ) აწინდელი სწავლების შესახებ. წერაკითხვის ცოდნისა და განათლების შესახებ კითხვების ასე ფართოდ დასმით შესაძლებელია ნამდვილად

გამოვლინებულ იქნეს ის უდიდესი ძვრები, რაც სსრ კავშირის მოსახლეობის კულტურული დონის უჩვეულო აღმავლობით გამოისახა: მოისპო წერაკითხვის უცოდინარობა, განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, არაჩვეულებრივად გაიზარდა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი.

პროფესიულ-საწარმოო შედგენილობა

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მოსახლეობის პროფესიულ-საწარმოო შედგენილობის დახასიათება მოსახლეობის აღწერის პროგრამით დასმული კითხვების საფუძველზე.

მოსახლეობის აღწერის პროგრამა ამ მიზნით ორ კითხვას ითვალისწინებს: ა) მოსაქმეობის (სამსახურის) ან საარსებო საშუალებათა სხვა წყაროს და ბ) მუშაობის ადგილის რეგისტრაციას. ამ კითხვების საშუალებით შესაძლებელი უნდა გახდეს მოსახლეობის დიფერენციაცია როგორც მოსაქმეობის, ისე სახალხო მეურნეობისა და შრომის დარგების მიხედვით.

იმ პირთათვის, რომელთაც რაიმე შემოსავლის მომცემი სამუშაო ან სამსახური აქვთ, რეგისტრაციას ექვემდებარება ამ საქმიანობის ვრცელი დახასიათება.

იმ პირთათვის კი, რომელთაც არა აქვთ მოსაქმეობა, მაგრამ აქვთ საარსებო საშუალებათა დამოუკიდებელი წყარო (პენსია, სტიპენდია და სხვ.), აღინიშნება საარსებო საშუალებათა ეს წყარო. იმათთვის, ვისაც არა აქვთ მოსაქმეობა და სხვა პირთა ხარჯზე ცხოვრობენ, აღინიშნება სახელდობრ ვის ხარჯზე („კმაყოფაზე") ცხოვრობენ.

როდესაც ის პირი, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება დასაკითხი პირი, სხვა ადგილას ცხოვრობს, აღინიშნება მისი მოსაქმეობა და მუშაობის ადგილი.

მოსაქმეობის რეგისტრაციისას აღინიშნება, თუ აღწერის მომენტში, სახელდობრ, რა სამუშაოს ასრულებს ესა თუ ის პირი, ან რა თანაბდებობა უჭირავს მას. თუ აღწერის მომენტში დაკითხული რამდენსამე სამუშაოს ასრულებს, ამათგან რეგისტრაციას ექვემდებარება ის სამუშაო, რომელსაც ეს პირი ძირითადად მიიჩნევს. სეზონური მომუშავისათვის კი ის სამუშაო აღინიშნება, რომელსაც იგი უკანასკნელ სეზონში ასრულებდა, უკეთუ მას აღწერის მომენტში სხვა მოსაქმეობა არ აქვს.

განსაკუთრებით დეტალურ რეგისტრაციას ექვემდებარება აღწერის დროს მოსაქმეობის ხასიათი, რის გამო საჭიროა აღინიშნოს მოსაქმეობა არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად, სახელდობრ, რა საქმიანობას ეწევა დაკითხული პირი. ასე, მაგ., არ

შეიძლება აღინიშნოს „ოსტატი“, „დამამზადებელი“ და სხვ., არამედ უნდა აღინიშნოს — „ბურღვის ოსტატი“, „ინსტრუმენტების დამამზადებელი“ და სხვ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღწერის მასალების დამუშავებისას სისწორით გამოიყოს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები მოსაქმეობის მიხედვით.

ანალოგიურად გადაიკრება საკითხი სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში მომუშავეთათვის. ასე, მაგ., საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშებისა და კოლმეურნეებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს ნაჩვენები სპეციალური სამუშაო, რომელსაც ისინი ასრულებენ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღინიშნოს ზოგადად „სოფლის მეურნეობა“, როდესაც მათ განსაზღვრული სპეციალური მოსაქმეობა არა აქვთ.

მუშაობის ადგილი

მუშაობის ადგილის რეგისტრირებისას სრულიად აღინიშნება იმ დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს, კოლმეურნეობის და სხვ. დასახელება, სადაც დაკითხული პირი მუშაობს. ამასთანავე, საწარმოთა რეგისტრირებისას უნდა აღინიშნოს საწარმოს სახე (წარმოების დარგი). დაწესებულებებში მუშაობის რეგისტრაციისას მუშაობის ადგილი აღინიშნება ისე, რომ ჩანდეს, სახელდობრ, რა დაწესებულებაა იგი — საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო თუ რაიონული.

აღწერის პროგრამის ამ კითხვების გარკვევის შედეგად შესაძლებელი გახდება შესწავლილ იქნას მოსახლეობის პროფესიულ-საწარმოო მორფოლოგია, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოებრივი ჯგუფი

კითხვები მოსაქმეობისა და მუშაობის ადგილის შესახებ საკმაო საფუძველს არ იძლევა დაკითხული პირის მისაკუთვნებლად ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისადმი. ამიტომ მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამა ითვალისწინებდა ამ მიზნით საგანგებო კითხვას: „რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის“ დაკითხული პირი. ეს კითხვა ისეთი რედაქციით არის დასმული აღწერის ფორმულარში, რომ იგი გამორიცხავს ყოველგვარ ორაზროვნობას, მით უფრო, რომ კითხვას თან ახლავს კარნახის წესით მოცემული ყველა შესაძლებელი პასუხი, რომელთაგან ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი უნდა იქნეს რეგისტრირებული.

ამ კითხვის მიხედვით მოპოვებული აღწერის მონაცემები საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, მისი კლასობრივი სტრუქტურა.

დ. აღწერის ინსტრუმენტარი

სტატისტიკური დაკვირვებისათვის და კერძოდ აღწერისათვის დანიშნულ სტატისტიკურ ფორმულართა ერთობლიობა, როგორც ცნობილია, დაკვირვების ან აღწერის ინსტრუმენტარის სახელწოდებას ატარებს.

აღწერის ინსტრუმენტარიდან ძირითადია სააღწერო ფურცელი და ინსტრუქცია მისი შევსებისათვის.

სააღწერო ფურცელი

სააღწერო ფურცელი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს აღწერის პროგრამით დასმულ კითხვებს, განსაზღვრული წესით დალაგებულს, რომელსაც წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს. შევსებული სააღწერო ფურცლები წარმოადგენს სტატისტიკური აღწერის შედეგად მიღებულ მასალებს, პირველად ჩანაწერებს, რომელთა გადამუშავების (თავმოყრის და დაჯგუფების) შედეგად მიიღება სტატისტიკური სიდიდენი.

სააღწერო ფურცლის ორი ძირითადი სახე არსებობს: ინდივიდუალური, დანიშნული დაკვირვების ცალკე ერთეულისათვის, და კოლექტიური (სიისებური), დანიშნული დაკვირვების რამდენიმე ერთეულის თანმიმდევრული რეგისტრაციისათვის. სააღწერო ფურცლის ამ ორი სახიდან ერთ-ერთის არჩევა დაკავშირებულია, ძირითადად, აღწერის შედეგად მიღებული მასალის დამუშავების (თავმოყრის) წესთან: მანქანური თავმოყრის დროს უპირატესობა ეძლევა კოლექტიურ სააღწერო ფურცელს, ხოლო ხელით თავმოყრის შემთხვევაში გამოიყენება ინდივიდუალური სააღწერო ფურცელი. ასე, მაგ., სსრ კავშირის მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს გამოყენებული იყო ინდივიდუალური ფორმულარები („პირადობის ბარათი"), ხოლო მოსახლეობის 1939 წლის აღწერის დროს — კოლექტიური ფორმულარები („სააღწერო ფურცელი"). მოსახლეობის 1939 წლის აღწერისათვის გამოყენებულ ფორმულარს შემდეგი სახე ჰქონდა (იხილე დამატება).

ინსტრუქცია

აღწერის ამ ძირითად დოკუმენტს, სააღწერო ფურცელს, დართული ჰქონდა ინსტრუქცია (დანტკიცებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1938 წ. 26 ივლისს), რომლის თანახმად უნდა შევსებულიყო ეს ფურცელი. ინსტრუქცია დეტალურ ახსნა-განმარტებას იძლეოდა იმის შესახებ, თუ აღწერის პროგრამის თითოეული კითხვა რა შინაარსის მქონეა და როგორ უნდა იქნეს იგი გაგებული, აგრეთვე როგორი პასუხი უნდა გაეცეს ამ კითხვებს

ამა თუ იმ შემთხვევაში. ინსტრუქცია, ამრიგად, უზრუნველყოფდა აღწერის პროგრამით გათვალისწინებული კითხვების ერთგვაროვან გაგებას და, მაშასადამე, ერთგვაროვან რეგისტრაციას დასმული კითხვების გაგების თვალსაზრისით.

დამატებითი დოკუმენტები

ძირითად დოკუმენტებს გარდა აღწერის სწორი ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რიგ სხვა, დ ა მ ა ტ ე ბ ი თ დოკუმენტებს. ასეთი დამატებითი დოკუმენტების დანიშნულებაა ხელი შეუწყონ აღწერის ჩატარებას ორგანიზებულად და აღსაწერი მოსახლეობის აღრიცხვას გამოტოვებათა და ორმაგ აღრიცხვათა გარეშე.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერის დროს ასეთ დამატებით დოკუმენტთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ც ნ ობ ა ა ღ წ ე რ ი ს გ ა ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ“ და „ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო ბ ლ ა ნ კ ი“. ცნობა აღწერის გავლის შესახებ ეძლეოდა ყველას, ვინც აღწერილ იქნა როგორც დროებითი მობინადრე. ასეთივე ცნობა ეძლეოდა აგრეთვე ყველას, ვინც აღწერილ იქნა შორეული მიმოსვლის მატარებლებში, შორეული მიმოსვლის გემებზე, ვაგზლებში და სხვ. ის პირები, რომელთაც ჰქონდათ ცნობა აღწერის გავლის შესახებ, აღარ უნდა აღწერილიყვნენ სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვში.

როდესაც აღწერისას აღმოჩნდებოდნენ ისეთი პირები. თუნდაც დროებით ბინადარნი, რომელნიც სხვა ადგილას სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვში უნდა აღწერილიყვნენ, მაგრამ ცნობა აღწერის გავლის შესახებ არ ჰქონდათ, მაშინ ასეთი პირებისათვის შეივსებოდა ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო ბ ლ ა ნ კ ი. ეს ბლანკი შეიცავდა სააღწერო ფურცლის (ძირითადი სააღწერო დოკუმენტის) ყველა კითხვას და დამატებით—დაწვრილებით მისამართს იმ ადგილისა, სადაც ბლანკში შეტანილ პირს, როგორც სახეზე მყოფს, აღწერა უნდა გაევლო. ის პირნი, რომლებზედაც საკონტროლო ბლანკები იქნებოდა შედგენილი, არ უნდა ყოფილიყვნენ შეტანილნი საერთო სააღწერო ფურცლებში, სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვში საკონტროლო ბლანკების შედგენის ადგილზე. იმ პირებს, რომლებზედაც საკონტროლო ბლანკის შეივსებოდა, ეძლეოდათ აგრეთვე ცნობა აღწერის გავლის შესახებ.

შემდეგში საკონტროლო ბლანკი შემოწმდებოდა აღწერის გავლის ნავარაუდევი ადგილის მასალების მიხედვით.

ამრიგად, ეს ორი დამატებითი დოკუმენტი — ცნობა აღწერის გავლის შესახებ და საკონტროლო ბლანკი — დანიშნული იყო რეგისტრაციის სისწორის შესამოწმებლად და ორმაგ აღრიცხვათა

და გამოტოვებათა თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით იმ მოსახლეობის აღწერისას, რომელიც მოძრაობაში იყო.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს გარდა, მოსახლეობის 1939 წლის აღწერაში, გამოყენებული იყო სხვა დამატებითი დოკუმენტები, როგორიცაა: „აღმრიცხველის უბის წიგნაკი", „ინსტრუქტორ კონტროლიორის უბის წიგნაკი", „ნაკრები უწყისები" სახლმფლობელობათათვის (ქალაქად) და „საკომლო სიები" (სოფლად), „ნაკრები უწყისები" სააღრიცხვო უბნისათვის. საინსტრუქტორო უბნისათვის, სააღწერო განყოფილებისათვის, რაიონისათვის და სხვ.

მთელი ამ ინსტრუმენტარის დანიშნულებაა აღწერის უნაკლო ორგანიზაციისათვის ხელშეწყობა და მიღებულ მონაცემთა პირველადი ზოგადი ჯამების დაუყოვნებლივ მიღება.

ე. აღწერის ორგანიზაცია

ვინაიდან მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს მრავალრიცხოვან ერთობლიობახე მოკლე ვადაში დაკვირვებას, ამიტომ მისი ორგანიზაცია და პრაქტიკული განხორციელება ფრიად რთული საპასუხისმგებლო საქმეა. აღწერის სწორი ორგანიზაცია სწყვეტს მეტნაწილად აღწერის შედეგების ხარისხის საკითხს.

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის ორგანიზაცია და მისი ჩატარება დავალებული ჰქონდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს. აღწერის საქმის უშუალო ხელმძღვანელობისათვის კი შექმნილი იყო მოსახლეობის აღწერის ბიურო.

აღწერის ჩატარებისათვის საჭირო საორგანიზაციო სამუშაოთაგან უმნიშვნელოვანესია:

1. სააღწერო დარაიონება;
2. სააღწერო კადრების დაკომპლექტება;
3. აღწერის მუშაკთა ინსტრუქტაჟი და ცოდნის შემოწმება;
4. მასობრივი ახსნა განმარტებითი მუშაობა.

სააღწერო დარაიონება

საააღწერო დარაიონების ამოცანაა: თითოეული რაიონისა და ქალაქის ტერიტორიის დაყოფა სააღწერო განყოფილებებად, სააღწერო განყოფილებებისა — საინსტრუქტორო უბნებად, საინსტრუქტორო უბნებისა — სააღრიცხვო უბნებად.

სააღრიცხვო დარაიონების სწორად გატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რათა აღწერაში უკლებლივ ნოხე-

დეს ყველა დასახლებული ადგილი და ცალკეული ნაგებობა, რო-
ბელშიც მოსახლეობა ბინადრობს.

საქალაქო დასახლებულ ადგილთა სააღწერო დარაიონება წარ-
მოებს სახლმფლობელობათა სიების, ქალაქის გეგმის, დახურული
ტიპის დაწესებულებათა (საავადმყოფოების, საბავშვო სახლების,
სამშობიარო სახლების და სხვ.) სიების, მოძრავი მოსახლეობის
თავმოყრის ადგილთა (სადგურების, ნავსადგურების, ავიოპორ-
ტების და სხვ.) სიების, სასტუმროების, გლეხთა სახლების და სხვა
სიების საფუძველზე

სააღწერო განყოფილებების, საინსტრუქტორო და სააღრიცხ-
ვო უბნების დაწესების საფუძვლად ქალაქებში მიჩნეულია დატ-
ვირთვის საშუალო ნორმა სააღწერო განყოფილებისა და
და საინსტრუქტორო და სააღრიცხვო უბნისათვის.

სააღრიცხვო უბანში ქალაქად შედის ცალკეული სახლთ-
მფლობელობანი ერთი კვარტალის ფარგლებში ან ერთი კვარ-
ტალის სახლმფლობელობა, მეზობელი კვარტალის ნაწილთან ერ-
თად, ანდა რამდენიმე კვარტალის სახლთმფლობელობა.

საინსტრუქტორო უბანში შედის ერთი ან რამდენიმე
მოსაზღვრე კვარტალი, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 4000
მცხოვრებისა.

სააღწერო განყოფილება ეწყობა ყველა ქალაქში,
სადაც მოსახლეობის რიცხვი არის არა ნაკლებ 10.000-ისა. ქალა-
ქად, სადაც 10.000-დან 30.000-მდე მცხოვრებია, ერთი სააღწე-
რო განყოფილება არსდება. 30.000 მცხოვრებზე მეტი მოსახლეო-
ბის შემცველ ქალაქში არსდება ორი ან მეტი სააღწერო განყო-
ფილება მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად.

მსხვილი ქალაქების დაყოფა სააღწერო განყოფილებებად შემ-
დეგი პრინციპების საფუძველზე ხდება: ა) სააღწერო განყოფილე-
ბებში არ შეიძლება შედიოდეს ქალაქის რამდენიმე ადმინისტრაცი-
ული რაიონის ნაწილები; ბ) კვარტალი არ შეიძლება დანაწეე-
დეს რამდენიმე სააღწერო განყოფილებას შორის.

სოფლად სააღწერო დარაიონება წარმოებს დასახლებულ ად-
გილთა სიების, რაიონის რუკების, სასოფლო საბჭოების სქემატუ-
რი რუკების და მოძრავი მოსახლეობის შეგროვების პუნქტთა
სიების საფუძველზე. რაიონი, რომლის მოსახლეობა 15.000 მცხოვ-
რებს არ აღემატება, ერთ სააღწერო განყოფილებას შეადგენს.
სააღწერო განყოფილება სოფლად, მეტწილ შემთხვევებში, თან-
ხვდება საუბნო ინსპექტორის უბანს.

დახურული ტიპის დაწესებულებანი (საავადმყოფო-
ები, სანატორიუმები, საბავშვო სახლები და სხვ.), დამოუკიდებ-

ლად მოსახლეობის რაოდენობისა, დამოუკიდებელ სააღრიცხვო უბნებს შეადგენენ. აქ აღწერა ერთი დღის (აღწერისათვის დანიშნული დღის) განმავლობაში ტარდება. ასევეა: სასტუმროებში, ღამისსათვე სახლებში და სხვ., სადგურებსა, ნავსადგურებსა და ავიოპორტებში.

მომუშავე პერსონალი

აღწერაზე მომუშავე პერსონალს რაიონსა და ქალაქში შეადგენენ:

ა) სტატისტიკური სამმართველოს სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორი, პასუხისმგებელი აღწერის მომზადებისა და გატარებისათვის რაიონში (ქალაქში);

ბ) სტატისტიკური სამმართველოს სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორის თანაშემწე;

გ) სააღწერო განყოფილების გამგე (ჩვეულებრივ—სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორი);

დ) სააღწერო განყოფილების გამგის თანაშემწე;

ე) ინსპექტორ-კონტროლიორი;

ვ) აღმრიცხველი.

აღწერის ჩატარებაში მონაწილე პირთა შერჩევა და დამტკიცება ხდება პერსონალურად. აღმრიცხველებს და ინსტრუქტორებს ამტკიცებს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი ან ქალაქის საბჭო სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების წარდგენით. სტატისტიკური სამმართველოს საქალაქო და სარაიონო ინსპექტორების თანაშემწეებს და სააღწერო განყოფილების გამგეებს კი პერსონალურად ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობა ანდა საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკური ან საოლქო (სამხარეო) სტატისტიკური სამმართველოს წარდგენით. სააღწერო განყოფილებათა გამგის თანაშემწეებს ნიშნავს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი ან ქალაქის საბჭო.

სააღწერო კადრების (აღმრიცხველების და ინსტრუქტორ-კონტროლიორების) მოთხოვნის გაანგარიშება შემდეგნაირად ხდება:

ა) აღმრიცხველთა კონტიგენტი გამოირკვევა სააღრიცხვო უბნების რაოდენობის მიხედვით (ძირითადი კონტინგენტი). ამათ ემატება აღმრიცხველები აღწერის ჩასატარებლად სასტუმროებსა, მატარებლებსა, რკინიგზის სადგურსა და სხვ., აგრეთვე სათანრიგო აღმრიცხველნი (ძირითადი კონტინგენტის დაახლოებით 30 %);

ბ) ინსტრუქტორ-კონტროლიორთა რიცხვი განისაზღვრება საინსტრუქტორო უბნების რაოდენობის მიხედვით (ძირითადი კონტინგენტი); ამათ ემატება სასტუმროებსა, მატარებლებსა და სხვ. აღსაწერად საჭირო ინსტრუქტორები და სათადარიგო ინსტრუქტორები.

ინსტრუქტაჟი

ინსტრუქტაჟს სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორებისა, მათი თანაშემწეებისა და საალწერო განყოფილების გამგეებისათვის ატარებს სტატისტიკური სამმართველო. საალწერო განყოფილებათა გამგეების თანაშემწეების და ინსტრუქტორ-კონტროლიორთათვის ინსტრუქტაჟს ატარებს სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორი, ხოლო აღმრიცხველთა ინსტრუქტაჟს—საალწერო განყოფილების გამგე.

ინსტრუქტაჟს თანახლავს საალწერო ფორმულარების შევსება სასწავლო-პრაქტიკული მიზნით და შეთვისებული ცოდნის შემოწმება: აღწერაში მონაწილეობისათვის მხოლოდ ის დაიშვება, ვინც სრულად და სწორად შეითვისა აღწერის მიზანი, ამოცანები და მისი ჩატარების წესი.

ახსნა-განმარტებითი მუშაობა

მასობრივი ახსნაგანმარტებითი მუშაობა მოიცავს ღონისძიებებს იმისათვის, რათა მოსახლეობას განემარტოს აღწერის ამოცანები, მისი ჩატარების წესები და ის ვალდებულებანი, რაც ყოველ მოქალაქეს ეკისრება აღწერის ჩატარებისას. მოსახლეობის 1939 წლის აღწერის ჩატარებისას ამ მიზნით გამოყენებულ იქნა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა პარტიული, საბჭოთა, პროფესიული, კომკავშირული ორგანიზაციების და ნებაყოფლობით საზოგადოებათა ხაზით; აგრეთვე პრესა, რადიო, მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სხვ. აღწერის ჩატარებას დიდად ეხმარებოდნენ აგრეთვე აღწერის ხელშემწყობი კომისიები.

აღწერის მასალების დამუშავება

აღწერის ჩატარების შემდეგ იწყება მეორე, არა ნაკლებ საპასუხისმგებლო საფეხური საალწერო მუშაობისა: აღწერის მასალების დამუშავება.

პირველესად აღწერის შემდეგ მიღებული მასალა—შევსებული საალწერო ფორმულარები—გულდასმით კონტროლს უნდა დაექვემდებაროს მისი გარეგნული და შინაარსობრივი სისრულისა და სისწორის დასადგენად.

შემდეგ ეს მასალა მექანიზებული წესით დამუშავდება სამანქანო-საალრიცხვო ფაბრიკებში. ასეთ დამუშავებამდე კი მასალა

მოითხოვს დაშიფრვას, ე. ი. სააღწერო ფურცლის ყველა კითხვაზე გაცემული პასუხების აღნიშვნას პირობითი ნიშნებითა და ციფრებით.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მასალის დაშიფრვა წარმოებდა 1939 წლის აპრილიდან აგვისტომდე, სსრ კავშირის 62 რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრში, ხოლო დეტალური დამუშავება (მექანიზებული წესით) 1940 წლის 1 ივნისამდე.

აღწერის შედეგთა დამუშავება რამდენიმე სტადიას შეიცავდა და შემდეგი თანმიმდევრობით წარმოებდა:

ა) ჯერ მიღებულ იქნა მონაცემები მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შედგენილობის, წერა-კითხვის ცოდნის, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა და მოსწავლეთა შესახებ;

ბ) შემდეგ: მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა, განაწილება საზოგადოებრივი ჯგუფისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით; მოსაქმეობის მქონე პირნი და კმაყოფაზე მყოფნი; ქორწინებაში მყოფნი; ოჯახების განაწილება წევრთა რიცხვის მიხედვით; უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობა;

ამ ნიშანთა მიხედვით მასალა დამუშავდა ცალკეული რაიონისა, ქალაქისა და სოფლის დასახლებული პუნქტებისათვის (სადაც 5000 და მეტი მცხოვრებია);

გ) მოსახლეობის განაწილება მოსაქმეობის, წარმოების სახეებისა და შრომის დარგების მიხედვით;

დ) მოსახლეობის განაწილება დედაენის მიხედვით;

ე) მოსახლეობის განაწილება მოსაქმეობისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ასაკთან და განათლებასთან დაკავშირებით და სხვ..

შედეგთა პუბლიკაცია

აღწერის შედეგთა პუბლიკაცია შეიძლება დაემყაროს მასალების განლაგებისას თემატიკურ ან ტერიტორიულ ნიშანს. პირველ შემთხვევაში მონაცემები განლაგდება არსებითი ნიშნების მიხედვით და ამ ნიშნების ფარგლებში, თავის მხრით, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. მეორე შემთხვევაში მასალის განლაგება ხდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

1926 წლის აღწერის შედეგები, გამოცემული 56 ვრცელ ტომად 1928—1930 წლებში, შეიცავს ძირითადი ნიშნების მიხედვით განლაგებულ მონაცემებს, (განყოფილება) დანაწევრებულს ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (ტომებად). ასე, მაგ., პირველი განყოფილება მოიცავს ნიშნებს: ეროვნება, დედაენა, ასაკი, წერაკითხვის ცოდნა. ამ განყოფილებაში სულ 17 ტომი შედის, საიდანაც

მე-14 ტომი მოიცავს ამიერკავკასიის და, მაშასადამე, მონაცემებს საქართველოს სსრ-ის შესახებაც. მეორე განყოფილება მოიცავს ნიშანს: მოსაქმეობა და ასევე ნაწილდება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით და ა. შ.

3. მოსახლეობის აღწერები რევოლუციამდელ რუსეთში

მოსახლეობის აღრიცხვა ძველ რუსეთში

მოსახლეობის აღრიცხვა ფისკალურ-პოლიტიკური მიზნებით ძველ რუსეთში ფართოდ წარმოებდა. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებენ ძველ-რუსული წერილობითი ისტორიული ძეგლები, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ აღირიცხებოდა მოსახლეობა გადასახადების გაწერისა და აკრების მიზნით.

ამავე მიზნებით მოსახლეობის აღრიცხვა წარმოებდა კიევისა და ნოვგოროდის სამთავროებში.

მაგრამ მე-13—16 საუკუნეებში, რეალურ გადასახადთა სისტემის შემოღების გამო, საგადასახადო დაბეგვრის ერთეულად ნაცვლად კომლისა აღებულ იქნა მიწის ნაკვეთი, რის გამო ცნობები მოსახლეობის შესახებ ნაკლებ მოიპოვებოდა.

უფრო გვიან მოხდა რეალური საგადასახადო სისტემიდან ისევე პირად გადასახადებზე გადასვლა და ამან ხელი შეუწყო მე-17 საუკუნიდან ცნობების მოპოვებას მოსახლეობის შესახებ.

საკომლო აღწერები

მოსახლეობის აღრიცხვა ამ დროს საკომლო აღწერების ხასიათს ატარებდა. ასეთი საკომლო აღწერები ჩატარდა მოსკოვის სახელმწიფოში 1646, 1678 და 1710 წლებში. საკომლო აღწერის შედეგები „სააღწერო დავთრებში“ შეიტანებოდა.

სახელმწიფო ფინანსების რეფორმის საჭიროებამ აიძულა პეტრე პირველი საკომლო აღწერების ნაცვლად შემოეღო სულადობრივი აღწერა და საკომლო გადასახადების ნაცვლად სულადობრივი გადასახადები დაეწესებია.

„რევიზიები“

ამ მიზნით პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანებულება (1718 წ. 26 ნოემბერს), რომლის თანახმად შედგენილ იქნა მოსახლეობის სიები („сказки“), რომელიც შემდეგ „რევიზიებს“ დაექვემდებარა. აქედან წარმოსდგა სახელწოდება „რ ე ვ ი ზ ი ა“, რომლითაც აღინიშნებოდა მოსახლეობის აღრიცხვა რუსეთში მეთვრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე.

სულ ათი რევიზია ჩატარდა, რომელთა შორის დროის სხვადასხვა შუალედი მდებარეობდა. ყველა რევიზიას ძირითადად ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდა, როგორც პროგრამისა, ისე მეთოდებისა და ორგანიზაციის მხრით.

რევიზიები თავდაპირველად მოიცავდა მხოლოდ იმ მოსახლეობას, რომელიც გადასახადვალდებული იყო. მესამე რევიზია (1762 წ.) გავრცელდა აგრეთვე მდედრობითი სქესის მოსახლეობაზე, ხოლო მეშვიდე და შემდგომი რევიზიები (1815, 1833, 1850 და 1856 წ.) გავრცელდა მთელ მოსახლეობაზე.

მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები

რევიზიების წარმოებისას მოსახლეობა სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: პირველში შედიოდა ის მოსახლეობა, რომელზეც შემდეგ სახელმწიფო გადასახადები უნდა გაწერილიყო; მეორე ჯგუფში შედიოდა ის მოსახლეობა, რომელიც თუმცა დასაბეგრი არ იყო, მაგრამ შეიძლებოდა სახელმწიფოს ასეთად გაეხადა. ანდა მოსახლეობა, რომელიც განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ დასაბეგრი მოსახლეობის კატეგორიაში უნდა გადასულიყო; დასასრულ, მესამე ჯგუფში შედიოდა მოსახლეობა, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო გადასახადებისაგან.

რევიზიები არ იძლეოდნენ სრულ და სანდო ცნობებს მოსახლეობის შესახებ: ჯერ ერთი, რევიზიები არ მოიცავდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ასე, მაგ., 1811 წ. რევიზია არ მოიცავდა საქართველოს მოსახლეობას (აგრეთვე—ბელოსტოკის და ტარნოპოლის ოლქების მოსახლეობას). 1833 წ. რევიზია არ მოიცავდა საქართველოს, სომხეთის და ამიერკავკასიის სხვა ნაწილების მოსახლეობას.

ფისკალური დანიშნულების გამო რევიზიების პროგრამა ფრიად მცირე ნიშნებს მოიცავდა და ამ ნიშანთა მიხედვითაც რეგისტრაცია სწორი და სრული არ იყო. განსაკუთრებით არასწორი იყო ცნობები მდედრობითი სქესის მოსახლეობის შესახებ.

ამრიგად, რევიზიების პროგრამა და ორგანიზაცია ვერ უზრუნველჰყოფდა სწორი ცნობის მოპოვებას მოსახლეობის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს რევიზიები მაინც უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ რუსეთის მოსახლეობის შესასწავლად მე-18— 19 საუკუნეებში, ხოლო პროგრამისა და მეთოდოლოგიის მხრით ისინი დასავლეთ ევროპის იმდროინდელი მოსახლეობის სტატისტიკურ-სააღრიცხვო მონაცემებზე მაღლა იდგა.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში რუსეთში დაისვა საკითხი მოსახლეობის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ა ღ წ ე რ ი ს ჩატარების შესახებ

მეცნიერულ საფუძვლებზე. საამისო პროექტი შეადგინა ცნობილმა პ. პ. სემიონოვ ტიან შანსკიმ. ეს პროექტი ხანგრძლივი მსჯელობისა და განხილვის საგანი გახდა და პრაქტიკულად მისი განხორციელება მოხერხდა მხოლოდ 1897 წელს.

1897 წლის საყოველთაო აღწერა

მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა რუსეთში ჩატარდა 1897 წლის 28 იანვარს (9 თებერვალს). აღწერის ორგანიზაცია ეკუთვნოდა მეფისდროინდელი რუსეთის ბიუროკრატიულ აპარატს, საზოგადოებრიობის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

აღწერის პროგრამა შემდეგ 14 კითხვას შეიცავდა: 1. სახელი და გვარი (აქვე ფიზიკური და ფსიქიური ნაკლიც); 2. სქესი; 3. ასაკი; 4. დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი ან მეურნეობის მეთაურისადმი; 5. ოჯახური მდგომარეობა; 6. წოდება; 7. დაბადების ადგილი; 8. მიწერის ადგილი; 9. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი; 10. აღნიშვნა წასვლის ან დროებით ყოფნის შესახებ; 11. სარწმუნოება; 12. დედაენა; 13. წერაკითხვის ცოდნა და დამთავრებული განათლება; 14. პროფესია.

მოსახლეობა ამ აღწერას მოუმზადებელი შეხვდა: აღწერის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მას, მეტწილად, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა და ამიტომ უნდობლობით იყო მის მიმართ გამსჭვალული. ამის გამო აღწერის შედეგად ვერ იქნა მიღებული დამაკმაყოფილებელი მასალა.

აღწერით მიღებული მასალის თავმოყრა და დამუშავება 7—8 წელს გაგრძელდა, ხოლო მასალის კომბინირებული დამუშავება იმდენად დაგვიანდა, რომ საააღწერო მასალას თანდათან მნიშვნელობა დაეკარგა.

1897 წ. აღწერის შედეგების გამოყენება ვ. ლენინის მიერ

მიუხედავად ამისა, 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები ერთადერთ შედარებით სრულ წყაროს წარმოადგენს მე 19 საუკუნის დასლევის რუსეთის მოსახლეობის შესწავლისათვის. ამ აღწერის მასალები, როგორც იმ დროისათვის ყველაზე უფრო სრული, გამოიყენა ვ. ლენინმა რუსეთის მოსახლეობის კლასობრივი შედგენილობის ანალიზისათვის მაგრამ ვინაიდან აღწერის მასალები სწორ წარმოდგენას არ იძლეოდნენ მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად, დამუშავების არასწორი მეთოდოლოგიის გამო, ამიტომ მან ეს მასალები წინასწარ გადაამუშავა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენა ანალიზისათვის და დაასკვნა:

„...რუსეთში საქონლის მიმოქცევა და, მაშასადამე, სასაქონლო წარმოება საესებით განმტკიცებულია. რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა...“ მაგრამ „...თავისი ეკონომიური განვითარების მხრივ რუსეთი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით“ (თხზულებანი, ტ. 3, 1948, გვ. 594—595).

ზ. მოსახლეობის აღწერები სსრ კავშირში

მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერა ჩატარდა 1920 წლის 28 აგვისტოს. მოსახლეობის ეს აღწერა კომბინირებული იყო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო (მოკლეპროგრამიან) აღწერებთან. აღწერა ჩატარდა სამოქალაქო ომის პირობებში და არ შეხებია ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ ინტერვენტებს, თეთრგვარდიელებს და სხვ. დროებით დაკავებული ჰქონდათ. ასე, აღწერა არ ჩატარებულა: უკრაინის მნიშვნელოვან ნაწილში, შუა აზიის და შორეული აღმოსავლეთის ნაწილში, ყირიმსა და ამიერ-კავკასიაში, ჩრდილოეთის ზოგ რაიონში, ციმბირის ტერიტორიის ნაწილში და სხვ. ამიტომ აღწერით მოცულ იქნა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 72%.

საბჭოთა ქვეყანა ამ დროს მრავალმხრივ სიძნელეს განიცდიდა სურსათის, სათბობის, ტრანსპორტის და სხვ. დარგებში. მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად საწარმოო ძალები დაცემული იყო. აღწერის საშუალებით მიღებული უნდა ყოფილიყო მონაცემები სამეურნეო ცხოვრების სწორი ორგანიზაციისათვის.

ვ. ლენინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა 1920 წლის აღწერის ჩატარებას, მის შეუფერხებელ ორგანიზაციას. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა სააღწერო მასალების დამუშავებისა და გამოქვეყნების საკითხებს.

1920 წ. აღწერის პროგრამა

1920 წლის აღწერა ეხებოდა სახეზე მყოფ მოსახლეობის კატეგორიას. 1897 წლის აღწერის პროგრამასთან შედარებით მისი პროგრამა გაცილებით უფრო ვრცელი იყო. ეს პროგრამა შემდეგ კითხვებს შეიცავდა: 1. გვარი, სახელი და მამის სახელი, 2. სქესი, 3. ასაკი, 4. ეროვნება და დედაენა, 5. ქვეშევრდომობა, 6. დაბადების ადგილი. 7. მუდმივად ცხოვრების ხანგრძლიობა, 8. ოჯახური მდგომარეობა, 9. წერაკითხვის ცოდნა, 10. განათლების ცენზი, 11. ომებში მონაწილეობა, 12. მოსაქმეობა სოფლის მეურნეობაში, 13. სხვა მოსაქმეობა, რომელიც საარსებო საშუალებას იძლევა, 14. პროფესია, რომელსაც სპეციალობად თვლის,

15. ვის ან რის ხარჯზე ცხოვრობს (თუ არ მოსაქმეობს), 16. შრომისუნარიანობა, 17. ფიზიკური ნაკლი, 18. ფსიქიური ნაკლი.

1920 წლის აღწერა მოსახლეობისა განსაკუთრებით ვრცლად არკვევდა კითხვებს მოსახლეობის მოსაქმეობის შესახებ (კითხვები: 12, 13, 14, 15, 16). ამიტომ ეს აღწერა დემოგრაფიულ-პროფესიული აღწერის ხასიათს ატარებდა, რასაც უკავშირდებოდა სასოფლო სამეურნეო საწარმოთა მოკლე აღრიცხვასთან ერთად. დემოგრაფიულ-პროფესიული აღწერა მოიცავდა მთელ მოსახლეობას როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

აღწერის კრიტიკულ მომენტად დაწესებული იყო 1920 წლის 28 აგვისტოს დილის 9 საათი. აღწერის ჩატარების ვადები იყო: ქალაქად — 7 დღე, სოფლად — 14 დღე.

აღწერა წარმოებდა მოსახლეობის დაკითხვის გზით, რასაც რეგისტრატორები აწარმოებდნენ (ექსპედიციური ხერხით) მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღწერის ჩატარება დავალებული ჰქონდა რუსეთის სფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ხოლო ადგილებზე აღწერას ხელმძღვანელობდნენ საგუბერნიო სტატისტიკური ბიუროები.

აღწერის შედეგები

მიუხედავად მრავალგვარი სიძნელისა, მოსახლეობის 1920 წლის აღწერა მაინც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ამავე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უკვე დაიწყო აღწერის პირველი შედეგების მიღება, ხოლო 1920 წლის 5 ნოემბრისათვის შესაძლებელი გახდა გამოქვეყნებულიყო აღწერის არა სრული შედეგები. მოსახლეობის 1920 წლის აღწერით საკმაოდ მდიდარი მასალა იქნა მოპოვებული იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენი სამუშაოების დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის.

1920 წლის აღწერის შედეგების დამუშავება 1924 წლამდე გაგრძელდა. ეს შედეგები, როგორც აღნიშნული იყო. არ იყო სრული და, ამას გარდა, იგი მალე მოძველდა, რის გამო დაისვა საკითხი ხელახალი აღწერის ჩატარების შესახებ.

ქალაქის მოსახლეობის 1923 წლის სრულიად საკავშირო აღწერა

1923 წლის 15 მარტს ჩატარდა სრულიად-საკავშირო აღწერა ქალაქის მოსახლეობისა. აღწერა ეხებოდა: 1) ქალაქებს და საქალაქო და სადაბო საბჭოების მქონე დასახლებულ ადგილებს, აგრეთვე დაბებს, სადაც 1920 წლის აღწერით ცხოვრობდა

არა ნაკლებ 500 მცხოვრებისა; 2) ფაბრიკა-ქარხნებსა, რკინიგზის სადგურებსა და სამდინარო ნავსადგურებთან არსებულ დასახელებულ ადგილებს, სადაც 1920 წლის აღწერით ითვლებოდა არა ნაკლებ 500 მცხოვრებისა; 3) სააგარაკო ადგილებსა და კურორტებს იმავე ცენზით; 4) დასახლებულ ადგილებს, რომელთა მცხოვრებნი უპირატესად ვაჭრობა-მრეწველობას ეწეოდნენ და 1920 წლის აღწერით შეიცავდნენ არა ნაკლებ 2000 მცხოვრებისა.

ზემოაღნიშნულ პუნქტებში აღწერა ვრცელდებოდა როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ისე გარეუბნებზე, რომლებიც ოფიციალურად თუნდაც ქალაქის ტერიტორიას არ იყვნენ მიკუთვნებულნი, მაგრამ ეკონომიურად ქალაქთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი.

აღწერის ინსტრუმენტარი სამ ფორმულარს შეიცავდა: ა) პირად ბარათს, ბ) საოჯახო ბარათს და გ) საბინაო ბარათს.

პირადი ბარათი არსებითად იმავე კითხვებს შეიცავდა, რასაც 1920 წლის აღწერა, მაგრამ — უფრო შეკვეცილი სახით.

აღწერა ეხებოდა მხოლოდ სახეზე მყოფ მოსახლეობას. აღწერას აწარმოებდნენ დაკითხვის გზით რეგისტრატორები. აღწერის ჩატარების ვადა იყო 7 დღე.

მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა

მოსახლეობის პირველი სრულიად-საკავშირო აღწერა ჩატარდა 1926 წლის 17 დეკემბერს. აღწერა ძირითადად ეხებოდა სახეზე მყოფ მოსახლეობას. ქალაქ ადგილებში იგი შესაძლებლობას იძლეოდა აღრიცხულიყო მუდმივი მოსახლეობაც. ქალაქ ადგილებში აღიწერებოდა: 1. მოსახლეობა პირადობის ბარათის საშუალებით, 2. ოჯახი და ერთეული მცხოვრებნი საოჯახო ბარათის საშუალებით და 3. მფლობელობა სახლკარის ბარათის საშუალებით. სოფელ. ადგილებში აღწერა წარმოებდა მხოლოდ პირადობის ბარათით და მეკომურთა სიით (კონტროლის მიზნით).

1926 წ. აღწერის პროგრამა

პირადობის ბარათი შეიცავდა შემდეგ 15 კითხვას: 1. გვარი, სახელი, მამის სახელი, 2. სქესი, 3. ასაკი, 4. ეროვნება, 5. დედაენა, 6. დაბადების ადგილი, 7. რამდენი ხანია რაც მუდმივად ცხოვრობს აღწერის ადგილას, 8. ოჯახური მდგომარეობა, 9. წერა-კითხვის ცოდნა, 10. ფიზიკური ნაკლი, 11. ფსიქიკური ნაკლი, 12. მოსაქმეობა, მდგომარეობა მოსაქმეობაში და შრომის დარგში, 13. უმუშევართათვის: რამდენი ხანია რაც უმუშევარია, წინანდელი მოსაქმეობა, რა ადგილი უჭირავს ამ მოსაქმეობაში,

14. არამოსაქმისათვის: არსებობის წყარო, 15. არამოსაქმისა და სხვის ხარჯზე მცხოვრებისათვის — იმ პირის მოსაქმეობა, რომელიც მას არჩენს, და ამ პირის ადგილი მოსაქმეობაში.

ს ა ო ჯ ა ხ ო ბ ა რ ა თ ი ეხებოდა ოჯახის ყველა წევრს, რომელიც მის მუდმივ შემადგენლობას ეკუთვნოდა. საოჯახო ბარათის კითხვები ეხებოდა ოჯახის უფროსს, საბინაო პირობებს (ოჯახის განკარგულებაში არსებული ბინის ფართობი, მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ფართობზე, საბინაო ქირის სიდიდე და სხვ.), ოჯახის შინაგან წყობას (რამდენი ცოლქმარია ოჯახში, რა ასაკისაა ოჯახი, როგორია ოჯახის შემადგენლობა) და სხვ.

მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა თ ა აღწერა მიზნად ისახავდა ქალაქების მიწის საბინაო და კეთილმოწყობის საკითხების შესწავლას და არკვევდა კითხვებს მიწის ფართობის, მისი გამოყენების, კეთილმოწყობის და სხვ. შესახებ, აგრეთვე — შენობების, საცხოვრებელი სადგურების და არასაცხოვრებელი სადგომების შესახებ.

1926 წ. აღწერის შედეგები

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის შედეგად მივიღეთ სურათი, გამომსახველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების შემდეგ ახლად აღდგენილი ქვეყნისა, რომელსაც ჯერ კიდევ აგრარული ხასიათი ჰქონდა. უმუშევრობა ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული; ინდუსტრია ემყარებოდა ძველ, ჩამორჩენილ ტექნიკას და სუსტად იყო განვითარებული. მზადდებოდა წვრილი დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ხოლო არსებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ მცირე ხვედრითი წონა ჰქონდათ.

აღწერის შედეგების თანახმად, სსრ კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვი შეადგენდა 147 მილიონს, საიდანაც მარტოოდენ 25,3 მილიონი ანუ 17,2% იყო ქალაქის მოსახლეობა. მოსახლეობის მხოლოდ 39% იყო წერა კითხვის მცოდნე. განსაკუთრებით დიდი იყო ამ მხრით მდედრობითი სქესის მოსახლეობის ჩამორჩენილობა. მოსახლეობის პროფესიული შედგენილობა ნათლად გამოსახავდა ინდუსტრიის სუსტ განვითარებას. „მეპატრონეთა“ მიერ დაქირავებული მუშების რიცხვი 2.400 ათასს შეადგენდა.

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული მშენებლობისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენისა და წარმატებით შესრულების საქმისათვის.

ათი წლის შემდეგ, 1937 წ ლ ი ს 6 ი ა ნ ვ ა რ ს, ჩატარდა მოსახლეობის მეორე სრულიად საკავშირო აღწერა. მაგრამ სახალხო-

სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოში მოკალათებულმა შენიღბულმა ხალხის მტრებმა, როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, აღწერა ჩაატარა სტატისტიკური მეცნიერების ელემენტარული პრინციპების უხეში დარღვევით: მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია, არასწორ განმარტებათა გამო, დამახინჯებულ იქნა; დასახლებულ პუნქტებს გარეშე და, ნაწილობრივ, გზაში მყოფი მოსახლეობა აღწერის გარეშე იქნა დატოვებული; სახეზე მყოფი მოსახლეობის ცნება მცდარად იქნა განმარტებული; მასალის დაშიფრვისას დამახინჯებულ იქნა მოსახლეობის კლასობრივი შედგენილობა მოცემული პირის არასწორად მიკუთვნების გამო ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისადმი; მოსახლეობის დანაწილება პროფესიების მიხედვით აგრეთვე არასწორად იქნა წარმოებული და სხვ.

ამის გამო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, 1937 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, ამ აღწერის ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო მისი შედეგები — დეფექტურად. 1938 წლის 26 ივლისის დადგენილებით ხელახალი აღწერა 1939 წლის 17 იანვრისათვის დაინიშნა.

1939 წ. აღწერის პროგრამის თავისებურება

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერა. მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამა, წინა აღწერების პროგრამებთან შედარებით, მთელ რიგ ცვლილებებს შეიცავდა: ა) სრულიად ამოღებულ იქნა აღწერის პროგრამიდან ისეთი კითხვები, რომელთაც მნიშვნელობა დაკარგეს საბჭოთა სინამდვილეში; მაგ., წოდება, სარწმუნოება, უმუშევრობა; ბ) პროგრამაში შეტანილ იქნა ისეთი ახალი კითხვები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცათ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის და სოციალური ჯგუფების დასახასიათებლად; გ) ვრცლად იქნა წარმოდგენილი კითხვები აღსაწერ პირთა აღწერის ადგილას ყოფნის ხასიათის გასარკვევად (1939 წლის აღწერის პროგრამის შესახებ ნ. ზევით).

.აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები

აღწერა ითვალისწინებდა მთელი ფაქტიური (აღწერის ადგილას მყოფი) მოსახლეობის აღწერას და, გარდა ამისა, დროებით მცხოვრებთა და დროებით წასულთა აღრიცხვას.

ფაქტიური მოსახლეობის გარკვევის საფუძვლად აიღებოდა ფაქტი, რომ ესა თუ ის პირი 16—17 იანვრის ღამის 12 საათზე („კრიტიკულ მომენტში") იმყოფებოდა მოცემულ პუნქტში, ანდა

თუნდაც ამ პუნქტის გარეშე, მაგრამ წასული იყო ისეთ სამუშაოზე ანდა ისეთ ადგილას, სადაც მისი აღწერა ვერ მოხერხდებოდა.

აღწერის ორგანიზაცია საგანგებო ღონისძიებებს ითვალისწინებდა ორმაგი აღრიცხვის ან გამოტოვებათა თავიდან ასაცილებლად; ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა: ცნობა აღწერის გავლის შესახებ და საკონტროლო ბლანკი.

აღწერის დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორი აღმრიცხველთან ერთად (სოფლად აგრეთვე სასოფლო საბჭოს რწმუნებულთან ერთად) მთლიან საკონტროლო შემოვლას აწარმოებდა იმ მიზნით, რომ შეემოწმებია — ადგილი ხომ არ ჰქონდა გამოტოვებას ან ორმაგ ჩაწერას.

ცნობა აღწერის გავლის შესახებ, საკონტროლო ბლანკი და მთლიანი საკონტროლო შემოვლა ისეთი ღონისძიებები იყო, რომლებიც უზრუნველჰყობდნენ რეგისტრაციის სისწორეს და სისრულეს. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიებები წარმოადგენდა მოსახლეობის 1939 წლის აღწერის ორგანიზაციის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელთა მსგავსს წინა აღწერების ორგანიზაციაში ვერ ვპოულობთ.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერა ჩატარდა იმ დროს, როდესაც წარმოების სოციალისტური წესი წარმოადგენდა განუყოფლად გაბატონებულ სისტემას საბჭოთა კავშირის მრეწველობაში. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ გვქონდა მსოფლიოში ყველაზე მექანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სახით. სახალხო მეურნეობაში მომხდარი ცვლილების შედეგად ჩვენ გვქონდა „...ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის“ (ი სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, 1936, გვ. 13, 14).

მეორე ხუთწლედის ძირითადი და გადამწყვეტი სამეურნეო ამოცანა — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება — ამ დროისათვის ძირითადად გადაწყვეტილი იყო.

შეცვლილი იყო საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ლიკვიდირებული იყო ყველა ექსპლუატატორული კლასი, მოისპო: „მიზეზები, რომელნიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და საზოგადოების დაყოფას ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულად...“ სსრ კავშირის სოციალის

ტური საზოგადოება შედგებოდა" ორი ერთმანეთისადმი მეგობრული კლასისაგან — მუშებისა და გლეხობისაგან, რომელთა შორის აგრეთვე ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის, მიჯნები იშლება, თანდათან ჰქრება" (ი. სტალინი, იქვე, გვ. 3,4).

დიდი ცვლილებები მოხდა ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფეროშიც. „ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჰქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში" (ი. სტალინი, იქვე, გვ. 22).

უველა ამ ცვლილებამ გამოსახულება ჰპოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელმაც „ვანამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის ხანაში" (საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1938, გვ. 421).

მოსახლეობის 1939 წლის აღწერა ორგანიზებულად და სწორად ჩატარდა. მთავრობის საგანგებო დადგენილებით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურმა სამმართველომ აღწერა ჩაატარა სწორად, მთავრობის მითითებებისა და სტატისტიკური მეცნიერების მოთხოვნების შესაბამისად.

1939 წ. აღწერის შედეგები

1939 წლის აღწერის შედეგებმა თვალსაჩინოდ გამოავლინეს ის ცვლილებანი, რაც განვლილი ხუთწლედების განმავლობაში განიცადა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ და მოსახლეობის კულტურულმა დონემ. სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხვი აღწერის დღისათვის შეადგენდა 170,5 მილ.-ს. მოსახლეობის მატება 12 წლის განმავლობაში (1926 წლიდან) შეადგენდა 23,5 მილ.-ს, ანუ 15,9%-ს. ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში მოსახლეობის მატება 45—46%—მდე აღწევდა. კიდევ მეტი იყო ზრდა ცალკეულ რაიონებში, მაგ., ურალზე, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში.

სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ შეცვალა შეფარდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის: ნაცვლად 1926 წლის 17,9%-სა და 82, 1%-სა ეს შეფარდება 1939 წელს გამოისახებოდა

რიცხვებით—32,8% და 67,2%. 1926 წელთან შედარებით ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 212,5 %-ს, ხოლო სოფლისა 94,9%-ს.

დიდად გაიზარდა მოსახლეობის კულტურული დონე: წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობა შეადგენდა 9 და მეტი წლის ასაკის მოსახლეობის 81,2%-ს (ნაცვლად 1926 წლის 51,1% ისა). მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 77,7 საშუალო განათლების მქონე და 6,4 უმაღლესი განათლების მქონე.

შეიცვალა საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთშეფარდება და ხვედრითი წილი (ოჯახების ჩათვლით): ქალაქის და სოფლის მუშა შეადგენდა მოსახლეობის 32,19%-ს, ქალაქისა და სოფლის მოსამსახურე—17,54%-ს, კოლმეურნე 44,61%-ს, დანარჩენი—5,66%-ს.

კერძოდ საქართველოს მოსახლეობა 1939 წლის აღწერის მიხედვით შეადგენდა 3,54 მილიონს, საიდანაც ქალაქის მოსახლეობაზე მოდიოდა 1,07 მილ. ანუ 30,0%, ხოლო სოფლის მოსახლეობაზე — 2,47 მილ. ანუ 70,0%. მოსახლეობის მატება 1926 წელთან შედარებით უდრიდა 32,3%-ს. განსაკუთრებით ინტენსიური იყო საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ზრდა: 1926 წელთან შედარებით იგი შეადგენდა 79, 5%-ს. აღწერამ უჩვენა მოსახლეობის განათლების განსაკუთრებით მაღალი დონე. ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 113, 4 საშუალო განათლების მქონე და 11,2 უმაღლესი განათლების მქონე, — მაჩვენებლები, რომლებიც სსრ კავშირისა და ყველა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკის სათანადო მაჩვენებლებს აღემატებოდა.

§ 3. მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრაცია

ა არსი, ორგანიზაცია, მოთხოვნები, სახეები

მოსახლეობის მოძრაობის შესწავლისათვის სტატისტიკური ცნობაცემები მიიღება ან უშუალოდ, თვით ამ მოძრაობის ფაქტების რეგისტრაციის გზით, ანდა—არაპირდაპირ, როდესაც მოძრაობის შედეგები დადგენილი იქნება სხვა სტატისტიკურ მონაცემთა (მაგ., აღწერის შედეგთა) საფუძველზე.

არაპირდაპირ მონაცემთა გამოყენების დროს მოსახლეობის მოძრაობის ხასიათი და მიმართულება გამოირკვევა სტატისტიკური მასალების დეტალური (გეოგრაფიულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით) დამუშავებისა და დაპირისპირებათა გზით, რომლის დროს მთელ რიგ პირობათა დაცვაა საჭირო შესადარობის თვალსაზრისით.

მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკური მასალების უშუალოდ მოპოვება კი წარმოებს მიმდინარე რეგისტრაციის გზით, რომელიც სრულ და სანდო ცნობებს იძლევა ამ მოძრაობით გამოწვეულ ცვლილებათა შესახებ.

მიმდინარე რეგისტრაციის არსი

მიმდინარე რეგისტრაცია მოვლენათა ფიქსაციას აწარმოებს მათი წარმოშობისა და მიმდინარეობის პროცესში, რის გამო იგი განუწყვეტელ ხასიათს ატარებს. ასეთი განუწყვეტელი დაკვირვება დაკავშირებულია:

1. შესასწავლ მოვლენის ხასიათთან: მისი სრული და სწორი დაკვირვება იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ დაკვირვება თან ახლავს ან ახლო არის (დროისა და ადგილის მიხედვით) მოვლენის წარმოშობასა და მიმდინარეობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, — როდესაც დაკვირვება დიდად შორდება მოვლენის წარმოშობასა და მიმდინარეობას, — მან შესაძლებლია სრულიად ვერ მოიცვას ან საკმაოდ ვერ მოიცვას მოვლენა და მისი ნიშნები, რომლებიც იცვლებიან და დაკვირვებისათვის მისაწვდომი აღარ არიან;

2. დაკვირვების მიზანთან: მიღებული უნდა იქნეს შესასწავლი მოვლენის მოძრაობის, დინამიკის სურათი, წინააღმდეგ მოვლენის მდგომარეობის სურათისა, რასაც ერთდროული დაკვირვება (მაგ., მოსახლეობის აღწერა) გვაძლევს.

ძირითადი მოთხოვნები

მიმდინარე დაკვირვების სწორად ორგანიზებული სისტემა, — კერძოდ მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრაციის ორგანიზაციაც, — შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. მიმდინარე რეგისტრაციის ორგანოების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და თანაბარზომიერი ქსელის სახით უნდა იქნეს განაწილებული, რათა შესასწავლ მოვლენათა რეგისტრაცია მიუახლოვდეს მათი წარმოშობის ადგილსა და მომენტს;

2. მიმდინარე რეგისტრაცია სავალდებულო ხასიათს უნდა ატარებდეს და მისი სწორი წარმოებით თვით ის პირები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომელთაც იგი უშუალოდ ეხება;

3. მიმდინარე რეგისტრაციის პროგრამა შინარსობრივად მარტივი და თვით პროცესი რეგისტრაციისა უბრალო უნდა იყოს, რათა მოვლენის რეგისტრაციას არც პროგრამული და არც ორგანიზაციული სიძნელე არ აბრკოლებდეს;

4. მიმდინარე რეგისტრაციის პროგრამა და მისი წარმოების ხერხები ერთგვაროვანი უნდა იყოს შესასწავლი მოვ-

ლენის ყველა ერთეულთა რეგისტრაციისათვის, ხოლო დროის მიხედვით ეს პროგრამა ნაკლებ უნდა იცვლებოდეს, რათა მიღებულ მონაცემთა შესადარობა იქნეს დაცული;

5. მიმდინარე რეგისტრაცია დაკავშირებული უნდა იყოს სათანადო დოკუმენტის შედგენასთან: ეს უზრუნველყოფს რეგისტრაციის სისწორესა და სისრულეს.

მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრაციის უმნიშვნელოვანესი სახეებია: მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია და მოსახლეობის მიგრაციის რეგისტრაცია.

ბ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია მოიცავს დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინებისა და განქორწინების აქტების რეგისტრაციას.

რევოლუციამდელ რუსეთში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აქტების რეგისტრაციას ეკლესია აწარმოებდა. პირველად იგი შემოღებულ იქნა პეტრე პირველის მიერ 1702 წ ქ. მოსკოვის მართლმადიდებელი მოსახლეობისათვის, ხოლო 1722 წლიდან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე იქნა გავრცელებული.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აქტების რეგისტრაციას ეკლესია აწარმოებდა ე. წ. მეტრიკულ წიგნებში და იგი დაკავშირებული იყო რელიგიური წესების შესრულებასთან, ერთი მხრით, და ეკლესიის შემოსავლის აღრიცხვის საჭიროებასთან, მეორე მხრით.

მალე აღიარებულ იქნა საეკლესიო რეგისტრაციის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და იგი ერთგვარ რეგლამენტაციას დაექვემდებარა სახელმწიფოს მხრით. ასე, მაგ., 1806 წ. შემოღებულ იქნა მეტრიკული წიგნების ერთიანი ბეჭდური ფორმები; მართლმადიდებელი მოსახლეობის გარდა საეკლესიო რეგისტრაცია გავრცელდა დანარჩენ მოსახლეობაზეც: 1826 წლიდან — კათოლიკურ მოსახლეობაზე, 1828 წლიდან — მაჰმადიანებზე, 1832 წლიდან — ლუთერანებზე, 1835 წლიდან — ებრაელებზე, 1872 წლიდან — ამიერკავკასიის მაჰმადიანებზე და სხვ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აქტების რეგისტრაცია მეტრიკულ წიგნებში მრავალგვარ ნაკლს ატარებდა: არ არსებობდა რეგისტრაციის ერთიანი ფორმები და წესები მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის; თვით ამა თუ იმ აქტის რეგისტრაცია რელიგიური წესების შესრულებასთან იყო დაკავშირებული და არა

რელურ ფაქტან (მაგ., დაბადების რეგისტრაცია ფაქტიურად ნათლობის რეგისტრაციას წარმოადგენდა), რის გამო რეგისტრაციის გარეთ რჩებოდა რიგი აქტები (მაგ., მკვდრად დაბადების შემთხვევები, ნათლობამდე გარდაცვალების შემთხვევები); რეგისტრაცია ხშირად დიდად იყო დაშორებული თვით ფაქტის მომენტს, რაც აძნელებდა რიგ ნიშანთა სწორ აღრიცხვას; არ არსებობდა ორგანო, რომელიც ცენტრალიზებული წესით მოაწესრიგებდა რეგისტრაციის წარმოებას და სათანადო საბუთების შედგენა-გაცემა და სხვ.

მოწინავე რუსი სტატისტიკოსები კარგად ხედავდნენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საეკლესიო რეგისტრაციის ყველა ნაკლს და მოითხოვდნენ ამ საქმის რეფორმას; სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანიზაციის შექმნას. მაგრამ ასეთი რეფორმის გატარება თვითმპყრობელობის პირობებში შეუძლებელი იყო.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი შემოღებულიყო მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სამოქალაქო რეგისტრაცია: იგი დაწესდა 1918 წლის 2 თებერვლის დეკრეტის საფუძველზე.

ამჟამად მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აქტთა — დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების და განქორწინების — რეგისტრაციას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტთა დავთრებში აწარმოებენ: ქალაქებსა და რაიონების ცენტრებში — შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და სარაიონო ბიუროები (მმაჩ-ის ბიუროები), ხოლო სოფლად და დაბებში — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას, უპირველესად, იურიდიული მიზნები აქვს: სამოქალაქო მდგომარეობის ამა თუ იმ აქტისათვის უფლებრივი საფუძვლის შექმნა. მაგრამ ასეთი რეგისტრაციის შედეგები აგრეთვე პირველად სტატისტიკურ მასალასაც წარმოადგენს, რომელიც სათანადო დამუშავების შემდეგ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ სურათს იძლევა.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები დავთრებში ორ ცალად იწერება: ერთი ცალი რჩება დავთარში, რეგისტრაციის ადგილას ინახება და წარმოადგენს საფუძველს სათანადო ცნობებისა და მოწმობების გასაცემად; მეორე ცალი კი იგზავნება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური ცნობების დასამუშავებლად და მოქალაქეობრივი მდგომარეობის რესპუბლიკურ

და საოლქო არქივში შესანახად და საფუძვლად სათანადო ცნობის გაცემისათვის.

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დაბადების დღიდან მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის განცხადების თანახმად, ხოლო მათი ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში, ანდა თუ მათ რაიმე სხვა მიზეზით ამის შესაძლებლდბა არა აქვთ,—ნათესავებისა ან სხვა ისეთი პირების განცხადებით, რომელთა მზრუნველობაზე ბავშვი იმყოფება.

დაბადების ფაქტი უნდა **დ ა დ ა ს ტ უ რ დ ე ს**: ქალაქებში, დაბებში, რაიონის ცენტრებში და იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია — ექიმის მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში — სოფლის საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ან რწმუნებულის მიერ.

მიგდებული ბავშვი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მპოვნელის ან მილიციის ორგანოების განცხადებით არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა პოვნის დღიდან.

მ კ ვ დ ა რ ი ბ ა ვ შ ვ ი ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 24 საათისა დაბადებიდან. მკვდარ ბავშვად ითვლება ნაყოფი, დაბადებული არა უადრეს ექვსი თვისა ორსულობიდან (უფრო ადრინდელი დაბადებული რეგისტრაციას არ ექვემდებარება).

უკეთუ დაბადების შემდეგ ბავშვმა თუნდაც რამდენიმე წუთი იცოცხლა, მისი დაბადების ფაქტი და გარდაცვალების ფაქტი ცალ-ცალკე უნდა გატარდეს რეგისტრაციაში ჩვეულებრივი წესით.

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა შემდეგი **ნ ი შ ნ ე ბ ი ს** მიხედვით უნდა მოხდეს: დაბადების ადგილი და თარიღი, დაბადებულის სქესი, რამდენი დაიბადა (მრავალნაყოფიანობის შემთხვევაში), მერამდენე ბავშვია დედისა, ცოცხლად არის თუ მკვდრად დაბადებული; ორივე მშობლისათვის: ასაკი, ეროვნება, პროფესია, მუშაობის ადგილი. ამრიგად, დაბადების რეგისტრაციის დროს მეტი წილი ნიშნებისა ეხება არა ახალდაბადებულს, არამედ—მის მშობლებს.

გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა ეხება როგორც გარდაცვალების შემთხვევას, ისე სასამართლოს მიერ ვისიმე გარდაცვალებულად ცნობას.

გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა უნდა მოხდეს გარდაცვალებულის ნათესავების ან სათანადო სახლმართველობის განცხადებით არა უგვიანეს სამი დღისა სიკვდილის დღიდან.

გარდაცვალების ფაქტი **დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ უ ლ ი** უნდა იქნას: ქალაქებში, დაბებში, სარაიონო ცენტრებში და იმ სასოფლო

საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია, — დადგენილი სახის საექიმო მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში — სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ან რწმუნებულის მიერ.

ძალადობით სიკვდილი (მკვლელობა) და აგრეთვე თვითმკვლელობა ან სიკვდილი უბედური შემთხვევის გამო რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საგამომძიებლო ან მილიციის ორგანოების განცხადებით არა უგვიანეს 24 საათისა სიკვდილის ან გვამის აღმოჩენის მომენტიდან, თანახმად ექიმის მოწმობისა სიკვდილის მიზეზის შესახებ.

გარდაცვალების რეგისტრაციის დროს შემდეგი ნიშნები აღირიცხება (მისამართს გარდა): სქესი, ეროვნება, სიკვდილის თარიღი, ასაკი, პროფესია და მუშაობის ადგილი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, სიკვდილის მიზეზი, სიკვდილის დამოწმება ექიმის მიერ.

ქორწინების რეგისტრაცია ხდება საჯაროდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს სადგომში, გარდა ზოგი გამონაკლისი შემთხვევისა (როდესაც რეგისტრაცია ხდება გემზე — მგზავრობის დროს, არმიაში — ლაშქრობის დროს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას — უკეთუ ერთ-ერთი ან ორივე მექორწინე იქ არის მოთავსებული, აგრეთვე სახლში ავადმყოფობის დროს).

ქორწინების რეგისტრაცია აღინიშნება რეგისტრაციისთანავე მექორწინეთა პასპორტებში, ხოლო იმ ადგილას, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არის, — მხარეთა მიერ წარდგენილ დაბადების მოწმობებში. პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღინიშნება მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი და დრო.

ქორწინების რეგისტრაციის პროგრამა შემდეგ ნიშნებს მოიცავს (მისამართს გარდა): ქორწინებაში შემსვლელთა ეროვნება, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა ქორწინებამდე, ბავშვების რიცხვი (წინა ქორწინებიდან), მერამდენე ქორწინებაა, პროფესია და მუშაობის ადგილი.

ქორწინების რეგისტრაციას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები აწარმოებენ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

განქორწინება აღინიშნება განქორწინებულ პირთა პასპორტებში, ხოლო იმ ადგილას, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არ არის, მხარეთა მიერ წარდგენილ დაბადების მოწმობაში.

განქორწინების რეგისტრაციის პროგრამა ანალოგიურია ქორწინების რეგისტრაციის პროგრამისა და მოიცავს შემდეგ ნიშნებს: ასაკი, ეროვნება, მერამდენე ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ქორწინების თარიღი, თითოეულის კმაყოფაზე მყოფი ბავშვები და და მათი ასაკი, საკუთარი საარსებო წყარო, პროფესია, მუშაობის ადგილი.

8. მოსახლეობის მიგრაციის რეგისტრაცია

მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის მასალების მოპოვების ნხრით უნდა გავარჩიოთ საგარეო და საშინაო მიგრაცია.

საგარეო მიგრაციის სტატისტიკის მასალების მოპოვება წარმოებს იმ ორგანოებში, რომლებიც აწარმოებენ სათანადო ნებართვათა გაცემას სსრ კავშირში შემოსასვლელად და აქედან გასავლელად. ვინაიდან ასეთ ნებართვათა გაცემა რიგ ფორმალურ მომენტებთან არის დაკავშირებული, ამიტომ სათანადო ცნობების მოპოვება საგარეო მიგრაციის სტატისტიკისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

შედარებით უფრო რთულია შინაგანი მიგრაციის სტატისტიკური მასალების მოპოვება. ძირითად წყაროს ამ მიზნით წარმოადგენს: ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში — ნონაცემები, რომლებსაც იღებენ მილიციის ორგანოების სამისამართო ბიუროები მოქალაქეთა გაწერისა და ამოწერის შედეგად; დასახლებულ ადგილებში, სადაც ასეთი ბიურო არ არის, ორგანიზებულია სამისამართო მაგიდები ანდა სამისამართო ბიუროს ფუნქციებს ასრულებენ საპასპორტო მაგიდები; სოფლად — სოფლის საბჭოს მონაცემები მოსახლეობის წასვლისა და დროებით მცხოვრები მოსახლეობის შესახებ (ნ. ქვემოთ § 4).

შედარებით სრული და სწორი ცნობები მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური შესწავლისათვის მიიღება ქალაქ ადგილებში. აქ მოქალაქეთა მოსვლისა და წასვლის შემთხვევებში (გაწერისა და ამოწერის დროს) რეგისტრაციას ექვემდებარება მიგრირებული მოსახლეობა საგანგებო სამისამართო ბარათებზე, რომელთა თითო ცალი სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს გადაეცემა დასამუშავებლად.

სამისამართო ბარათების პროგრამა მოიცავს შემდეგ ნიშანთა რეგისტრაციას: სქესი, დაბადების ადგილი და დრო, ეროვნება, საიდან მოვიდა (სად წავიდა), რამდენი ხნით მოვიდა, მუშაობის ადგილი (თუ კმაყოფაზეა — იმ პირის მუშაობის ადგილი, ვის კმაყოფაზეც არის).

ვინაიდან სტატისტიკური მიზნებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს ასეთი რეგისტრაციის მთელი მასალის დამუშავება (მაგ., მოსახლეობის მიგრაცია ერთ და იგივე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ან მოკლევადიანი ადგილგადანაცვლება მოსახლეობისა), ამიტომ მოსახლეობის მიგრაციის დამახასიათებელი მთელი ამ მასალიდან სტატისტიკურ დამუშავებას მხოლოდ ერთი ნაწილი ექვემდებარება.

გარდა სამისამართო ბარათებისა და სოფლის საბჭოების საღრიცხვო ცნობებისა, მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე მონაცემები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების მთავრი სამმართველოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოების ‹ონაცემები კოლმეურნეთა გეგმიანი გადასახლებ-გადმოსახლების შესახებ.

მოსახლეობის მიგრაციის შესწავლისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ერთდროული სტატისტიკური დაკვირვების (აღწერის) მონაცემებიც, უკეთუ ეს დაკვირვება პერიოდულად მეორდებოდა და მათი მონაცემების შესადარობის პირობები დაცულია.

§ 4. მოსახლეობის აღრიცხვა სასოფლო საბჭოებში

პირველადი აღრიცხვა სასოფლო საბჭოებში წარმოადგენს სოციალისტური აღრიცხვის ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლს.

სასოფლო საბჭოები (აგრეთვე სასოფლო საბჭოს უფლების მქონე საბჭოთა მეურნეობების და სააგარაკო ადგილების სასოფლო საბჭოები) აწარმოებენ საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე მეურნეობათა — კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა, კოოპერირებულ შინამრეწველთა, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა, არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და სხვ. — ძირითადად საწარმოო მაჩვენებელთა აღრიცხვას. ამ მიზნით სასოფლო საბჭოებში შემოღებულია, თანახმად მთავრობის 1934 წლის 26 იანვრის დადგენილებისა, პირველადი აღრიცხვის სავალდებულო სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის აღრიცხვას: საკომლო აღრიცხვას, საკომლო სიების შედგენას სახელმწიფოსათვის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებაში მონაწილეობისათვის, სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვას, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას, ცხენების სულადობის პასპორტიზაციის აღრიცხვას, საგზაო სამუშაოებში სოფლის მოსახლეობის შრომითი

მონაწილეობის აღრიცხვას, სასოფლო საბჭოს სანოტარო საქმიანობის აღრიცხვას და სხვ.. ამ აღრიცხვათაგან დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობის წყაროებად გამოიყენება, გარდა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მასალებისა (ნ. ზემოთ, § 3) საკომლო აღრიცხვის მონაცემები და სასოფლო საბჭოს აღრიცხვის სიები.

საკომლო აღრიცხვა

საკომლო აღრიცხვა წარმოებს სასოფლო საბჭოს საკომლო დავთარში, რომელიც ჩვეულებრივ სამი წლის ვადით არის შემოღებული. რის შემდეგ იგი ხელახლა უნდა შედგეს. საკომლო დავთარში აღირიცხება 1 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობა, რა მიზნითაც ყოველ დასახლებულ პუნქტში მოქალაქეთა პირადი დაკითხვა წარმოებს. კომლთა მთლიანი შემოსავლისა და დაკითხვის შედეგად საკომლო დავთარში გაიხსნება მეურნეობის პირადი ანგარიში.

ცნობები: კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და კოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობის შესახებ შეიტანება „კოლმეურნეთა მეურნეობის ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა საკომლო დავთარში“. პირადი ანგარიშები ამ დავთარში გაიხსნება კომლთა გაადგილების თანმიმდევრობის მიხედვით დასახლებულ პუნქტში და მოიცავს მეურნეობათა ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა შემდეგ ჯგუფებს: 1. ოჯახის წევრთა სია, 2. ნაგებობები, 3. მიწა, 4. ნათესები და ნარგავები. 5. მეფუტკრეობა, 6. პირუტყვი.

დემოგრაფიულ სტატისტიკური თვალსაზრისით ამათგან მნიშვნელოვანია პირველი ჯგუფის — „ოჯახის წევრთა სიის“ — მაჩვენებლები. საკომლო დავთარი ოჯახის წევრთა აღრიცხვისას შემდეგ ნიშანთა რეგისტრაციას აწარმოებს: 1. დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, 2. სქესი, 3. დაბადების წელი და თვე, 4. ეროვნება, 5. წერაკითხვის ცოდნა, 6. მოსწავლეთათვის, რომელ სკოლაში სწავლობს ამჟამად; 7. სპეციალობა სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის გარეთ, 8. მუშაობის ადგილი და რა თანამდებობაზე მუშაობს, 8. აღნიშვნა ინვალიდობის ან პენსიონერობის შესახებ, 10. წასულთა შესახებ, რა დროიდან არის წასული და რა მიზეზით; 11. დაქირავებით მომუშავე პირთა შესახებ, რა დროიდან მუშაობს დაქირავებით; 12. ოჯახის ახალი წევრის შესახებ, მოსვლის თარიღი.

ცნობები: ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა, არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და სხვა მეურნეობათა შესახებ შეიტანება „ერთპიროვნული მეურნეობის ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა საკომლო დავთარში“. ამ დავთარში პირადი ანგარიში იმავე წესით

გაიხსნება, როგორც ზევით იყო აღნიშნული. ამ დავთრის მაჩვენებლებიც, მცირე გამონაკლისს გარდა, იმავე შინაარსისაა, როგორც კოლმეურნეთა საკომლო დავთრისა.

მეურნეობათა სიები

საკომლო დავთართა საფუძველზე სასოფლო საბჭოები ადგენენ სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებულ მეურნეობათა სიას. ეს სია ცალ-ცალკე უნდა შედგეს შემდეგი საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით: ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი, ბ) მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობანი, გ) კოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობანი, დ) ერთპიროვნული მეურნეობანი, ე) არაკოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობანი, ვ) სხვა მეურნეობანი. თითოეულ ამ საზოგადოებრივ ჯგუფში მეურნეობანი აღირიცხება შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1. მეურნეობის უფროსი, 2. აღნიშვნა საზოგადოებრივი ჯგუფის ცვლილების შესახებ, 3. აღნიშვნა მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ, 4. ოჯახის წევრთა რიცხვი, 5. მათგან სახეზე მყოფნი (დანაწილებული სქესის მიხედვით), 6. არმყოფნი (ორი სქესისა) 6 თვეზე ნაკლები ხნით და 6 თვეზე მეტი ხნით წასულნი.

ზემოაღნიშნული საკომლო დავთრებისა და სიის გარდა სასოფლო საბჭო ცალკე სიით აღრიცხავს ყოველწლიურად იმ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებს, რომელთაც არ აქვთ სახლკარი, ნაგებობა და ნათესი.

დროებით მცხოვრებთა აღრიცხვა

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აღრიცხვას ექვემდებარება მხოლოდ მუდმივი მოსახლეობა. რაც შეეხება დროებით მცხოვრებთ, მათი აღრიცხვა წარმოებს სისტემატურად, მთელი წლის განმავლობაში, ცალკე სიის სახით. დროებითი მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვა შემდეგი ნიშნების რეგისტრაციას ითვალისწინებს: სქესი, დაბადების წელი და თვე, მოსაქმეობა. მოსვლის თარიღი და საიდან მოვიდა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მეურნეობა, სადაც ბინად იმყოფება, წასვლის თარიღი და სად წავიდა. როდესაც დროებით მცხოვრები მუდმივ საცხოვრებლად რჩება სასოფლო საბჭოს ფარგლებში, მაშინ დროებით მცხოვრებთა სიიდან იგი გადაიტანება მუდმივ მცხოვრებთა სათანადო სიაში.

სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად წარმოებს საკომლო დავთრების მთლიანი შემოწმება 1 ივლისისა და 1 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით. ასევე მთლიან შემოწმებას ექვემდებარება სასოფლო

საბჭოს აღრიცხვის სიები ყოველი წლის 1 ივლისისათვის, ხოლო 1 დეკემბრისათვის ეს სიები ახლად უნდა შედგეს.

ამრიგად, სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის მონაცემებიდან დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობების მისაღებად გამოიყენება: 1. კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკომლო დავთრები, 2. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საკომლო დავთრები, 3. სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებულ მეურნეობათა სიები, 4. შენობა-ნაგებობის და ნათესის არმქონე მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობის სიები, 5. დროებით მცხოვრები მოსახლეობის სიები.

ვინაიდან სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის პროგრამა და ფორმები ერთიან საფუძველზეა აგებული და ერთიანი ინსტრუქციის მიხედვით წარმოებს, ამიტომ ასეთი აღრიცხვის გზით მიღებული მასალა ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დემოგრაფიული სტატისტიკისათვის.

§ 5. მოსახლეობის ერთდროული სტატისტიკური აღრიცხვა

მოსახლეობის ერთდროული სტატისტიკური აღრიცხვის მაგალითს წარმოადგენს სსრ კავშირის სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის ყოველწლიური ერთდროული აღრიცხვა წლის დამდეგისათვის (1 იანვრისათვის).

ერთდროული აღრიცხვის წყაროები

სოფლის მოსახლეობის ეს ერთდროული აღრიცხვა ემყარება არა მოსახლეობის დაკითხვას, არამედ — საკომლო დავთრებს და აღრიცხვის სიებს (ნ. ზევით, § 4), რომელსაც სოფლის საბჭოები აწარმოებენ. ერთდროული აღრიცხვის წყაროებს წარმოადგენს:

ა) კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და კოოპერირებულ შინამრეწველთა მეურნეობის ძირითად, საწარმოო მაჩვენებელთა საკომლო დავთრები;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეთა, არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და სხვა მეურნეობათა ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა საკომლო დავთრები;

გ) სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე მუდმივ მცხოვრებ და შენობისა და ნათესების არმქონე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების სიები;

დ) სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებ პირთა სიები.

აღსარიცხავი მოსახლეობა

სოფლის მოსახლეობის ერთდროული აღრიცხვა მთლიანი დაკვირვების ხასიათს ატარებს და მოიცავს:

ა) სოფლის ყველა დასახლებულ ადგილს, დამოუკიდებლად მისი სიდიდის და ხასიათისა;

ბ) მთელ სახეზე მყოფ მოსახლეობას, როგორც მუდმივ ისე დროებით მცხოვრებს. აღირიცხება აგრეთვე დასახლებული პუნქტიდან წასული მოსახლეობა, მაგრამ ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილების გარეშე. იმ მეურნეობათა მოსახლეობა, რომელთაც კავშირი აქვთ გაწყვეტილი სოფლის საბჭოსთან და სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არიან გადასახლებული სოფლის საბჭოს ფარგლებს გარეთ, აღრიცხვაში არ შეიტანება;

გ) ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის მოსახლეობას — მუშას, ნოსამსახურეს, კოლმეურნეს, კოოპერირებულ და არაკოოპერირებულ შინამრეწველს, ერთპიროვნულ მეურნეს და სხვ.

ერთდროული აღრიცხვის ხელმძღვანელობა

ერთდროული აღრიცხვის ცნობების სრულიად და დროულად შედგენის მიზნით სოფლის საბჭოების მუშაობას ერთდროული აღრიცხვის შედგენისათვის ხელმძღვანელობას უწევენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექტორები. ინსპექტორები აწარმოებენ: ყველა დასახლებულ ადგილთა სიების შემოწმებას, საკომლო დავთრებისა და სიების შევსების სისწორეს, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (დაბადების, გარდაცვალების აქტების) რეგისტრაციის სისწორეს წლის ბოლო რიცხვამდე და ამ რეგისტრაციის შედეგთა შეტანის სისწორეს საკომლო დავთრებსა და სიებში.

მოსახლეობის დანაწილება მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით

სოფლის მოსახლეობის ერთდროული აღრიცხვისას მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა გამოთვლილი უნდა იქნეს ცალ-ცალკე მეურნეობათა თითოეული შემდეგი ჯგუფის მიხედვით: I. კოლმეურნენი, II. მუშა-მოსამსახურენი და კოოპერირებული შინამრეწველნი, III. ერთპიროვნული მეურნენი და არაკოოპერირებული შინამრეწველნი, IV. დანარჩენი მეურნეობანი (კულტის მსახურნი და სხვ.). ამათ გარდა ცალკე უნდა იქნეს გამოთვლილი დროებით მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც მეხუთე ჯგუფს შეადგენს.

ასაკობრივი საფეხურები

მეურნეობის თითოეული კატეგორიის ფარგლებში სქესის მიხედვით დანაწილებასთან ერთად მოსახლეობა ასაკობრივად დანაწილდება შემდეგი წესით: 19 წლამდე (ჩათვლით) ასაკის მოსახლეობა დაჯგუფდება ერთწლიანი ასაკის მიხედვით, 20 წლიდან 49 წლამდე (ჩათვლით) ასაკისა — ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 50 წლიდან 59 წლის ასაკამდე — ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და, ბოლოს, 60 წლისა და მეტი ასაკისა — საერთო ჯამის მიხედვით.

თვითეულ ასაკობრივ ჯგუფში, დაწყებული 14 წლის ასაკიდან, ცალკე გამოიყოფა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და დაწესებულებაში მომუშავენი, აგრეთვე — მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით, შეიდწლიან და საშუალო სასწავლებლებში.

სოფლის საბჭოს მიერ ჩატარებული სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის ერთდროული აღრიცხვის შედეგები წარედგინება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექტორს. ეს უკანასკნელი ამოწმებს სოფლის საბჭოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს, თავს უყრის მათ და წარუდგენს, სოფლის საბჭოების ანგარიშებსა და დასახლებულ პუნქტთა სიებთან ერთად, რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოს. აქ, სარაიონო მონაცემების შემოწმების შემდეგ, წარმოებს აღრიცხვის შედეგთა თავმოყრა რესპუბლიკის ფარგლებში, რის შემდეგ სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის ერთდროული აღრიცხვის თავმოყრილი შედეგები წარედგინება სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საკავშირო ჯამების გამოსათვლელად.

§ 6. საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკური წყაროები

ა. მოსახლეობის აღწერები ძველ საქართველოში

დემოგრაფიულ-სტატისტიკური ტერმინები

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის (დაკვირვების) ცნების აღსანიშნავად ძველ ქართულში იხმარებოდა ტერმინი: „აღრაცხვანი“, „აღრიცხუა“:

„იწყე შენ აღრიცხუად ყოველთა კრებულთა ძეთა ისრელისთა ნათესავთა მათთაებრ, სახლთა მამათა მათთაებრ, რიცხვისაებრ სახელთა მათთაი თავად თავადისა. მათისა. ყოველი წული ოცი წლითგან და უზემთაესი... აღრაცხნეთ იგინი...“ „აღრაცხეს უდაბნოსა სინასა...“ „...ყოველნი აღრაცხილნი...“ „...და აღრაცხნა იგი...“

„...და იყო ყოველივე პირმშო წული, რიცხვისაებრ მათისა: და სახელებისაებრ მათისა თვითგანი და უზემთაესი, აღრაცხუასა მათთა, ოც და ორი ათასი და ორას და სამეოც და სამი“ (წიგნი მეოთხე რიცხვთა, თავი ა, 2, 3, 4, 19; თავი ბ 9; თავი გ 16, 17, 43, 44).

იმავე ცნების — მოსახლეობის სტატისტიკური დაკვირვების გამოსახატავად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი: „ა ღ წ ე რ ა“:

„ და იყო მათ დღეთა შინა გამოხდა ბრძანება აგვისტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა სოფლისა.

„ესე აღწერა პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვირინესსა.

„და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად, კაცად კაცადი თვისსა ქალაქსა“ (ლუკას 2 1 – 3).

ქართული საისტორიო თხზულებები შემდეგ ამ ტერმინს — აღწერას — იყენებენ ამ ცნების გამოსახატავად და იგი შემდგომდროინდელ ლიტერატურაში, ისევე როგორც სტატისტიკურ პრაქტიკაში მტკიცედ მკვიდრდება.

1254 წ. აღწერა

მოსახლეობის და ქონების შესახები სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში, არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, მეცამეტე საუკუნიდან იწყება, როდესაც საქართველო მონგოლებმა დაიპყრეს. ამ დროს, 1254 წელს, საქართველოს მკვიდრნი და მათი ქონება აღწერა ვეზირმა ა რ ღ უ ნ ნ ა. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის აღრიცხვა საქართველოში უფრო ადრეც წარმოებდა, მაგრამ საამისო საბუთები ჯერჯერობით დადგენილ-აღმოჩენილი არ არის.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი„

1595 წელს ოსმალო ხელისუფალთა მიერ შედგენილ იქნა „გურჯისტანის ვილაიეთის“ — აწერილობა, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ნაწილობრივ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძეგლს წარმოადგენს. აწერილობაში შესულია შემდეგი ქართული პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანა (მტკვრის ხეობა), ტაო (ჭოროხის ხეობა), ბორჯომის ხეობა (სოფ. ქვიშხეთამდე).

„გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ შესული ცნობები საშუალებას იძლევა გაირკვეს: ა) მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგი გამონაკლისით), ბ) მოსახლეობის განლაგება მხარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთე-

ულების მიხედვით და გ) მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით.

1656 წელს ელისე ამილახვარი ნებართვას იღებს როსტომ მეფისგან თავის სადროშოს („სასარდაროისა") აღწერისათვის.

1689 წელს ერეკლე პირველისგან ბოძებული საბუთიდან ჩანს, რომ თითოეული სადროშოს სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ აღეწერა თავისი სადროშოს ხალხი.

საბუთს, რომელშიც მოსახლეობის აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები შეიტანებოდა, „დავთარი" ეწოდებოდა.

ფისკალურ-პოლიტიკური მიზნები

მოსახლეობის ამდროინდელ აღწერებს რომ ძირითადად ფისკალური და სამხედრო მიზნები ჰქონდა დასახული, ეს ნათლად ჩანს 1721 წლის მოწინავე დროშის აღწერის დავთრის მესაველში, სადაც ნათქვამია:

„...აღვწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფო ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღწერით წიგნსა ამასა შინა..." ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი, 1907, გვ. 11).

მოსახლეობის აღწერის წესები

მოსახლეობის აღწერისათვის საქართველოში საგანგებო წესები ყოფილა დადგენილი. ეს წესები მეფის ვახტანგ მეექვსეს „დასტურლამალში" საკმაოდ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი.

ქართლის აღწერისათვის ასეთი წესი ყოფილა შემოღებული: „როდესაც ქართლი აღწერილა ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს. ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და ბელიქის საულღარს გარდა, სომკითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში, — ამაზედ საბარათაშვილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს.

„ზემო ქართლის ხეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშის ყარიც დავთარში ჩავარდების; და იმის აქეთაც საამილახვარომდი, ამილახრის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ჰსწერდეს.

„საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა, და მდივანი წარჰყვნება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიპერს მეფის მდივანი.

„მუხნარს და ორისავ ერისთვის მამულს, რომელიც კულავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზე მუხნარის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიპერს“ (დ ა ს ტ ურ ლ ა მ ა ლ ი მეფის ვახტანგ მეექვსესისა, პ. უმიკაშვილის რედ.. ტფ., 1886, გვ. 13).

ამრიგად. მოსახლეობის აღწერის მიზნით ქართლი ოთხ სააღწერო ოლქად იყო დაყოფილი იმის მსგავსად, როგორც სამეფო იყოფოდა ოთხ სადროშოდ ან სასარდლოდ.

აღწერის ორგანიზაცია

აღწერის ჩატარების ვალდებულება ეკისრებოდა მოცემული სადროშოს სარდარს და მდივანს. თვით ა ღ წ ე რ ა ს კი უშუალოდ მ დ ი ვ ა ნ ი ა წ ა რ მ ო ე ბ დ ა, რომელსაც „დავთარი“ ეპირა სააღწერო ცნობების შესატანად.

აღწერის ჩატარების მტკიცედ დადგენილი და საყოველთაოდ დაცული ვადა არ არსებულა. მოსახლეობის მეტ-ნაკლებობის მიხედვით აღწერა ზოგ სოფელში მოკლე ვადაში ჩატარდებოდა, ზოგში — მეტ დროს მოითხოვდა.

აღწერის ჩატარებით გამოწვეულ ხარჯს, — სახელდობრ აღმწერი პერსონალის „ ა ს ა მ წ ე რ ლ ო ს“ და მისი კვების ხარჯს, —. თვით მოსახლეობა ეწოდა:

„რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდნენ, იმ სოფელმა საკომლომ ორი შაური, და ბოგანომ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონ; და ეს სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ. დახდომითაც ის სოფელი უნდა დახუდეს. და რომელსაც სოფელში არ ჩაუდგებიან და ისე აღსწერენ, იმ სოფლის საკომლომ აბასი და ბოგანომ ორი შაური უნდა გამოიღოს; ერთის ბოგანოსი და ერთის საკომლოსი იქნება ექუსი შაური, ამისგან სამი შაური სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ, რომ ასამწერო არის: დარჩების სამი შაური, რომ ეს უფლისა არის...“ (იქვე).

სარდარსა და მდივანს, უეჭველია, თან ახლდნენ აღწერაში მონაწილე დამხმარე პირნი, — წინააღმდეგ შემთხვევაში მარტოოდენ ეს ორი მოხელე ამ რთული საქმის შესრულებას ვერ შესძლებდა. „დასტურლამალი“ იხსენიებს კიდევაც, რომ „სარდარს... ბევრი კაცი ახლდებისო“-ო და ამიტომ მას „ულუფისა ორი წილი მიაქუს“ ო. (იქვე).

ქალაქის მოსახლეობისა და მომთაბარე მოსახლეობის აღწერისათვის განსაკუთრებული წესები არსებულა.

ქალაქის მოსახლეობის აღწერა

ქალაქის მოსახლეობის აღწერა, დადგენილი წესის თანახმად, „შვიდს წელიწადში ერთხელ მოხდების, კომლზე ორი შაური ასამწერლო არის. ვისაც ბატონი უბრძანებს და დააწერინებს, ეს ორი შაური იმისი არის, სხუა მოხელეს ამაში ხელი არა აქუს“ (იქვე, გვ. 86).

არაბინადარი, მომთაბარე მოსახლეობა, როგორც უფრო მოძრავი მოსახლეობა, „სამს წელიწადში ერთხელ აიწერების“ (იქვე, გვ. 75).

ამრიგად, მოსახლეობის აღწერების პერიოდული გამეორება, რაც აღწერის სწორი ორგანიზაციის ერთ ერთი ძირითადი პრინციპია, ძველ საქართველოში საყოველთაო წესად ყოფილა შემოღებული. დემოგრაფიულ-სტატისტიკური ისტორიული ძეგლებიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმეა მოღწეული, ისიც — ზოგი მხოლოდ ნაწილობრივ. ამათგან უპირველესად აღსანიშნავია XVI საუკუნის დამლევის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გამოც. ს. ჯიქიას მიერ: წ. I, 1947; წ. II, თარგმანი. 1941), რომელიც მოიცავს იმ დროისათვის ოსმალო დამპყრობთა მიერ მიტაცებული ქვეყნის შემდეგ ნაწილებს: სამცხეს, ჯავახეთს, არტანს, პალაკაციოს, კოლას და მდ. ჭოროხის აუზში მდებარე ნაწილს ტბოს პროვინციისა. დავთარი საშუალებას იძლევა გაირკვეს: მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (ზოგ გამონაკლისს გარდა), მოსახლეობის განლაგება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და მოსახლეობის დანაწილება ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა (ეროვნება, მოსაქმეობა) მიხედვით.

შემდეგ აღსანიშნავია ზემო-ქართლის სადროშოს XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერის დავთარი (ოთხ ნაწყვეტად), რომელიც მოიცავს მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობას, დალაგებულს სოფლობრივად და სოციალური ჯგუფების მიხედვით. ეს ძეგლი ითვლება საქართველოს მოსახლეობის აღწერის უძველეს დავთრად, რის გამო მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკიჭება.

ამავე სადროშოს იმავე სოფლების აღწერის მონაცემებს შეიცავს XVIII საუკუნის დამდეგის ზემო-ქართლის დავთარი, შინაარსობრივად განსხვავებული XVII საუკუნის მეორე ნახევრის ზემოხსენებული დავთრისაგან. ეს დავთარი შეიცავს გამარტივებულ

ცნობებს მოსახლეობის შესახებ და უნდა წარმოადგენდეს 1715 წ. ახლო დროის დავთრის ნაწილს.

მობეგრე მოსახლეობისა და დაწესებული ბეგრის აღრიცხვის მიზნით არის შედგენილი სამროვლოს 1715 წ. დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: არხეოლოგიური მოგზაურობანი I, 1907), შესრულებული მროველი ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელშიც შესულია მთელი რუისის მოსახლეობა (84) სოფელი, დანაწილებული თარხან და მობეგრე მოსახლეობად. ხოლო ეს უკანასკნელი — ბოგანო მოსახლეობად და სხვა მოსახლეობად (მემკვიდრე მეკომურად).

კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრის ექვსი ნაწყვეტი მიეკუთვნება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს და წარმოადგენს ამ კუთხის ერთადერთ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ძეგლს. ამ დავთრის ყველა ექვს ნაწყვეტში აღნიშნულია: მეკომურის სახელი, თავების რიცხვი, თოფის რაოდენობა, მეკომურთა თანამდებობა, წოდებრიობა, ოჯახური მდგომარეობა, უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა და მოსაქმეობა.

1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის აღწერის დავთართან დაცულია მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით: „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, 1907). დავთარში თითოეული კომლისათვის აღნიშნულია: თავების რიცხვი, წოდებრივი და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, მოსაქმეობა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან მხოლოდ ნაწყვეტებია დაცული. ასეთებია: ლიახურას ხეობის მოსახლეობის აღწერის უთარიღო დავთრის ნაწყვეტი, არაგვის ხეობის 1774 წ. აღწერის დავთარი, 1781 წ. ქსნის საერისთავოს აღწერის დავთარი (გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: ქსნის საერისთავოს სტატისტიუური აღწერილობა, „სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივ. შრომები“, ტ. 45, 1951), ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთრის ნაწყვეტი და სხვ.

გარდა მოსახლეობის აღწერის დავთრებისა, დემოგრაფიული სტატისტიკური ცნობების შემცველია სტატისტიკურ-მონაცემთა ამონაკრებები, შედგენილი ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ასეთ ამონაკრებთ მიეკუთვნება: „დასტურლამალის“ ცნობები მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს მოსახლეობის შესახებ,

ქართლ-კახეთის სამეფოს მთავრობის 1770 წ. განკარგულებით შედგენილი საბუთი სამეფოს მოსახლეობის შესახებ, სადაც მოცემულია ცნობები მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ (სხვათა შორის ცნობები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებაც), 1781—1782 წ. აღწერის დავთრის მიხედვით შედგენილი ზოგად-სტატისტიკური ცნობა თბილისის მოსახლეობის შესახებ და სხვ.

ძველი საქართველოს დემოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა თუმცა დაღუპულია, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მაინც საკმაო მასალები მოიპოვება. დასავლეთ საქართველოს ან მისი რომელიმე კუთხის მოსახლეობის შესახებ კი დღემდე არცერთი დავთარი ცნობილი და გამოქვეყნებული არ არის.

მოსახლეობის აღწერის ზემოაღნიშნული დავთრების დამუშავება-გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავთრების ჩანაწერთა სწორ გაგებას, რის საფუძველზე შეიძლება ყველა ცალკე შემთხვევაში გადაიჭრას მათი სანდოობის საკითხი. ამ მიზნით თითოეული ძეგლი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების თვალსაზრისით უნდა იქნეს შესწავლილ განხილული, რომელშიც მოპოვებული იქნა მასში შეტანილი ცნობები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველ ხანებში მოსახლეობის აღწერა წინანდებურად გრძელდებოდა და მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქართულად აწარმოებდნენ და შემდეგ აქედან რუსულად თარგმნიდნენ. ასეთია, მაგ., კახეთის 1801—1802 წლების აღწერა („საქართველოს არქივი", II, 1927), შემდგომდროინდელი კამერალური აღწერილობანი და სხვ.

მეცხრამეტე საუკუნის (განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევრის) საქართველოს დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის თუმცა არა სრული, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს იძლევიან კ ა მ ე რ ა ლ უ რ ი ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა ნ ი, რომლებსაც 1803 წლიდან რეგულარულად აწარმოებდა მეფის ადგილობრივი ხელისუფლება.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მხოლოდ დასაბეგრ მოსახლეობას და მისი შედეგები ძირითადად დანიშნული იყო ფისკალური მიზნებისათვის: ამ მონაცემთა საფუძველზე საფინანსო უწყება (სახაზინო პალატები და მისი დაწესებულებანი) გადასახადთა გაწერას და აკრებას აწარმოებდა.

კამერალური აღწერილობა ეხებოდა მთელ დასაბეგრ მოსახლეობას კომლობრივად: მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხე-

ბოდა ჩამოთვლით და ასაკის ჩვენებით, ხოლო დედრობითი სქესის მოსახლეობა მხოლოდ საერთო რიცხვის ჩვენებით.

როგორც სოფლად, ისე ქალაქად კამერალურ აღწერილობას ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებდნენ. მიღებული შედეგები შემდეგ საგანგებო შემოწმებას ექვემდებარებოდა გამოტოვებულ და აღურიცხველ კომლთა დასადგენად და აღწერილობაში დამატებით შესატანად.

კამერალური აღწერილობის შედეგები, როგორც საერთოდ ყოველი ფისკალურ-ადმინისტრაციული მიზნებით ჩატარებული დაკვირვების მონაცემები, მრავალგვარი ნაკლის შემცველი იყო და იგი არ იყო არც სრული და არც სწორი. ამით აიხსნებოდა, რომ აღწერილობის მონაცემები სისტემატურ შემოწმებას ექვემდებარებოდნენ და თვით აღწერილობაც საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, თუმცა მიღებული შედეგები არსებითად არ უმჯობესდებოდა. ამიტომ ამ კამერალურ აღწერილობათა შედეგებით სარგებლობა სათანადო მონაცემთა კრიტიკული შესწავლა-დამუშავების გზით არის მხოლოდ შესაძლებელი.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ის სტატისტიკური მასალები, რაც რეგულარულად ქვეყნდებოდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მიერ 1846 წლიდან გამოცემულ „Кавказский календарь"-ში. მასში თავსდებოდა სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხვის, შემადგენლობისა და მოძრაობის შესახებ. ასეთ მონაცემთა დამუშავებას ხელი შეუწყო სტატისტიკური კომიტეტების დაარსებამ ცალკეულ გუბერნიებში: თბილისში—1862 წლის 1 სექტემბერს, ხოლო ქუთაისში—1863 წლის 29 ნოემბერს. შემდეგ, ადმინისტრაციული დანაწილების ცვლილებასთან დაკავშირებით მთელი სტატისტიკური მუშაობა გაერთიანდა კავკასიის (1888 წლიდან—ამიერ კავკასიის) სტატისტიკურ კომიტეტში, რომლის ხელშიც გადავიდა ეს გამოცემა. ეს სტატისტიკური კომიტეტი (ჯერ კავკასიის, ხოლო შემდეგ — ამიერ კავკასიისა), თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იყო, მაგრამ უშუალოდ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ექვემდებარებოდა.

სტატისტიკურ კომიტეტს ეკუთვნის რიგი გამოცემათა, რომლებიც დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მასალებს შეიცავენ საქართველოს (და საერთოდ — ამიერ კავკასიის) შესახებ. ასეთია, მაგ., „Сборник сведений о Кавказе", ცხრა ტომი (1871—1885), „Статистический временник Кавказского края", ოთხი ნაკვეთი

(1887—1890), „Свод статистических данных о населении Закавказского края“ (1893) და სხვ.

საქართველოს (და კავკასიის) დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამოცემებში, კერძოდ—კრებულში: „Сборник статистических сведений о Кавказе“ (ტ. I, 1879).

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის საქმეს ხელს უწყობს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული პირველი საქალაქო აღწერები. თბილისში ასეთი აღწერა ჩატარდა 1864 წელს (ზამთარში), 1865 წელს (ზაფხულში), 1876 წელს (ერთდღიური აღწერა, 25 მარტს). ამ უკანასკნელი აღწერის შედეგები ცალკეა გამოცემული: „Тифлис по однодневной переписи 25 марта 1876 год“ (1780).

ქუთაისში ერთ-დღიური აღწერა ჩატარდა 1866—67 წლ. ში, ხოლო ბათუმში — 1890 წლის 17 ივნისს. ბათუმის აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია ცალკე გამოცემად: Батум по однодневной переписи 17 июня 1890 г. (1891).

შედარებით სრული და ერთიანი პროგრამის საფუძველზე მოპოვებული დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობები მეცხრამეტე საუკუნის დამლევის საქართველოს (და საერთოდ რუსეთის) მოსახლეობის შესახებ გვაქვს 1897 წლის 28 იანვრის (9 თებერვლის) აღწერის შედეგების სახით (გამოქვეყნებული შედეგები 1897წლის აღწერისა: „Первая всеобщая перепись населения российской империи 1897 г., вып. I—VIII. Спб., ЦСК. 1898—1905 гг. Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения, произведённой 28 января 1897 г., Спб. ЦСК, 1905 г.). ეს შედეგები, რა თქმა უნდა, რიგ შემთხვევებში გადამუშავებას მოითხოვენ, რათა გამოყენებულ იქნენ მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის, განსაკუთრებით—მოსახლეობის მოსაქმეობისა და კლასობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად. ასეთი გადამუშავების შემდეგ გამოიყენა ეს მონაცემები ვ. ლენინმა რუსეთის მოსახლეობის დასახასიათებლად, რათა ეჩვენებია, რომ რუსეთში საქონლის მიმოქცევა და, მაშასადამე, სასაქონლო წარმოება სავსებით განმტკიცებულია და რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა (თხზულებანი, ტ. 3, 1948, გვ. 595—599. — ნ. აბის შესახებ აგრეთვე ზევით, თავი II, § 2).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეფისდროინდელი ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები ნაკლებ სანდოა და დიდი სიფრთხილითაა გამოსაყენებელი. ვ. ლენინი ამ სტატისტიკის შესახებ აღნიშნავდა: „...ჩვენ გვაქვს მხოლოდ სხვადასხვა «უწყებათა» ცრუ, უთავბოლო, კანცელარიულად ►რეული სტატისტიკა, რომელიც უფრო პოლიციური თავდაძვრენის სახელწოდების ღირსია“ (თხზულებანი, ტ. 10, 1950, გვ. 225). ამის გამო ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები მოსახლეობის სტატისტიკის დარგშიც მრავალგვარი ნაკლის მატარებელია: როგორც დაკვირვების პროგრამისა და ორგანიზაციის, ისე დამუშავების მეთოდოლოგიის მხრით. ეს გარემოება უცილებლად ავალებს ამ მონაცემთა გამოყენებელს, სრულად გაითვალისწინოს, რამდენადაც შესაძლებელია, ეს ნაკლი და მხოლოდ ამის შემდეგ აწარმოოს ამ მონაცემთა ანალიზი სათანადო დასკვნების მისაღებად.

დემოგრაფიული სტატისტიკის წყაროდ შეიძლება პირობით მივიჩნიოთ 1917 წ ლ ი ს ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე ურ ნ ე ო და ს ა ა დ გ ი ლ-მ ა მ უ ლ ო ა ღ წ ე რ ი ს შედეგები („1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები“, საქ. სსრ სტატ. სამმართველოს გამოცემა, 1922). ეს აღწერა ჩატარდა 1917 წ. ზაფხულში, სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო, საადგილ-მამულო და საქალაქო აღწერის სახით. აღწერის პროგრამაში დემოგრაფიულ ნაწილს მხოლოდ დამატებით მნიშვნელობა ჰქონდა და ნაწილობრივ მოიცავდა მოსახლეობის შედგენილობის გამრკვევ კითხვებს. იგი ჩატარდა მეტად არახელსაყრელ ვითარებაში, გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და, ამიტომ, კრიტიკული მომენტის პრინციპი დაცული არ ყოფილა.

ბ. მოსახლეობის აღწერები საბჭოთა საქართველოში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, არსებითად შეიცვალა სტატისტიკურ სამუშაოთა შინაარსი, მოცულობა, პროგრამა და ორგანიზაცია: მას ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცა და ამისდა შესაბამისად გაიშალა ერთდროული და პერიოდულ სტატისტიკურ სამუშაოთა წარმოება, დაგროვებულ და ახლად მოპოვებულ პირველად მასალათა დამუშავება და პუბლიკაცია.

უკვე პირველ წლებშივე შესაძლებელი გახდა გამოქვეყნებულიყო რევოლუციამდე ჩატარებულ ზოგ სტატისტიკურ სამუშაოთა შეჯამებული შედეგები, შემცველი დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალებისა. ასეთია, მაგ., 1917 წ. აღწერის მაზრობლივი ჯამები (1922 წ.), სტატისტიკური კრებული 1909—1921 წლ. (1923 წ.).

1922 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგები მალე გამოქვეყნდა: ნაწილი პირველი — დემოგრაფია, 1923 წ., ნაწილი მეორე — ბინები, 1924 წ.

1923 წელს აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომლის პროგრამა ნაწილობრივ დემოგრაფიულ ნიშნებსაც ითვალისწინებდა. აღწერის შედეგები (ნაწ. I) სათემო ჯამების სახით გამოქვეყნდა 1925 წ., ხოლო კითხვები, რომლებიც მოსახლეობის შედგენილობის დახასიათებას იძლეოდნენ, ცალკე დამუშავდა და 1926 წ. გამოქვეყნდა (ნაწილი II).

ეს ორი აღწერა — ქალაქთა მოსახლეობისა 1922 წ. და სასოფლო-სამეურნეო 1923 წ., — თუმცა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩატარდა, მაგრამ ურთიერთის შემვსები იყო, რამდენადაც პირველი ქალაქის მოსახლეობის დახასიათებას იძლეოდა, ხოლო მეორე — დაახლოებით იმავე პერიოდისასთვის — სოფლის მოსახლეობისას. მართალია, მათი შედეგების გამოყენებას მოსახლეობის ორივე ნაწილის ერთდროული დახასიათებისათვის აბრკოლებდა როგორც პროგრამული, ისე ორგანიზაციული და დროის მიხედვით სხვადასხვაობა, მაგრამ ამ დროისათვის სხვა, უფრო სრული და სწორი ცნობები მოსახლეობის შესახებ ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა.

ასეთი ცნობები მოპოვებულ იქნა მხოლოდ მოსახლეობის პირველი სრულიად საკავშირო აღწერის მეოხებით, რომელიც 1926 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა. ეს აღწერა, როგორც ცნობილია, მოეწყო სტატისტიკური მეცნიერების პრინციპების დაცვით და მისი შედეგები, დამუშავებული ძირითადად 1927—28 წლებში, შეიცავს მდიდარ მასალას სსრ კავშირის და აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის მრავალმხრივი დემოგრაფიულ-სტატისტიკური დახასიათებისათვის (ნ. ზევით, II თავი, § 2).

ამავდროულად საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაიწყო პერიოდული სტატისტიკური ორ-

განოს გამოცემა ჯერ „ბიულეტენის“ (1923 წლიდან), ხოლო შემდეგ „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბის“ (1925 წლიდან) სახელწოდებით. ამ გამოცემაში რეგულარულად ქვეყნდებოდა დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობები როგორც სტატისტიკური ცხრილების, ისე სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე შრომების სახით.

პერიოდული ორგანოს პარალელურად სტატისტიკური სამმართველო (შემდეგ — საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო) აგრძელებდა ერთდროულ სტატისტიკურ გამოცემათა გამოქვეყნებას, სადაც საგანგებო განყოფილება ჰქონდა დათმობილი დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ცნობებს. ასეთი გამოცემები იყო: „სტატისტიკური კრებული (192? 1926 წ.)“ (1927 წ.), „საბჭოთა საქართველო ციფრებში“ (1929 წ.), „საბჭოთა საქართველოს 10 წელი (1921—1931)“ (1931 წ.), „საბჭოთა საქართველოს 13 წელი“ (1934 წ.) და სხვ.

სტატისტიკური სამმართველოს გარდა სტატისტიკური ცნობების გამოქვეყნება დაიწყეს ადგილობრივმა სტატისტიკურმა ორგანოებმაც. ასე, მაგ., ჯერ კიდევ 1922 წელს თბილისის ქალაქის საბჭოს სტატისტიკურმა ორგანომ გამოაქვეყნა დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობების შემცველი საკმაოდ ვრცელი „სტატისტიკური ატლასი“, ხოლო შემდეგ დაიწყო სტატისტიკური ცნობების რეგულარული გამოქვეყნება „სტატისტიკური კრებულის“ (1925, 1927, 1929 წ.),აგრეთვე—„სტატისტიკურ-ეკონომიური ცნობარის (1925—1930 წ.)“ სახით. ეს გამოცემები შეიცავს მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის რიცხვის, შედგენილობის და მოძრაობის შესახებ.

ანალოგიური გამოცემა გამოაქვეყნა აჭარის ასსრ-ის სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ: „სტატისტიკური კრებული, 1913—1923“ (ბათომი, 1924).

1926 წლიდან „ყოველთვიური სტატისტიკური კრებულის“ გამოცემა დაიწყო ქუთაისის მაზრის სტატისტიკის ბიურომ, ხოლო 1927 წლიდან — „სტატისტიკურ-ეკონომიური მოამბის“ გამოცემა ქუთაისის სტატისტიკურ-ეკონომიურმა განყოფილებამ. 1930 წ. ქუთაისის ოლქის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოსცა „ქუთაისის ოლქი ციფრებში“.

ეს გამოცემები შეიცავდნენ, უკვე ცნობილ მონაცემთა ადგილობრივ ტერიტორიული ერთეულებისათვის გადამუშავებასთან ერთად, ახალმონაცემებს დემოგრაფიული სტატისტიკის ცალკეული საკით-

ხების გასარკვევად ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის.

საბჭოთა პერიოდის უკანასკნელი დროის დემოგრაფიულ-სტატისტიკური წყაროებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1939 წლის 17 იანვრის მოსახლეობის აღწერის შედეგები. ეს აღწერა ჩატარდა სტატისტიკური მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად და მან მოგვცა სსრ კავშირის და კერძოდ საქართველოს მოსახლეობის რიცხვისა და შედგენილობის სურათი იმ დროისათვის, როდესაც სოციალისტური საზოგადოების აშენება დამთავრდა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობითი გადასვლა დაიწყო. 1939 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები — საერთო ჯამებისა და ზოგ ნიშანთა მიხედვით — 1939—1940 წლებში გამოქვეყნდა (ნ. აგრეთვე ზევით, თავი II, § 2).

III თავი

მოსახლეობის შედგენილობა

§ 1. მოსახლეობის რიცხოვნობა

დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს,მოგვცეს მოსახლეობის საერთო რიცხვის ზუსტი განსაზღვრა. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დროის გარკვეული მომენტისათვის გამოვარკვიოთ მოსახლეობის სულადობის ერთდროული მოცულობა. მაგრამ უკეთუ მოსახლეობის რიცხვი განსაზღვრული იქნება დროის რიგი თანამიმდევრული მომენტებისათვის, მაშინ შესაძლებელი გახდება აგრეთვე მოსახლეობის დინამიკაც იქნეს შესწავლილი სათანადო პერიოდის განმავლობაში.

მოსახლეობის რიცხოვნობის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ მოსახლეობის აღწერის ან სხვა გზით მიღებული აბსოლუტური სიდიდენი მოსახლეობის საერთო რიცხვის შესახებ. ეს სიდიდენი შეიძლება წარმოებულ სტატისტიკურ სიდიდეებად — დინამიკის შეფარდებით სიდიდეებად — გარდავქმნათ მოსახლეობის დინამიკის შესწავლის მიზნით.

სტატისტიკურ მონაცემთა შესადარობა

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ დინამიკის სტატისტიკური შესწავლა მოითხოვს იმ მონაცემთა შესადარობას, რომლებითაც ერთი და იგივე მოსახლეობის რიცხვი გამოისახება დროის სხვადასხვა პერიოდში. სტატისტიკურ სიდიდეთა შესადარობა კი აქ რიგ დაბრკოლებათა გადალახვასა და მხედველობაში მიღებასთან არის დაკავშირებული. ასეთ დაბრკოლებებს წარმოადგენენ:

ა) იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილება, რომელზედაც დაკვირვება ვრცელდებოდა;

ბ) აღსარიცხავი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიები, რომლებიც სტატისტიკურ დაკვირვებას ექვემდებარებიან;

გ) სტატისტიკური დაკვირვების ხერხთა სხვადასხვაობა;

დ) სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ნაკლთა სხვადასხვა ხასიათი;

ე) სტატისტიკური დაკვირვების შედეგების დამუშავების წესთა სხვადასხვაობა.

მოსახლეობის საშუალო რიცხობრიობა

მოსახლეობის რიცხვი ჩვეულებრივ მიიღება დროის განსაზღვრული მომენტისათვის, მაგ., აღწერის დღისათვის (კრიტიკული მომენტისათვის), რაც მოსახლეობის რიცხობრიობის სურათს იძლევა მხოლოდ ამ მომენტში. სხვადასხვა სტატისტიკურ გაანგარიშებათა წარმოებისას კი საჭიროა მივიღოთ მოსახლეობის რიცხვი საშუალოდ მთელი მოცემული პერიოდისათვის (მაგ., წლისათვის), ამიტომ საჭიროა გამოვიანგარიშოთ მოსახლეობის საშუალო რიცხობრიობა: არითმეტიკული საშუალოს სახით მოსახლეობის რიცხვებიდან აღებული პერიოდის დასაწყისსა და ბოლოში ანდა ქრონოლოგიური საშუალოს სახით (როდესაც მწკრივის კიდური წევრები ნახევარი წონით აიღება).

მოსახლეობის საშუალო რიცხობრიობის ანუ საშუალო მოსახლეობის გამოანგარიშების ზემოაღნიშნული ხერხები მთლად ზუსტ შედეგებს არ იძლევა, ვინაიდან მათი გამოყენებისას ხელველობაში არ მიიღება ის ცვლილებები, რაც მოსახლეობის რიცხობრიობაში მოხდა შუალედი პერიოდების განმავლობაში. რაც უფრო დიდია ასეთი ცვლილებები იმ თარიღების შუა, რომელთა მონაცემებიც უდევს საფუძვლად საშუალო სიდიდის გამოანგარიშებას, მით უფრო ნაკლებ ზუსტ შედეგს მოგვცემს ასეთი საშუალო სიდიდე.

ამიტომ საშუალო მოსახლეობის გამოსაანგარიშებლად უმჯობესია გამოვიყენოთ შეწონილი არითმეტიკული საშუალოს ფორმულა: $x = \frac{\Sigma XM}{\Sigma M}$, რომლის ვარიანტები ($X$) იქნება მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში იყო განსაზღვრული დროის განმავლობაში, ხოლო წონა (M) ამ დროის ხანგრძლიობა.

მოსახლეობის სახეები დინამიკური შესწავლისას

მოსახლეობის საერთო რიცხობრიობის დინამიკის შესწავლისას განირჩევა მოსახლეობის შემდეგი სახეები:

ა) მზარდი მოსახლეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც პერიოდული დაკვირვების შედეგების მიხედვით გვიჩვენებს განუხრელი ზრდის ტენდენციას;

ბ) კლებადი მოსახლეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც პე-

რიოდული დაკვირვების შედეგების მიხედვით გვიჩვენებს კლების ტენდენციას;

გ) სტაციონალური მოსახლეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც პერიოდული დაკვირვების შედეგების მიხედვით მცირე ცვლილებას გვიჩვენებს;

დ) რხევადი მოსახლეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც პერიოდული დაკვირვების შედეგების მიხედვით საგრძნობ ცვლილებას გვიჩვენებს როგორც მატების, ისე კლების მხრით, მაგრამ გარკვეული ტენდენცია კი არცერთი მიმართულებით არა აქვს.

დინამიკური მაჩვენებლების გაანგარიშების ხერხები

მოსახლეობის რიცხობრიობის დინამიკის შესწავლისას შეიძლება ორი ხერხი იქნეს გამოყენებული:

ა) შედარებულ იქნეს მოსახლეობის რიცხობრიობის მაჩვენებლები შესასწავლი პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, ამ მიზნით გამოანგარიშებული უნდა იქნეს შეფარდებითი სიდიდე, როძლის შედარების საფუძვლად აიღება დასაწყისი სიდიდე დამრგვალებული რიცხვის (100, 1000) სახით;

ბ) გამოანგარიშებულ იქნეს მოსახლეობის რიცხობრიობის საშუალო წლიური ცვლილება (საშუალო წლიური მატება ან კლება). ამ მიზნით გამოიანგარიშება მოსახლეობის მატების ან კლების შეფარდებითი სიდიდე (პროცენტული ან პრომილური) თითოეული ცალკე წლისათვის მოსახლეობის მიმართ, ხოლო შემდეგ აქედან მიიღება არითმეტიკული საშუალო.

საშუალო წლიური ტემპები

მოსახლეობის დინამიკის საშუალო წლიური ტემპების გასაზომად გამოიყენება გეომეტრიული საშუალო სიდიდე: n ხარისხის ფესვი მოსახლეობის ზრდის ყოველწლიური კოეფიციენტების ნამრავლიდან. იმავე შედეგს მივიღებთ, თუ მთელი შესასწავლი პერიოდისათვის მოსახლეობის ზრდის საერთო კოეფიციენტიდან ამოვიღებთ სათანადო ხარისხის ფესვს.

მოსახლეობის საერთო რიცხობრიობის და დინამიკის სტატისტიკური დახასიათება წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის მოძრაობისა და განვითარების საერთო ტენდენციის შესახებ, რის გამო იგი ჯერ კიდევ საფუძველს არ იძლევა გავარკვიოთ მოსახლეობის განვითარების პირობები და მიმდინარეობა. ეს განვითარება შეიძლება საკმაოდ საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გათვალისწინებულია მოსახლეობის მოძრაობის (ბუნებრივი მოძრაობის და მიგრაციის) პირობები.

(მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის შესახებ ნ. ქვევით, თავი IV).

სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხობრიობა და დინამიკა

სსრ კავშირის მოსახლეობის დინამიკა 1926 — 1939 წლ. პერიოდში შემდეგი მონაცემებით გამოისახება:

აღწერის თარიღი	მოსახლეობის რიცხვი
1925 წლის 1 დეკემბერი	147.028 ათასი
1939 წლის 17 იანვარი	170.467 ათასი

აშრიგად, სსრ კავშირის მოსახლეობა ამ პერიოდის (1926 — 1939 წლ.) განმავლობაში გაიზარდა 23.439 ათასით, ანუ 15,9 %-ით. 1932 — 40 წლებში სსრ კავშირის შემადგენლობაში უკრაინის სსრ-ის და ბელორუსიის სსრ-ის დასავლეთი ოლქების, ბესარაბიის, ჩრდ. ბუკოვინისა და ბალტიისპირა სახელმწიფოების — ლატვიის, ესტონეთის და ლიტვის შესვლის შემდეგ სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა თითქმის 29 მილიონით 1940 წლისათვის. ამრიგად, სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 193 მილიონს (აქ არ შედის 1939 — 40 წლების ბუნებრივი მატება მოსახლეობისა).

მოსახლეობის რიცხობრიობით სსრ კავშირი დგას მესამე ადგილზე მსოფლიოში (ჩინეთის და ინდოეთის შემდეგ), ხოლო მოსახლეობის ზრდის ტემპები სსრ კავშირში თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საქართველოს სსრ-ის მოსახლეობამ იმავე 1926 — 1939 წლების პერიოდში შემდეგი ცვლილება განიცადა:

აღწერის თარიღი	მოსახლეობის რიცხვი
1926 წლის 17 დეკემბერი	2.677,2 ათასი
1939 წლის 17 იანვარი	3.542,3 ათასი

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა 1926 — 1939 წლების განმავლობაში გაიზარდა 865,1 ათასით, ანუ 32,3%-ით, რაც ორჯერ მეტად აღემატება სსრ კავშირის მოსახლეობის ზრდის საერთო მაჩვენებელს ამავე პერიოდისათვის.

§ 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დადგენა შეფარდებისა მოსახლეობის რიცხვსა და ტერიტორიას შორის, ვინაიდან მოსახლეობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დედამიწის ზედაპირთან დაკავშირების გარეშე. ამ მიზნით სტატისტიკა იყენებს რიგ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ, ერთი მხრით, შეფარდებას მოსახლეობასა და ტერიტორიას შორის ან მოსახლეობის სიმჭიდროვეს და, მეორე მხრით, მოსახლეობის განლაგებას ტერიტორიაზე.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი

ამ მაჩვენებელთაგან უპირველესად აღსანიშნავია მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი. მოსახლეობის სიმჭიდროვე ეწოდება მაჩვენებელს, რომელიც ახასია-

თებს მოსახლეობის რიცხვს სათანადო ტერიტორიის ერთეულზე (ერთ კვადრატულ კილომეტრზე).

ამ მაჩვენებლის მისაღებად საჭიროა, ჯერ ერთი, განისაზღვროს ტერიტორიის ფართობი, ე. ი. მიწისა და წყლის სივრცის ფართობი, რომელიც განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებშია მოქცეული; მეორე, საჭიროა განისაზღვროს იმ მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ტერიტორიის ფართობის განსაზღვრა შეადგენს გეოგრაფიული მეცნიერების ამოცანას. როდესაც ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულია წყლის დიდი სივრცე, იგი ჩვეულებრივ ტერიტორიის ფართობიდან გამოირიცხება, რათა მან მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელზე არსებითი გავლენა არ მოახდინოს.

შეფარდება მოსახლეობის რიცხვსა და ტერიტორიის ფართობს შორის

შეფარდება მოსახლეობის რიცხვსა და ტერიტორიის ფართობს შორის შეიძლება ორი სახით მოხდეს: ა) შედარების საფუძვლად აღებულ იქნეს ადმინისტრაციული დანაწილება; ბ) შედარების საფუძვლად აღებულ იქნეს ტერიტორიის დანაწილება ბუნებრივი პირობების (მაგ., ზღვის დონიდან სიმაღლის, საშუალო ტემპერატურის და სხვ.) საფუძველზე. დეტალურ სტატისტიკურ გამოკვლევათა წარმოებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორივე ამ წესის კომბინაცია.

რაც შეეხება მოსახლეობის რიცხვის დადგენას, იგი შეიძლება დაემყაროს უშუალოდ მოსახლეობის აღწერის მონაცემებს ანდა ამ აღწერის საფუძველზე წარმოებულ გამოანგარიშებებს.

სიმჭიდროვის მაჩვენებელი ტერიტორიული ერთეულებისათვის

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის გამოანგარიშება შედარებით ადვილია მსხვილი ტერიტორიული ერთეულებისათვის. მაგრამ როგორც კი წვრილ ტერიტორიულ ერთეულებზე გადავალთ წარმოიშობა ერთგვარი სიძნელე, ვინაიდან მოსახლეობის რიცხვისა და ტერიტორიის ფართობის შეფარდებამ ამ წვრილ ერთეულებში შეესაძლებელია მოსახლეობის სიმჭიდროვის სწორი სურათი არ მოგვცეს. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა ფარგლებში მსხვილი ქალაქებია მოქცეული; იგივე ეხება ისეთ ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც მოიცავენ წყლის დიდ სივრცეებს, ტყის დიდ მასივებს, უვარგის მიწებს და სხვ.. ასეთ შემთხვევებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზუსტი სურა-

თის მისაღებად მეთოდოლოგიურად უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს სიმჭიდროვის მაჩვენებლის გამოანგარიშება მსხვილი ქალაქებისა და სხვ. გამოკლებით.

მაჩვენებლის სამგვარი გამოსახულება

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი შეიძლება გამოისახოს სამგვარად:

ა) გამოანგარიშებულ იქნეს იმ მცხოვრებთა რიცხვი, რომლებიც მოდიან ფართობის. ერთეულზე (ერთ კვადრატულ კილომეტრზე);

ბ) გამოანგარიშებულ იქნეს იმ ფართობის სიდიდე, რომელიც მოსახლეობის ერთეულზე (ერთ მცხოვრებზე) მოდის, გ) გამოანგარიშებულ იქნეს საშუალო მანძილი მცხოვრებთა შორის, რომლის დროსაც დაშვებულია ვარაუდი, რომ ეს მცხოვრებნი თანაბრად არიან განლაგებული სათანადო ფართობზე.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის ამ სამგვარი გამოსახულებიდან უკანასკნელი ორი ნაკლებ გამოსაყენებელია, ვინაიდან უშუალოდ სიმჭიდროვის გამოსახულებას ისინი არ იძლევიან: მოსახლეობის სიმჭიდროვე მით უფრო მეტია, რაც უფრო დაბალია ეს მაჩვენებლები. ამიტომ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის პირველგვარი გამოსახულება წარმოადგენს უფრო სწორ და საყოველთაოდ გამოყენებულ გამოსახულებას, რაც მოსახლეობის სიმჭიდროვის ფაქტიურ მეტ-ნაკლებობას უშუალოდ შეესაბამება.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის თვალსაჩინო გამოსახულებისათვის გამოიყენება გ რ ა ფ ი კ უ ლ ი მ ე თ ო დ ი: მოსახლეობის სიმჭიდროვის მეტ-ნაკლებობისა და განაწილების თვალსაჩინო გრაფიკული გამოსახულება შეიძლება მიღებულ იქნას კ ა რ ტ ო გ რ ა მ ი ს აგების საშუალებით.

სსრ კ ა ვ შ ი რ შ ი მოსახლეობის სიმჭიდროვე საშუალოდ შეადგენს 1 კვადრ. კილომეტრზე 9 მცხოვრებს, ევროპულ ნაწილში კი იგი შეადგენს 1 კვადრ. კილომეტრზე 30 მცხოვრებს. ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული სსრ კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთი მხარე (მდ. ვოლგის ზედა წელიდან შავი ზღვის სანაპირომდე). ზოგ რაიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ აღწევს 1 კვადრ. კილომეტრზე 100 და მეტ მცხოვრებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სსრ-ში მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს საშუალოდ 50 მცხოვრებს 1 კვადრ კილომეტრზე. დასავლეთ საქართველო მოსახლეობის სიმჭიდროვის უფრო მაღალ მაჩვენებელს იძლევა: ქუთაისის რაიონში 1 კვადრ. კილომეტრზე 100-მდე მცხოვრები მოდის. შედარებით ნაკლებ მჭიდროდ არის დასახლებული აღმოსავლეთ საქართველო.

§ 3. მოსახლეობის განლაგება დასახლებული ადგილების მიხედვით

ტერიტორიის ფართობზე მოსახლეობის განაწილების სტატისტიკური შესწავლა გულისხმობს, გარდა (ზემოთ გარკვეული) მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლისა, მოსახლეობის განლაგების ანუ ფაქტიური განაწილების შესწავლას დასახლებული პუნქტების მიხედვით. ასეთი შესწავლისათვის საჭიროა გაირკვეს: ა) დასახლებული პუნქტები და მოხდეს მათი ჯგუფებად დანაწილება და ბ) მოსახლეობის რიცხვი და შედგენილობა დასახლებული პუნქტების ცალკეულ ჯგუფებში.

დასახლებული პუნქტების გარკვევა ერთგვარ სიძნელეს იწვევს იმის გამო, რომ მოსახლეობის განბნევის შემთხვევაში ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის მიკუთვნება დასახლებული ადგილისადმი ყოველთვის არაა ოლად შესაძლებელი, ვინაიდან ყოველ ასეთ შემთხვევაში უნდა გადაიჭრას საკითხი: ეს პუნქტი ცალკე დასახლებულ ადგილად იქნეს მიჩნეული, თუ სხვა რომელიიე დასახლებული ადგილის შემადგენლობაში ჩაირიცხოს. ეს საკითხი ჩვეულებრივ გადაიჭრება დასახლებულ ადგილთა სიის შედგენით.

დასახლებულ ადგილთა სია ჩვეულებრივ შეიცავს შემდეგ ცნობებს: დასახლებული ადგილის ტიპი. სახელწოდება, მანძილი ადმინისტრაციული ცენტრიდან, მამრობითი და დედრობითი მოსახლეობის რიცხვი. გარდა ამ ცნობებისა, აქ შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე ცნობები სკოლების, საავადმყოფოების, სამრეწველო საწარმოთა და სხვ. შესახებ.

დასახლებულ ადგილთა ასეთი სიების შედგენას, რაც, სათანადო ცვლილებების აღრიცხვასთან ერთად, ადმინისტრაციული სტატისტიკის საგანს შეადგენს, საფუძვლად უდევს საკანონმდებლო აქტი. ამ აქტის თანახმად ესა თუ ის დასახლებული პუნქტი დასახლებულ ადგილთა ამა თუ იმ ტიპს (ქალაქს, მუშათა დაბას, საკურორტო დაბას და სხვ.) მიეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ დასახლებულ ადგილთა სტატისტიკის მონაცემები მოსახლეობას ნაკლებ განბნეულად გვიჩვენებენ, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ეს იმით აიხსნება, რომ ცალკეული საცხოვრებელი ადგილი, რომელიც დამოუკიდებელ გეოგრაფიულ (ან ტოპოგრაფიულ) პუნქტად არ არის აღნიშნული, მაგ., რკინიგზის გასწვრივ მდებარე ცალკეული სადარაჯოები, დასახლებული ადგილებისაგან მოშორებით მდებარე განცალკევებული სახლები და სხვ., იმ დასახლებულ ადგილს მიეკუთვნება, რომელთანაც იგი,

სავარაუდო მოსაზრებით, გეოგრაფიულად ყველაზე მეტად არის დაკავშირებული.

დასახლებულ ადგილთა მტკიცედ დადგენილი სია შესაძლებელს ხდის გაირკვეს მოსახლეობის განლაგება ცალკეული ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, დაწყებული სულ პატარა სოფლით და დამთავრებული უმსხვილესი ქალაქებით. მაგრამ ასეთი განლაგების გასარკვევად აუცილებელია, რათა პირველადი სტატისტიკური მასალა (აღწერის და სხვ. მონაცემები) ითვალისწინებდეს მოსახლეობის რეგისტრაციას უმცირესი ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით.

დასახლებულ ადგილთა სიების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დახასიათდეს აგრეთვე მოსახლეობის განლაგება დასახლებული ადგილების ტიპების მიხედვით — ქალაქისა და სოფლის მოსახლეობად.

ქალაქის მოსახლეობას მიეკუთვნება მოსახლეობა, რომელიც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში (მუშათა დაბებსა და საკურორტო დაბებში) ცხოვრობს. ქალაქად ითვლება ტერიტორიულად გამოცალკევებული დასახლებული ადგილი, რომელიც ქალაქად არის დამტკიცებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ქალაქის დამახასიათებელ ეკონომიურ ნიშნებს წარმოადგენს ის, რომ მასში თავმოყრილია მოსახლეობის დიდი მასა, ჩაბმული მეტწილად არასასოფლო-სამეურნეო შრომის სხვადასხვა დარგში: მრეწველობაში, მშენებლობაში და სხვ., რომლის შემოსავლის მთავარ წყაროს ხელფასი შეადგენს.

მუშათა დაბად ითვლება ისეთი დასახლებული ადგილი, რომლის მოზრდილი მოსახლეობის რიცხვი 400-ზე ნაკლები არ არის და სადაც მოსახლეობის უმრავლესობისათვის (არა ნაკლებ 65%-სათვის) მთავარ საარსებო წყაროს ხელფასი შეადგენს.

საკურორტო დაბად ითვლება სამკურნალო მნიშვნელობის ისეთი დასახლებული ადგილი, სადაც ყოველწლიურად სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულთა რიცხვი შეადგენს ამ პუნქტის მუდმივი მოსახლეობის 50%-ზე არა ნაკლებს.

სოფლის მოსახლეობას მიეკუთვნება მთელი ის მოსახლეობა, რომელიც სოფლის საბჭოების ტერიტორიაზე ცხოვრობს, დამოუკიდებლად იმისა, სოფლის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ექვემდებარება მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თუ ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ასეთ დაქვემდებარებას ადგილი აქვს ზოგ შემ-

თხვევაში მსხვილი ქალაქების ახლო მდებარე სოფლის საბჭოებისათვის).

გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობას მიეკუთვნება **სააგარაკო დაბის** მოსახლეობა. სააგარაკო დაბად კი ითვლება დასახლებული პუნქტი, რომლის დანიშნულებაა მოემსახუროს ქალაქს სანატორიული პუნქტის ან საზაფხულო დასასვენებელი ადგილის სახით, უკეთუ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ამ დაბის მოზრდილი მოსახლეობის არა უმეტეს 25%-თვის ძირითადი მოსაქმეობის დარგს.

მოსახლეობის დიფერენციაციას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობად და ამის საფუძველზე მიღებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის **ეკონომიური განვითარების**, კერძოდ – ინდუსტრიული განვითარების დროის დასახასიათებლად (როგორც ცნობილია, ძირითადად ასეთი დახასიათებისათვის გამოიყენება პროდუქციის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები, კერძოდ — პროდუქციის უმთავრეს სახეობათა სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე).

ქალაქის მოსახლეობის შეფარდებითი სიმცირე და მისი ზრდის ნელი ტემპები დანახასიათებელია აგრარული ქვეყნებისა, ხოლო, პირიქით, ქალაქის მოსახლეობის შეფარდებითი სიდიდე და მისი ზრდის ჩქარი ტემპები მაჩვენებელია ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისა. ეს იმით აიხსნება, რომ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა და აქ მცხოვრები მოსახლეობის დამახასიათებელ ეკონომიურ ნიშნეულობას წარმოადგენს ინდუსტრიის და მასთან უშუალოდ დაკავშირებული დარგების (მშენებლობის, ტრანსპორტის) განვითარება და მოსახლეობის უმრავლესობის ჩაბმა მატერიალური წარმოების სათანადო დარგებში.

ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის გარკვევისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელსაც საცხოვრებელ ადგილად გარეუბანი ან ახლო მდებარე დასახლებული პუნქტი აქვს, ქალაქის მოსახლეობის რიცხვში არ შედის. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის მუშაობის ადგილი და საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვაა, რის გამო ერთგვარ სხვაობას აქვს ადგილი დღის მოსახლეობისა (სამუშაო ადგილას მყოფსა) და ღამის მოსახლეობის (თავის საცხოვრებელ ადგილას მყოფს) რიცხვებს შორის. მოსახლეობის აღწერების დროს კი, როგორც ცნობილია, იმ მოსახლეობას აღრიცხავენ, რომელიც კრიტიკულ მომენტში (აღწერის დღის წინა ღამის 12 საათზე) სახეზე მყოფი მოსახლეო-

ბის სახით არის ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში. აქედან წარმოიშობა ერთგვარი სხვაობა ქალაქის მოსახლეობის ფაქტიურ რიცხვსა და აღწერით გამორკვეულ რიცხვს შორის.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სტატისტიკური მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, განსხვავდება სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო მოსახლეობის, ანუ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის მაჩვენებლებისაგან. სამიწათმოქმედო, ანუ სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა ის მოსახლეობაა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მოსაქმეობს ანდა ამ დარგში მოსაქმე მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობს. არასამიწათმოქმედო, ანუ არა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა კი ის მოსახლეობაა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში არ მოსაქმეობს და ამ დარგში მოსაქმეთა ხარჯზეც არ ცხოვრობს. არა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს შრომის სხვადასხვა დარგი, გარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა.

ამრიგად, თუ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციისათვის განმსაზღვრავ ნიშანს წარმოადგენს დასახლებული ადგილის ხასიათი, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, სამიწათმოქმედო, ანუ სასოფლო-სამეურნეო და არასამიწათმოქმედო ანუ არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის დიფერენციაციისათვის განმსაზღვრავ ნიშანს წარმოადგენს მოსაქმეობა, რომელსაც მოსახლეობა ეწევა.

ცალკეული დასახლებული პუნქტების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით მოსახლეობის განლაგების გარდა სტატისტიკურ შესწავლას ექვემდებარება აგრეთვე მოსახლეობის განლაგება დასახლებული პუნქტების სიდიდის მიხედვით. ამ შემთხვევაში დასახლებული პუნქტების ჯგუფებად დაყოფით, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით თითოეულ მათგანში, შედგება მეტი ან ნაკლები რაოდენობის ჯგუფები დაჯგუფების საფუძვლად აღებული ნიშნის (მოსახლეობის რიცხვის) ინტერვალების შესაბამისად. ასე, მაგ., სრულიად საკავშირო მოსახლეობის 1926 წლის აღწერის შედეგების დამუშავებისას ასეთი ჯგუფები იქნა შედგენილი:

დასახლებულ ადგილთა ჯგუფები
მოსახლეობის რიცხვის მიხედვით

10 — ზე	ნაკლები
10 —	19

20 — 49
50 — 99
100 — 199
200 — 499
500 — 999
2000 — 1999
5000 — 9999
10.000 — 19.999
20.000 — 49.999
50.000 — 99.999
100.000 — და მეტი

ამრიგად, დასახლებულ ადგილთა ჯგუფები აქ შექმნილია მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, ხოლო დაჯგუფების ინტერვალი იწყება რა 10-ით პირველ საფეხურზე, აღწევს 50.000-ს და მეტს უკანასკნელზე.

მოსახლეობის განლაგების სტატისტიკური გამოსახულებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საშუალო მოსახლეობის მაჩვენებელი ერთ დასახლებულ პუნქტზე. ასეთი მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, მოსახლეობის განლაგების მხოლოდ ზოგად გამოსახულებას იძლევა და იგი ერთგვარად განთანაბრებელი მაჩვენებლის ხასიათს ატარებს. ამიტომ უმჯობესია ასეთი საშუალო გამოანგარიშებულ იქნეს მხოლოდ მცირე მოცულობის რაიონებისათვის, რომლის დროს დიდი ქალაქები გაანგარიშებიდან უნდა გამორიცხოს.

მოსახლეობის განლაგების სტატისტიკური შესწავლისას საჭიროა, უპირველესად, გავითვალისწინოთ კაპიტალიზმის პირობებში ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ „ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქის ბატონობას დაუმორჩილა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1940, გვ. 31).

ამ წინააღმდეგობის ეკონომიურ საფუძველს კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს, — როგორც ი. სტალინი გვასწავლის, — სოფლის ექსპლოატაცია ქალაქის მიერ, გლეხობის ექსპროპრიაცია და სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგება კაპიტალისტური მრეწველობის, ვაპრობისა და საკრედიტო სისტემის განვითარების მეოხებით.

თუ სოფელი კაპიტალიზმის პირობებში ქალაქის ბატონობას არის დაქვემდებარებული, თვით ქალაქი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ატარებს ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ წინააღმდეგობათა ნიშნებს. „ბურჟუაზიული ქვეყნების დიდი ქალა-

ქების აუცილებელი ნიშანია ჯურღმულები, ეგრეთწოდებული მუშათა უბნები ქალაქის განაპირა ადგილებში, რომლებიც წარმოადგენენ ბნელ, ნესტიან, ნახევრადდანგრეულ, მეტწილად სარდაფებში მოთავსებულ სადგომთა გროვას, სადაც ჩვეულებრივ შეკუნქულია ღარიბი ხალხი, სადაც ისინი სიბინძურეში ფუთფუთობენ და ბედს იწყევლიან" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 13, 1952, გვ. 353).

დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის შეიძლება-მოისპოს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობის შემდეგ, სოციალისტური საზოგადოების პირობებში, როდესაც იქმნება ეკონომიური პირობები ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებით განსხვავებათა გაქრობისათვის.

ჯერ კიდევ 1929 წელს, აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე ი. სტალინი აღნიშნავდა, რომ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხი ახალ ნიადაგზე დგება, რომ ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობა აჩქარებული ტემპით გაქრება.

პარტიის XVII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში (1934 წ. 26 იანვარს) ი. სტალინი აღნიშნავდა უკვე იმ არსებით ცვლილებებს, რაც ამ მხრით მოხდა სსრ კავშირში: „ქრება-წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქი გლეხების თვალში აღარ არის მათი ექსპლოატაციის ცენტრი. სულ უფრო მტკიცე ხდება სამეურნეო და კულტურული კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქისა და მისი მრეწველობისაგან სოფელი ახლა დახმარებას იღებს — ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, ხალხით, სახსრებით. თვით სოფელსაც ახლა თავისი მრეწველობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სარემონტო სახელოსნოების სახით, კოლმეურნეობათა სხვადასხვანაირი სამრეწველო საწარმოების, მცირეძალოვანი ელექტროსადგურებისა და სხვათა სახით. ივსება კულტურული უფსკრული ქალაქსა და სოფელს შორის" (თხზულებანი, ტ. 13, 1952, გვ. 354).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, კაპიტალიზმის მოსპობამ და მთელი ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ სსრ კავშირში ნიადაგი მოამზადა ქალაქსა და სოფელს შორის და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციისათვის. „სსრ კავშირში, — აღნიშნავს ი. სტალინი, — კაპიტალიზმის მოსპობასთან ერთად და სოციალისტური წყობილების განმტკიცე-

ბასთან ერთად დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის, ნრეწველობასა და სოფლის მეურნეობის ინტერესებს შორის გაქრა. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი სოციალისტურ საზოგადოებაში განმტკიცებულია იმ დახმარების მეოხებით, რომელიც გლეხობას გაუწია სოციალისტურმა ქალაქმა. ეს გამოიხატა დახმარების გაწევით მემამულეებისა და კულაკების ლიკვიდაციის საქმეში, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით გლეხობისა და კოლმეურნეობების სისტემატური მომარაგებით. ამიტომ „...ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დაპირისპირებულობისათვის ნიადაგი უკვე ლიკვიდირებულია ახლანდელი ჩვენი სოციალისტური წყობილებით" (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 28).

ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის გაქრობა არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქები საერთოდ და დიდი ქალაქები კერძოდ მოისპობა. „დიდი ქალაქები არა თუ დაიღუპება — წერს ი. სტალინი, — არამედ კიდევ გაჩნდება ახალი დიდი ქალაქები, როგორც კულტურის უაღრესი ზრდის ცენტრები, როგორც ცენტრები არა მარტო დიდი ინდუსტრიისა, არამედ აგრეთვე სოფლის-მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და კვების მრეწველობის ყველა დარგის მძლავრი განვითარებისა. ეს გარემოება გააადვილებს ქვეყნის კულტურულ აყვავებას და გამოიწვევს ქალაქად და სოფლად ყოფაცხოვრების პირობათა შეთანასწორებას" (იქვე, გვ. 29).

ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავება თანდათან გაქრება სოციალისტურ საწარმოო ძალთა შემდგომი აღმავლობის შედეგად და იგი ადგილს დაუთმობს ერთგვარ, უკვე არაარსებით განსხვავებას: „რაღაც განსხვავება, თუმცა არაარსებითი, უეჭველად დარჩება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის პირობების განსხვავების გამო" (იქვე, გვ. 31).

სსრ კავშირის მოსახლეობა მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (1941 წ. საზღვრებში) ასე ნაწილდებოდა (თანახმად 1939 წლის აღწერისა და სხვა შესაბამისი აღწერებისა სსრ კავშირში 1939 წ. იანვრის შემდეგ შესული ტერიტორიებისათვის):

რუსეთის სფსრ .	. 108,8 მლნ.
უკრაინის სსრ	41,2 „
ბელორუსიის სსრ	9,0 „
უზბეკეთის სსრ .	6,3 „
ყაზახეთის სსრ	6,1 „
საქართველოს სსრ .	3,5 „

აზერბაიჯანის სსრ .	. 3,2	მლნ,
ლიტვის სსრ . .	. 3,0	„
მოლდავეთის სსრ .	. 2,7	„
ლატვის სსრ . .	1,9	
ყირგიზეთის სსრ .	. 1,5	
ტაჯიკეთის სსრ .	. 1,5	
სომხეთის სსრ	. 1,3	
თურქმენეთის სსრ	. 1,3	„
ესტონეთის სსრ . . .	1,1	„
კარელია-ფინეთის სსრ .	. 0,96	„
სულ სსრკ .	193,0	მლნ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შედეგად სწრაფად გაიზარდა სსრ კავშირის საქალაქო მოსახლეობა, რაც თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგი მაჩვენებლებიდან:

ქალაქის მოსახლეობის დინამიკა სსრ კავშირში (1939 წ. საზღვრებში)

თარიღი	ქალაქის მოსახლეობის რიცხვი (ათასობით)	%%-თი მთელი მოსახლეობისადმი
1897 წ. 9 თებერვლის აღწერით	15.825,6	14,8
1914 წ. 1 იანვრისათვის	24,686,6	17,7
1926 წ. 17. დეკემბრის აღწერით	26.314,1	17,9
1939 წ. 17 იანვრის აღწერით	55.909,9	32,8

ამრიგად, რევოლუციამდელ რუსეთში — 1897 წლიდან 1914 წლამდე — ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 8,9 მლნ-ით, ანუ წლიურად საშუალოდ 520 ათასით. საბჭოთა პერიოდში კი, 1926 წლამდე ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 29,6 მლნ-ით, ანუ წლიურად საშუალოდ 2,5 მლნ-მდე მცხოვრებით. ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 112,5 %-ს, მაშინ, როდესაც მთელი მოსახლეობის ზრდა ამავე პერიოდში შეადგენდა 15,9 %-ს.

მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქების მოსახლეობის რიცხვი, ამ მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხვში (%%-ით) და ქალაქის მოსახლეობის ზრდა 1926 წელთან შედარებით (%%-ით) 1939 წლის აღწერის მონაწილეობის მიხედვით შემდეგს შეადგენდა.

მოკავშირე რესპუბლიკები	ქალაქის მოსახლეობა 1939 წ. აბსოლუტ. (ათას.)	%%-ით მთ. საერთ. რიცხვისადმი	%%-ით 1926 წ. მოსახლეობისადმი
რუსეთის სფსრ .	36.658,0	33,5	218,4
უკრაინის სსრ . .	11.195,6	36,2	208,3
ბელორუსიის სსრ .	1.372,5	24,7	161,9
უზბეკეთის სსრ	1.445,1	23,0	142,8
ყაზახეთის სსრ .	1.706,2	27,8	328,7
საქართველოს სსრ	1.066.6	30.1	179,5
აზერბაიჯანის სსრ .	1.1o0,7	36,2	178,7
ყირგიზეთის სსრ	270,6	18,5	221,2
ტაჯიკეთის სსრ .	251,9	17,0	237,6
სომხეთის სსრ .	366,4	28.5	219,3
თურქმენეთის სსრ .	416,4	33,2	304,0

ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ასეთი სწრაფი ზრდა სსრ კავშირში ნათლად მოწმობს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მაღალ ტემპებს, რამაც გამოიწვია ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა სწრაფი ზრდა, ასეთ დასახლებულ ადგილთა ახლად შექმნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და მოსახლეობის აგლომერაცია მათში.

სსრ კავშირის ქალაქის მოსახლეობის ზრდა 1926 — 1939 წლებში შემდეგი წყაროების საფუძველზე წარმოებდა:

ქალაქის მოსახლეობის ზრდის წყაროები	მოსახლეობის ზრდა (მლნ.)	%%-ით ჯამისადმი
სოფლიდან ქალაქად გადასვლა .	18,5	62,5
ბუნებრივი მატება	5,3	17,9
სოფლების გარდაქმნა ქალაქებად	5,8	19,6
ს უ ლ	29,6	100

ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენდა მოსახლეობის ადგილგადანაცვლება სოფლიდან ქალაქად, რამაც შეადგინა 18,5 მლნ. ამავე პერიოდში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენდა 18.2 მლნ.-ს. მაგრამ, ვინაიდან ქალაქად გარდაქმნილ სოფელ ადგილებში მოსახლეობის ოიცხვი შეადგენდა 5,8 მლნ-ს, ამიტომ სოფლის მოსახლეობის რიცხვი 1939 წელს, შედარებით 1926 წელთან, 6,1 მილიონით, ანუ 5,1%-ით შემცირდა: 1926 წელს იგი შეადგენდა 120,7 მილიონს, ხოლო 1939 წელს — 114,6 მილიონს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სსრ კავშირის წინათ ჩამორჩენილი რაიონების და ნაციონალური რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციამ და კულტურულმა გავნითარებამ გამოიწვია ქალაქების ახალი განლაგება, ქალაქის მოსახლეობის ზრდა. ამიტომ განსაკუთრებით ინტენსიური იყო ისეთ რესპუბლიკებში, სადაც რევოლუციამდელ პერიოდში ადგილი ჰქონდა დიდ სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობას, რომლის ლიკვიდაციის შედეგად მეტად ინტენსიურად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. ასეთია, მაგ., ყაზახეთის თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკები და აგრეთვე კვეყნის ზოგი სხვა რაიონი. ქალაქები შეიქმნა აქ ისეთ რაიონებში, სადაც წინათ ქალაქის ტიპის დასახლებული არცერთი ადგილი არ არსებობდა.

ქალაქების რიცხვის ზრდასთან ერთად გაიზარდა დიდი ქალაქების რიცხვი: 50 ათასზე მეტი მცხოვრების შემცველი ქალაქების რაოდენობა 1939 წელს შეადგენდა 174-ს, ნაცვლად 1926 წლის 90-ისა; 100 ათასზე მეტი მცხოვრების შემცველი ქალაქების რაოდენობა 1939 წელს შეადგენდა 92-ს, ნაცვლად 1926 წლის 43-ისა; 500 ათასზე მეტი მცხოვრების შემცველ ქალაქთა რაოდენობა კი 1939 წელს შეადგენდა 11-ს, 1926 წლის 3-ის ნაცვლად.

ქალაქებისა და ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად არსებითად შეიცვალა ქალაქების ეკონომიური და კულტურული როლი სახალხო მეურნეობაში და კულტურულ ცხოვრებაში. შეიცვალა ქალაქების გაოეგნული მხარე და შინაგანი კეთილ-მოწყობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ასეთივე ცვლილებები განიცადა სოფელმაც, რამაც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტრული მდგომარეობის დონე ერთიმეორეს დააახლოვა და რაც საბოლოოდ იწვევს „ყოფაცხოვრების პირობათა გათანაბრებას ქალაქად და სოფლად" (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სსრ-ში მოსახლეობის ხვედრითმა წილმა მოსახლეობის საერთო რიცხვში შემდეგი ცვლილება განიცადა:

წ ლ ე ბ ი	ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხვი-სადმი (%%-ით)
1886	11,5
1897	1[illegible],3
1917	17,5
1926	22,3
1939	30,1

1939 წლის 17 იანვრის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ-ში იყო სამი ისეთი ქალაქი, რომლის მოსახლეობის რიცხვი 50 ათასს აღემატებოდა. ასეთ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნებოდა თბილისი, ქუთაისი და ბათომი, რომელთა მოსახლეობის დინამიკა 1926 — 1939 წლებში შემდეგნაირად გამოისახებოდა:

ქალაქები	მოსახლეობა 1926 წ.	(ათას.) 1939 წ.	1939 წ. %%-ით 1926 წლისადმი
თბილისი	294.044	519.175	176,6
ქუთაისი	48.196	81.479	169,0
ბათუმი	48.474	70.807	146,1

1949 წლის 1 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ-ში იყო სულ 32 ქალაქი, რომელთაგან: რესპუბლიკური დაქვემდებარებისა იყო 8, საოლქო დაქვემდებარებისა — 1, ხოლო რაიონული დაქვემდებარებისა — 23. გარდა ამისა, ქალაქის ტიპის დაბების რიცხვი ეკუთვნოდა 28-ს.

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი დაქვემდებარების ქალაქები იყო: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სუხუმი, ფოთი, ჭიათურა, რუსთავი, ტყვარჩელი.

ს ა ო ლ ქ ო დაქვემდებარების ქალაქს წარმოადგენდა სტალინირი.

რ ა ი ო ნ უ ლ ი დაქვემდებარების ქალაქთა რიცხვში შედიოდა: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, გურჯაანი, დუშეთი, ზესტაფონი, მახარაძე, ცხაკაია, ონი, სამტრედია, სიღნაღი, თელავი, ტყიბული, ხაშური, წულუკიძე, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, ქობულეთი.

ქალაქის ტიპის *დ ა ბ ე ბ ი ს* რიცხვს ეკუთვნოდა: აბასთუმანი, აბაშა, აგარა, ავჭალა, აბროლაური, ახალი ათონი, ბოლნისი, კასპი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მანგლისი, მირზაანი, მოლოტოვი, მცხეთა, საჩხერე, სურამი, ორჯონიკიძე, წაღვერი, ცაგერი, წითელი-წყარო, წნორი, წყალტუბო, ჩოხატაური, შაუმიანი, შორაპანი.

§ 4. მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობა

მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობის სტატისტიკური შესწავლა მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, გაარკვიოს მოსახლეობის სტრუქტურა სქესის მიხედვით და, მეორე, გაარკვიოს, მოსახლეობის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დიფერენციაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ დიფერენცირებულ ჯგუფთა სქესობრივი შედგენილობა. უკანასკნელ შემთხვევაში სქესი გამოიყენება როგორც ნიშანი, რომელიც კომბინირებულია დაჯგუფების სხვა ნიშნებთან. ასე, მაგ., მოსახლეობის პროფესიულ ჯგუფებად დანაწილებისას თითოეულ

ასეთ ჯგუფში უნდა გამოცალკევდეს მამრობითი და დედრობითი სქესის მოსახლეობა.

ორივე სქესის მოსახლეობის შედარებითი სიდიდის სტატისტიკური გამოსახულებისათვის საჭიროა მამრობითი და დედრობითი მოსახლეობის მაჩვენებელ აბსოლუტურ სიდიდეებთან ერთად გამოანგარიშებულ იქნეს თითოეული მათგანის ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რიცხვში, ე. ი. მიღებულ იქნეს სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდენი.

როდესაც საჭიროა სტატისტიკურად გამოისახოს ერთი სქესის მოსახლეობის მეტ-ნაკლებობა მეორე სქესის მოსახლეობასთან შედარებით, მაშინ ერთ-ერთი სქესის მოსახლეობის რიცხვს აიღებენ შედარების საფუძვლად და გამოიანგარიშებენ: ამ სქესის მოსახლეობის ყოველ 100-ზე ან 1000-ზე რამდენი მოდის მეორე სქესის მოსახლეობის რიცხვი, ე. ი გამოიანგარიშება ინტენსიობის შეფარდებითი სიდიდენი.

მამრობითი და დედრობითი მოსახლეობის ხვედრითი წილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია გაირკვეს სტატისტიკურად შესწავლილი მოსახლეობის მონაცემთა საფუძველზე, ტენდენციას იჩენს წონასწორობისადმი. სქესთა ასეთი წონასწორობა აბსოლუტური სახით არსად არსებობს, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ მიახლოებას ასეთი წონასწორობისადმი. ცალკეულ შემთხვევაში ამ საერთო ტენდენციიდან საგრძნობი გადახრები ხდება — წონასწორობა ირღვევა ერთ-ერთი სქესის სასარგებლოდ, რაც გამოწვეულია რიგი მიზეზებით.

მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობის სტატისტიკურ შესწავლას, სხვა დემოგრაფიულ ნიშნებთან დაკავშირებით და დაუკავშირებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში, სადაც ქალი, თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციისა, უფლებრივად გათანაბრებულია მამაკაცთან სამეურნეო, სახელმწიფოებრივი, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირში შექმნილია ყოველგვარი პირობა: კანონმდებლობით არის დაცული დედობა და ბავშვობა, დაწესებულია ანაზღაურებული შვებულება ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით, შექმნილია საბავშვო დაწესებულებანი — ბაგები, საბავშვო ბაღები და სხვ., გაზრდილია საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და სხვ..

წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც ქალის შრომის უსაზღვრო ექსპლოატაცია წარმოებს, სსრ კავშირში ქალის

შრომის გამოყენებისათვის მამაკაცის შრომასთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ფართო შესაძლებლობაა შექმნილი საზოგადოებრივ შრომის ყველა დარგში. ამის მეოხებით ქალის შრომის გამოყენება სსრ კავშირში წლიდან წლამდე ფართოვდება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის შრომითი რესურსების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების მოცულობის ზრდას და, მაშასადამე, ნაციონალური შემოსავლის ზრდასაც. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის აღმავლობას.

ქალის შრომის ფართო გამოყენება სსრ კავშირში გამოისახება არა მარტო მომუშავე ქალთა აბსოლუტური და შეფარდებითი რიცხვების განუხრელი მატებით, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ ქალის შრომის დანერგვა ხდება შრომის ყველაზე უფრო კვალიფიციურ დარგებშიც.

სსრ კავშირის მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობა 1926 და 1939 წლების აღწერების მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად გამოისახებოდა:

აღწერის თარიღები	მამრობ.		დედრობითი		სულ	
	აბსოლუტ.	მოსახ. %% საერ. რიცხვ.	აბსოლუტ.	მოსახ. %% საერ. რიცხვ.	აბსოლუტ.	%%
1926 წ. 17 დეკემბერი	71.043.352	48,3	75.984.563	51,7	147.027.915	100
1939 წ. 17 იანვარი	81.664.981	47,9	88.802.205	52,1	170.467.186	100

საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვში მამრობითი და დედრობითი მოსახლეობის თანაფარდობა 1886 — 1939 წლების — ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის — განმავლობაში შემდეგნაირად იცვლებოდა:

წლები	მამრ. მოსახლეობის წილი მოსახლეობის	დედრ. მოსახლეობის საერთი რიცხვში
1886	53,9	46,1
1897	53,4	46,6
1917	52,0	48,0
1926	50,5	49,5
1939	50,1	49,9

როგორც აქედან ჩანს, ეს თანაფარდობა დარღვეული იყო დასაწყისში მამრობითი სქესის მოსახლეობის სასარგებლოდ, შემდეგ იგი იჩენდა ტენდენციას ვათანაბრებისაკენ და, ბოლოს, მათ შორის თითქმის სრული თანაბრობა დამყარდა. დედრობითი სქესის მოსახლეობის შეფარდებითი სიმცირის ასახსნელად საკმაოდ მნიშვნელოვან გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ადრინდელი სტატის-

ტიკური დაკვირვებანი (საოჯახო სიები, აღწერები) დედრობითი მოსახლეობის ნაკლაღრიცხვას შეიცავდნენ და, ამრიგად, ამცირებდნენ მის ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რიცხვში.

§ 5. მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობა

მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის გარკვევა მოსახლეობის სტატისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს შეადგენს. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და რიგი ისეთი პრაქტიკული და მეცნიერული საკითხების გათვალისწინება-გადაჭრისათვის, რომელთათვისაც მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის გამოცალკევება და შესწავლა აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ასეთია, მაგ., ქვეყნის შრომის რესურსების გაპორკვევა, სამუშაო ძალის ბალანსის გაანგარიშების საკითხები, სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის დაგეგმვა. სხვადასხვა საფეხურის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის დადგენა გათვალისწინება, მოსახლეობის კვლავწარმოების პირობებისა და მოსახლეობის რიცხობრიობის ზრდის პერსპექტივების განსაზღვრა და სხვ..

მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისათვის განსაკუთრებით სრულ და სანდო მასალას იძლევა მოსახლეობის აღწერა, რომლის პროგრამა, როგორც აღნიშნული იყო (ნ. თავი 11, § 2), ითვალისწინებს ასაკის რეგისტრაციას ან შესრულებული წლების (ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის — თვეების) სახით, ანდა დაბადების სწორი თარიღის აღნიშვნით.

უკანასკნელ შემთხვევაში მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის მასალების დამუშავება შესაძლებელია მოხდეს თითოეული პირის ინდივიდუალური ასაკის (დღეებამდე სისწორით) გამოანგარიშებით, რაც მეტად დეტალურ დაჯგუფებას მოგვცემს. ასეთი დაჯგუფება გულისხმობს თანმიმდევრული ასაკის მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების გამოცალკევებას, რაც არ წარმოადგენს რაიმე პრაქტიკულ საჭიროებას და არ შეიცავს არც მეცნიერულ ინტერესს. ამიტომ ასაკობრივი შედგენილობის გარკვევისას მეტი მნიშვნელობა აქვს დაჯგუფებას უფრო მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სახელდობრ, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთათვის თვეების მიხედვით, ხოლო ამის ზევით — წლიური ასაკის მიხედვით.

მოსახლეობის დაჯგუფება ასაკობრივ საფეხურებად ცალკეული წლების მიხედვით საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ მოსახლეო-

პის ასაკობრივი სტრუქტურა და, გარდა ამისა, გამოვიყენოთ ეს მასალა სხვა დანიშნულებისათვისაც (მაგ., მოსახლეობის მოკვდაობის ტაბულების შედგენისათვის).

მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობა ცალკეული წლების მიხედვით, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უფრო მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც. ასეთი ჯგუფები შეიძლება შეიქმნას ორი სახით:

ა) თითოეული ჯგუფისათვის აღებულ იქნეს ასაკის ერთიდაიგივე ინტერვალი, მაგ., ხუთწლიანი ან ათწლიანი ინტერვალი;

ბ) თითოეული ჯგუფისათვის აღებულ იქნეს სხვადასხვა ასაკობრივი ინტერვალი იმისდა შესაბამისად, თუ რა ამოცანებია დასახული დაჯგუფების დროს, (მაგ., სკოლამდელი ასაკის, სასკოლო ასაკის, ჯარში გასაწვევი ასაკის, საარჩევნო ასაკის და სხვ.) ჯგუფების გამოსაცალკევებლად. აგ შემთხვევაში ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობრივი საზღვრები და თითოეული ჯგუფის შემდგომი დიფერენციაცია დადგენილი იქნება დაჯგუფების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მისაღებად 1926 წლის 17 დეკემბრის აღწერის მასალების დამუშავება ითვალისწინებდა მოსახლეობის შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილებას: ერთ წლამდე ასაკის ბავშვები დაჯგუფებული იყო თვეების მიხედვით — 1 თვემდე, 1 თვისა, 2 თვისა, 3 — 5 თვისა, 6 — 11 თვისა; ერთი წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა კი ჯგუფებად იყო დანაწილებული ცალკეული წლიური საფეხურების მიხედვით — 1, 2, 3 და ა. შ. წლის ასაკის მოსახლეობის ჯგუფები ვიდრე 99 წლამდე, და, ბოლოს, 100 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის ჯგუფი. გარდა ამისა, შექმნილი იყო უფრო მსხვილი ასაკობრივი ჯგუფებიც: 1) 0 — 4 წლამდე, 2) 5 — 9 წლ., 3) 10 — 14 წლ., 4) 15 — 19 წლ., 5) 20 — 24 წლ., 6) 25 — 29 წლ., 7) 30 — 34 წლ., 8) 35 — 39 წლ., 9) 40 — 44 წლ., 10) 45 — 49 წლ., 11) 50 — 54 წლ., 12) 55 — 59 წლ., 13) 60 — 64 წლ., 14) 65 — 69 წლ., 15) 70 — 74 წლ., 16) 75 — 79 წლ., 17) 80 — 84 წლ., 18) 85 — 89 წლ., 19) 90 — 94 წლ., 20) 95 — 99 წლ..

1939 წლის 17 იანვრის აღწერის გამოქვეყნებული შედეგები სსრ კავშირის მოსახლეობის ასეთ ასაკობრივ დაჯგუფებას ითვალისწინებდა: 1) 7 წლამდე, 2) 8 — 11 წლ., 3) 12 — 14 წლ., 4)

15 — 19 წლ., 5) 20 — 29 წლ., 6) 30 — 39 წლ., 8) 50 — 59 წლ., 9) 60 წლის და მეტისა.

სსრ კავშირის მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობის შესწავლისას საბჭოთა სტატისტიკა იყენებს მოსახლეობის შედარებით მსხვილ ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილებას შემდეგი სახით: 1) ბავშვები 1 წლის ასაკამდე, 2) ბავშვები 1-დან 3 წლის ასაკამდე, რომელთა მომსახურებას აწარმოებენ დედობისა და ბავშვობის დაცვის დაწესებულებანი, 3) ბავშვები 3 — 4 წლიდან 7 წლის ასაკამდე, — სკოლამდელი ასაკის ბავშვები, 4) ბავშვები 7 წლიდან 16 — 17 წლის ასაკამდე, — სკოლის ასაკის ბავშვები და სხვა.. ასევე გამოცალკევდება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა: მამაკაცები—16 დან 59 წლის ასაკამდე და ქალები—16-დან 55 წლის ასაკამდე და სხვ..

ასაკობრივ ჯგუფებად მოსახლეობის დიფერენციაციის შემდეგ უნდა გამოირკვეს თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რიცხვში, ე. ი. მიღებული უნდა იქნეს სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდენი, რომლებიც, თითოეული ჯგუფის აბსოლუტურ სიდიდესთან ერთად, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათებას იძლევიან.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შესაძლებელია სტატისტიკურად გამოისახოს სხვა სახითაც. სახელდობრ, ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდეებით: გამოიანგარიშება, თუ თითოეული ასაკობრივი საფეხურების (ხუთ ან ათწლიანი ჯგუფების) მოსახლეობის რა რიცხვი მოდის ყოველ 100 ან 1000 მცხოვრებზე.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. გარდა სინამდვილეში წარმოუდგენელი ისეთი შემთხვევისა, როდესაც დაბადების შემთხვევევათა რიცხვი წლიდან წლამდე უცვლელი იქნება, მოკვდაობა თანაბრად იქნება განაწილებული ბავშვობის ასაკიდან ბოხუცებულობის ასაკამდე და ადგილი არ ექნება მიგრაციით გამოწვეულ ცვლილებებს. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს როგორც დაბადების შემთხვევეათა მეტ-ნაკლებობას, ისე მეტ-ნაკლებ მოკვდაობას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. გარდა ამისა, მიგრაციით გამოწვეულ მოვლენებს საგრძნობი ცვლილებები შეაქვთ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში და იწვევენ მის გადახრას ამა თუ იმ მიმართულებით.

მოსახლეობის სტრუქტურა, ამრიგად, შემდეგ ფაქტორთა უშუალო ზეგავლენით განისაზღვრება:

ა. დაბადების შემთხვევათა რიცხვით. რამდენადაც მეტია ეს რიცხვი, მით უფრო მრავალრიცხოვანია დაბალი ასაკის მოსახლეობა და პირიქით;

ბ. მოკვდაობის ინტენსიურობით. რამდენადაც მაღალია ეს ინტენსიურობა მოსახლეობის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში, მით უფრო ნაკლებია ამ ჯგუფთა შეფარდებითი სიდიდე მოსახლეობის დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით;

გ. მოსახლეობის მიგრაციით. მიგრაციულ მოვლენებს შეუძლია სხვადასხვა მიმართულებით მოახდინოს გავლენა მოსახლეობის ასაკობრივ შედგენილობაზე: ქვეყნისა ან კუთხისათვის, საიდანაც მიგრაციული ტალღა მოდის; ეს ცვლილება სხვა ხასიათს ატარებს, ვიდრე იმ ქვეყნისა და კუთხისათვის, სადაც ეს ტალღა მიდის.

ყველა აღნიშნულ ფაქტორთა — დაბადების, მოკვდაობის და მიგრაციის — მოქმედების შედეგად მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს და შემდეგნაირად გამოისახოს:

ა. პირამიდული ანუ წესიერი სამკუთხედის ფორმა. მოსახლეობის ასეთი ასაკობრივი სტრუქტურა იმის აღმნიშვნელია, რომ დაბადების შემთხვევები ჭარბობს გარდაცვალების შემთხვევებს და მოსახლეობის რიცხვი პროგრესულად მატულობს, ხოლო მოკვდაობა თანაბარზომიერად არის განაწილებული თანამიმდევრულ ასაკობრივ საფეხურებში. პირამიდის ფუძეს ქმნის უდაბლესი ასაკის მოსახლეობა (ბავშვები), ხოლო მის წვეტვალს — უხნიერესი ასაკის მოსახლეობა.

ბ. ზარისებური ფორმა. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა აქ იმით ხასიათდება, რომ დაბალი ასაკობრივი ჯგუფები შედარებით მცირეა, უმნიშვნელოდ მცირდება უმცროს და საშუალო ასაკობრივ ჯგუფთა წილი, ხოლო შედარებით მრავალრიცხოვანია მაღალი (მოხუცი) ასაკობრივი ჯგუფები. მოსახლობის მატება აქ მეტად უმნიშვნელოა.

გ. ანორმალური ფორმები. გრაფიკულად ეს ფორმები შეიძლება გამოისახოს ბოლქვისებურად, ან თითისტარისებურად, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურში მოსახლეობის რაოდენობრივ-ნაკლებობას ექნება ადგილი, რასაც მეტწილად მიგრაციული მოვლენები იწვევს (მაგ., სოფლის მოსახლეობის დენა ქალაქად).

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ზემოაღნიშნული ფორმების დადგენა წმინდა სახით, რა თქმა უნდა, იშვიათად თუ არის შესაძლებელი. ფაქტიურად ეს ფორმები სახეცვლილებას განიცდიან, ვინაიდან მოსახლეობის ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილება სინამდვილეში ფრიად მრავალგვარი კომბინაციით ხდება.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, ასაკობრივ ჯგუფებად დანაწილება ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით ხდება, თუ ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან გეოგრაფიული ერთეულების მიხედვით.

მოსახლეობის ასაკობრივი დანაწილება შეიძლება დაუკავშირდეს სხვა დემოგრაფიულ ნიშნებს, რომლებთან კომბინაცია შესაძლებელს ხდის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა იქნეს შესწავლილი ამ ნიშნებთან კავშირში. ასაკთან კომბინირებულ ასეთ ნიშანთაგან უნდა აღინიშნოს: სქესი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ეროვნება, წერაკითხვის ცოდნა და სხვა..

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დროის მიხედვით ცვლილებების შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი ხერხი:

ა. ერთი მეორეს დაუპირისპირდება ერთი და იგივე ასაკის პირთა რიცხვი, მიღებული სხვადასხვა დროს ჩატარებული აღწერების შედეგად. ასეთი ხერხი საშუალებას იძლევა გამოირკვეს წლიური კონტინგენტების პროგრესული კლება, რაც მით უფრო თვალსაჩინო იქნება, რაც უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ მიგრაციული მოვლენები;

ბ. ერთი მეორეს დაუპირისპირდება მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც რამდენიმე თარიღისათვისაა მიღებული დაჯგუფების ერთი და იგივე ინტერვალის დაცვით.

სსრ კავშირის მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობა 1939 წლის 17 იანვრის აღწერის მიხედვით (შორეული ჩრდილოეთის მოსახლეობის ჩაუთვლელად) ასეთი იყო:

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობის რიცხვი	პროცენტულად ჯამისადმი
7 წლამდე . . .	31.412.232	18,6
8—11 წლამდე .	16.409.098	9,7
12—14 „ .	13 336.151	7.9
15—19 .	15.124.176	8.9
20—29 .	30.639.041	18,0
30—39 .	25.332.993	14,9
40—49 „ .	15.235.864	9,0
50—59 „	10.867.408	6.4
60 წლისა და მეტი ხნის	11.129.290	6.6
ასაკი ნაჩვენები არ იყო	32.874	0,0
სულ .	169.519.127	100.0

ამრიგად, 1939 წლის აღწერის მონაცემებით სსრ კავშირის მოსახლეობის 45,1 %-ს შეადგენდნენ ასაკობრივი ჯგუფები 19 წლის ასაკამდე. ეს, თავის მხრით, იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ახალგაზრდა მოსახლეობაა, რაც აიხსნება შობადობის მაღალი დონით. მოსახლეობის ასეთ ასაკობრივ შედგენილობას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ზრდის შემდგომი პერსპექტივებისათვის.

§ 6. მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობა (მოსახლეობის დანაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით)

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლისას საჭიროა, სხვა სოციალურ ნიშანთა შორის, გაირკვეს აგრეთვე მოსახლეობის დანაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. ამა თუ იმ პირის ოჯახური მდგომარეობა განისაზღვრება მისი დამოკიდებულებით (დადებითი ან უარყოფითი) ქორწინების იურიდიული ინსტიტუტისადმი. ფაქტიურ მდგომარეობას ან რელიგიური წესით მომხდარ ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს, რის გამო ქორწინების ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს მისი რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში. ქორწინების ასეთი რეგისტრაცია წარმოებს როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის მიზნით (ნ. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი, 1947, მუხლ. 1, 2).

მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის შესწავლას სოციალისტურ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: აქ შექმნილია ახალი, სოციალისტური ოჯახი, რომელიც თავისი სოციალური საფუძვლებით და ხასიათით ძირეულად განსხვავდება წინანდელ საზოგადოებრივ ფორმაციათა, კერძოდ — კაპიტალიზმის პირობებში არსებული ოჯახებისგან. ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ფორმაციათა პირობებში, კერძო საკუთრების საფუძველზე შექმნილ ურთიერთობათა გამო, განვითარდა და გაძლიერდა უთანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის, დამყარდა ქალის დამოკიდებული და მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობა ოჯახში. ამ ურთიერთობამ კიდევ უფრო მახინჯი ფორმა მიიღო კაპიტალიზმის პირობებში, როდესაც ოჯახში გაბატონდა დაგროვების კულტი, რამაც განსაზღვრა ძირითადად ქორწინებითი ურთიერთობა. ქორწინების გაბატონებულ ფორმად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თუმცა მონოგამია დარჩა, მაგრამ ფაქტიურად იგი დაუკავშირდა თავისებური ფორმის „ჯგუფობრივ ქორწინებას“ — პროსტიტუციას

და კონკუბინატს. კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ოჯახმა წარმოშვა მამაკაცისა და ქალის უთანასწორობა, ქალის ორმაგი ჩაგვრა — კლასობრივად და უთანასწორო ოჯახური მდგომარეობით.

საზოგადოების ეკონომიური საფუძვლების ცვლილება, ყველა სახის ექსპლოატაციისა, ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა ქმნის ერთადერთ ნამდვილ პირობას მაღალი ტიპის ოჯახის შესაქმნელად. ასეთი პირობები შექმნილია ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ოჯახის ხასიათი, საზოგადოებრივი ფუნქციები და როლი სრულიად ახალ საფუძვლებზეა აგებული. საბჭოთა ოჯახის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს, წინააღმდეგ კაპიტალიზმის კერძო-საკუთრებითი ურთიერთობისა. მეურნეობის სოციალისტური სისტემა, დამყარებული საზოგადოებრივ საკუთრებაზე. მის საზოგადოებრივ საფუძველს კი შეადგენს ადამიანთა შორის არსებული სოციალისტური ურთიერთობა. ბურჟუაზიული საზოგადოების ინდივიდუალიზმის ნაცვლად აქ ბატონობს მეგობრული თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის პრინციპი როგორც შრომაში, ისე ოჯახურ ცხოვრებაში. სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს იშრომოს თავისი უნარის მიხედვით და თანასწორი უფლება აქვს მიიღოს თავისი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამიტომ მამაკაცი და ქალი აქ თანასწორი უფლებით სარგებლობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ თანასწორი უფლება აქვთ ოჯახშიც.

საბჭოთა ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს მის შრომისუნარიან წევრთა პირადი შრომა. ასეთ შრომის მონაწილეა მამაკაცთან ერთად ქალიც, რომელიც საზოგადოებრივი შრომის მოავალფეროვან დარგებშია ჩაბმული. ეს გარემოება თავის დადებით გავლენას ახდენს ოჯახის წევრთა და პირველ რიგში -- მეუღლეთა ურთიერთობაზე. ეს ურთიერთობა აქ ემყარება ნამდვილ ადამიანურ გრძნობას, თავისუფალს ყოველგვარი კერძო-საკუთრებითი მოსაზრებებისაგან, ემყარება საზოგადოებრივ და პირად ინტერესთა ერთიანობას და პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოების წინაშე — აღზარდონ კომუნიზმის აქტიურ, შეგნებულ მშენებელთა, საბჭოთა პატრიოტების ახალი თაობა.

პარტია და მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობენ საბჭოთა ოჯახის განმტკიცებას და ახალ საფუძველზე დამყარებული ურთიერთობის განვითარებას ოჯახის შიგნით. ამ მიზნით სსრ კავშირში მთელი რიგი საკანონმდებლო ღონისძიებებია გატარებული: მოქმედებს საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი, რო-

მელსაც ახალ საფუძვლებზე აწესრიგებს ქორწინების ინსტიტუტს და საოჯახო ურთიერთობას; 1936 წ. ივნისის კანონით გადიდებულია მატერიალური დახმარება მშობიარეთათვის, დაწესებულია სახელმწიფო დახმარება მრავალწევრიან მეოჯახეთათვის და გაფართოებულია ქსელი სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების და საბავშვო ბაღებისა; 1944 წ. 8 ივლისის ბრძანებულებით გადიდებულია სახელმწიფო დახმარება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, გაძლიერებულია დედისა და ბავშვის დაცვა, დაწესებულია „გმირი დედის“ საპატიო წოდება, „სახელოვანი დედის“ ორდენი და „დედობის მედალი“; შექმნილია საზოგადოებრივი კვების ფართო ქსელი ქალის გასათავისუფლებლად ოჯახური შრომის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან და სხვ.. ყოველივე ეს იწვევს სოციალისტური ოჯახის ზრდას და განმტკიცებას.

მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის სტატისტიკურ შესწავლას ორი ძირითადი ამოცანა აქვს: ა) გამოარკვიოს ქორწინების ინსტიტუტის ფაქტიური შედეგები არსებულ მოსახლეობაში დროის განსაზღვრული მომენტისათვის; ბ) გამოიყენოს მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური დახასიათებისათვის, სხვა ნიშნების მიხედვით მოსახლეობის დიფერენციაციასთან კავშირში.

მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის სტატისტიკური დახასიათება შეიძლება მიღებულ იქნეს ოჯახური მდგომარეობის სხვადასხვა ჯგუფთა (დაქორწინებულთა, დაუქორწინებელთა და — უკეთუ პირველადი მასალა ამის საშუალებას იძლევა, — აგრეთვე განქორწინებულთა და ქვრივთა) წილის გამორკვევით მოსახლეობაში. ასეთი წილი შეიძლება გამოირკვეს, ჯერ ერთი, მთელი მოსახლეობის მიმართ. მაგრამ ასეთ მაჩვენებელზე, ბუნებრივად, არსებით გავლენას მოახდენს მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობა: ბავშვობის ასაკის მოსახლეობის დიდი რიცხვი გაზრდის დაუქორწინებელთა წილს, ხოლო მოხუცი ასაკის მოსახლეობის დიდი რიცხვი — ქვრივთა წილს. მიუხედავად ამისა, ასეთი ზოგადი მაჩვენებელი მაინც ერთგვარი მნიშვნელობისაა პირველადი ზოგადი და საორიენტაციო დახასიათებისათვის.

უფრო სწორი მაჩვენებლის მისაღებად საჭირო იქნება მოსახლეობის საერთო რიცხვს გამოაკლდეს ბავშვობის ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხვი, უფრო სწორად — გამოაკლდეს მოსახლეობა, რომელსაც არ მიუღწევია საქორწინო ასაკისათვის: მამაკაცე-

ბი — 18 წლის, ხოლო ქალები — 16 წლის ასაკამდე. ამის შემდეგ გამოიანგარიშება ოჯახური მდგომარეობის თითოეული ჯგუფის წილი საქორწინო ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხვში.

მაგრამ ასეთი მაჩვენებელიც არ მოგვცემს მთლად სწორ დახასიათებას, ვინაიდან აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: თუ მოსახლეობა ადრიან ასაკში ქორწინდება, მაშინ მოსახლეობაში აღმოჩნდება ქორწინებაში მყოფთა მეტი წილი, ვიდრე მაშინ, როდესაც ქორწინებაში შესვლა შედარებით გვიანდელ ასაკში ხდება.

ამიტომ ოჯახობრივი შედგენილობის სწორი დახასიათებისათვის საჭიროა გაირკვეს ოჯახური მდგომარეობა ასაკთან დაკავშირებით; ოჯახური მდგომარეობის სხვადასხვა ჯგუფთა წილი უნდა გამოირკვეს მოსახლეობის თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის. ასეთი წილი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ყოველი ასაკობრივი საფეხურისათვის ცალ-ცალკე, რაც მრავალრიცხოვანი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შექმნას გულისხმობს. ამიტომ უფრო თვალსაჩინო გამოსახულებისათვის ასაკობრივი ჯგუფები შეიძლება გამსხვილდეს — აღებულ იქნეს ხუთწლიანი ან ათწლიანი ასაკობრივი ჯგუფები.

მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისას შეიძლება, აგრეთვე ამოცანად იქნეს დასახული, გაირკვეს იმ მოსახლეობის წილი, რომელიც არაა ქორწინებაში შესული საამისოდ შესაბამისი დროის განმავლობაში, ე. ი. გაირკვეს მოსახლეობის ცელიბატი (უქორწინობა), როგორც სოციალური მოვლენა. ამ მიზნით საჭიროა გამოირჩეს მოსახლეობის რიცხვი განსაზღვრულ ასაკს ზევით და გაირკვეს დაუქორწინებელთა (როგორც წინათ, ისე ამჟამად ქორწინებაში არმყოფთა) წილი მასში. ასეთ ასაკობრივ საზღვრად აღებული უნდა იქნეს არც იმდენად დაბალი ასაკი, რომ მიღებულ მაჩვენებელზე გავლენა არ იქონიოს ნაგვიანევი ქორწინების შემთხვევებმა; მაგრამ ასეთ საზღვრად არც მეტისმეტად მაღალი ასაკია გამოსადეგი, ვინაიდან მოსახლეობის ამ ჯგუფზე გავლენას მოახდენს მოკვდაობის შედარებით მაღალი დონე, რის მეოხებით შეიძლება ცელიბატი მეტად დაბალი აღმოჩნდეს. ამიტომ ასეთ საზღვრად რიგ შემთხვევაში ორმოცდაათწლიან ასაკს იღებენ.

სსრ კავშირის მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის დახასიათებისათვის ვრცელ მასალას იძლევიან 1926 წ. 17 დეკემბრისა და 1939 წ. 17 იანვრის აღწერები. 1926 წ. აღწერის პროგრამა (პირადი ფურცლის მე-8 კით-

ხვა) ითვალისწინებდა ოჯახური მდგომარეობის დაწვრილებით რეგისტრაციას, ხოლო ამავე აღწერის საოჯახო ბარათით ვრცლად იყო გარკვეული ოჯახი და მისი შემადგენლობა (ნ. ზევით. 11 თავი, § 3). ამ აღწერის მასალების დამუშავებისას ოჯახური მდგომარეობა გარკვეულ იქნა მოსახლეობისათვის 15 წლის ასაკის ზევით და, ამას გარდა, იგი დაუკავშირდა რიგ სხვა ნიშნებს (სქესს, ეროვნებას და სხვ.). საოჯახო ბარათის საფუძველზე მოპოვებული მასალის დამუშავებისას გაირკვა: ოჯახის შემადგენლობა ოჯახის უფროსის სქესის და მოსაქმეობის მიხედვით, ოჯახის საშუალო რიცხობრივობა, მისი სოციალური შემადგენლობა, ოჯახის ტიპი (საქორწინო წყვილთა რაოდენობის მიხედვით), ქორწინების ხანგრძლივობა და სხვ..

1939 წ. აღწერა მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობის გასარკვევად ითვალისწინებდა ორ კითხვას: „დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი" (1-ლი კითხვა) და „ქორწინებაში იმყოფება თუ არა" (მე-9 კითხვა). ამ უკანასკნელი კითხვის რეგისტრაცია ხდებოდა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, ქორწინება სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში იყო რეგისტრირებული თუ არა.

§ 7. მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა

მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის სტატისტიკური შესწავლა ემყარება ი. სტალინის მოძღვრებას ერის შესახებ. ერი, — თანახმად სტალინური განსაზღვრისა, — არის არა უბრალო ისტორიული კატეგორია, არამედ ისტორიული კატეგორია განსაზღვრული ეპოქისა, — აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქისა. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ერების ჩამოყალიბების პროცესს წარმოადგენს.

„ერი არის, როგორც განმარტავს ი. სტალინი, — ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა" (თხზულებანი, ტ. 2, 1947, გვ. 319).

ამრიგად, ერი, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანთა განსაზღვრული ერთობა, რაც არ წარმოადგენს არც რასულ და არც ტომობრივ ერთობას. იგი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა. მაგრამ ნაციონალური ერთობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე და ასეთ ენად ნაგულისხმევი უნდა იყოს არა ოფიციალურ-საკანცელარიო ენა, არამედ სახალხო-სალაპარაკო ენა. ენის ერთობა ერის დამახასიათებელი პირველი ნიშანთაგანია.

მაგრამ გარდა ენის ერთობისა, ერის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს აგრეთვე ტერიტორიის ერთობა. ერი ყალიბდება მხოლოდ ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად თაობიდან თაობამდე. ხანგრძლივი ერთად ცხოვრება კი საერთო ტერიტორიის გარეშე შეუძლებელია.

ენის და ტერიტორიის ერთობის გარდა ერის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთელად ამჭიდროებს. შინაგანი ეკონომიური კავშირი კი, თავის მხრივ, ნიშნავს შრომის დანაწილებას სხვადასხვა ოლქებს შორის, მიმოსვლის საშუალებათა განვითარებას, სამეურნეო კარჩაკეტილობის ნაცვლად ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას და სხვ..

ერის დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს, ზემოაღნიშნულთა გარდა, აგრეთვე ერთად გაერთიანებულ ადამიანთა სულიერი სახის თავისებურებანი, თავისებური ფსიქიკური წყობა, გამოსახული კულტურის თავისებურებაში. ეს თავისებური ფსიქიკური წყობა ანუ „ნაციონალური ხასიათი“ არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არამედ იცვლება ცხოვრების პირობებთან ერთად. იგი თავის დაღს ასვამს ერის სახეს, რამდენადაც ყოველ მოცემულ მომენტში არსებობს.

არცერთი ზემოაღნიშნული ნიშანი, ცალკე აღებული, საკმარისი არ არის ერის განსაზღვრისათვის. საკმარისია ერთი მათგანი გამოვრიცხოთ, რომ ერის განსაზღვრა დამახინჯდეს. ერს გვაძლევს მხოლოდ ყველა ნიშანი, ერთად აღებული. „...სინამდვილეში ერის არავითარი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ნიშანთა ჯამი, რომელთაგან ერების ურთიერთშედარებისას უფრო რელიეფურად იჩენს თავს ხან ერთი ნიშანი (ნაციონალური ხასიათი), ხან მეორე (ენა), ხან მესამე (ტერიტორია, ეკონომიური პირობები). ერი წარმოადგენს ერთად აღებული ყველა ნიშნის შეერთებას“ (თხზ., ტ. 2, 1947, გვ. 324).

ერის შესახებ მოძღვრება კიდევ უფრო განავითარა ი. სტალინმა შემდგომ, წამოაყენა და დაასაბუთა რა მოძღვრება სოციალისტური ერების შესახებ და იმ პრინციპული სხვაობის შესახებ, რაც არსებობს ბურჟუაზიულ ერებსა და სოციალისტურ ერებს შორის.

წინაკაპიტალისტურ პერიოდში ერის ცალკეული ელემენტები (ენა, ტერიტორია, კულტურული ერთობა და სხვ.) არსებობდნენ და თანდათანობით იქმნებოდნენ. მაგრამ ეს ელემენტები ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მხოლოდ პოტენციას წარმოადგენდნენ იმისათვის, რომ მომავალში, განსაზღვრულ პირობებში ერი ჩამოყალიბებულიყო. ეს პოტენცია სინამდვილედ იქცა მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პერიოდში, როცა შეიქმნა ნაციონალური ბაზარი, ეკონომიური და კულტურული ცენტრები. ეს ერები ბურჟუაზიული ერებია, ვინაიდან მათი ბედი დაკავშირებულია კაპიტალიზ-

მის ბედთან. ასეთ ერებს მიეკუთვნებიან, მაგ., რუსი, უკრაინელი, თათარი, სომეხი, ქართველი და სხვა ერები რუსეთში მანამდე, ვიდრე ჩვენში საბჭოთა წყობილება დამყარდებოდა.

მაგრამ არიან ახალი, საბჭოთა ერები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე რუსეთში კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ, საბჭოთა წყობილების დამკვიდრების შემდეგ. ეს ერები სოციალისტური ერები არიან. ისინი გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი, ვინაიდან თავისუფალი არიან შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებისაგან და საერთო-სახალხონი არიან გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი. ასეთი „...სოციალისტური ერები საბჭოთა კავშირში — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, თათარი, ბაშკირი, უზბეკი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი და სხვა ერები — ძირეულად განსხვავდებიან ძველი რუსეთის შესაბამისი ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სახით, ისე თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებითა და მისწრაფებით“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, 1950. გვ. 376).

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად სსრ კავშირში მოისპო უთანასწორობა, რომელიც არსებობდა რუსეთის წინწასული ხალხებისა და მათგან ჩამორჩენილი განაპირა მხარეების ხალხების განვითარებაში. საბჭოთა კავშირში ამჟამად აღარ არიან ჩამორჩენილი ხალხები. ხუთწლედების განმავლობაში, სოციალისტური მშენებლობის შედეგად სოციალისტურმა ერებმა სრულიად შეიცვალეს სახე და განვითარდნენ მოწინავე სოციალისტურ ერებად.

მოძღვრებას სოციალისტური ერების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული სტატისტიკისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის შედგენილობა შეისწავლოს ნაციონალურ ნიშნის მიხედვით და ნათელყოს სტატისტიკურ მონაცემთა საშუალებით ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების კონკრეტული შედეგები.

მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის სტატისტიკური შესწავლა ემყარება ჩვენში ამ ნიშნის გარკვევას სრულიად ნებაყოფლობით საფუძველზე: ამა თუ იმ ეროვნებისადმი კუთვნილების საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში გადაიჭრება თითოეული პირის თავისუფალი ნების მიხედვით (ნ. ამის შესახებ ზევით, II თავი, § 2). ამით საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა ძირეუ-

ლად განსხვავდება ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკისაგან, სადაც ეროვნული კუთვნილების საკითხი ჩვეულებრივ უკავშირდება ერთადერთ ნიშანს — ენას და ამ ნიშნის საფუძველზე ხდება მოსახლეობის დიფერენციაცია ეროვნული კუთვნილების მიხედვით. ბურჟუაზიული სტატისტიკა ამ გზით ცდილობს მიიღოს მონაცემები, რომლებიც მოგვაჩვენებენ, რომ გაბატონებული ერი ამავე დროს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერია. ამ მიზნით იგი იყენებს გაბატონებული ერის ენის უფრო ფართოდ გავრცელების ფაქტს იმის დასასაბუთებლად, რომ ამ ერის რიცხობრიობა მისი ენის გავრცელების სიდიდეს შეესაბამება.

მაგრამ ბურჟუაზიული სტატისტიკა რიგ შემთხვევაში ეროვნული კუთვნილების საკითხის ნაცვლად ცდილობს გაარკვიოს მოსახლეობის შედგენილობა რასისა ან კანის ფერის მიხედვით და, ამრიგად, სრულიად მახინჯი სახე მიცეს მოსახლეობის ნაციონალური შედგენილობის შესწავლას დისკრიმინაციული მიზნებით

საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის ნებაყოფლობით საფუძველზე გარკვევისას ამოცანად ისახავს მოგვცეს სსრ კავშირის, როგორც 60-ზე მეტი ერის, ეროვნული ჯგუფის და ეროვნების შემცველი სახელმწიფოს, ხალხთა ნაციონალური კულტურისა და ეკონომიკის განვითარების სურათი.

ეროვნული კუთვნილებისა და ენის საკითხი საბჭოთა დემოგრაფიულ სტატისტიკაში ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არის დასმული, ვინაიდან იგი იმ დებულებიდან გამოდის, რომ ეროვნება და ენა ერთი და იგივე არ არის. რომ ეროვნული კუთვნილების საკითხი არ შეიძლება გადაიკრას ეთნიური წარმოშობისა ან მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშნების საფუძველზე. ეს იმით აიხსნება, რომ ეროვნული კუთვნილების ნიშანი ბუნებრივი ნიშანი კი არ არის, არამედ სოციალური ნიშანია, რის გამო იგი თვით დასაკითხი პირის თავისუფალ, ნებაყოფლობით თვითგამორკვევას უნდა ემყარებოდეს.

მოსახლეობის დანაწილებას ეროვნული შედგენილობის მიხედვით საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნებათა ეცნიერულად დამუშავებული კლასიფიკაცია, დამყარებული ლენინურ-სტალინურ მოძღვრებაზე ერის შესახებ. ასეთი კლასიფიკაციის საფუძველზე უნდა მოხდეს ცალკეულ პირთა მიკუთვნება ეროვნული ჯგუფებისადმი. ცალკეული ეროვნული ჯგუფების მაჩვენებელი აბსოლუტური სიდიდენი იმავდროულად უნდა გამოისახოს სტრუქტურის შეფარდებით სიდიდეებში, რათა გაირკვეს თითოეული ჯგუფის წილი მოსახლეობის საერთო რიცხვში.

მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის მაჩვენებლები საჭიროა დაუკავშირდეს რიგ დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ნიშნებს და მოხდეს მათი კომბინირებული დამუშავება. მაგალითად, ასეთ ნიშნებად შეიძლება აღებულ იქნეს დედა-ენა, წერა-კითხვის ცოდნა და სხვ., რომელთა კომბინაცია ეროვნული კუთვნილების ნიშანთა, შესაძლებელს გახდის გაირკვეს რიგი დემოგრაფიულ-სტატისტიკური საკითხები.

ეროვნული შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისას მნიშვნელობა აქვს მონაცემთა დეტალიზაციას ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ერთეულების მიხედვით, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო ადვილი გახდება ცალკეულ ეროვნებათა ჯგუფების დასახლებისა და განლაგების პირობების შესწავლა.

ეროვნული კუთვნილების ნიშნისაგან დამოუკიდებლად შეიძლება შესწავლას დაექვემდებაროს სახელმწიფოსადმი კუთვნილების ნიშანი (ქვეშევრდომობა). ასეთი შესწავლა ინტერესს შეიცავს როგორც ზოგად-მეცნიერული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ ნიშნის გარკვევის გზით შეისწავლება მოსახლეობის შედგენილობის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი კომპაქტურობის დონე. ადგილის მიხედვით შესწავლა ამ კითხვისა შესაძლებელს გახდის გამოირკვეს მოსახლეობის შედგენილობა ქვეშევრდომობის მიხედვით მსხვილ ცენტრებში და საზღვრისპირა რაიონებში და დადგენილ იქნეს, რამდენად დიდია ადგილობრივი მოსახლეობის ინფილტრაცია უცხო-ქვეშევრდომული ელემენტებით. სათანადო დინამიკური მაჩვენებლები კი წარმოდგენას მოგვცემენ იმის შესახებ, თუ როგორია უცხო ელემენტების შემადგენლობის ცვლილება მოსახლეობაში.

სსრ კავშირის მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა 1939 წლის აღწერის თანახმად (შორეული ჩრდილოეთის მოსახლეობის გარეშე, 1939 წ. 17 იანვარს საბოგადოებაში) ასეთი იყო:

ეროვნებანი	აბსოლუტ. (ათასობით)	პროცენტობით ჯამის მიმართ
რუსი . . .	99.019,9	58,41
უკრაინელი .	28.070,4	16,56
ბელორუსი .	5.267,4	3,11
უზბეკი . .	4.844,0	2,86
თათარი .	4 300,3	2,54
ყაზახი .	3.098,8	1,83
ებრაელი .	3.020,1	1,78

ეროვნებანი	აბსოლუტ. (ათასობით)	პროცენტობით ჯამის მიმართ
აზერბაიჯანელი .	2.274,8	1.34
ქართველი .	2.248,6	1,33
სომეხი .	2.151,9	1.27
მორდველი .	1.451,4	0,86
ჩუვაში	1.367,9	0,81
ტაჯიკი .	1.2[illegible]9,0	0,72
ყირგიზი . . .	884,3	0,52
დაღისტნის ხალხები .	857,4	0,50
ბაშკირი	842,9	0.50
თურქმენი	811,8	0,48
პოლონელი .	626.9	0,37
უდმურტი .	605,7	0,36
მარიელი	481,3	0.28
კომი	408.7	0,24
ოსი .	354,5	0.21
მოლდაველი .	260,0	0,15
კარელი	252.6	0,15
ყარაკალფაკი .	185.8	0,11
კორეელი	180,4	0,11
ყაბარდოელი .	164.1	0,10
ფინელი .	143,1	0.08
ესტონელი . .	142,5	0,08
ლატვიელი და ლატგალელი	126,9	0,07
ბულგარელი . .	113,5	0,07
ადიღე .	88,0	0 05
აფხაზი .	59,0	0,03
ბაკასი .	52,6	0,03
ოიროთი .	47,7	0.03
ქურთი	45,9	0,03
ლიტველი .	32.3	0.02
ჩინელი . .	29,6	0,02
ჩეხი და სლოვაკი	26,9	0,02
არაბი .	21,8	0,01
ასირიელი .	20,2	0,01
სხვები .	3.308,2	1,93

1939 წლის აღწერის შემდეგ მომხდარი ტერიტორიული ცვლილებების შედეგად სსრ კავშირის მოსახლეობის ეროვნულმა შედგენილობამ საგრძნობი ცვლილება განიცადა. მნიშვნელოვნად გაიზარდა უკრაინელთა რიცხვი სსრ კავშირის შემადგენლობაში დასავლეთ უკრაინის (1939 წ. ნოემბერი), ჩრდილოეთი ბუკოვინის (1940 წ. ივნისი) და კარპატის მიღმა უკრაინის (1945 წ. ივნისი) შესვლით. სსრ კავშირისათვის ბესარაბიის დაბრუნების (1940 წ. ივნისი) შემდეგ გაიზარდა მოლდაველთა რიცხვი. დასავლეთ ბელორუსიის შემოერთების შემდეგ (1939 წ. ნოემბერი) გაიზარდა აგრეთვე ბელორუსების რიცხვი. 1940 წ. აგვისტოში ბალტიისპირა სახელმწიფოების სსრ კავშირის შემადგენლობაში მიღების შემდეგ გაიზარდა რიცხვი: ლატვიელებისა — 1,5 მლნ.-ით (1935 წ.), ლიტველებისა — 2 მლნ-ით (1936 წ. დაახლ. და ესტონებისა 2 მლნ.-ით (1930 წ.).

სსრ კავშირის ერთაგან განსაკუთრებით მრავალრიცხოვან ერს წარმოადგენს

რუსი ერი: იგი შეადგენს სსრ კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვის 58%-ს (1939 წ. აღწერის მონაცემებით).

საქართველოს სსრ მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა 1939 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ასეთი იყო (%-ით მოსახლეობის საერთო რიცხვისადმი):

ეროვნებანი	%%-ით ჯამისადმი
ქართველი	61,4
სომები	11 7
რუსი	8,7
აზერბაიჯანელი	5,3
ოსი	4,2
დანარჩენნი	8,7
	100,0

§ 8. მოსახლეობის შედგენილობა დედა-ენის მიხედვით

მოსახლეობის სტატისტიკურ შესწავლას ენობრივი ნიშნის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ი. სტალინმა თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" განავითარა და გააღრმავა ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, მარქსისტული გაგება, ყოველმხრივ ახსნა ენის საზოგადოებრივი ფუნქცია, მისი არსი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისათვის.

ენა, — როგორც გვასწავლის ი. სტალინი, — არ შეიძლება მივიჩნიოთ ბაზისის ზედნაშენად. ენისა და ზედნაშენის ერთმანეთში არევა სერიოზული შეცდომაა. ბაზისის შეცვლისა და მოსპობისას იცვლება და ისპობა მისი ზედნაშენი. ახალ ბაზისს მისი შესაბამისი ზედნაშენიც თან ახლავს. ენა კი ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენა, მიუხედავად ბაზისის ცვლილებისა, ძირითადად იგივე რჩება, რაიმე სერიოზულ ცვლილებას არ განიცდის.

ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ რაკი ზედნაშენი ჩნდება, იგი აქტიური ძალა ხდება ბაზისის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ამ მხრივაც ენა ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენას წარმოშობს არა ესა თუ ის ბაზისი, არამედ „...საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობა. ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალღონით. იგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ იგი შექმნი-

ლია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა“ (ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 5—6). ამიტომ ენა თანაბრად ემსახურება ყველა კლასს, მთელ საზოგადოებას. იგი, ისევე როგორც წარმოების იარაღი, განურჩეველია კლასებისადმი.

ზედნაშენი ერთი ეპოქის პროდუქტია. იგი ისპობა და ქრება სათანადო ბაზისის მოსპობასა და გაქრობასთან ერთად. ენა აქ ძირივაც განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენა პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება და იხვეწება. ბაზისისა და ზედნაშენის ცვლა, მათი წარმოშობა და ლიკვიდაცია არ იწვევს ისტორიაში ამა თუ იმ ენის ლიკვიდაციას, მისი სტრუქტურის ლიკვიდაციას, ახალი ლექსიკური ფონდისა და ახალი გრამატიკული წყობის მქონე ახალი ენის წარმოშობას.

ზედნაშენი უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან. იგი მხოლოდ არაპირდაპირ, ეკონომიკის მეშვეობით, ბაზისის მეშვეობით არის დაკავშირებული წარმოებასთან. ზედნაშენი საწარმოო ძალთა განვითარების დონის ცვლილებებს ასახავს არა ერთბაშად და არა პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა შემდეგ, ბაზისის ცვლილებებში წარმოების ცვლილებათა ასახვის მეშვეობით. ზედნაშენის მოქმედების სფერო, ამრიგად, ვიწრო და შეზღუდულია. ენა კი უშუალოდ არის დაკავშირებული საწარმოო საქმიანობასთან და საერთოდ ადამიანის ყოველ სხვა საქმიანობასთან, მისი მუშაობის ყველა სფეროში. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ. იგი არ ელოდება ბაზისის ცვლილებებს. ენის მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართოა და მრავალმხრივი, ვიდრე ზედნაშენის მოქმედების სფერო. ეს სფერო თითქმის უსაზღვროა. ამით აიხსნება, რომ ენა, მისი ლექსიკური შემადგენლობა, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება.

ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, განვითარების ყველა ეტაპზე საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის. ენა თანაბრად ემსახურებოდა საზოგადოების წევრებს, მათი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. ტომებისა და ხალხების ენები იყო არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები. კაპიტალიზმის წარმოშობის შემდეგ, როდესაც ხალხები ერებად განვითარდნენ, ხოლო ხალხთა ენები — ეროვნულ ენებად, ეს ეროვნული ენები წარმოადგენენ არა კლასობრივ, არამედ მთელი ხალხის ენებს, ერების წევრებისათვის საერთო და ერთიან ენებს.

„კლასობრივი“ დიალექტები, ჟარგონები, სალონის „ენები“ არ შეიძლება ენებად მივიჩნიოთ, ვინაიდან მათ არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი და მათი მოქმედების სფერო ვიწროა. ამიტომ ეს დიალექტები და ჟარგონები გამოუსადეგარია როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება მთელი საზოგადოებისათვის. ისინი განწირული არიან უბადრუკი არსებობისათვის და მათ არა აქვთ უნარი განდევნონ და შეცვალონ ეროვნული ენა.

ენა და კულტურა არ შეიძლება გაიგივდეს. ისინი სულ სხვადასხვა რამეა. კულტურა შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს და სოციალისტურიც. ენა კი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის საერთო-სახალხო ენაა და შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახურებ-დეს და სოციალისტურსაც.

ი. სტალინი ნათლად აყალიბებს ენის დამახასიათებელ ნიშნებს. ენა ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ. ენა წარმოიშობა და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს.

ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ენა ადამიანთა საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საზოგადოებრივი წარმოების არსებობა შეუძლებელია საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენის არსებობის გარეშე. ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამავე დროს წარმოადგენს საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს.

ენის საფუძველს შეადგენს ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ენა დიდ გამძლეობას იჩენს და ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას, რაც აიხსნება ენის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. ენა, მისი სტრუქტურა, არის არა ერთი რომელიმე ეპოქის პროდუქტი, არამედ იგი მისი გრამატიკული წყობითა და ძირითადი ლექსიკური ფონდით მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია.

ვინაიდან ენაში მთავარია მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, ხოლო ამათი ცვლილება და განვითარება კი მოითხოვს საუკუნეებს, ამიტომ ენის გადასვლა ძველი თვისობრიობიდან ახალში ხდება ახალი სტრუქტურული ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით. ასე-

ვე ენების შეჯვარედინება არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც საუკუნეებით გრძელდება. ორი ენის შეჯვარედინების შედეგად ვიღებთ არა ახალ ენას, არამედ ერთ-ერთი ამათგანი ჩვეულებრივ იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას და ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას თავისი შინაგანი კანონების მიხედვით. დამარცხებული ენა კი თანდათანობით კვდება და მის ხარჯზე მდიდრდება გაბარჯვებული ენა.

ი. სტალინის ზეპოალნიშნული დებულებანი, დასაბუთებული და ილუსტრირებული ფართო და მდიდარი მასალის საფუძველზე, სახელმძღვანელო დებულებებს წარმოადგენენ მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ: ა) სტატისტიკური დაკვირვების დროს საკითხი უნდა დაისვას ენის ცნებისა იმ გაგებით, როგორც ეს მოცემულია ი. სტალინის მოძღვრებით; მაშასადამე, საკითხი უნდა ეხებოდეს საერთო სახალხო ენებს, ეროვნულ ენებს და არა დიალექტებსა და ჟარგონებს; ვიწრო ენათმეცნიერული ინტერესი აქ უკანა რიგზე უნდა იქნეს დაყენებული;

ბ) ენობრივი ნიშნის რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა ეთნიური წარმოშობისა ან მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშნის მიხედვით, არამედ ყოველ ცალკე შემთხვევაში თვით ამა თუ იმ პირის თავისუფალი ნების მიხედვით;

გ) მოსახლეობის დანაწილებას ენობრივი ნიშნის მიხედვით საფუძვლად უნდა დაედოს საერთო-სახალხო, ეროვნული ენები და არა დიალექტები, რომლებიც ენათმეცნიერული თვალსაზრისით ცალკეულ შემთხვევაში იქნებ საინტერესონიც არიან, მაგრამ ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის გამოუსადეგარია;

დ) მოსახლეობის დიფერენციაცია ენის მიხედვით უნდა მოხდეს კომბინირებულად სხვა დემოგრაფიულ ნიშანთან კავშირში, ყოველ შემთხვევაში მთავარ დემოგრაფიულ ნიშნებთან კომბინაციაში.

მოსახლეობის ენობრივი შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისას კითხვა ენის შესახებ ჩვეულებრივ ორი სახით ისმის: ა) ენა, რომელიც მემკვიდრეობით გადაიცემა როგორც ნაციონალური ერთიანობის ნიშანი — დედა-ენა, ოჯახის ენა; ბ) ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა, რომელიც მეტწილ შემთხვევაში თანაემთხვევა დედა-ენას, მაგრამ რიგ შემთხვევაში ამ უკანასკნელისაგან განსხვავებულია.

გარდა ამისა, შესაძლებელია სტატისტიკურ შესწავლას დაექვემდებაროს ენების ცოდნა საერთოდ, რაც მეტად მნიშვნელო-

·ვან მასალას მოგვცემდა კულტურის (კერძოდ — ინტელექტუალუ·
·რი) სტატისტიკისათვის. მაგრამ სათანადო ცნობებისათვის მოპო·
ვება თანამედროვე აღწერების ან სხვა სახის დაკვირვებათა პროგ·
რამაში არ შედის და ამის გამო მასობრივი მასშტაბით ამ კითხვის
გარკვევა ჯერჯერობით განუხორციელებელია.

დემოგრაფიულ სტატისტიკური მიზნით ყველაზე მნიშვნელოვა·
ნია მოსახლეობის შედგენილობის შესწავლა დედა-ენის მი·
ხედვით. ასეთ ენად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთი ენა,
რომელსაც თვით დასაკითხი პირი თვლის თავის დედა-ენად. დე·
და-ენის რეგისტრაცია, ამრიგად, თავისუფალი თვითგა·
მორკვევის პრინციპის თანახმად გადაიჭრება და იგი, გან·
საზღვრულ შემთხვევებში შეიძლება არ თანაემთხვეოდეს ეროვნუ·
ლი კუთვნილების ნიშანს.

დედა-ენის რეგისტრაცია ეხება მოსახლეობის იმ ნაწილსაც,
რომელიც სრულიად არ ლაპარაკობს (მცირეწლოვანი ბავშვები,
ყრუ-მუნჯები). ამათთვის დედა ენის რეგისტრაცია უნდა მოხდეს
იმის მიხედვით, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ იმ ოჯახის წევრნი ან
გარშემო მყოფნი, სადაც ეს პირნი იმყოფებიან.

საბჭოთა სტატისტიკა დედა-ენის რეგისტრაციას აწარმოებს
ყოველგვარი ტენდენციური მისწრაფების გარეშე, დასაკითხი პირის
თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე. ამ მხრით საბჭოთა
სტატისტიკა პრინციპულად სხვა თვალსაზრისზე დგას, ვიდრე ბურ
ჟუაზიული სტატისტიკა. ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატის·
ტიკა ამ კითხვას სვამს მეტწილად ტენდენციური რედაქციით, ცდი·
ლობს რა წინასწარ განსაზღვროს დასმული კითხვის პასუხი. ასეა,
მაგ., დასმული ეს კითხვა აშშ-ის ცენზების პროგრამაში („იცის თუ
არა ინგლისურად ლაპარაკი)".

კიდევ უფრო ტენდენციურია და აშკარად ფალსიფიცირებული
ის მონაცემები, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტა
ტისტიკა იღებს მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის შესახებ
სალაპარაკო ენის რეგისტრაციის გზით. დედა-ენის ნაცვლად
ჩვეულებრივი სალაპარაკო ენის რეგისტრაციის შედეგებს იგი იყე·
ნებს მოსახლეობის ეროვნული დანაწილების მისაღებად და, ამრი·
გად, ხელოვნურად ზრდის გაბატონებული ეროვნების მოსახლეო·
ბის რიცხვს და ამცირებს დანარჩენ ეროვნებათა მოსახლეობის
რიცხვს. ასეთი გაყალბება მას ესაჭიროება იმისათვის, რომ „და·
ასაბუთოს" გაბატონებული ენისა და ერის გავლენის ძალა, მისი
გაფართოება-განვითარება, მისი გამარჯვება იმ ენებზე, რომლებიც
თანდათანობით ასიმილაციას ექვემდებარებიან.

მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობის სტატისტიკურ გარკვევას საფუძვლად უნდა დაედოს ენათა კლასიფიკაცია, გამომუშავებული ენის შესახებ მარქსისტულ ლენინური მოძღვრების საფუძველზე.

მოსახლეობის დანაწილება დედა-ენის მიხედვით უპირველესად უნდა დაუკავშირდეს დანაწილებას ეროვნების მიხედვით, ხოლო შემდეგ ისეთ ნიშნებსაც, როგორიცაა: სქესი, წერაკითხვის ცოდნა და სხვ.. მოსახლეობის ენობრივი შედგენილობის გარკვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნების მიხედვით საშუალებას იძლევა გაირკვეს ამა თუ იმ ენის გავრცელების გეოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვრები.

სტატისტიკურად მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა შეიძლება გამოისახოს: სტრუქტურის შეფარდებით სიდიდეებში — მოსახლეობის საერთო რიცხვიდან რა წილი მოდის იმ მოსახლეობაზე, რომლის დედა-ენად ესა თუ ის ენა ითვლება; ეს სიდიდე შეიძლება აღებულ იქნეს მოსახლეობის საერთო რიცხვისადმი შეფარდების ნაცვლად, აგრეთვე ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის ნოსახლეობამდე, მამრობითი და დედრობითი მოსახლეობისადმი. დედა ენის კომბინირებისას ეროვნული კუთვნილების ნიშანთან შეიძლება გაირკვეს: თითოეული ეროვნების მოსახლეობის საერთო რიცხვიდან რა ნაწილისათვის ითვლება დედაენად საკუთარი ეროვნული ენა და რა ნაწილისათვის — არა საკუთარი ეროვნული ენა. შესაძლებელია ენობრივი შედგენილობის დახასიათებისას გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდენი და მიღებულ იქნეს ამა თუ იმ ენის, როგორც დედა-ენის, გავრცელებულობის სიხშირე პრომილური ან სხვ. გამოსახულებით.

თანამიმდევნო პერიოდებში ჩატარებული აღწერების შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნეს ზოგი დინამიკური მაჩვენებელიც: ამა თუ იმ ენას ან ენათა ჯგუფის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა, ან კლება.

სსრ კავშირის მოსახლეობის დანაწილება დედა-ენის მიხედვით ვრცლად იქნა გატარებული 1926 წლის 17 დეკემბრის აღწერის მასალების საფუძველზე. ამ მასალების დამუშავებისას გამოყენებული კლასიფიკაცია ენებისა 152 დასახელებას შეიცავდა. სსრ კავშირის მოსახლეობის დანაწილება მოცემულ იქნა: ა) დედა-ენის მიხედვით აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეებში დაკავშირებით სხვა ნიშნებთან: სქესთან, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობასთან; ბ) სქესის, ეროვნების, დედა-ენის და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით (აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეებში); გ) ცალკეულ ძირითად ეროვნებათა მოსახლეობა დედა-ენის მიხედვით.

§ 9. მოსახლეობის შედგენილობა მოსაქმეობის მიხედვით. მოსახლეობის დანაწილება სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით

მოსაქმეობის მიხედვით მოსახლეობის შედგენილობის სტატისტიკური შესწავლა საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მოსახლეობის ეკონომიური სტრუქტურა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თვალსაზრისით და გამოვყოთ მოსახლეობის ის ჯგუფები, რომლებიც კონკრეტული სასარგებლო შრომის ცალკეულ დარგებში არიან ჩაბმულნი.

სოციალისტური საზოგადოების წევრთა შრომა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას წარმოადგენს. საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ეს შრომა გეგმიანად ნაწილდება საქმიანობის სხვადასხვა დარგს შორის, ხოლო თითოეულ დარგში იგი განაწილებულია მოსაქმეობის ცალკეულ სახეთა შორის. ამიტომ მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისას გასარკვევია:

ა) მოსახლეობის შედგენილობა მოსაქმეობის მიხედვით, ე. ი. იმ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ცალკეულ სახეთა მიხედვით, რომელთა ერთობლიობა შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ქმნის და ბ) შრომის დარგების მიხედვით.

ამა თუ იმ პირის მოსაქმეობად ითვლება საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც ესა თუ ის პირი მეტნაკლებ ხანგრძლივად ფაქტიურად ეწევა და რაც მას განსაზღვრულ საარსებო სახსარს აძლევს. ამიტომ მოსაქმეობად არ ჩაითვლება ამა თუ იმ პირის პროფესია, რომელსაც იგი თავისი მომზადებით ან პრაქტიკული გამოცდილებით მიეკუთვნება, მაგრამ რომელსაც იგი ფაქტიურად არ ასრულებს. ჩვეულებრივ კი პროფესია და მოსაქმეობა ერთიმეორეს თანაემთხვევა და მოსაქმეობა წარმოადგენს მომზადებით ან გამოცდილებით შეძენილი პროფესიული შრომითი ჩვევების გამოყენებას საქმიანობის კონკრეტულ დარგში.

ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე საქმიანობის შესრულება, რის გამო საჭიროა ერთიმეორისაგან გაირჩეს მთავარი და დამატებითი მოსაქმეობა. მთავარი მოსაქმეობა შეიძლება განისაზღვროს სუბიექტური თვალსაზრისით, როდესაც საკითხი გადაიჭრება დასაკითხი პირის თვითგამორკვევის საფუძველზე ანდა ობიექტური თვალსაზრისით, როდესაც იგი განისაზღვრება მოსაქმეობით მიღებული შემოსავლის სიდიდის მიხედვით.

მოსახლეობის დანაწილება მოსაქმეობის მიხედვით რომ სწო-

რად მოხდეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსაქმეობის დეტალურ რეგისტრაციას: საჭიროა აღინიშნოს არა მარტო მოსაქმეობა საერთოდ, არამედ კონკრეტული სამუშაო, რომელსაც ესა თუ ის პირი ასრულებს. ასეთი დეტალური რეგისტრაცია საფუძველს იძლევა სწორად განისაზღვროს მოსაქმეობის ცალკეული სახეები და მტკიცედ მოხდეს მათი ერთიმეორისაგან გარჩევა.

1939 წლის 17 იანვრის აღწერისას მოსახლეობის მოსაქმეობა ასეთ დეტალურ რეგისტრაციას ექვემდებარება (ნ. ამის შესახებ თავი II, § 2). მოსაქმეობის შესახებ ცნობა უნდა მოეცა ყოველ პირს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სახის მოსაქმეობას ეწეოდა ან რა საარსებო წყარო ჰქონდა. მოსაქმეობის შემთხვევაში საჭირო იყო აღნიშვნა იმისა, თუ, სახელდობრ, რა სახის სამუშაოს ასრულებდა. როდესაც დასაკითხ პირს მოსაქმეობა არ ჰქონდა, მაგრამ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო კი გააჩნდა, მაგ.. პენსია, სტიპენდია და სხვ., საჭირო იყო ამ საარსებო წყაროს აღნიშვნა. იმ პირთათვის, რომელთაც მოსაქმეობა არ ჰქონდათ და არც დამოუკიდებელი შემოსავლის რაიმე წყარო გააჩნდათ, აღინიშნებოდა ის პირი, რომლის კმაყოფაზეც იგი იყოფებოდა, და მისი მოსაქმეობა. ამავე წესით აღიწერებოდნენ დიასახლისები. როდესაც დასაკითხი პირი ერთდროულად რამდენიმე მოსაქმეობას ეწეოდა, უნდა აღნიშნულიყო ამათგან ის, რომელსაც ეს პირი ძირითადად მიიჩნევდა. სეზონური მომუშავეთათვის აღინიშნებოდა ის მოსაქმეობა, რომელსაც დასაკითხი პირი უკანასკნელ სეზონში ასრულებდა, თუ, რა თქმა უნდა, აღწერის მომენტში მას სხვა მოსაქმეობა არ ჰქონდა.

მოსაქმეობის დეტალური რეგისტრაცია უზრუნველყოფს მოსაქმეობის ფართო დახასიათებას და საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარგში ჩაბმული მოსახლეობის კვალიფიკაციის სურათის მიღებას. დინამიკური მაჩვენებლები, მიღებული მოსაქმეობის დეტალური რეგისტრაციის შედეგად, შესაძლებელს გახდის საწარმოო კვალიფიკაციის ზრდა დახასიათდეს შესასწავლ პერიოდში.

ამა თუ იმ სახის მოსაქმეობისადმი მიკუთვნება შეიძლება ორგვარად მოხდეს: აქტიური ან პასიური მოსაქმეობის სახით. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება თვითმოქმედ, ე. ი. უშუალოდ შრომის ამა თუ იმ დარგში მოსაქმე მოსახლეობას, ხოლო მეორეში — არათვითმოქმედ, ე. ი. იმათ ხარჯზე მყოფ მოსახლეობას, რომელნიც აქტიური (თვითმოქმედი) მოსახლეობის ჯგუფს ეკუთვნიან.

მოსახლეობის დანაწილებით თვითმოქმედ და არათვითმოქმედ მოსახლეობად შესაძლებელია გაირკვეს: შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რიცხვიდან რა ნაწილს შეადგენს თვითმოქმედი და არათვითმოქმედი მოსახლეობა; არათვითმოქმედი მოსახლეობიდან რა ნაწილი შეიძლება ჩაებას საზოგადოებრივ შრომაში და, ამრიგად, გარდაიქმნას თვითმოქმედ მოსახლეობად; დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე პირთაგან რა ნაწილი არის ჩაბმული მოსაქმეობის ამა თუ იმ დარგში და რა ნაწილი იღებს შემოსავალს სახელმწიფოდან (პენსიონერები, სტიპენდიატები და სხვ.).

1939 წ. აღწერის მასალების დამუშავებისას სსრ კავშირის მოსახლეობა სამ ძირითად ჯგუფად დანაწილდა მოსაქმეობის მიხედვით: ა) მოსაქმენი საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარგში; ბ) სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კმაყოფაზე მყოფნი (პენსიონერები, სტიპენდიანტები და სხვ.); გ) კმაყოფაზე მყოფი პირნი. ამ სამი ჯგუფიდან აქტიური, ანუ თვითმოქმედი მოსახლეობის ჯგუფს მიეკუთვნება პირველი ჯგუფი, ხოლო დანარჩენი ორი ჯგუფი — პასიური, ანუ არათვითმოქმედი მოსახლეობის ჯგუფს. ამათგან სახალხო შემოსავლის განაწილებაში მონაწილეობს პირველი ორი ჯგუფი, ხოლო მესამე ჯგუფი გადაინაწილებს სახალხო შემოსავლის იმ ნაწილს, რაც პირველი ორი ჯგუფის ხელდრს შეადგენს.

მოსაქმეობის მიხედვით დიფერენციაციის გარდა მოსახლეობა შესაძლებელია სტატისტიკურად შესწავლილ იქნეს „მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ მ ო ს ა ქ მ ე ო ბ ა შ ი“ აქ იგულისხმება მოსაქმე პირის სოციალური მდგომარეობა: არის ის მეპატრონე, არტელის წევრი, ხარტოხელი, მოსამსახურე, მუშა თუ დამხმარე წევრი ოჯახისა, ხოლო მეპატრონე — დაქირავებული მუშებით მომუშავეა თუ საკუთარი ოჯახის წევრების დახმარებით. ეს ნიშანი სსრ კავშირში გარკვეული იყო 1926 წლის აღწერის მასალების საფუძველზე, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყვნენ კაპიტალისტური ელემენტები ქალაქად და სოფლად ადგილი ჰქონდა დაქირავებული შრომის გამოყენებას კერძო მეპატრონეთა მიერ. ამჟამად ასეთი კითხვის მიხედვით მოსახლეობის სტატისტიკურ შესწავლას სსრ კავშირში მნიშვნელობა დაკარგული აქვს. ასევე მნიშვნელობას მოკლებულია ჩვენში მოსაქმეობის სტატისტიკურ შესწავლასთან დაკავშირებული კითხვა: „უმუშევრობა“, რაც სსრ კავშირში ლიკვიდირებულია 1930 წლიდან. მაგრამ ამ კითხვის მიხედვით მოსახლეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული სტა-

ტისტიკა ყოველნაირად ცდილობს მონაცემები ქრონიკული უმუშევრობის ნამდვილი ზომის შესახებ დაამახინჯოს და შეამციროს.

მოსახლეობის დანაწილება მოსაქმეობის მიხედვით ჯერ კიდევ არ იძლევა იმის სურათს, თუ როგორ არის მოსახლეობა დანაწილებული საზოგადოებრივი შრომის ცალკეული დარგების მიხედვით, როგორ არის შრომითი რესურსები განაწილებული და გამოყენებული სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და რა პროპორციით არის მოსახლეობა განაწილებული ამ დარგებს შორის. ამ კითხვების გასარკვევად მოსახლეობის აღწერების დროს ისმის საკითხი: „მუშაობის ადგილის (საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების სახელწოდების)" შესახებ (ნ. ზევით, II თავი, § 2). რაც საშუალებას იძლევა როგორც მოსაქმე, ისე არამოსაქმე მოსახლეობა განაწილდეს საზოგადოებრივი შრომის დარგების მიხედვით. ეს დარგები, მათი როლის ძიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პროცესში, შემდეგ ძირითად სფეროებად ნაწილდება:

1. მატერიალური წარმოების სფერო;
2. მმართველობის და თავდაცვის სფერო;
3. სამსახურის გაწევის სფერო (სატვირთო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა იმ ნაწილში, რაც მოსახლეობის მომსახურებას ეწევა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.).

თითოეული ეს სფერო, თავის მხრივ, რიგ დარგებად ნაწილდება, ხოლო დარგები — ცალკეულ ჯგუფებად. ასე, მაგ., მატერიალური წარმოების სფერო შემდეგ დარგებად ნაწილდება: 1) მრეწველობა, 2) სოფლის მეურნეობა, 3) მშენებლობა, 4) სატვირთო ტრანსპორტი, 5) კავშირგაბმულობა (წარმოების მომსახურების ნაწილი), 6) საბჭოთა ვაჭრობა, 7) საზოგადოებრივი კვება, 8) მატერიალური წარმოების სხვა დარგები. მატერიალური წარმოების ეს დარგები, როგორც აღნიშნული იყო, ისევ ჯგუფებად ნაწილდებიან. მაგ., მრეწველობა ისეთ ჯგუფებად ნაწილდება, როგორიცაა: ელექტროსადგურები, სათბობის მოპოვება, რკინის მადნის მოპოვება, მარგანეცის მადნის მოპოვება, სამთო-ქიმიური და სხვ..

მოსახლეობის დანაწილება მოსაქმეობის მიხედვით და მატერიალური წარმოებისა და შრომის დარგების მიხედვით შეუძლებელია სწორად მოხდეს, თუ წინასწარ არ გამომუშავდა მოსახლეობათა და წარმოებისა და შრომის დარგთა სისტემატური კლასიფიკაცია. ასეთი კლასიფიკაციის აგება აუცილებელია იმის გამო, რომ ისეთი ნიშნები, როგორცაა „მოსაქ-

მეობა“ და „შრომის დარგი“ მრავალ სახესხვაობას შეიცავენ და დაჯგუფების შედეგად მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქმნიან. ამიტომ აუცილებელია გამომუშავდეს მეცნიერულ საფუძველზე აგებული კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს ამ ნიშანთა თუ ყველა არა, ძირითად სახესხვაობებს მაინც. კლასიფიკაციით გათვალისწინებული ჯგუფების რიცხვი და შემადგენლობა შეფარდებული უნდა იყოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და სამეცნიერო-კვლევით ამოცანებთან. ჩვეულებრივ ასეთ კლასიფიკაციას აწარმოებენ სხვადასხვა თვალსაზრისით და მეტ-ნაკლები დიფერენციაციით. ასე, მაგ., სამრეწველო საწარმოთა დაჯგუფება დარგებისა და სახეების მიხედვით წარმოებს გაერთიანებული პროდუქციის დანიშნულების, გადამუშავებული ნედლეულის სახეების და ტექნოლოგიური პროცესის ხასიათის მიხედვით.

კლასიფიკაცია შეიძლება ატარებდეს რამდენიმე საფეხურიანი დანაწილების ხასიათს: თითოეული ჯგუფი შეიძლება ქვეჯგუფებად დანაწილდეს, ეს უკანასკნელი — ისევ ახალ ქვეჯგუფებად და ა. შ., იმის მიხედვით. თუ რა ზომის დიფერენციაცია უნდა გატარდეს ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში (ნ. ამის შესახებ აგრეთვე: თეორიული სტატისტიკა, ნაწ. I, 1947, თავი მეექვსე, § 4, გვ. 244 — 246).

მოსახლეობის დანაწილება მოსაქმეობის მიხედვით შესაძლებელია კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ იქნეს უპირველესად — სახალხო მეურ ნ ე ო ბ ი ს ან შრომის დარგებთან. შემდეგ — დემოგრაფიულ ნიშნებთან: სქესთან, ასაკთან, ოჯახურ მდგომარეობასთან და სხვ.. გეოგრაფიული დეტალიზაცია მონაცემებისა შესაძლებელს გახდის გაირკვეს ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის თავისებურება (ამ ნიშნის მიხედვით), რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ეკონომიურ-საწარმოო პირობებთან.

მოსახლეობის დანაწილება მოსაქმეობისა და შრომის დარგების მიხედვით ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ა დ შეიძლება გამოისახოს, აბსოლუტურ სიდიდეებთან ერთად, ისეთი წარმოებული სტატისტიკური სიდიდეებით, როგორიცაა: ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს შეფარდებითი სიდიდენი, ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს შეფარდებითი სიდიდენი. შედარებითი (დროისა და ადგილის მიხედვის) განხილვისას გამოიყენება აგრეთვე დ ი ნ ა მ ი კ ი ს შეფარდებითი სიდიდენი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად სსრ კავშირის მშრომელებმა პირველად ისტორიაში ნამდვილად მიიღეს მოსაქმეობის თავისუფალი არჩევის საშუალება და შრომის რეალური უფლება. ეს უფლება აღბეჭდილია საბჭოთა

კავშირის კონსტიტუციაში და იგი საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს.

სსრ კავშირის კონსტიტუცია (მუხ. 4) გამოსახავს იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებული მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად.

კონსტიტუციაში (მუხ. 12) აღბეჭდილია აგრეთვე ის ფაქტი, რომ შრომა ჩვენში არის შრომისუნარიანი თითოეული მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არცა სჭამს". მოხმარების დოვლათთა განაწილება კი ხორციელდება სოციალიზმის პრინციპის მიხედვით: „თითოეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი შრომის მიხედვით". სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შ რ ო მ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ე. ი. გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. შრომის ასეთი გარანტირებული უფლება უზრუნველყოფილია ჩვენში სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით.

ეს ძირითადი დებულებანი, რომლებიც საზოგადოებრივი შრომის ხასიათს და პირობებს განსაზღვრავენ ჩვენში, გამომდინარეობენ იმ ძირეული ცვლილებებიდან, რაც ჩვენში განხორციელდა ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების შედეგად. მუშათა კლასი, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში დაუნდობელი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს, სოციალისტურ საზოგადოებაში გადაიქცა საზოგადოებრივი წარმოების წამყვან და აქტიურ ძალად. მისი როლი თანდათან გაიზარდა ტექნიკურ პროგრესთან, შრომის სოციალისტური კოოპერაციის განვითარება-განმტკიცებასთან და სოციალისტური შეჯიბრების გაშლასთან ერთად. გონებრივი შრომის და ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის არსებული „წინანდელი მტრობიდან კვალიც კი არ დარჩენილა ჩვენში", ვინაიდან, როგორც ი. ს ტ ა ლ ი ნ ი აღნიშნავს, „გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებულობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს ფიზიკური შრომის ადამიანთა ექსპლოატაცია გონებრივი შრომის წარ-

მომადგენელთა მხრივ. ყველასათვის ცნობილია ის გათიშვა, რომელიც არსებობდა კაპიტალიზმის დროს საწარმოთა ფიზიკური შრომის ადამიანთა და ხელმძღვანელ პერსონალს შორის. ცნობილია, რომ ამ გათიშვის ბაზაზე ვითარდებოდა მუშების მტრული დამოკიდებულლება დირექტორისადმი, ოსტატისადმი, ინჟინრისადმი და ტექნიკური პერსონალის სხვა წარმომადგენლებისადმი, როგორც მათი მტრებისადმი. გასაგებია, რომ კაპიტალიზმის და ექსპლოატაციის სისტემის მოსპობასთან ერთად უნდა გამქრალიყო ინტერესთა დაპირისპირებულობაც ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის და იგი მართლაც გაქრა ჩვენი თანამედროვე სოციალისტური წყობილების პირობებში. ახლა ფიზიკური შრომის ადამიანები და ხელმძღვანელი პერსონალი წარმოადგენენ არა მტრებს, არამედ ამხანაგ-მეგობრებს, ერთიანი საწარმოო კოლექტივის წევრებს, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი წარმოების წარმატებითა და გაუმჯობესებით“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 გვ. 29).

სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაცია, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარება ახალი ტექნიკის დანერგვის საფუძველზე მოითხოვდა მუშა-ხელის ორგანიზებულ შეგროვებას, მისი კვალიფიკაციის გეგმიანი და განუხრელი აღმავლობას. ამიტომ მუშა-ხელის ორგანიზებული შეგროვების და მისი საწარმოო-ტექნიკური კვალიფიკაციის ზრდის საკითხი წარმოადგენდა პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების საგანს განვლილი ხუთწლედების მანძილზე. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება და კვალიფიკაციის დონის ამაღლება წარმოებს ჩვენში გეგმაზომიერად და ორგანიზებულად, როგორც წარმოებისაგან მოწყვეტით, ისე წარმოებისაგან მოუწყვეტლად. ამ კადრების მომზადების მაშტაბი და ტემპები კი განისაზღვრებოდა და განისაზღვრება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მაღალი ტემპებით.

სამეურნეო მუშაკთა თათბირზე, 1931 წ., 23 ივნისს, ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ეხებოდა რა ჩვენი მრეწველობის განვითარების ახალ პირობებს, უპირველესად განიხილავდა მუშა-ხელით საწარმოთა უზრუნველყოფის საკითხს და ამოცანად სახავდა მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებას კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების წესით და შრომის ყველაზე უფრო მძიმე პროცესების მექანიზაციას, როგორც ახალ და გადამწყვეტ ძალას განვითარების მაღალი ტემპების შესანარჩუნებლად. ეხებოდა რა ამასთანავე მუშა ხელის დენადობის მიზეზებს და კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის განსხვავების გათვალისწინების მნიშვნელობას,

ი. სტალინი აღინიშნავდა, რომ წარმოებაში უპირველესად საჭიროა შეეინარჩუნოთ წამყვანი ჯგუფები ცოტად თუ ბევრად კვალიფიციური მუშებისა მათი დაწინაურების, ხელფასის დონის აწევით. ეს კი, თავის მხრივ, „...ნიშნავს იმას, რომ პერსპექტივა დაუსახოთ არაკვალიფიციურ მუშებს და მივცეთ სტიმული წინწაწევისათვის, კვალიფიციურთა თანრიგში მოხვედრისათვის“ (თხზ., ტ. 13, 1952, გვ. 61).

საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ისა და ც. ს. კ-ის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. ი. სტალინი აღნიშნავდა: „მაგრამ ახალი საწარმოებისა და ახალი ტექნიკის ათვისება გაცილებით მეტ სიძნელეს წარმოადგენს, ვიდრე ძველი ან განახლებული ქარხნებისა და ფაბრიკების გამოყენება, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია. იგი მოითხოვს მეტ დროს იმისათვის, რომ ავამაღლოთ მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია და შეეიძინოთ ახალი ჩვეევები ახალი ტექნიკის სრულიად გამოყენებისათვის“ (თხზ., ტ. 13, 1952, გვ. 195). მუშათა კვალიფიციური კადრების შექმნის ამოცანებთან ერთად დაისვა საკითხი ახალი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის შესახებ, რომელსაც შეეძლებოდა დაეცვა მუშათა კლასის ინტერესები და განეხორციელებია მუშათა კლასის პოლიტიკა წარმოებაში.

კვალიფიციური მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების მომზადების ამოცანა წარმატებით გადაიჭრა განვლილი ხუთწლედების მანძილზე პარტიის, სახელმწიფოს და პროფესიული კავშირების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად. გარდა ამისა დასახული ამოცანა ტექნიკის დაუფლებისა მილიონიანმა მასებმა სახელმძღვანელო ლოზუნგად გაიხადეს და ისინი ტექნიკურ-საწარმოო ცოდნის დაუფლებას დაეწაფნენ. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება გაიშალა როგორც წარმოებისაგან მოწყვეტის, ისე წარმოებისაგან მოუწყვეტლობის პირობებში. შეიქმნა ფართო ქსელი ტექნიკური მინიმუმის შენსწავლელი წრეებისა, მასობრივი კვალიფიკაციის სკოლებისა, მოკლევადიანი კურსებისა, ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლებისა წარმოებისაგან მოუწყვეტლად, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებისა, შეიქმნა და გაფართოვდა სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ქსელი.

კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებისა და მუშათა კლასის ახალი კვალიფიციური კადრებით სისტემატური შევსების გეგმაზომიერი ორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო შრომითი რეზერვები (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის 1940 წ. 2 ოქტომბრის ბრძანებულებით). ამ ღონის ძიებით კიდევ უფრო მტკიცე საფუძველზე განხორციელდა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმე. რთული და მასობრივი პროფესიების მუშათა მომზადება ცენტრალიზებულ იქნა. მოეწყო სკოლები პროფესიული მომზადების მიზნით სწავლების განსაზღვრული ვადებით: სახელოსნო სასწავლებლები, სარკინიგზო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები.

ყოველივე ამის შედეგად არა თუ ამაღლდა მუშათა კულტურულ ტექნიკური დონე, მათი კვალიფიკაცია და დახელოვნება შრომის მრავალრიცხოვან სხვადასხვა დარგში, არამედ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესთან ერთად შეიქმნა და განვითარდა ახალი პროფესიები, სპეციალობანი. მოსაქმეობის ახალი სახეები, რომლებიც აქამდე არ არსებობდნენ, მშრომელთა დიდი მასები ჩაებნენ ახალი, კვალიფიციური მოქმედების დარგებში. შეიცვალა მშრომელი მოსახლეობის განაწილება შრომის დარგებსა და სახალხო მეურნეობის დარგებს შორის. დიდად გაიზარდა მრეწველობას, მშენებლობისა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წილი და ამ მოსახლეობის პროფესიული შედგენილობა.

ფართო ამოცანებია დასახული მშრომელთა პროფესიულ-საწარმოო კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმით. იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, გათვალისწინებულია დაიწყოს საშუალო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლება და იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც საჭიროა საყოველთაო პოლიტიკურ სწავლებაზე გადასასვლელად. უძაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან ყველა სახეობის სპეციალისტთა გამოშვება უნდა გაიზარდოს 30—35 %-ით. მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის სპეციალისტების გამოშვება უმაღლესი სასწავლებლებიდან 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 2 ჯერ უნდა გადიდდეს. მოზრდილი მოსახლეობის ძლიერი მისწრაფების გამო განათლების ამაღლებისადმი გათვალისწინებულია დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, აგრეთვე წარმოებას მო-

უწყვეტლივ მშრომელი მოსახლეობის სწავლებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი განვითარება.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით ფართო ღონისძიებანი არის გათვალისწინებული წარმოებაში მომუშავე მუშათა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის. კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით წარმოებაში მოწინავე ტექნიკის შემდგომ ღანერგვასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების მომზადებისა და წარმოებაში მუშების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

სსრ კავშირის მუშათა კლასის განათლებისა და კვალიფიკაციის, მისი კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა ბუნებრივად წარმოშობს საკითხს გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების გაქრობის შესახებ. „ეს ახალი პრობლემაა, — აღნიშნავს ი. სტალინი, — რომელიც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ დააყენა... ამ პრობლემას ჩვენთვის აგრეთვე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მასობრივი სოცშეჯიბრების გაშლის დაწყებამდე მრეწველობის ზრდა ჩვენში ძლივძლივობით მიმდინარეობდა, ხოლო ბევრი ამხანაგი მრეწველობის განვითარების ტემპების შენელების საკითხსაც კი აყენებდა. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ მუშების კულტურულ-ტექნიკური დონე მეტად დაბალი იყო და ძალიან ჩამორჩებოდა ტექნიკური პერსონალის დონეს. მაგრამ საქმე ძირეულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც სოცშეჯიბრებამ ჩვენში მასობრივი ხასიათი მიიღო. სწორედ ამის შემდეგ წავიდა წინ მრეწველობა დაჩქარებული ტემპით. რატომ მიიღო სოცშეჯიბრებამ მასობრივი ხასიათი? იმიტომ, რომ მუშებს შორის გამოჩნდნენ მთელი ჯგუფები ამხანაგებისა, რომლებმაც არათუ აითვისეს ტექნიკური მინიმუმი, არამედ უფრო შორსაც წავიდნენ, ტექნიკური პერსონალის დონემდე დადგნენ, იწყეს ტექნიკოსებისა და ინჟინრებისათვის შესწორებათა მიცემა, არსებული ნორმების, როგორც დაძველებული ნორმების, დამსხვრევა, ახალი, უფრო თანამედროვე ნორმების შემოღება და სხვ.. რა იქნებოდა, მუშების ცალკეულ ჯგუფებს კი არა, არამედ მუშების უმრავლესობას რომ აეწაღლებინა თავისი კულტურულ-ტექნიკური დონე ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის დონემდე? ჩვენი მრეწველობა აყვანილი იქნებოდა ისეთ სიმაღლეზე, რომელიც მიუწვდომელია სხვა ქვეყნების მრეწველობისათვის“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 30 — 31).

აბრიგად, მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომ აპაღლებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობისათვის. ასეთი არსებითი განსხვავება მათ შორის, — თუმცა არა ყოველგვარი, — კულტურულ-ტექნიკური დონის მხრივ გათიშვის აზრით, გაქრება კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც შრომა მარტოოდენ არსებობის შენარჩუნების საშუალებიდან საზოგადოების თვალში გადაიქცევა პირველ საარსებო მოთხოვნილებად. მაგრამ ამისათვის, კომუნიზმში ნამდვილად გადასვლისათვის საჭიროა განხორციელდეს რიგი ძირითადი წინაპირობანი, რომელთაგან ერთ ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი: „აუცილებელია მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის აოსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“ (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 74). საზოგადოების ასეთი კულტურული ზრდა, აღნიშნავს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული ცვლილებები მოხდება შრომის ახლანდელ მდგომარეობაში: შემცირდება სამუშაო დღე 6, შემდეგ კი 5 საათამდე, შემოღებულ იქნება საყოველთაო-სავალდებულო პოლიტიკური სწავლება, ძირფესვიანად გაუმჯობესდება საბინაო პირობები, გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი სულ ცოტა ერთიორად, თუ მეტად არა.

თუ აღნიშნულ ძირითად პირობასთან ერთად ავიღებთ კიდევ ორ ძირითად პირობას, — საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ ზრდას, ამასთანავე – წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას და საკოლმეურნეო საკუთრების საერთო სახალხო საკუთრების დონემდე აყვანას და საქონელმიმოქცევის შეცვლას პროდუქტგაცვლის სისტემით, — მაშინ ერთად აღებული ყ ვ ე ლ ა ამ წინასწარი პირობის შესრულების შემდეგ, — როგორც აღნიშნავს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, — შესაძლებელი იქნება გადასვლა კომუნისტურ ფორმულაზე: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით“.

მოსაქმეობისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით დანაწილების მხრივ სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხვსა და შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ წარმოდგენას გვაძლევენ ქვემომოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა 1913—1936 წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა:

დარგები	მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი (მლნ.)		ზრდა 1913—1936 წლებში	
	1913	1936	აბსოლუტ. (მლნ.)	რამდენჯერ გაიზარდა
მთელ სახალხო მეურნეობაში	11,4	25.8	14,4	2,3
მსხვილ მრეწველობაში	2,8	7,7	4.6	2,8
სარკინიგზო ტრანსპორტში	0,7	1,8	1,1	2,6
საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში	—	,5	—	—
მშენებლობაში	ცნ. არ არის	2,2	—	—
წვრილ მრეწველობაში		0,5	—	—
სატყეო მეურნეობაში		1,2	—	—
წყლის სხვ. ტრანსპორტში		1,2	—	—
განათლებაში		2,0	—	—
ჯანმრთელობის დაცვაში		1,0	—	—

1937 წლისათვის მუშა-მოსამსახურეთა განაწილება სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ასეთი იყო:

სახალხო მეურნეობის დარგები	მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი (მლნ.)	%% ით ჯამის მიმართ
მრეწველობა და მშენებლობა	12,1	44.8
სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა	2.7	10,0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3,2	11,8
საბინაო და კომუნალური მეურნეობა	0,8	3,0
ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება	2,4	8,9
განათლება, ხელოვნება	2,4	8,9
ჯანმრთელობის დაცვა	1,1	4,1
სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი	2,0	7,4
სხვა დარგები	0.3	1,1
სულ	27,0	100

კვალიფიციური მუშათა კადრების რიცხვის ზრდა სსრ კავშირში წინ უსწრებს მუშათა კლასის საერთო რიცხვის ზრდას. თანდათან მცირდება იმ პროფესიების რიცხვი, რომლებიც ხელით შრომასთან არიან დაკავშირებულნი და ჩნდე-

ბა ახალი პროფესიები, რომლებიც ახალი ტექნიკის გამოყენებასთან არიან დაკავშირებულნი. 1926 — 1939 წლებში მოსახლეობის რიცხვი სსრ კავშირში გაიზარდა 16,0%%-ით, ხოლო მუშათა კლასის რიცხვი კი — ორჯერ მეტად. ამავე დროს კვალიფიციური მუშების და ტექნიკური ინტელიგენციის ზრდის ტემპები, თავის მხრივ, გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მუშათა კლასის რიცხობრიობის ზრდისა საერთოდ. ასე. მაგ., 1926—1939 წლებში კვალიფიციური მუშების და ინჟინრების რიცხვი გაიზარდა:

პროფესიები	ზრდა 1926—1939 წლებში
მღარველი	13,0—ჯერ
მეიარაღე	12,3 „
მუშა-მექანიკოსი	9,5 „
ხარატი	6,8 „
მონტიორი და ელექტრომონტიორი	6,4 „
მწნეხავი და მტვიფოავი	6,3 „
ბუოღვის ოსტატი	5,7 „
ზეინკალი	3,7 „
მემანქანე	4,4 „
მლესავი	7,0 „
ბოფეური	40.0 „
ტრაქტორისტი	215,0 „
ინჟინერი	7,7 „

შეიქმნა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც 1937 წლის დამდეგისათვის ასეთი შემადგენლობის იყო.

სპეციალობანი	რიცხვი (ათას.)
1. საწარმოების, დაწესებულების, საამქროების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვ. ხელმძღვანელები	1751
2. ინჟინრები და არქიტექტორები (საწარმოებისა და საამქროების ხელმძღვანელთა გარეშე)	250
3. საშუალო ტექნიკური პერსონალი (ტექნიკოსები, სამუშაოთა მწარმოებლები, მეტყევეები, რკინიგზის სადგურების უფროსები და სხვ.)	810
4. აგრონომები	80
5. სხვა აგროტექნიკური პერსონალი (მიწათმომწყობნი, მიწათმხომავები, აგროტექნიკოსები, ზოოტექნიკოსები)	96
6. მეცნიერების მუშაკები (პროფესორები, უმაღლ. სასწ. მასწავლებლები) და სხვ.	80
7. მასწავლებლები	969
8. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკები (ჟურნალისტები, ბიბლიოთეკარები, კლუბის გამგეები და სხვ)	297
9. ხელოვნების მუშაკები	159
10. ექიმები	132
11. საშუალო სამედიცინო პერსონალი (ფერშლები, მეანები, ექთანები)	382

ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა ნ ი	რიცხვი (ათას.)
13. ბუღალტრები, მოანგარიშეები	1617
14. სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები (მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და სხვ.)	46
15. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა . . .	550
16. ინტელიგენციის სხვა ჯგუფები (სამხედრო ინტელიგენცია ის ჩათვლით)	1550
ს უ ლ	9591

ოჯახის წევრთა ჩათვლით ინტელიგენცია შეადგენდა ამ დროისათვის სსრ კავშირის მოსახლეობის დაახლოებით 13 — 14 პროცენტს.

შემდგომ წლებში მეშათა კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი რიცხვის ზრდა, ისევე როგორც საწარმოოტექნიკური და სხვ. ინტელიგენციის ზრდა განუწყვეტლად წარმოებდა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი ამ კადრებით სისტემატურად ივსებოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში სახელმწიფოს შრომითი რეზერვები უზრუნველყოფდნენ სახალხო მეურნეობის ძირითად დარგების სამუშაო ძალით, რომელიც პირველ რიგში სამხედრო და მძიმე მრეწველობის დარგებში და ტრანსპორტზე სამუშაოდ ნაწილდებოდა. ომის წლებში ერთგვარი ცვლილება განიცადა მუშათა კლასის შემადგენლობამ: გაიზარდა ქალების ხვედრითი წონა, მუშათა რიგებს შეემატა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი რიცხვი, შეიქმნა ომის პირობებთან შეგუებული საწარმოო სწავლების ფორმები.

ომისშემდგომ წლებში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა და კვალიფიციური კადრების მასობრივი მომზადება კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. 1950 წლის დამლევისათვის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირში შეადგენდა 39,2 მლნ. — ს, რაც 7,7 მლნ.-ით აღემატება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს 1940 წლისათვის. საბჭოთა ინტელიგენციის რიგების ზრდაც ომისშემდგომ წლებში ინტენსიურად წარმოებდა: ომისშემდგომი ხუთწლედის დამლევისათვის სახალხო მეურნეობის დარგებში ჩაბმულ სპეციალისტთა რიცხვი 40%-ით აღემატებოდა სათანადო რიცხვს 1940 წლისათვის.

ფართო ამოცანებია დასახული მუშათა კლასის შემდგომი ზრდისა და კვალიფიკაციის განვითარების 1951 — 1955 წლების მ ე ხ უ თ ე ხ უ თ წ ლ ი ა ნ ი გ ე გ მ ი ს თანახმად. წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად, აგრეთვე კულტურული მშენებლობის დარგში დავალებათა შესაბამისად მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა სახალხო მეურნეობაში 1955 წელს, 1950 წელთან შედარებით, დაახლოებით 15%-ით უნდა გადიდდეს.

§ 10. მოსახლეობის კლასობრივი შედგენილობა

მოსახლეობის სოციალური, კლასობრივი შედგენილობის სტატისტიკურ შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს მარქსისტულ-ლენინური თეორია კლასების შესახებ. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველად ახსნეს მეცნიერულ საფუძველზე კლასების წარმო-

შობის, მათი ცვლილება-განვითარების, მათი ურთიერთბრძოლისა და უცილობელი მოსპობის საკითხები. მათ დაამტკიცეს, რომ საზოგადოებრივი კლასების არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების განსაზღვრული ისტორიული ფაზების არსებობასთან, რომ საზოგადოების დაყოფა კლასებად ხდება მატერიალურ დოვლათთა წარმოების წესის საფუძველზე და რომ ეს დაყოფა ისტორიულად გარდამავალ ხასიათს ატარებს. მარქსმა და ენგელსმა აღნიშნეს, რომ კლასების შექმნას საფუძვლად უდევს მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი და მათი ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში. კლასობრივ ინტერესთა სხვადასხვაობა დაპირისპირებულობა, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის არსებული წინააღმდეგობების შეურიგებლობა უცილობლად წარმოშობს კლასთა ბრძოლას. „ყველა აქამომდელი საზოგადოების ისტორია, — წერდნენ მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, — არის ისტორია კლასთა ბრძოლისა. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი და ქარგალი, მოკლედ — მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წინააღმდეგობაში უდგნენ ერთმანეთს, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან ნებრძოლ კლასთა საერთოდ დაღუპვით“ (კომუნისტური მანიფესტი, 1940, გვ. 26).

იმის შემდეგ, რაც საზოგადოება გამოვიდა პირველყოფილ-თემური წყობილებიდან და კერძო საკუთრება და საზოგადოებრივი უთანასწორობა წარმოიშვა, კლასობრივი ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად შინაარსს და მამოძრავებელ ძალას. ასე, მონების კლასობრივმა ბრძოლამ მონათმფლობელთა წინააღმდეგ, მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელობა და წარმოშვა ფეოდალური საზოგადოება. ყმა-გლეხთა რევოლუციამ და ფეოდალიზმის წიაღში ჩასახული ახალი კლასების ბრძოლამ ფეოდალების წინააღმდეგ გამოიწვია ფეოდალიზმის დამხობა და კაპიტალიზმის გამარჯვება. კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა, რომელიც მეთაურობს მშრომელი მასების ბრძოლას კაპიტალიზმის და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, იწვევს პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციას, ბურჟუაზიული წყობილების დამხობას და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებას. მაგრამ თუ წინანდელი რევოლუციები ცალმხრივ რევოლუციებს წარმოადგენენ, რამდენადაც მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას ექსპლოატაციის სხვა ფორმით ცვლიდნენ, ხოლო თვით ექსპლოატაცია კი რჩებოდა, — სოციალის-

ტური რევოლუცია სპობს ყოველგვარ ექსპლოატაციას, ყველა და ყოველგვარ ექსპლოატატორს და მჩაგვრელს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ამით პრინციპულად განსხვავდება წინანდელი რევოლუციებისაგან.

კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის ასეთ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ბუნებრივად, მოსახლეობის შემადგენელ კლასობრივ ჯგუფთა გამოცალკევება და შესწავლა დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. მოსახლეობის, როგორც სტატისტიკურად შესწავლილი განუყოფელი ერთიანი მასის აღება, სრულიად არამეცნიერულ, ყალბ წარმოდგენ.ს მოგვცემს მის დამახასიათებელ დემოგრაფიულ ნიშანთა შესახებ, ვინაიდან, როგორც კ. მ ა რ ქ ს ი აღნიშნავს, „მოსახლეობა აბსტრაქციაა, თუ მე, მაგალითად, იმ კლასებს, რომლებისაგანაც იგი შედგება, მხედველობის გარეშე ვტოვებ. კლასებიც კიდევ ცარიელი სიტყვაა, თუ მე არ ვიცი ის ელემენტები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, მაგალითად, დაქირავებული შრომა, კაპიტალი და სხვ." (პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1932. გვ. 23).

ვ. ლ ე ნ ი ნ მ ა, შემდგომ განავითარა რა მარქს-ენგელსის მოძღვრება კლასებისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, მოგვცა კ ლ ა ს ი ს ცნ ე ბ ი ს სრული და ამომწურავი განსაზღვრა: „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით" (თხზ., ტ. 29, 1952, გვ. 491).

ამრიგად, საზოგადოებრივი კლასის ცნების განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი წ ე ს ი დ ა ნ, რომელსაც შეესაბამებიან ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასები. წარმოების ყოველი ანტაგონისტური წესის პირობებში არსებობს განსაზღვრული გაბატონებული კლასი, წარმოების საშუალებათა მესაკუთრე კლასი, რომელიც ექსპლოატატორულ კლასს წარმოადგენს. მას უპირისპირდება წარმოების საშუალებებს მოკლებული, დაქვემდებარებული ექსპლოატატორული კლასი. ასე, მაგ., მონათმფლობელურ საზოგა-

დოებაში გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასს წარმოადგენენ მონათმფლობელები, ხოლო დაქვემდებარებულ და ექსპლოატირებულ კლასს — მონები. ფეოდალური საზოგადოების კლასები იყვნენ ფეოდალები და ყმა-გლეხები; კაპიტალისტურ საზოგადოებაში — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. კლასობრივ საზოგადოებაში ძირითადად ორი კლასი არსებობს, რომელთა გარეშე შეუძლებელია წარმოების ამა თუ იმ წესის არსებობა. გარდა ამისა, აქ არსებობენ აგრეთვე შუალედი ფენები, არაძირითადი კლასები, რომლებიც ორი ურთიერთშორის მებრძოლი ძირითადი კლასიდან ან ერთ-ერთის მხარეზე დგებიან, ანდა ამ ბრძოლაში ნეიტრალური თუ ნახევრად ნეიტრალური პოზიცია უკავიათ. ასე, მაგ., რევოლუციამდე რუსეთში ძირითად კლასებს წარმოადგენდნენ ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომელთა გარდა იყვნენ აგრეთვე ისეთი კლასები, როგორიცაა: მემამულეები (მიწათმფლობელნი), წვრილი ბურჟუაზია (გლეხობა, შინამრეწველები და სხვ.).

საზოგადოებრივი კლასები ერთიმეორისაგან განირჩევიან მათი დამოკიდებულებებით წარმოების საშუალებებისადმი. წარმოების საშუალებები წარმოადგენენ საზოგადოების ცხოვრების და განვითარების ძირითად პირობას. ამ საშუალებათა ფლობა განსაზღვრავს კლასთა სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი: კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ საშუალებებს ფლობს ბურჟუაზია და ამიტომ იგი წარმოადგენს გაბატონებულ, ექსპლოატატორულ კლასს, ხოლო პროლეტარიატი მოკლებულია ამ საშუალებებს და წარმოადგენს დაჩაგრულ, ექსპლოატირებულ კლასს. აქედან წარმოიშობა კლასთა სხვადასხვა როლიც შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში: პროლეტარიატი უშუალოდ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მაშინ როდესაც საზოგადოების მცირერიცხოვანი პრივილეგიური ნაწილი წარმოების პროცესში უშუალოდ არ მონაწილეობს. ვინაიდან გაბატონებული კლასი წარმოების საშუალებათა მფლობელია, ამიტომ იგი ექსპლოატატორულ კლასს წარმოადგენს წარმოების საშუალებებს მოკლებული კლასის მიმართ. „კაპიტალისტი იმიტომ კი არ არის კაპიტალისტი, — წერს მარქსი, — რომ იგი მრეწველობას ხელმძღვანელობს; პირიქით, მრეწველობის ბრძანებული იმიტომ არის, რომ იგი კაპიტალისტია. უმაღლესი ბრძანებლობა მრეწველობაში კაპიტალის ისეთივე ატრიბუტია, როგორც ფეოდალურ ხანაში უმაღლესი ბრძანებულობა ომში და სასამართლოში მიწის საკუთრების ატრიბუტი იყო“ (კაპიტალი, I, 1930, გვ. 286).

დასასრულ, საზოგადოებრივი კლასები ერთიმეორისაგან განირჩევიან საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით, რომელიც მათ განკარგულებაშია. კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც კლასთა შორის ანტაგონისტური ურთიერთობაა, გაბატონებული კლასის შემოსავლის ერთადერთ წყაროს საბოლოოდ მშრომელი მასების ექსპლოატაცია წარმოადგენს. მაგრამ ექსპლოატაციის ფორმის მიხედვით ამ კლასის შემოსავლის ფორმაც შეიძლება სხვადასხვანაირ იქნეს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალისტის შემოსავლის წყაროა ზედმეტი ღირებულება, რომელსაც მუშა წარმოების პროცესში ქმნის. მაგრამ ეს წყარო წარმოების ამ წესის პირობებში შენიღბულია და დაფარული. კ. მარქსმა მეცნიერულად ახსნა კაპიტალისტური მოგების ეკონომიური საფუძველი და მოგვცა კაპიტალისტის შემოსავლის ექსპლოატატორული ხასიათის ღრმა ანალიზი. პროლეტარიატის შემოსავალი კი კაპიტალიზმის პირობებში დამოკიდებულია მისი სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, ღირებულებაზე. იგი ამ შემოსავალს იღებს ხელფასის სახით, რომელიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში უზრუნველყოფს პროლეტარიატის არსებობას მარტოოდენ ღატაკურ პირობებში, ვინაიდან ადგილი აქვს მუშათა საყოველთაო როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურ გაღატაკებას.

ამრიგად, საზოგადოებრივი კლასის ცნება, თანახმად ვ. ლენინის განმარტებისა, შემდეგ ძირითად ნიშნებს ემყარება: 1. ადგილს საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, 2. დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი, 3. როლს შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, 4. საზოგადოებრივი სიმდიდრის სათანადო წილის მიღების წესს და სიდიდეს.

მოსახლეობის სოციალური შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისათვის ყველაზე ვრცელ მასალას იძლევა მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობის აღწერები კაპიტალისტურ ქვეყნებში საშუალებას არ იძლევა მოსახლეობის სწორი სოციალური შემადგენლობის სურათი იქნეს მიღებული. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული სტატისტიკა ცდილობს დაამახინჯოს სათანადო მონაცემები და შეაფერადოს კაპიტალისტური სინამდვილე, რომელიც მძაფრ სოციალურ კონტრასტებს გვაძლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიზნით ბურჟუაზიული სტატისტიკა მიმართავს არასწორ პროგრამულ-მეთოდოლოგიურ ხერხებს როგორც დაკვირვების წარმოებისას, ისე მიღებული მასალების თავმოყრა-დაჯგუფებისას. ამის შედეგად ბურჟუაზიული სტა-

ტისტიკის მონაცემები მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ სრულიადაც ვერ ასახავს მოსახლეობის ნამდვილ სოციალურ სტრუქტურას და წარმოადგენს სინამდვილის დამახინჯებას აპოლოგეტური მიზნებით. ამ მონაცემთა გამოყენებისას აუცილებელია მათი კრიტიკული განხილვა, სწორ მეთოდოლოგიურ და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პრინციპების საფუძველზე გადამუშავება.

ამის თვალსაჩინო ნიმუში აქვს მოცემული ვ. ლ ე ნ ი ნ ს რუსეთის იმპერიის 1897 წლის პირველ საყოველთაო აღწერის გადამუშავებულ მონაცემთა სახით. ამ აღწერის მონაცემები სწორ წარმოდგენას არ იძლევიან რუსეთის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის შესახებ მონაცემთა დამუშავების არასწორი მეთოდოლოგიის გამო. ამიტომ ვ. ლ ე ნ ი ნ მ ა ეს მასალები გადაამუშავა და მას საფუძვლად დაუდვა ვრცელი სტატისტიკური მასალები რუსეთის მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებად განაწილების შესახებ. გადამუშავების. შემდეგ მან მიიღო რუსეთის იმდროინდელი მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შემდეგი სურათი.

		მთელი მოსახლეობა ორივე სქესისა	
მსხვილი ბურჟუაზია, მემამულენი, უმაღლესი მოხელენი და სხვ.	.	დაახლ. 3,0	მილიონი
შეძლებული წვლილი მეურნენი		„ 23,1	„
ულარიბესი წვრილი მეურნენი .		„ 35,8	„
პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები		„ 63,7	„
	ს უ ლ	დაახლ. 125,6	მილიონი

ვ. ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ მიღებულ მონაცემებს რუსეთის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის დასადასტურებლად, რომ რუსეთის იმდროინდელი ეკონომიკა კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდა, რომ რუსეთის მოსახლეობის კლასობრივ ფენებად დაშლა თვალსაჩინოდ უჩვენებდა იმ წინააღმდეგობათა ღრმა ხასიათს, რაც კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია, რომ რუსეთში სავსებით განმტკიცებული იყო სასაქონლო წარმოება და იგი კაპიტალისტურ ქვეყანას წარმოადგენდა (ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, 1948, გვ. 598 და შემდ.).

სსრ კავშირში მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის სურათი ძირეულად არის შეცვლილი, ვინაიდან აქ სრულიად ლიკვი-

დირებულია ყოველგვარი საფუძველი ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციისა. ქვეყნის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, რომელსაც ორი ფორმა აქვს: საყოველთაო-სახალხო სახელმწიფო საკუთრების ფორმა და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარმა ცვლილებებმა ბუნებრივად შეცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობაც. „მემამულეთა კლასი, — ამბობდა ი. სტალინი მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1936 წ. 25 ნოემბერს, — როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა. დარჩა მუშათა კლასი. დარჩა გლეხთა კლასი. დარჩა ინტელიგენცია“ (მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 641).

ამრიგად, „ჩვენი საზოგადოება შედგება მხოლოდდამხოლოდ ქალაქისა და სოფლის თავისუფალი მშრომელებისაგან — მუშებისაგან, გლეხებისაგან, ინტელიგენციისაგან“ (ი. სტალინი, საუბარი როი ჰოვარდთან, 1936 წ.).

მაგრამ სსრ კავშირის მოსახლეობის სოციალური ჯგუფები სრულიად განსხვავებული არიან ანალოგიური სოციალური ჯგუფებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმის პირობებში არსებობდნენ ან არსებობენ. სსრ კავშირის საზოგადოებრივმა ჯგუფებმა არსებითი ცვლილება განიცადეს, ისინი არსებითად სრულიად ახალ, კაცობრიობის ისტორიაში არნახულ სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ. სსრ კავშირის პროლეტარიატი, — როგორც აღნიშნავს ი. სტალინი, — გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების განვითარებას წარმართავს კომუნიზმის გზით. კაცობრიობის

ისტორიას არ ახსოვს ამის მსგავსი მუშათა კლასი, რომელიც განთავისუფლებულია ექსპლოატაციისაგან.

საბჭოთა გლეხობაც სრულიად ახალ კლასს წარმოადგენს სსრ კავშირში. აღარ არიან მემამულეები, კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხობის ექსპლოატაცია. ამიტომ საბჭოთა გლეხობა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობაა, კოლმეურნე გლეხობაა, რომელიც თავის მუშაობას ამყარებს კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. საბჭოთა გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზარდა. ამრიგად, საბჭოთა გლეხობაც სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი ისტორიაში არ მოიპოვება.

საბჭოთა ინტელიგენციაც, — აღნიშნავს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, — სრულიად ახალი ინტელიგენციაა, მთელი თავისი ფესვებით დაკავშირებული მუშათა კლასთან და გლეხობასთან. საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი გამოსულია მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან და, ამრიგად, მისი შემადგენლობა სრულიად შეცვლილია. თვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც შეცვლილია: თუ წინათ მას მდიდარი კლასებისათვის უნდა ემსახურნა, ამჟამად იგი ხალხს ემსახურება და წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს. ასეთი ახალი, მშრომელი ინტელიგენციის მსგავსი ინტელიგენცია არ მოიპოვება არცერთ სხვა ქვეყანაში.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ზემოაღნიშნული მითითებების შესაბამისად საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკის წინაშე ახლებურად დაისვა საკითხი სსრ კავშირის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესწავლის შესახებ. ამ მითითებებმა მტკიცე საფუძველი შექმნეს სსრ კავშირის მოსახლეობის დანაწილებისათვის საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით და მოამზადეს პირობები მისი სტატისტიკური შესწავლისათვის.

სსრ კავშირის მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობის შესწავლა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი კუთვნილების საკითხების გარკვევით, რა მიზნითაც სააღწერო ფურცელში შეტანილ იქნა სათანადო კითხვა (მე-16) (ნ. ამის შესახებ აგრეთვე ზევით, თავი II, § 2). კითხვა შემდეგი რედაქციით იყო დასმული: „რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის: მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, კოოპერირებული შინამრეწველების, ერთპიროვნული გლეხების,

არა კოოპერირებული შინამრეწველების, თავისუფალი პროფესიის პირების თუ კულტის მსახურთა და არამშრომელი ელემენტების ჯგუფს?"

საკითხი იმ პირთა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი მიკუთვნების შესახებ, რომლებიც არ მოსაქმეობენ, შემდეგი წესით გადაიჭრა: კმაყოფაზე მყოფნი იმავე საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნენ, რომელსაც ის პირები, ვის კმაყოფაზეც ისინი იმყოფებოდნენ; პენსიონერები და სტიპენდიანტები მიეკუთვნენ იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ პენსიაზე ან სტიპენდიაზე გადასვლამდე; სტიპენდიატები, რომელნიც სტიპენდიაზე გადასვლამდე არსად მუშაობდნენ, იმ პირთა საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნენ, რომელთა კმაყოფაზედაც ისინი იმყოფებოდნენ.

აღწერის შედეგად შესაძლებელი გახდა სსრ კავშირის მოსახლეობის დანაწილება შემდეგი საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით: 1. მუშები, 2. მოსამსახურენი, 3. კოლმეურნენი, 4. კოოპერირებული შინამრეწველნი 6. არაკოოპერირებული შინამრეწველნი, 7. თავისუფალი პროფესიის პირნი, 8. არამშრომელი ელემენტები. ამ ჯგუფებიდან განსხვავება კოლმეურნეებსა და კოოპერირებულ შინამრეწველთა შორის და ერთპიროვნულ გლეხებსა და არაკოოპერირებულ შინამრეწველთა შორის მარტოოდენ დარგობრივია (ერთი მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის დარგს, ხოლო მეორე — მრეწველობის დარგს). საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი კუთვნილების თვალსაზრისით კი მათ შორის სოციალურ განსხვავებას ადგილი არა აქვს. ეს ადვილად დაინახება იქიდანაც, რომ პირველ ორ ჯგუფს აერთიანებს კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრება, ხოლო უკანასკნელ ორ ჯგუფს — პირად შრომაზე დამყარებული წვრილი მეურნეობა.

სსრ კავშირის მოსახლეობის შემადგენლობა, განაწილება საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით 1939 წლის 17 იანვრის აღწერის შედეგების მიხედვით ასეთი იყო (დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის გამოკლებით):

საზოგადოებრივი ჯგუფები	პირთა რაოდენობა (ოჯახებიანად)	პროცენტობით ჯამისადმი
1. ქალაქისა და სოფლის მუშა	54.566.282	32,19
2. ქალაქისა და სოფლის მოსამსახურე . .	29.738.484	17.54
3. კოლმეურნე	75.616.388	44,61
4. კოოპერირებული შინამრეწველი .	3.888.434	2,29

სახოგადოებრივი ჯგუფი	პირთა რაოდენობა (ოჯახებიანად)	პროცენტობით ჯამისადმი
5. არაკოოპერირებული შინამრეწველი .	1.396.203	0,82
6. ერთპიროვნული მეურნე გლეხი . .	3.018.050	1,78
7. არამშრომელი . . .	60.006	0,04
8. არ უნევნა სახოგადოებრივი ჯგუფი . .	1.235.279	0,73
ს უ ლ .	169.519.217	100,00

ამრიგად, 1939 წლის აღწერის მონაცემებით სსრ კავშირის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს (49,73%) შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი, მაშინ როდესაც პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის — 1928 წ. მათი ხვედრითი წონა შეადგენდა მხოლოდ 17%-ს. მოსახლეობის დაახლოებით მეორე ნახევარს (46,9%) შეადგენდნენ კოლმეურნენი და კოოპერირებული შინამრეწველნი. 1928 წელს კი ამ ჯგუფის ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო: იგი შეადგენდა მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს. სრულიად უმნიშვნელო იყო 1939 წ. ერთპიროვნულ გლეხთა და არაკოოპერირებულ შინამრეწველთა ხვედრითი წონა (2,6%), მაშინ როდესაც 1928 წ. ამ ჯგუფის ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 73%-ს შეადგენდა.

სსრ კავშირის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის სურათმა, რაც 1939 წლის აღწერის შედეგების თანახმად იქნა მიღებული, თვალსაჩინოდ ასახა ის ძირეული ცვლილებანი, რაც სსრ კავშირის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მოხდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრული გაბატონების შედეგად. მაგრამ შემდგომი წლების მანძილზე სსრ კავშირის მოსახლეობის შემადგენლობაში, მის სოციალურ სტრუქტურაში ახალი ცვლილებანი ხდებოდა. ეს ცვლილებანი ხდება ამჟამადაც, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში, როდესაც მზადდება პირობები იმისათვის, რომ კლასობრივი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის, აგრეთვე განსხვავება ამ ჯგუფებსა და ინტელიგენციას შორის გაქრეს.

§ 11. მოსახლეობის კულტურული დონე

მოსახლეობის კულტურული დონის სტატისტიკური დახასიათება შესაძლებელია სხვადასხვა გზით მოხდეს: ა) მასობრივი დაკვირვების — აღწერის საშუალებით გაირკვეს წ ე რ ა - კ ი თ ხ ვ ი ს ც ო დ ნ ა მოსახლეობაში; ბ) ამავე გზით შესაძლებელია გაირკვეს მოსახლეობის დანაწილება გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს დ ო ნ ი ს მიხედვით (მიღებული განათლების სათანადო ცენზების დადგენის საფუძველზე); გ) აღწერის ან სხვა წესით მოპოვებული ცნობების საფუძველზე გაირკვეს მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა რ ი ც ხ ვ ი სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლებში, ხოლო უფრო მეტი დეტალიზაციის მიზნით ეს რიცხვი შეიძლება დანაწილდეს კლასებისა და კურსების მიხედვით; დ) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი მ ა ჩ ვ ე ნ ებ-

ლ ე ბ ი, როგორიცაა: ბეჭდური პროდუქციის გავრცელება, მუზეუმებსა, ბიბლიოთეკებსა და სხვ. კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრებსა, კინოებსა და სხვ. ხელოვნების დაწესებულებებში მოსიარულეთა რიცხვი და შემადგენლობა და სხვ., რათა ეს მაჩვენებლები არაპირდაპირ მოსახლეობის კულტურული დონის დახასიათებას იძლეოდეს.

დემოგრაფიული სტატისტიკა მოიცავს მხოლოდ პირველი ორი და, ნაწილობრივ, — რამდენადაც სათანადო კითხვას ითვალისწინებს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, — მესამე გზით მოპოვებულ მონაცემთა დამუშავებას. რაც შეეხება ისეთ კითხვებს, როგორიცაა: სასკოლო დაწესებულებათა, სკოლამდელ და საბავშვო დაწესებულებათა, ხელოვნების, ბეჭდური პროდუქციის და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სამეცნიერო კადრების სტატისტიკურ შესწავლას — ეს შეადგენს სტატისტიკის ცალკე დარგის — კ ულ ტ ურ ის ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ის შინაარსს.

წ ერ ა-კ ით ხ ვ ის ც ოდ ნ ის სტატისტიკური შესწავლა ემყარება მოსახლეობის აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ კითხვას, რომელიც არკვევს იმ პირთა რიცხვს, რომელნიც კითხულობენ და წერენ ანდა მხოლოდ კითხულობენ, ანდა სრულიად არ იციან წერა-კითხვა.

წერა-კითხვის ცოდნის ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ი დახასიათებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ს ი დ ი დ ე — გამოანგარიშებულ იქნეს წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობაში, ანდა — ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ის შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ს ი დ ი დ ე — რამდენი წერა-კითხვის მცოდნე მოდის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოსახლეობის საერთო რიცხვიდან.

მაგრამ ეს მაჩვენებლები არ მოგვცემენ წერა-კითხვის ცოდნის დონის სწორ სტატისტიკურ გამოსახულებას, ვინაიდან მათ სიდიდეზე გავლენას ახდენს ის, თუ როგორია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რიცხვში, რაც ბუნებრივად იმით აიხსნება, რომ ამ ასაკის ბავშვები არ შეიძლება წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ. ამ ასაკის ბავშვთა მეტ-ნაკლები ხვედრითი წონა პირუკუ გავლენას მოახდენს წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელზე: რაც უფრო დიდი იქნება ეს წონა, მით უფრო დაბალი იქნება სათანადო მაჩვენებელი და პირიქით. ამიტომ სწორი მაჩვენებლის მისაღებად მოსახლეობის საერთო რიცხვიდან უნდა გამოიყოს მხოლოდ იმ ასაკის მოსახლეობა, რომელშიც შეიძლება წერა-კითხვის ცოდნის გავრცელება ვიგულისხმოთ და მას

დაუპირისპიროთ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. მოსახლეობის ამ ნაწილის გამოყოფის საზღვრად შეიძლება დაწესდეს — 8,9 ან, დეციმალური სისტემის გამოყენებისას, 10 წლის ასაკი. მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მასალების დამუშავებისას ასეთ საზღვრად დაწესებულ იქნა 9 წლის ასაკი.

მონაცემები წერა-კითხვის მცოდნეობის შესახებ კომბინირებული უნდა იქნეს — მასალის უფრო გაღრმავებული ანალიზის მიზნით — რიგ დემოგრაფიულ ნიშნებთან, სქესთან, ასაკთან (შედარებით მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების გამოყოფით), ეროვნებასა და დედა-ენასთან; შემდეგ ეს მონაცემები ცალ-ცალკე უნდა დამუშავდეს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის, ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის (რესპუბლიკა, ოლქი, ქალაქები, რაიონები).

მოსახლეობის განათლების დონის სტატისტიკური შესწავლის მიზნით მოსახლეობის აღწერის პროგრამა ითვალისწინებს კითხვას საშუალო ან უმაღლესი სკოლის დამთავრების შესახებ, რის საფუძველზე გაირკვევა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღეს. განათლების დონის სტატისტიკური გამოსახულებისათვის გამოიყენება ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდე: გამოიანგარიშება საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე რამდენი პირი მოდის ყოველ 1000 მცხოვრებზე. განათლების მაჩვენებელი უნდა დაუკავშირდეს რიგ დემოგრაფიულ ნიშნებს: სქესს, ასაკობრივ ჯგუფებს, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს.

მოსახლეობის 1939 წლის 17 იანვარის აღწერის შედეგები თვალსაჩინოდ მოწმობენ სსრ კავშირის მოსახლეობის კულტურული დონის განუზომელ ზრდას იმ ღონისძიებათა შედეგად, რაც პარტიამ და მთავრობამ ჩაატარა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გასატარებლად, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ და მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად.

აღწერის მასალების მიხედვით სსრ კავშირის 9 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობა შემდეგი მაჩვენებლებით დახასიათდებოდა:

	წერაკითხვის მცოდნეთა პროცენტი								
	9 წლისა და მეტი ასაკისა			მათ შორის					
				9—19 წლის ასაკისა			50 წ. მეტი ასაკ.		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
მთელი მოსახლეობა									
1897 წ. 9 თებერვალს .	35,8	12,4	24,0	39,1	13.7	26,3	20.5	6,5	13.3
1926 წ. 17 დეკემბერს .	66.5	37,1	51,1	71,5	42,7	56.6	40,6	11,4	24.5
1939 წ. 17 იანვარს .	90,8	72,6	81,2	95,1	83,4	89,1	64,5	24,9	40,
მ ა თ შ ო რ ი ს:									
ქალაქის მოსახლეობა									
1897 წ. 9 თებერვალს .	63,3	39,3	52,3	65,5	43,1	55,6	48,7	23.1	34,9
1926 წ 17 დეკემბერს .	85,3	67,6	76,3	88,0	73,9	80,9	67.5	35,9	49,3
1939 წ. 17 იანვარს .	95,7	84,0	89,5	97,6	91,0,	94,2	62.2	46,5	61,1
სოფლის მოსახლეობა									
1897 წ. 9 თებერვალს .	31,1	8.6	19,6	34,3	9,6	21,7	17.0	4,1	10,5
1926 წ. 17 დეკემბერს	61,9	30,0	45.2	67,2	35.3	50,6	35.6	6,3	19.6
1939 წ. 17 იანვარს	88,2	66,6	76,8	93,8	79,2	96,4	56.9	15,8	32,3

ამრიგად, თუ 9 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 1897 წ. 24,0 %-ს შეადგენდა, 1926 წ. იგი უკვე 51,1 %-ს აღწევდა, ხოლო 1939 წ. კი 81,2 %-ს. კიდევ უფრო მაღალი იყო ეს პროცენტი 9 — 49 წლის ასაკის მოსახლეობისათვის, რაც 1939 წ. შეადგენდა 89,5 %-ს.

1939 წლის აღწერის შედეგები გვიჩვენებენ, რომ განსხვავება წერა-კითხვის მცოდნეობის დონის მხრივ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის მკვეთრად იყო შემცირებული: ქალაქის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი შეადგენდა 89,5-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში — 76,8 %-ს.

ასევე იყო შემცირებული განსხვავება წერაკითხვის მცოდნეობის მხრივ მამაკაცებსა და ქალებს შორის: 1926 წ. წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცთა რიცხვი შეადგენდა 9 წ. და მეტი ასაკის მოსახლეობის 66,5 %-ს, ხოლო ქალების რიცხვი — 37,1 %-ს; 1939 წ. კი მამაკაცთა სათანადო რიცხვი შეადგენდა 90,8 %-ს, ხოლო ქალებისა — 72,6 %-ს.

სსრ კავშირის 9 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობა **მ ო კ ა ვ შ ი რ ე რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი ს** მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

მოკავშირე რესპუბლიკები	9 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობაში წერაკითხვის მცოდნეთა პროცენტი					
	1926 წლის 17 დეკემბერი			1939 წლის 17 იან.		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	სულ	ქალი
1. რუსეთის სფსრ	72,0	40,2	55,0	92.3	73,0	81,9
2. უკრაინის სსრ	75,5	40.9	57,5	94,8	76 8	85,3
3. ბელორუსის სსრ	71,5	35,8	53,1	90,7	68,1	78,9
4. აზერბაიჯანის სსრ	33,2	16,4	25,2	81,5	64,5	73,3
5. საქართველოს სსრ	55,5	39,4	47,5	86,1	74,5	80,3
6. სომხეთის სსრ	49,5	19,2	34,5	85.0	62,4	73,8
7. თურქმენეთის სსრ	16,5	7,7	12 5	73,3	60,6	67,2
8. უზბეკეთის სსრ	14,2	6,5	10,6	73,6	61,6	67,8
9. ტაჯიკეთის სსრ	6,2	0 8	3.7	77,7	65,2	71.7
10. ყაზახეთის სსრ	32,6	12,5	22,8	85,2	66,3	76,3
11. ყირგიზეთის სსრ	22,1	7,4	15,1	76,7	63,0	70,0

სსრ კავშირის მოსახლეობის განათლების დონე მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1939 წლის აღწერის შედეგების მიხედვით შემდეგ მაჩვენებლებში გამოისახებოდა:

მოკავშირე რესპუბლიკები	განათლების მქონე პირთა რაოდენობა		100 მცხოვრებზე მოდის	
	საშუალო	უმაღლესი	საშუალო განათლების მქონე	უმაღლესი განათლების მქონე
1. რუსეთის სფსრ	8.319.706	706 653	76,8	6,5
2. უკრაინის სსრ	2.928.212	222.154	94,6	7,2
3. ბელორუსიის სსრ	434.526	25.005	78,0	4,5
4. აზერბაიჯანის სსრ	234.461	21.592	73,2	6,7
5. საქართველოს სსრ	401.407	39.681	113,4	11,2
6. სომხეთის სსრ	104 480	7.505	81,5	5.8
7. თურქმენეთის სსრ	57.856	4.032	46,2	3,2
8. უზბეკეთის სსრ	241.903	19.421	38,6	3,1
9. ტაჯიკეთის სსრ	40.287	2.989	27,1	2,0
10. ყაზახეთის სსრ	368.316	27.822	59,9	4,5
11. ყირგიზეთის სსრ	47.348	3.250	32.5	2.2
12. სსრ კავშირი	13.178.522	1.080.097	77,7	6,4

ამრიგად, სსრ კავშირში მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა საშუალო განათლების მქონე პირი დაახლოებით 78. აღსანიშნავია, რომ საშუალო განათლების მქონე 13,2 მილიონიდან 11,8 მილიონი ანუ 89,4 %-ს 39 წლამდე ასაკში იყო. ე. ი. საშუალო განათლება მათ მიღებული ჰქონდათ საბჭოთა პეროიოდში.

უმაღლესი განათლების მქონენი შეადგენდნენ 1.080 ათასს, ანუ ყოველ ათას მცხოვრებზე 6,4-ს. ამ პირთაგან 753 ათასი, ანუ 70 %, 39 წლამდე ასაკში იყო,

ე. ი. მათ უმრავლესობას უმაღლესი სკოლა დამთავრებული ჰქონდა საბჭოთა პერიოდში და ახალ საბჭოთა ინტელიგენციას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ-ში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა საშუალო განათლების მქონე 113,4 და უმაღლესი განათლების მქონე 11,2. ამრიგად, ამ მაჩვენებელთა მხრივ საქართველოს სსრ პირველ ადგილზე იდგა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით (ნ. აგრეთვე ზევით, თავი II).

IV თავი

მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკა

§ 1. მოსახლეობის კვლავწარმოება სსრ კავშირში

მოსახლეობის სტატისტიკა, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, მოსახლეობის რიცხვისა და შემადგენლობის შესწავლასთან ერთად შეისწავლის იმ ცვლილებებს, რაც მოსახლეობის რიცხვსა და შემადგენლობაში ხდება სოციალურ-ეკონომიური პირობების ზეგავლენით და რაც გამოიხატება, ერთი მხრით, «მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში» და, მეორე მხრით, მოსახლეობის მიგრაციაში. «მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა» თავის გამოსახულებას პოულობს დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების შემთხვევაში. ეს უკანასკნელნი «მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას» მიეკუთვნებიან იმის გამო, რომ ისინი უშუალოდ მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესს უკავშირდებიან და ამ პროცესის გამოსახულებას წარმოადგენენ, რამდენადაც მოსახლეობის კვლავწარმოების პირობათა ცნებაში შედიან.

მოსახლეობის კვლავწარმოება კი არის პროცესი მოსახლეობის რიცხვის და შემადგენლობის განუწყვეტელი განახლებისა, დაბადების, გარდაცვალების და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ან კლების სახით, რომლებიც ერთიმეორესთან კავშირში განიხილება როგორც ერთიანი პროცესი მოსახლეობის ერთი თაობის შეცვლისა მომდევნო თაობებით.

მოსახლეობის კვლავწარმოება თუმცა «მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას» წარმოადგენს, რამდენადაც ბუნებრივ მოვლენათა—დაბადების და გარდაცვალების მოვლენათა—სახით მიიღება, მაგრამ იგი არსებითად და მთლიანად სოციალურ-ეკონომიური ფაქტორებით განისაზღვრება. ეს გარემოება თავისთავად

გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან მოსახლეობის კანონების შესახებ (ნ. ზემოთ, თავი I).

ყოველ ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესს. როგორც აღნიშნული იყო, თავისი განსაკუთრებული მოსახლეობის კანონი შეესაბამება, ამიტომ მოსახლეობის კვლავწარმოების პირობებიც დამოკიდებულია ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესზე, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ დაბადების, გარდაცვალების, მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ან კლების პირობებს.

კაპიტალიზმის პირობებში, სადაც მოსახლეობის მშრომელი ფენების მდგომარეობა განისაზღვრება თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით, მოსახლეობის კვლავწარმოების პირობები არსებითად დ ე პ ო პ უ ლ ა ც ი ი ს პირობებს წარმოადგენენ.

მაქსიმალური კაპიტალისტური მოგებისადმი სწრაფვის და სამხედრო ხარჯების უზომო გადიდების შედეგად კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა საარსებო დონე მკვეთრად უარესდება. საგადასახადო ტვირთის სიმძიმე და ამ ტვირთის განუწყვეტელი ზრდა, მასობრივი მოხმარების საგანთა ფასების სისტემატური ზრდა, ინფლაცია, მაშასადამე, რეალური ხელფასის განუხრელი შემცირება, მილიონიანი მასების სრული ან ნაწილობრივი უმუშევრობა, სოციალური დაზღვევის თითქმის სრული არსებობა, ფართო ფენებისათვის მისაწვდომი სამედიცინო დახმარების უქონლობა, არაუზრუნველყოფილი მოხუცებულობა და ასეთივე ინვალიდობა, აუტანელი საბინაო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, პროგრესულად აუარესებს კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალურ-კულტურულ დონეს და იწვევს მათი შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების გაძლიერებას.

ამის შედეგად კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის მშრომელ ფენებში განსაკუთრებით მაღალ მოკვდაობას აქვს ადგილი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლიობა მოსახლეობის ამ ფენებში გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე სხვა ფენებში.

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის პრინციპულად განსხვავებული პირობები არსებობს. ეს კვლავწარმოება აქ ემყარება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს, რომელთა თანახმად სოციალისტური წარმოების მიზანია ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, მისი მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, ვინაიდან ადამიანები სოცია-

ლისტურ საზოგადოებაში „ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ“ (ი. სტალინი, სიტყვა, წარმოთქმული წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე კრემლის სასახლეში 1935 წ. 4 მაისს). ამ მიზნის მისაღწევ საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. ამით სოციალისტურ წყობილებას, როგორც ახალ და უფრო მაღალ საზოგადოებრივ წყობილებას, გადამწყვეტი უპირატესობა აქვს კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

მუდმივად განვითარებაში მყოფი საზოგადოებრივი წარმოების საფუძველზე სოციალისტურ საზოგადოებაში შეიქმნა ყველა საჭირო პირობა საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამახ თავისი გამოსახულება ჰპოვა იმით, რომ საცალო ფასების სისტემატური შემცირებით სსრ კავშირში განუხრელად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ფართო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რაც იმით გამოისახება, რომ დაწესებულია სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა, მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიური შვებულება ხელფასის შენარჩუნებით, უფასო ან შეღავათიანი საგზურები სანატორიუმებსა და საბავშვო დაწესებულებებში, სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, უფასო სწავლება დაწყებით და შვიდწლიან სკოლაში, სტიპენდიები მოსწავლეთათვის. ასეთი დამატებითი მატერიალური დოვლათები მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასს ერთ მესამედზე მეტით ზრდიან.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნილი აქვს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ფართო და სრულქმნილი სისტემა. მთელი მოსახლეობა სარგებლობს უფასო სამედიცინო დახმარებით, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ფართო ქსელი სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფება. შექმნილია ბავშვისა და დედის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემა. ფართოდ არის განვითარებული ფიზიკური კულტურა, რაზედაც სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს.

მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებას დიდად უწყობს ხელს განსაზოგადოებული ძირითადი საბინაო ფონდი და ფართოდ განვითარებული კომუნალური მეურნეობა. ამ სახის ხარჯები მუ-

შის ბიუჯეტში სსრ კავშირში შეადგენს მარტოოდენ 4%-მდე თანხას (წინააღმდეგ 25—40%-ისა კაპიტალისტურ ქვეყნებში).

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას, ჯანმრთელობის დაცვის ფართო და სრულქმნილ ორგანიზაციას, დედისა და ბავშვის დაცვის ღონისძიებებს, შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის წესების განხორციელებას, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას და სხვა მსგავს ღონისძიებებს უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდეეაც მოსახლეობის კვლავწარმოების განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები.

ი. სტალინი ჯერ კიდევ 1935 წელს აღნიშნავდა, რომ სსრ კავშირში „მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ძველად მეფის რუსეთში მრავლდებოდა. სიკვდილიანობამ იკლო. დაბადებულთა რიცხვმა იმატა და მოსახლეობის წმინდა მატება გაცილებით უფრო დიდი გამოდის... ამჟამად ჩვენში მოსახლეობის წმინდა მატება ყოველ წელს დაახლოებით სამ მილიონ სულს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს ჩვენ მთელი ფინეთის მოსახლეობის ოდენა ხალხი გვემატება“ (სიტყვა მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა თათბირზე, 1935, გვ. 15—16.

1936 წლის შემდეგ, როდესაც რიგი საკანონმდებლო ღონისძიებანი იქნა მიღებული მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების, მრავალშვილიან მეოჯახეთათვის სახელმწიფო დახმარების დაწესებისა, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოების, ალიმენტების გადაუხდელობისათვის სისხლის სამართლის წესით დასჯის გაძლიერებისა და განქორწინების კანონმდებლობაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის სახით, შობადობა სსრ კავშირში კიდევ უფრო გაიზარდა. შობადობის ზრდის შედეგად ბავშვების და ახალგაზრდობის ხვედრითი წილი სსრ კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვში გაცილებით უფრო მაღალი გახდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ასე. მაგ., 1939 წლის აღწერის შედეგების თანახმად 7 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვში შეადგენდა 18,6%-ს; 11 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი—28,0%-ს: 19 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვში შეადგენდა 45,1%-ს. ეს წილი ერთნახევარჯერ აღემატება ანალოგიურ მონაცემებს კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობისათვის. ასე, მაგ., ინგლისში 19 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენდა 29,9%-ს (1937 წ.), საფრანგეთში—30,8%-ს (1936 წ.), აშშ-ში—36,6%-ს (1931 წ.).

თანაფარდობა დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვებს შორის სსრ კავშირში გვიჩვენებს დაბადებულთა რიცხვის საგრძნობ სიჭარბეს გარდაცვლილთა რიცხვთან შედარებით. ასე, მაგ., 1938 წელს დაბადებულთა რიცხვის თანაფარდობა გარდაცვლილთა რიცხვისადმი შეადგენდა 215,7%-ს. ასეთი მაღალი თანაფარდობა დაბადებულთა რიცხვის სასარგებლოდ არ არის არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, 1938 წელს იქ გარდაცვლილთა რიცხვი 6%-ით აჭარბებდა დაბადებულთა რიცხვს, მაშასადამე, ადგილი ჰქონდა სრულიად საწინააღმდეგო თანაფარდობას გარდაცვლილთა რიცხვის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის მოსახლეობის კვლავწარმოების ზემომოტანილ მაჩვენებელთა ასახსნელად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მ ო კ ვ დ ა ო ბ ა ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს. მეფისდროინდელ რუსეთში, რომელიც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით პირველ ადგილზე იდგა მოკვდაობის დონის მხრივ, 1892 წლიდან 1913 წლამდე პერიოდში (21 წლის განმავლობაში) მოკვდაობა 6%-ით შემცირდა. შემდგომი 21 წლის განმავლობაში—1913 წლიდან 1934 წლამდე—კი მოკვდაობა შემცირდა 44%-ით. თანაც ეს შემცირება ძირითადად მოდის საბჭოთა პერიოდის უკანასკნელ 12—14 წელზე, ვინაიდან წინა წლებში—პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში—მოკვდაობა მეტად მაღალი იყო. ასე რომ მოკვდაობის შემცირება სსრ კავშირში ფაქტიურად 1934 წლისათვის გაცილებით უფრო მეტი იყო.

დიდი სამამულო ომისშემდგომ პერიოდში მოსახლეობის მატება სსრ კავშირში კიდევ უფრო მეტია.

პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შემცირდა სიკვდილიანობა. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოსახლეობის წმინდა მატებამ შეადგინა 9 მილიონ 500 ათასი კაცი.

ამრიგად, სოციალისტური საზოგადოება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმ-

ჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისადმი მიმართულ ღონისძიებათა მეოხებით მოკვდაობა საერთოდ და, კერძოდ, ბავშვთა მოკვდაობა მკვეთრად შემცირდეს, შობადობამ იმატოს და მოსახლეობის წმინდა მატება ისეთ დონეზე ავიდეს, როგორიც წარმოუდგენელი იყო მეფის დროინდელ რუსეთში და წარმოუდგენელია რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სადაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ეკონომიური კრიზისები, უმუშევრობა, ჭარბი მოსახლეობის რაიმე ფორმა, მეურნეობის სოციალისტური სისტემა შესაძლებელს და მიზანშეწონილს ხდის საზოგადოებრივი შრომის სფეროში გამოყენებული იქნეს საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი წევრი.

ყოველივე ამაში გამოისახება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის ძალა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობის აღმავლობისათვის. ამით აიხსნება მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპებიც ჩვენს ქვეყანაში.

სსრ კავშირში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე რეგისტრაციის მასალები, მოპოვებული სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საშუალებით (ნ. ზემოთ, თავი II, §. 3), სტატისტიკურ ორგანოებში დამუშავებას ექვემდებარება განსაზღვრული პროგრამის მიხედვით. უპირველესად ეს დამუშავება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო შედეგს არკვევს და აჯამებს, ხოლო ცალკეული შემთხვევებისათვის—დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინებისათვის—მეტ-ნაკლებ დეტალურ დამუშავებას ექვემდებარება.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციის საერთო შედეგები გამოისახება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ჯამებში" (ფორმა ა), რაც ყოველწლიურად შედგება თითოეული დასახლებული პუნქტებისათვის ცალკეული თვეების მიხედვით და შეიცავს შემდეგ ცნობებს: მმაჩ-ის ორგანოების საერთო რიცხვი. მათ მიერ მომსახურებული მოსახლეობის რიცხვი, რიცხვი. მმაჩ-ის ორგანოებისა, რომლებმაც სათანადო ცნობები წარმოადგინეს, მათ მიერ მომსახურებული მოსახლეობის რიცხვი, რეგისტრირებული აქტების რიცხვი: დაბადებათა, გარდაცვალებათა (მათ შორის 1 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვთა), ქორწინებათა და განქორწინებათა.

შედარებით უფრო დეტალურია წლიური „ცნობები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ" (ფორმა № 1), სადაც, გარდა იმისა, რომ მოცემულია ცნობები სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთა რიცხვის, მათ მიერ მომსახურებული მოსახლეობის რიცხვის და სათანადო ცნობების წარმომდგენ მმაჩის ორგანოთა რიცხვის შესახებ, უფრო დაწვრილებით არის დამუშავებული მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ. სახელდობრ, აქ მოცემულია:

1. მშობიარობის შემთხვევათა რიცხვი (მკვდრადდაბადებულთა ჩათვლით); მათ შორის მრავალნაყოფიან (2, 3 და მეტნაყოფიან) მშობიარობათა რიცხვი;

2) დაბადებულთა რიცხვი (მკვდარდაბადებულთა გარდა) სქესის მიხედვით,

3) მკვდარდაბადებულთა რიცხვი სქესის მიხედვით;

4) გარდაცვლილთა რიცხვი სქესის მიხედვით;

5) ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი სქესის მიხედვით;

6) ქორწინებათა რიცხვი;

7) განქორწინებათა რიცხვი.

წლიური მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგების შესახებ ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების და რაიონების მიხედვით თავმოყრილია „საერთო ჯამებში" (ფორმა № 1 ა), რომლებსაც დამატებული აქვს სათანადო პროგრამული კოეფიციენტები დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინების შემთხვევათა რიცხვი ყოველ 1000 მკვიდრებზე.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მასალის შემდგომი დეტალური დამუშავება წარმოებს დაბადებათა, გარდაცვალებათა და ქორწინებათა და განქორწინებათა რიცხვების დიფერენციაციის სახით რიგი უმნიშვნელოვანესი ნიშნების მიხედვით. ასეთი დამუშავების პროგრამა და ხასიათი გარკვეულია ქვემოთ, ბუნებრივი მოძრაობის ცალკე მოვლენების—დაბადების. გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინების—სტატისტიკის საკითხების გადმოცემისას.

§ 2. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის ამოცანები. მეთოდოლოგიური მოთხოვნანი

მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის ამოცანაა მოგვცეს მოსახლეობის რიცხვსა და შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა სურათი, წარმოშობილი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სახით, როგორც შედეგი საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფაქტორთა ზემოქმედებისა დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინებისა და განქორწინების მოვლენებზე.

მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის ეს ზოგადი ამოცანა შეიძლება შემდეგი კონკრეტული ამოცანების სახით ჩამოყალიბდეს:

1. მოსახლეობის კვლავწარმოების, მოსახლეობის ერთი თაობის მომდეგნო თაობებით შეცვლის შესწავლა თავისთავად დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის განვითარების უახლოესი და მეტად თუ ნაკლებად შორეული პერსპექტივები. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკამ, რამდენადაც იგი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პირობებს, ამ მოძრაობის ხასიათს, მის ტენდენციას და ტემპებს შეისწავლის, წარმოდგენა უნდა მოგვცეს მოსახლეობის განვითარების, მისი დი-

ნამიკის პირობების შესახებ როგორც აწინდელი, ისე პერსპექტიული დახასიათების მისაღებად;

2. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკურმა შესწავლამ, რამდენადაც იგი ემყარება იმ სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორთა ანალიზს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ამ კვლავწარმოებაზე, თვალსაჩინო უნდა გახადოს იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური პირობების ზეგავლენა (მისი ხასიათი და ზომა), რომლებიც მოსახლეობის კვლავწარმოების ამა თუ იმ რეჟიმს აპირობებენ. შობადობის, მოკვდაობის, დაქორწინების და განქორწინების ესა თუ ის ხასიათი, ზომა, დინამიკა თავის ახსნას უნდა პოულობდეს საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა სფეროში, საზოგადოების ეკონომიური წყობილების პირობებში, ამიტომ ბუნებრივად, მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენები სტატისტიკურად უნდა იქნეს შესწავლილი და ახსნილი კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემის კონკრეტულ ვითარებაში;

3. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის ამოცანაა მოგვცეს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მოვლენათა სტატისტიკური დახასიათება ამ მოვლენების როგორც აბსოლუტური სიდიდის დასადგენად, ისე მათი დიფერენციაციის მიზნით რიგ სოციალურ და, ნაწილობრივ, ფიზიკურ ნიშანთა საფუძველზე. ასეთი დიფერენციული შესწავლა შესაძლებელს გახდის ანალიზი გაუკეთდეს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამა თუ იმ მოვლენის ხასიათს და განვითარების ტენდენციას. ასეთი ანალიზი განსაკუთრებით ნაყოფიერი შედეგის მომცემი იქნება, როდესაც კვლავწარმოების მოვლენები დაუკავშირდება მოსახლეობის შესაბამისი მასების საზოგადოებრივ ჯგუფებს. აქ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ანალიზური მიზნებისათვის სტატისტიკურ დაჯგუფებათა მეთოდი;

4. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკური შესწავლისა და ანალიზის მიზნით საჭიროა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მოვლენების შესწავლისას გამოცალკევებული ერთობლიობანი (დაბადებულთა, გარდაცვლილთა, დაქორწინებულთა განქორწინებულთა) დაუპირისპირდეს მოსახლეობის სხვა მასებს (მთელ მოსახლეობას, მის ცალკეულ, სპეციალურად დაყოფილ ჯგუფებს), რათა გაირკვეს ამ მოვლენათა ინტენსიობა, მათი თანაფარდობა მოსახლეობის სხვა მასებთან. მოსახლეობის კვლავ-

წარმოების სტატისტიკა აქ ფართოდ გამოიყენებს სხვადასხვა კოეფიციენტთა გამოანგარიშებას.

მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკური შესწავლის ზემოაღნიშნულ ამოცანათა შესრულებისას დემოგრაფიული სტატისტიკა ფართოდ იყენებს სტატისტიკური კვლევის მეთოდებს: დაჯგუფების მეთოდს, შეფარდებით სიდიდეთა გამოანგარიშების მეთოდს, საშუალო სიდიდეთა მეთოდს, სტატისტიკური ანალიზის ხერხებს და სხვ., რომელთა მეოხებით იგი ცდილობს დაადგინოს, მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენათა თვისობრივი ანალიზის საფუძველზე, მათში არსებული ობიექტური კანონზომიერებანი.

ზემოაღნიშნული ამოცანები რომ განახორციელოს, მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკა ვალდებულია დაიცვას განსაზღვრული მეთოდოლოგიური მოთხოვნანი, რომელთა გარეშე იგი ვერ შეძლებს შესასწავლ მოვლენათა სწორ და სრულ ანალიზს. ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნანი ძირითადად შეიძლება შემდეგ დებულებათა სახით განისაზღვროს:

1. მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის მონაცემები შესადარ სტატისტიკურ სიდიდეებს უნდა წარმოადგენდნენ როგორც შინაარსობრივად, ისე დროისა და ადგილის მიხედვით.

ამ მონაცემთა შინაარსობრივი ერთგვაროვნობა დაცული უნდა იქნეს იმ მხრივ, რომ დაკვირვებით მოცულ მოვლენათა (დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების და განქორწინების შემთხვევათა) მასა ერთგვაროვანად სრული უნდა იყოს, მისი ელემენტები ერთგვაროვან შინაარსობრივ განსაზღვრას უნდა ექვემდებარებოდნენ, დაკვირვების ერთეულისა და ნიშნების ცნება ერთგვაროვანი უნდა იყოს, მოპოვებული პირველადი მასალის დამუშავების მეთოდოლოგიური ხერხები ერთიან პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

დროის მიხედვით ერთგვაროვნობა მოითხოვს მოსახლეობის კვლავწარმოების დასაპირისპირებლად მონაცემთა აღებას დროის ერთიდაიგივე პერიოდისათვის, ხოლო ადგილის მიხედვით ერთგვაროვნობა მოითხოვს მონაცემთა აღებას ერთიდაიგივე ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში.

მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის კოეფიციენტთა გამოანგარიშებისას ძირითადი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა აღებულ იქნეს მოვლენის ინტენსიობის გასაზომავად ისეთი „გარემო“ (მთელი მოსახლეობა ან მისი ცალკეული ჯგუფი, გამოცალკევებული ამა თუ იმ არსებითი ნიშნის მიხედვით, რო-

მელსაც უნდა დაუპირისპირდეს მოსახლეობის კვლავწარმოების ცალკეული მოვლენები), რომელიც გენეტურ კავშირში იქნება ინტენსიობაგასაზომავ მოვლენასთან (დაბადებასთან, გარდაცვალებასთან და სხვ.). ასეთი გენეტური კავშირის დადგენა კი უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვისობრივი ანალიზის საფუძველზე.

2. მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენები უშუალო გავლენას ახდენენ მოსახლეობის ასაკობრივ და, ნაწილობრივ, აგრეთვე სქესობრივ შემადგენლობაზე. მაგრამ თვით მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ შემადგენლობას არსებითი გავლენა აქვს, თავის მხრივ, მოსახლეობის კვლავწარმოებაზე. ეს ბუნებრივად იმით აიხსნება, რომ შობადობა და მოკვდაობა სხვადასხვა მოცულობის და ინტენსივობისაა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ასე, მაგ., შობადობის მაჩვენებელი სრულიად არ გვაქვს ბავშვთა და მოხუცთა ასაკისათვის, ხოლო 20—30 წლ. ასაკში იგი მეტად მაღალ დონეს აღწევს. მოკვდაობის მაჩვენებელი, პირიქით, მეტად მაღალია ბავშვობის (განსაკუთრებით 1 წლამდე) და მოხუცებულობის ასაკში და შედარებით დაბალია, სხვა თანაბარ პირობებს თუ ვიგულისხმებთ, შუა ასაკობრივ საფეხურებში.

ამიტომ მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის მაჩვენებლები ბუნებრივად დაკავშირებულია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან და მოითხოვენ სხვადასხვა ასაკობრივ კონტინგენტებთან კავშირში გარკვევას და შესწავლას. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები შესასწავლი მოვლენის მეტად ზოგად დახასიათებას და, ვარკვეულ შემთხვევებში, სინამდვილის არასწორ, დამახინჯებულ დახასიათებასაც კი მოგვცემენ

აღსანიშნავია, რომ არა მარტო მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის, არამედ საერთოდ დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებლები მრავალ შემთხვევაში მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან არის დაკავშირებული, რის გამო ამ მაჩვენებელთა მიღებისას მხედველობაში მიიღება სწორედ მოსახლეობის ასაკობრივი აგებულება. ასეთია, მაგ., წერაკითხვის მცოდნეობის, მოსაქმეობის ოჯახური მდგომარეობის და სხვ. მაჩვენებლები.

ზოგ შემთხვევაში მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები მოითხოვენ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობაც

(მაგ., შობადობის მაჩვენებლების მიღებისას), ვინაიდან შესასწავლი მოვლენის ინტენსივობის დახასიათებისთვის ეს ზოგჯერ უფრო მტკიცე საფუძველს ქმნის (ნ. ქვეეით, § 3).

3. მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენების შესწავლისას სათანადო მონაცემების ანალიზის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის არა როგორც ერთი განუყოფელი მთელის, არამედ როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს ა გ ა ნ შემდგარი ერთობლიობის აღება. „მოსახლეობა აბსტრაქცია,—აღნიშნავს კ. მ ა რ ქ ს ი, — თუ მე, მაგალითად, იმ კლასებს, რომლებისგანაც იგი შესდგება, მხედველობის გარეშე ვტოვებ“ (პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1932, გვ. 23).

ამიტომ მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენების შესწავლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოებრივი კლასები, სადაც ეს მოვლენები, მოსახლეობის ამა თუ იმ კლასის სოციალური თავისებურების მიხედვით, განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს.

ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენების შესწავლისას მხედველობის გარეშე ტოვებს საზოგადოებრივ კლასებს და კვლავწარმოების პროცესს განიხილავს აბსტრაქტულად, მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან დამოუკიდებლად. ამით ბურჟუაზიული სტატისტიკა ცდილობს მიჩქმალოს მოსახლეობის კვლავწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, რაც თვალსაჩინოდ გახდიდა იმ სოციალურ კონტრასტებს, რასაც ადგილი აქვს მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის მხრივ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამ გზით ბურჟუაზიული სტატისტიკა ცდილობს მიჩქმალოს ის უეჭველი ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოსახლეობის კვლავწარმოების პირობები მკვეთრად განსხვავებულია შეძლებულ კლასებსა და უქონელ კლასებში, რომ აქ “პრივილეგიებით მოსილ კლასს აქვს სიცოცხლის ასიგნობა (have a lease of life) ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე მის ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში მყოფ მოქალაქეს“ (კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1930, გვ. 589).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მოთხოვნას—მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის შესწავლის საზოგადოებრივ კლასებთან დაკავშირებით—კაპიტალიზმის პირობებში, სადაც მოსახლეობა ანტაგონისტურ საზოგადოებრივ კლასებადაა დანაწევრებული, ამ კლასთა არსებობის სოციალურ-ეკონომიური პირობები მკვეთრადაა ერთიმეორისაგან განსხვავებული და სადაც, ამიტომ, მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესი თვითეული სოციალური ჯგუფისათვის თავისებურ პირობებში მიმდინარეობს.

ვინაიდან ბურჟუაზიული სტატისტიკა მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობისაგან დამოუკიდებლად განიხილავს, ამიტომ სათანადო სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დროს აუცილებელია; შესაძლებლობის ფარგლებში ბურჟუაზიული სტატისტიკის ეს მონაცემები დამუშავებულ იქნეს იმ მიზნით, რათა მოსახლეობიდან გამოიყოს საზოგადოებრივი კლასები, რომლებსაც შესასწავლი მოვლენის ანალიზი უნდა დაუკავშირდეს. ასეთი დამუშავება, რა თქმა უნდა, მთლად სწორ შედეგს არ მოგვცემს. მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში იგი შეიძლება მაინც გამოყენებულ იქნეს მიახლოებითი სურათის მისაღებად.

4. როდესაც მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებად დანაწილება, ბურჟუაზიული სტატისტიკის მიერ გამოყენებული დამუშავების არასწორი მეთოდოლოგიის გამო, გამორიცხულია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაპირდაპირი ხერხი იმისათვის, რათა მიღებულ იქნეს კვლავწარმოების მოვლენების მიმოინარეობის სურათი საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით. ასეთი არაპირდაპირი ხერხი მდგომარეობს ნასალის დაჯგუფებაში ადგილის მიხედვით იმ ვარაუდით, რომ გამოცალკევებული ტერიტორიული (მეტ ნაკლებად წვრილი) ერთეულები შეიძლება მიეკუთვნოს უპირატესად მოსახლეობის განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს. ეს ვარაუდი მით უფრო საფუძვლიანია, რომ კაპიტალიზმის პირობებში მოსახლეობის სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა საცხოვრებელი უბნები და სადგომები ტერიტორიულად ერთიმეორისაგან შედარებით ადვილად გამოსაცალკევებელია.

ასეთ პირდაპირ ხერხს მიმართა ფ. ენგელსმა თავის შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" იმისათვის, რომ მიეღო მოკვდაობის მაჩვენებლები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის. ამ მიზნით მან გამოიყენა ცნობები, რომელთა მიხედვითაც ქუჩები და სახლები ქ. მაჩესტერის ერთ-ერთ მიდამოში (ჩოლტონი-მედლოკზე) სამ-სამ კლასად იყო დაყოფილი, რის შესაბამისად მოკვდაობა შეადგენდა: ქუჩების პირველ კლასში: I კლასის სახლებში—ერთს 51-ზე, II კლასის სახლებში—ერთს 45-ზე, III კლასის სახლებში—ერთს 36-ზე; ქუჩების მეორე კლასში: I კლასის სახლებში—ერთს 55-ზე, II კლასის სახლებში—ერთს 38-ზე, III კლასის სახლებში—ერთს 35-ზე. ქუჩების მესამე კლასში: I კლასის სახლებში—(ცნობები არაა). II კლასის სახლებში—ერთს 35-ზე, III კლასის სახლებში—ერთს 25-ზე. ამრიგად, მეორე კლასის ქუჩებში მოკვდაობა 18%-ით და მესამე კლასისაში—68%-ით

მეტია, ვიდრე პირველი კლასის ქუჩებში; რომ მოკვდაობა მეორე კლასის სახლებში 31%-ით და მესამე კლასისაში—78%-ით მეტია, ვიდრე პირველი კლასის სახლებში (ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935, გვ. 107—108).

5. მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენები, განხილული მოსახლეობის მოსაქმეობასთან დაკავშირებით, შესაძლებელს ხდის გაირკვეს ძოელ რიგ შემთხვევებში კავშირი, რომელიც ამ მოვლენებსა და კვლავწარმოების პროცესს შორის არსებობს. ასე. მაგ., კ. მარქსი (კაპიტალი, ტ. I, გვ. 247—248) აღნიშნავს, რომ მრეწველობაში მომუშავეთა ჯანმრთელობა არადაბაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მიწათმოქმედებაში ჩაბმულ მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შედარებით, რაც გამოისახება მოკვდაობის მაღალ ნორმაში სამრეწველო ოლქებისათვის და მოკვდაობის შედარებით დაბალ ნორმაში „საღი სამიწათმოქმედო" ოლქებისათვის.

განსაკუთრებით დიდ სხვადასხვაობას ვპოულობთ ანალოგიურ ნორმებს შორის იმ შემთხვევაში, თუ ბურჟუაზიული პროფესიული სტატისტიკა საშუალებას იძლევა გამოიყოს „მეპატრონეთა" ჯგუფი ამავით მოქმედი მოსახლეობის საერთო მასიდან. მიუხედავად იმისა, რომ „მეპატრონეთა" ჯგუფში ბურჟუაზიულ-დემოგრაფიულ სტატისტიკას სულ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის პირები შეაქვს (დაწყებული სრულიად წვრილი საქონლის მწარმოებლით და დამთავრებული მსხვილი და უმსხვილესი კაპიტალისტებით), მაინც ამ ჯგუფის შედარება მოსაქმე მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შესაძლებელს ხდის გაირკვეს მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის ხასიათის არსებითი სხვადასხვაობა მათში.

6. მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის შემდგომი ანალიზის მიზნით დემოგრაფიული სტატისტიკა იყენებს სტატისტიკურ მონაცემთა დაჯგუფებას რიგ სხვა ნიშანთა მიხედვითაც, მაგ., საბინაო პირობების, შემოსავლის სიდიდის და სხვ. მიხედვით. ასეთ დაჯგუფებათა გამოყენება სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის მიზნით ვერ გასწევს სოციალური ჯგუფების მიხედვით დაჯგუფების მაგიერობას, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირი გზით კლასობრივ დაჯგუფებათა მიღება შეუძლებელია. ეს არაპირდაპირი ხერხებიც შესაძლებელია მეტ-ნაკლები წარმატებით იქნეს გამოყენებული.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური მოთხოვნანი დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზური დამუშავებისათვის ტოლმნიშვნელოვანი არ არის. კლასობრივ და პროფესიულ დაჯგუფე-

ბათა მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია კაპიტალიზმის პირობებში, სადაც მოსახლეობის კვლავწარმოების პირობები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში სრულიად კონტრასტული შედეგების მომცემია. რაც შეეხება მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის შესწავლას სოციალისტური საზოგადოების პირობებში, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დაცულ იქნეს მასალის ერთგვაროვნობა, მისი მოპოვება დამუშავების მეთოდოლოგიურ ხერხთა ერთგვაროვნობის თვალსაზრით.

§ 3. დაბადების სტატისტიკა

ა. დაბადების აბსოლუტური სიდიდე

მოსახლეობის კვლავწარმოების მოვლენათა შორის ძირითადი და ამოსავალი მოვლენაა დაბადება, რომელსაც მოსახლეობის კვლავწარმოების თვალსაზრისით აქტიური და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და ბუნებრივი მატება, საბოლოოდ, დაბადების შემთხვევით განისაზღვრება და მოსახლეობის ევოლუციის თვალსაზრისით კვლავწარმოების პირველად მოვლენათა ხასიათს ატარებს. მოსახლეობის კვლავწარმოების სხვა მოვლენათაგან (გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება) განსხვავებით დაბადების შემთხვევები აქტიურ და განსაზღვრულ როლს ასრულებენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ბალანსში. დაბადების შემთხვევათა მოცულობა განსაზღვრავს, ძირითადად, მოსახლეობის განვითარების პერსპექტივასაც, რაზედაც ზეგავლენას ახდენენ ავრეთვე გარდაცვალების და მიგრაციის მოვლენები.

დაბადების შემთხვევათა შესწავლისას სტატისტიკურ ერთეულს წარმოადგენს, უპირველესად, დაბადება, ე. ი. ყოველი ბავშვის დაბადების ფაქტი, დამოუკიდებლად მშობიარობის შემთხვევათა რაოდენობისა. თვით მშობიარობის შემთხვევათა რიცხვი კი ცალკე შესწავლას ექვემდებარება, თითოეული მშობიარობისას დაბადების შემთხვევათა რიცხვთან (ორ, სამ და მეტნაყოფიან მშობიარობასთან) დაკავშირებით.

ვინაიდან დაბადებულ ბავშვთაგან ერთი ნაწილი მკვდრად იბადება, ბუნებრივად წარმოიშობა საკითხი: მკვდრადდაბადებულნი დაბადებულთა რიცხვს უნდა მიეკუთვნონ თუ არა და როგორ გამოცალკევდეს მკვდრადდაბადების შემთხვევა მუცლისმოწყვეტის შემთხვევათაგან.

დაბადების სტატისტიკის სრული მოცულობის თვალსაზრისით აუცილებელია, რათა მკვდრადდაბადებულნიც დაექვემდებარონ სტატისტიკურ შესწავლას, მაგრამ დაბადების შემთხვევათა საერთო რიცხვიდან ისინი გამოცალკევებული უნდა იქნენ. ამიტომ სტატისტიკური პრაქტიკა მოიცავს როგორც ცოცხლად დაბადებულთა, ისე მკვდრადდაბადებულთა რეგისტრაციას და სათანადო მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებას. აღსანიშნავია, რომ მკვდრადდაბადებულთა სრული სტატისტიკური მოცვის მიზნით მათი რეგისტრაციის საგანგებო ვადაა დაწესებული: იგი უნდა მოხდეს არა უგვიანეს 24 საათისა მშობიარობის მომენტიდან.

მკვდრადდაბადების შემთხვევათა გამოცალკევებისას მუცლის მოწყვეტის შემთხვევებისაგან მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მუცლისმოწყეტად ითვლება ორსულობის შეწყვეტა და ნაყოფისაგან გათავისუფლება, უნებურად ან ხელოვნურად, პირველი 28 კვირის (7 თვის) განმავლობაში, როდესაც ნაყოფს უნარი არა აქვს დედის სხეულის გარეშე იარსებოს. ორსულობის ნაადრევი დამთავრება 28 კვირის შემდეგ კი ითვლება ნაადრევ მშობიარობად, ხოლო ნაყოფი—დაბადებულად.

დაბადების შემთხვევათა რეგისტრაცია ეხება ფ ა ქ ტ ი უ რ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს, ე. ი. დაბადების სტატისტიკა მოიცავს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულში ფაქტიურად მომხდარ დაბადების შემთხვევათა რეგისტრაციას. როდესაც საქმე ეხება წვრილ ტერიტორიულ ერთეულებს, დაბადების შემთხვევათა აბსოლუტურ სიდიდეზე აქ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამშობიარო დაწესებულებათა თავმოყრამ ამ ერთეულებში, რის გამო დაბადების შემთხვევათა აბსოლუტური სიდიდე აქ გაზვიადებული იქნება.

ამიტომ მიმდინარე დაკვირვების გზით მიღებული პირველადი მასალები დაბადების შემთხვევათა შესახებ დამუშავებას ექვემდებარება მ უ დ მ ი ვ ი ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ა დ გ ი ლ ი ს და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. დაბადებულთათვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გაირკვევა მშობლების მისამართის მიხედვით, ხოლო როდესაც ისინი ერთად არ ,ცხოვრობენ—დედის მისამართის მიხედვით.

როდესაც საქმე ეხება მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებს, აქ ფაქტიურად რეგისტრირებულ დაბადებათა რიცხვი სწორი გამომსახველი იქნება დაბადებათა აბსოლუტური სიდიდისა ამ ერთეულებისათვის, ვინაიდან წვრილ ტერიტორიულ ერთეულებში მომხდარი უსწორობანი აქ წაიშლებიან.

დაბადების შემთხვევათა სტატისტიკური შესწავლის მიზნით საჭიროა დაბადებათა აბსოლუტური მასა დიფერენცირებულ იქნეს ადგილის, დროს და სხვა ფიზიკურ და სოციალურ ნიშანთა მიხედვით. ასეთი დიფერენციაცია აუცილებელია დაბადების შემთხვევათა სტატისტიკური ანალიზისათვის.

ბ. დაბადებათა დიფერენცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით

დაბადების აბსოლუტური სიდიდე თავისთავად წარმოადგენს, როგორც ზოგად-მეცნიერულ, ისე პრაქტიკულ ინტერესს, ვინაიდან ეს სიდიდე განსაზღვრავს მოსახლეობის გამრავლების ტენდენციას და ამ გამრავლების ძალას. მაგრამ დაბადების აბსოლუტური სიდიდე საჭიროა დიფერენცირებულ იქნეს რიგ ნიშანთა მიხედვით, რათა გაირკვეს მისი განაწილება გეოგრაფიულ-ტერიტორიული, დროის და სხვა ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომელთა საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს ამ მოვლენის ხასიათი და თავისებურება.

დაბადებათა განაწილება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საშუალებას იძლევა გამოცალკევდეს დაბადებათა აბსოლუტური სიდიდე ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის, რომელთა განაწევრება მეტ ნაკლები ზომით არის შესაძლებელი არსებული ოფიციალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების შესაბამისად. ასეთი დანაწილება საშუალებას იძლევა გამოიყოს უფრო მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ხოლო მათ ფარგლებში აგრეთვე—ქალაქი და სოფელი.

დაბადების შემთხვევათა განაწილებისას დროის მიხედვით ჩვეულებრივ საკმარისია შუალედად წლიური პერიოდები იქნეს აღებული. ზოგ სპეციალურ-სტატისტიკურ გამოკვლევათა მიზნით ეს შუალედი შეიძლება შემცირდეს თვიურ პერიოდამდე.

დაბადების შემთხვევათა ცვალებადობა, განხილული დროის წლიური ან თვიური მონაკვეთების შედარების საფუძველზე, შესაძლებელს გახდის გამოირკვეს იმ სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორთა ზეგავლენა, რომლებიც გახსაზღვრავენ ძირითადად დაბადების შემთხვევათა მეტ-ნაკლებობას დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვის შემდგომი დიფერენციაცია შეიძლება მოხდეს სქესის მიხედვით. ეს დიფერენციაცია მეტწილ შემთხვევაში გვიჩვენებს ძირითადად სქესთა შორის ტოლობას, რაც მხოლოდ მცირეოდნად ირღვევა ცალკეულ ტერი-

ტორიულ ერთეულებში და პერიოდებში უმთავრესად მამრობითი სქესის სასარგებლოდ. თვით დაბადებულთა სქესობრივი განაწილების თანაფარდობა მასობრივი დაკვირვების პირობებში გვიჩვენებს მტკიცედ გამოსახულ პროპორციას, რომლის ახსნა სტატისტიკური კვლევის ფარგლებს სცილდება და რაც მრავალ ასეთ სხვადასხვაგვარ ჰიპოთეზას უკავშირდება, რომელთა მეცნიერული დასაბუთება და დადასტურება დღემდე დასრულებული არ არის.

დაბადების შემთხვევათა სტატისტიკური შესწავლისას განსაზღვრულ ინტერესს წარმოადგენს მრავალნაყოფიან — ორ, სამ და მეტნაყოფიან — მშობიარობათა შესწავლა. ასეთ მშობიარობათა რიცხვი ჩვეულებრივ არც ისე დიდია, რომ მან გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო განვითარებაზე. მაგრამ მასობრივი დაკვირვების გზით ამ მოვლენის შესწავლის მეცნიერული ინტერესი ნაინც იმდენად დიდია, რომ დაბადების სტატისტიკა მრავალ შემთხვევაში ამ ნიშნის მიხედვით რეგისტრაციას აწარმოებს და მიღებულ მასალასაც სათანადოდ ამუშავებს. მრავალნაყოფიან მშობიარობათა შემთხვევები შეიძლება განაწილდეს: ნაყოფის რიცხვის მიხედვით (2, 3 და მეტი). დროის მიხედვით, ადგილის მიხედვით, სოციალური ნიშნების მიხედვით და სხვ... ასეთი დიფერენციაცია, დამყარებული მასობრივ სტატისტიკურ მონაცემებზე, შესაძლებელს გახდის მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნები იქნეს მიღებული ამ მოვლენის ბიოლოგიური და სოციალური ხასიათის შესახებ.

დაბადებულთა რიცხვი, როგორც აღნიშნული იყო, მოიცავს როგორც ცოცხლადდაბადებულთ, ისე მკვდრადდაბადებულთ. ამიტომ საჭიროა დაბადებულთა საერთო რიცხვიდან გამოცალკევდეს მკვდრად დაბადებულთა რიცხვი, რომელთა შესწავლა (აბსოლუტური სიდიდის, სიხშირის და სხვ. გამორკვევის მიზნით) მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. მკვდრადდაბადებულთა შეტანა დაბადების შემთხვევათა საერთო რიცხვში თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ისინი აგრეთვე უნდა მიეკუთვნონ გარდაცვლილთა რიცხვს. გარდა ამისა, მკვდრადდაბადების შემთხვევანი ბავშვთა მოკვდაობის დამახასიათებელი ელემენტია და იგი ამ უკანასკნელთან კავშირში უნდა იქნეს განხილულ-შესწავლილი.

დაბადების შემთხვევათა შემდგომი განაწილება შეიძლება მოხდეს დაბადების თანმიმდევრობის ნიშნის მიხედვით: მერამდენე ბავშვია დედისათვის დაბადებული. ამ ნიშანს სასურველია დაუკავშირდეს დედის ასაკი. ამ ორი ნიშნის—დაბადების თანმიმდევრობისა და დედის ასაკის კომბინაციური დამუ-

შ ა ვ ე ბ ა წარმოადგენს დაბადების სტატისტიკის ერთ-ერთ უმ-ნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის საფუძველზე შეიძლება გაირკვეს დაბადების სტატისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა დედის ასაკისა და დაბადების თანმიმდევრობის ურთიერთკავშირი.

სტატისტიკური შესწავლის თვალსაზრისით ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს ცნობების მოპოვება და დამუშავება რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადების შემთხვევათა შესახებ. რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა ლ ე გ ი ტ ი მ ა-ც ი ა საბჭოთა კანონმდებლობით სრულად არის უზრუნველყოფილი და ჩვენში სრულიად აღარ არის ძალაში ბურჟუაზიული საზოგადოების ისეთი ცნებანი, როგორიცაა „კანონიერად დაბადებულნი“ და „უკანონოდ დაბადებულნი“. მიუხედავად ამისა, სტატისტიკა მაინც ამუშავებს ცნობებს იმ დაბადებულთა შესახებ, რომელთათვისაც დაბადების აქტში არ არის ჩანაწერი მამის შესახებ,

რ ე გ ი ს ტ რ ი რ ე ბ უ ლ ი ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე დ ა ბ ა-დ ე ბ უ ლ თ ა გ ა მ ო ც ა ლ კ ე ვ ე ბ ა დაბადებულთა საერთო რიცხვიდან საშუალებას იძლევა დახასიათდეს ქორწინების გარეშე დაბადების შემთხვევათა რიცხვი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება დაუკავშირდეს აგრეთვე დ ე დ ი ს ა ს ა კ ს.

დაბადების შემთხვევათა შემდგომი დიფერენციაციისათვის ნიშნებად შეიძლება აღებულ იქნეს: მ შ ო ბ ლ ე ბ ი ს (დედის ან მამის, ანდა—ორივესი) მ ო ს ა ქ მ ე ო ბ ა, მ ა თ ი ე რ ო ვ ნ ე ბ ა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლების მოსაქმეობის გარკვევა, რაც, სხვა ნიშნებთან კომბინაციაში, მნიშვნელოვანი მასალის მომცემია რიგ შემთხვევათა მისაღებად.

ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი დაბადების აქტების რეგისტრაციის მასალები, წლიური დამუშავებისას, ა დ გ ი ლ ი ს მიხედვით შემდეგ სამ ჯგუფად გამოცალკევდება: ა) ინდივიდუალურად გამოცალკევებული ქალაქები (ადმინისტრაციული ცენტრები და 100 ათას მცხოვრებზე ძეტი მოსახლეობის მქონე ქალაქები); ბ) ქალაქის მთელი მოსახლეობა (გამოცალკევებული ქალაქების ჩათვლით);

გ) მთელი სოფლის მოსახლეობა.

დ რ ო ი ს მიხედვით დაბადების აქტთა რეგისტრაციის მისაღები დამუშავდება თვით აქტების დროის შესაბამისად და არა რეგისტრაციის დროის მიხედვით. ამის გამო დაბადებათა წლიურ რიცხვში არა მარტო მოცემული წლის განმავლობაში რეგისტრირებული დაბადების შემთხვევანი, არამედ აგრეთვე დაბადების ის შემთხვევანი, რომლებიც მოცემულ წელშია მომხდარი, მაგრამ რეგისტრაციაში კი გატარებულია შემდგომი წლის პირველი კვარტალის განმავლობაში.

დაბადებულთა რიცხვის დიფერენციაცია ხდება დ ა ბ ა დ ე ბ ი ს თ ა ნ მ ი მ-დ ე ვ რ ო ბ ი ს დ ა დ ე დ ი ს ა ს ა კ ი ს მიხედვით (ფორმა № 2), დაბადების თან-

ნიშდევრობის. ე. ი. იმის მიხედვით, ოუ მერამდენე ბავშვია დაბადებული, გამოიყოფა 14 ჯგუფი (პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. მეცამეტე და მეტი და „როშელთაც არ ეჩვენეა“). დედის ასაკის მიხედვით კი გამოცალკევდება 38 ჯგუფი: 16 წელზე უფრო ჯანალგაბრდანი, 16 წლისანი, 17 წლისანი და ა. შ. წლიური ასაკობრივი ჯგუფები ჯგუფამდე—49 წლისანი; შემდეგ: 50—54 წლისანი, 55 წლისა და მეტისანი. გამოუკვეველი ასაკისა.

მრავალშვილიანი დედებისათვის დაბადებულთა რიცხვის დიფერენციაცია წარმოებს დაბადების თანმიმდევრობის და მშობლების მოსაქმეობის მიხედვით (ფორმა № 2 ა). დაბადების თანმიმდევრობის (მერამდენე ბავშვია) გასარკვევად გამოიყოფა 9 ჯგუფი: მესამე, მეოთხე, მეხუთე და ა. შ. მეთერთმეტე და მეტი. დედის მოსაქმეობის მიხედვით გამოცალკევდება 4 ჯგუფი: ა) სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავენი, ბ) კოლმეურნეობებში მომუშავენი, გ) შინა დიასახლისები, დ) დანარჩენნი. მამის მოსაქმეობის მიხედვით გამოცალკევდება 3 ჯგუფი: ა) სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა დაწესებულებებში მომუშავენი, ბ) კოლმეურნეობებში მომუშავენი, გ) დანარჩენნი.

ცნობები იმ დაბადებულთა შესახებ, რომელთათვისაც დაბადების აქტში არ არის ჩანაწერი მამის შესახებ, დიფერენცირებულია დედის ასაკისა და მოსაქმეობის მიხედვით (ფორმა № 2 ბ) იმავე ჯგუფებად, როგორც წინა შემთხვევაში (ფორმა № 2 ა).

გ. ზოგადობა, ზოგადობის კოეფიციენტები

დაბადების შემთხვევათა ან დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვი ამოსავალ სტატისტიკურ სიდიდეს წარმოადგენს, რომლის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ამ მოვლენის დახასიათება ადგილის, დროის და რიგ ფიზიკურ და სოციალურ ნიშანთა მიხედვით. ეს მით უფრო არის შესაძლებელი, რაც უფრო დიფერენცირებულია აბსოლუტური სიდიდე და წარმოებულია დაბადების შემთხვევათა მარტივი და კომბინაციური დაჯგუფება.

მაგრამ დაბადების აბსოლუტური სიდიდე, თუნდაც დიფერენცირებული სახით, მოვლენის ინტენსივობას ვერ გაზომავს და ამიტომ შედარებით-სტატისტიკური დახასიათებისათვის ვერ გამოდგება. ასე, მაგ., თუ ორ დასახლებულ პუნქტში დაბადების ერთიდაიგივე აბსოლუტური რიცხვია მიღებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაბადების ინტენსივობა ამ პუნქტებში ერთნაირია, ვინაიდან მოსახლეობის რიცხვის მეტ-ნაკლებობა, სხვა თანაბარი პირობებიც რომ ვიგულისხმოთ, თავისთავად უკვე იწვევს დაბადების შემთხვევათა მეტ-ნაკლებობას.

ამიტომ დაბადების ინტენსიობის დასახასიათებლად საჭიროა, უპირველესად, მხედველობაში მივიღოთ იმ მოსახლეობის რიცხვი, სადაც დაბადებას ჰქონდა ადგილი. ამისათვის, ნაცვლად დაბადების აბსოლუტური მაჩვენებლისა, უნდა გამოვიანგარიშოთ შეფარ-

დებითი მაჩვენებელი: დაბადების აბსოლუტური სიდიდე უნდა შეეუფარდოთ მოსახლეობის რიცხვს. ამ გზით მივიღებთ შობადობის მაჩვენებელს — შ ო ბ ა დ ობ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ს, რ ო მ ე ლ ი ც, ა მ რ ი გ ა დ, წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ თ ა რ ი ც ხ ვ ი ს შ ე ფ ა რ ე ბ ა ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა ე რ თ ო რ ი ც ხ ვ ი ს ა დ მ ი.

შობადობა (შობადობის კოეფიციენტი) გამოისახება წილადით, რომლის მრიცხველია დაუმრგვალებელი რიცხვი (დაბადებულთა რიცხვი), ხოლო მნიშვნელია დამრგვალებული რიცხვი, ჩვეულებრივ --1000, რის შესაბამისად შობადობის კოეფიციენტს პ რ ო მ ი ლ ი ს ა ვ ი გ ა მ ო ს ა ხ ა ვ ს ე ბ ა ეძლევა.

შობადობის კოეფიციენტი ჩვეულებრივ გამოიანგარიშება წ ლ ი ს ა ვ ი პ ე რ ი ო დ ი ს ა თ ვ ი ს და ამიტომ როგორც დაბადებულთა ოიცხვი, ისე მოსახლეობის რიცხვი, რომელიც შეფარდების საფუძველს წარმოადგენს, წლიური პერიოდისათვის უნდა იქნეს აღებული. ვინაიდან დაბადებულთა რიცხვი მიმდინარე რეგისტრაციის გზით მიიღება, ამიტომ დაბადებულთა წლიური კონტინგენტის გამოცალკევება შედარებით ადვილია. ხოლო რაც შეეხება ბოსახლეობის წლიურ რიცხვს, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ როგორც ს ა შ უ ა ლ ო ს ი დ ი დ ე წ ლ ი ს ა ვ ი პ ე რ ი ო დ ი ს ა თ ვ ი ს. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი წლის სხვადასხვა პერიოდში ცვალებადია და ამიტომ იგი მტკიცე ბაზას არ იძლევა შეფარდებისათვის, რათა დაბადების ინტენსივობა სწორად გამოისახოს (საშუალო მოსახლეობის გამოანგარიშების წესის შესახებ 6. ზევით, III თავი, § 1).

ამრიგად, შ ო ბ ა დ ო ბ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ თ ა რ ი ც ხ ვ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო - წ ლ ი ს ა ვ ი რ ი ც ხ ვ თ ა ნ, გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ უ ლ ს 1000-ზე, რ ო მ ე ლ ი ც გ ვ ი ჩ ვ ე ნ ებ ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ო ბ ა ს, ა ნ უ რ ა მ დ ე ნ ი დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ი მ ო ქ ვ ი ო დ ა მ ო ც ე მ უ ლ დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ პ უ ნ ქ ტ შ ი ყ ო ვ ე ლ 1000 მ ც ხ ო ვ რ ე ბ ზ ე.

შობადობის ზემოაღნიშნული კოეფიციენტი სტატისტიკაში ცნობილია შ ო ბ ა დ ო ბ ი ს ზ ო გ ა დ ი კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი ს სახელწოდებით. ეს კოეფიციენტი წარმოადგენს დაბადების ინტენსიობის მარტივ გამოსახულებას და იძლევა შობადობის განვითარების ტენდენციის ზოგად დახასიათებას. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი, აქ მხედველობაშია მისაღები თვით დაბადების შემთხვევათა სიდიდე, მაშასადამე, მოსახლეობის იმ ნაწილის კვლავწარმოების

უნარიანობის შედეგი, რომელსაც სათანადო უნარი გააჩნია. შემ-
დეგ მხედველობაშია მისაღები მოსახლეობის რიცხვი და შემად-
გენლობა, რომლებზედაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენენ რიგი
ფაქტორები: თვით შობადობა, მოკვდაობა, მიგრაციული მოვლე-
ნები, რომლებიც საბოლოოდ სოციალურ ეკონომიური პირობებით
განისაზღვრებიან. მოსახლეობის შემადგენლობის გათვალისწინები-
სას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სქესობრივ
და ასაკობრივ სტრუქტურას, რომლებიც შეიძლება დიდ ზეგავლე-
ნას ახდენდნენ შობადობის ზოგად კოეფიციენტზე და შესწავლი-
ლი მოვლენის („შობადობის") თავისებურ სურათს იძლეოდნენ
(ნ. ზევით, § 2). ასე, მაგ., შობადობის ერთიდაიგივე ზოგა-
დი კოეფიციენტი, მიღებული ორი სხვადასხვა ასაკობრივი სტრუქ-
ტურის მქონე მოსახლეობისათვის, შეიძლება შობადობის სულ
სხვადასხვა დონეს ახასიათებდეს იმის მიხედვით, თუ როგორია
ამ მოსახლეობათა ასაკობრივი სტრუქტურა. იმ მოსახლეობისა-
თვის, სადაც ბავშვთა და მოხუცთა ასაკის მოსახლეობა მრავალ-
რიცხოვანია მოსახლეობის იმ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით,
რომელიც კვლავწარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს,
შობადობის ეს ზოგადი კოეფიციენტი დაბადების ინტენსიობას
შემცირებულად გამოსახავს. სინამდვილეში შობადობის კოეფიცი-
ენტი აქ უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, იგი რომ არ დაეჩრდი-
ლა მოსახლეობის თავისებურ ასაკობრივ სტრუქტურას: კვლავ-
წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობის არმქონე მოსახლეო-
ბის შედარების მრავალრიცხოვან მასას.

ამრიგად, შობადობის ორი ზოგადი კოეფიციენტი, ერთიმეო-
რის ტოლი, სინამდვილეში რეალური ვითარების სხვადასხვა სუ-
რათს მალავს იმის გამო, რომ ამ კოეფიციენტების გამოანგარი-
შებისას შედარებით საფუძვლად აღებულია მთელი მოსახლეობა,
განურჩეველად იმისა, თუ როგორია მისი ასაკობრივი სტრუქტურა.

რომ გამოვარკვიოთ, თუ რა ზეგავლენა აქვს მოსახლეობის
სხვადასხვა ასაკობრივ სტრუქტურას შობადობის ზოგად კოეფი-
ციენტზე, საჭიროა ის კოეფიციენტი გამოვიანგარიშოთ ორი შესა-
დარებელი მოსახლეობისათვის ისე, რომ პირობით ორივე მოსახ-
ლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ერთგვაროვნად მივიჩნიოთ და
გამოანგარიშებას საფუძვლად დაუდვათ შობადობის ფაქტიური
კოეფიციენტები ცალკეული ასაკობრივი ჯგუფისათვის. ამ შემთხ-
ვევაში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა შობა-
დობის ზოგად კოეფიციენტზე ელიმინირებული იქნება და

მიღებული კოეფიციენტები სწორად გამოსახავს შობადობის შედარებით ინტენსიობას ორივე მოსახლეობისათვის.

ასეთი წესით მიღებული შობადობის კოეფიციენტი,—რაკი მას საფუძვლად უდევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის პირობითი ერთგვაროვნობა,—მხოლოდ პ ი რ ო ბ ი თ ი მნიშვნელობისაა. ამგვარი კოეფიციენტის ამოცანაა გამოარკვიოს ასაკობრივი სტრუქტურის ზეგავლენა შობადობის კოეფიციენტზე. ფაქტიურად, რა თქმა უნდა, დაბადების ინტენსიობა გამოისახება იმ ასაკობრივი სტრუქტურის შესაბამისი კოეფიციენტით, როგორც სინამდვილეში არსებობს.

ვინაიდან შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ვერ ითვალისწინებს შობადობის ინტენსიობას მოსახლეობის ცალკეულ—ასაკობრივ, სქესობრივ, კლასობრივ და პროფესიულ—ჯგუფებში, არამედ გვაძლევს მხოლოდ ზ ო გ ა დ წარმოდგენას შობადობის ინტენსიობის შესახებ საერთოდ მთელ მოსახლეობაში, ამიტომ წარმოიშვა იმის საჭირობა, რომ მიღებულ იქნეს შობადობის კოეფიციენტები მოსახლეობის ამ ჯგუფებისათვის. ამით მიღწეული იქნება მეტი სიზუსტე შობადობის ინტენსიობის გამოსახულებაში, რაც აღარ მიიჩქმალება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებით, კლასობრივი და პროფესიული თავისებურებით და სხვ..

ამ შემთხვევაში შობადობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით არა მთელი მოსახლეობის რიცხვთან, არამედ მოსახლეობის საერთო რიცხვიდან სპეციალურად გამოცალკევებულ—ასაკობრივი, სქესობრივი, პროფესიული ან კლასობრივ — ჯგუფებთან. ასე, მაგ., დაბადებულთა რიცხვი შეიძლება შეეუფარდოთ მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილის რიცხვს (საშუალ ო რიცხვს), რომელიც უშუალოდ და ნამდვილად იღებს მონაწილეობას მოსახლეობის კვლავწარმოების ამ პროცესში. მოსახლეობის ასეთ ნაწილს წარმოადგენს დედრობითი სქესის მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრული ასაკობრივი—ჩვეულებრივ 15—49 წლ. ასაკის—ნაწილი, რომელსაც დედრობითი მოსახლეობის ფ ე რ ტ ი ლ უ რ ი (fertilis=ნაყოფიერი) კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი ეწოდება, ხოლო ამ წესით მიღებული შობადობის კოეფიციენტს—ფ ე რ ტ ი ლ უ რ ი (ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს) კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი.

ამრიგად, ასეთი კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოიანგარიშება: წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი შეუფარდდება 15—49 წლების ასაკის დედრობითი მოსახლეობის საშუალო-წლიურ რიცხვს და გამრავლება 1000-ზე (პრომილური გამოსახულების მიზნით).

ასეთ კოეფიციენტს, რომლისთვისაც შედარების საფუძველს წარმოადგენს არა მთელი მოსახლეობა, არამედ სპეციალურად გამოცალკევებული ჯგუფი, ზოგადი კოეფიციენტისაგან განსხვავებით, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი ეწოდება.

დედრობითი სქესის მოსახლეობის ასეთი ასაკობრივი ჯგუფის—როგორც კვლავწარმოების პროცესში მონაწილის—გამოცალკევება და შობადობის კოეფიციენტის ზემოაღნიშნული წესით გამოანგარიშება ერთგვარად მაინც პირობით ხასიათს ატარებს შემდეგ გარემოებათა გამო: ა) 15—59 წლ. ასაკობრივი კონტინგენტი შეიძლება მოიცავდეს დედრობითი სქესის მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომელსაც კვლავწარმოების ამ პროცესში მონაწილეობის უნარი არა აქვს და, პირიქით, შეიძლება არ მოიცავდეს ყველა იმათ, ვისაც ასეთი უნარი აქვს; ამიტომ ამ ასაკობრივი კონტინგენტის გამოცალკევება შეიძლება პირობით ხასიათს ატარებდეს; ბ) კოეფიციენტის მრიცხველში ჩაირიცხება ყველა დაბადებული, მაშასადამე, ისინიც, რომელთა დედები ფერტილურ კონტინგენტში არ შედიან; გ) თვით ამ ფერტილურ კონტინგენტში შესული დედრობითი სქესის მოსახლეობა ერთგვაროვანი არაა, რამდენადაც მისი ერთი ნაწილი ქორწინებაში იმყოფება და, მაშასადამე, აქტიურად მონაწილეა კვლავწარმოების პროცესისა, ხოლო მეორე ნაწილი ქორწინებაში არ იმყოფება.

უკანასკნელი გარემოების გამო შობადობის სპეციალური კოეფიციენტის გამოანგარიშება შესაძლებელია კიდევ უფრო სპეციალიზაციის გზით მოხდეს: ფერტილური კონტინგენტი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს—ქორწინებაში მყოფად და ქორწინების გარეშე მყოფად, რომლებიც ცალ-ცალკე დაუპირისპირდებიან დაბადებულთა სათანადო რიცხვებს.

ვინაიდან ფერტილური კონტინგენტი მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ამიტომ შობადობის სპეციალური კოეფიციენტი ყოველთვის მეტი იქნება შობადობის ზოგად კოეფიციენტთან შედარებით, იმის შესაბამისად, თუ ეს კონტინგენტი მოსახლეობის რა ნაწილს შეადგენს. იგი შეიძლება მოსახლეობის საერთო რიცხვის დაახლოებით 20—30%-ად ვივარაუდოთ, რის შესაბამისად სპეციალური კოეფიციენტი დაახლოებით 3—5-ჯერ მეტი იქნება ზოგად კოეფიციენტთან შედარებით.

შობადობის ანალოგიური სპეციალური კოეფიციენტები შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს მოსახლეობის სხვა, სპეციალურად გამოცალკევებული ჯგუფისათვის: კლასობრივი ჯგუფებისათვის

პროფესიული . ჯგუფებისათვის და სხვ.. გამოანგარიშების წესი აქაც იგივეა: ამ ჯგუფების მოსახლეობაში მომხდარ დაბადების შემთხვევათა რიცხვი უნდა შეუფარდდეს ამ ჯგუფების საშუალოწლიურ რიცხვს და გამრავლდეს 1000-ზე. მიღებული კოეფიციენტები დაახასიათებს დაბადების ინტენსიობას ამ კლასობრივ, პროფესიულ და სხვ. ჯგუფებში. ასეთი კოეფიციენტები აგრეთვე რიცხობრივად განსხვავებული იქნება ზოგად კოეფიციენტებთან შედარებით იმის შესაბამისად, თუ შერჩეულ ნაწილში მოსახლეობის რა ჯერად ნაწილს შეადგენს ფერტილური კონტინგენტი (თელ მოსახლეობასთან შედარებით.

არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კელავწარმოების პროცესის დახასიათებისათვის დ ა ბ ა დ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა თ ა დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ თ ა ნ ერთი და იგივე პერიოდისათვის. შედარების საფუძვლად აიღება ჩვეულებრივ გარდაცვალების შემთხვევები, რომელთა მიმართ გამოიანგარიშება (პროცენტულად) დაბადების შემთხვევათა რიცხვი. მიღებული მაჩვენებელი გამოსახავს დაბადებულთა რიცხვის შეფარდებას გარდაცვალებულთა რიცხვის მიმართ (ჩვეულებრივ ერთი წლისათვის) და ახასიათებს დაბადების შემთხვევათა გადაჭარბების დონეს გარდაცვალების შემთხვევებთან შედარებით.

დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვების სხვაობა მოგვცემს მოსახლეობის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მ ა ტ ე ბ ი ს აბსოლუტურ სიდიდეს, რაც დადებითი სიდიდით გამოისახება, უკეთუ მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას აქვს ადგილი, ხოლო უარყოფითი სიდიდით—უკეთუ, პირიქით, მოსახლეობის კლებას აქვს ადგილი (გარდაცვალებულთა რიცხვის გადაჭარბების გამო დაბადებულთა რიცხვთან შედარებით). როდესაც ამ აბსოლუტურ სიდიდეთა სხვაობა შეუფარდდება მოსახლეობის საერთო (საშუალო) რიცხვს, მივიღებთ მოსახლეობის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მ ა ტ ე ბ ი ს ზ ო გ ა დ კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ს, რაც ჩვეულებრივ პრომილური (1000 მცხოვრებზე) გამოსახულებით გამოიანგარიშება.

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები (ნ. ზევით, § 1) შედეგია მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი მატებისა, რასაც მოწმობენ შობადობის, ბუნებრივი მატების მაღალი კოეფიციენტები. ასე, მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (დაბადებულთა რიცხვი 1000 მცხოვრებზე) სსრ კავშირის ოიგ მსხვილ ქალაქებში 1936 წელს შეადგენდა (ВСЕ СССР, 1947, გვ. 20):

მოსკოვში	28,5	ხარკოვში	27,7
ლენინგრადში	27,4	ბაქოში	33,9
კიევში	27,4		

ამავე დროს კაპიტალისტური ქვეყნების რიგ მსხვილ ქალაქებში ეს კოეფიციენტი უდრიდა (1936 წელს): ნიუ-იორკში—13,5, ლონდონში—13,6, პარიზში—11,5, ბერლინში—14,1. აქედან ჩანს, რომ სსრ კავშირის მსხვილ ქალაქებში შობადობა 2—3-ჯერ აღემატებოდა შობადობას მსხვილ კაპიტალისტურ ქალაქებში.

გარდაცვალებულთა რიცხვისადმი დაბადებულთა რიცხვის შეფარდება ქ. მოსკოვში შეადგენდა (პროცენტულად):

1880	წელს	108,1
1890	„	109,8
1900		114,9
1910		134,0
1920		58,9
1935		148,5
1938		195,0

ქ. თბილისში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (დაბადებულთა რიცხვი 1000 მცხოვრებზე) 1923—1928 წლებში შეადგენდა (ნ. სტატისტიკურ-ეკონომიური ცნობარი, 1925—1930, 1931, განყ. II, გვ. 3);

1923	წელს	28,27
1924	„	34,62
1925	„	34,34
1926	„	32,65
1927		32,61
1928	„	29,22

სსრ კავშირის მოსახლეობაში შობადობის მაღალ დონეს მოწმობს აგრეთვე მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა (ნ. ზევით, თავი III, § 5).

§ 4. გარდაცვალების სტატისტიკა

ა. გარდაცვალების აბსოლუტური სიდიდე

გარდაცვალება, დაბადების შემთხვევებთან ერთად, წარმოადგენს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის და, მაშასადამე, მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტს. მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის თვალსაზრისით დაბადებასა და გარდაცვალებას შორის უშუალო კავშირია. დაბადება ამოსავალი მოვლენაა, რომლის წარმოშობა კონკრეტულ პირობათა შეხამებაზეა დამოკიდებული, ხოლო გარდაცვალება—ამ პროცესის უცილობელი ბოლო, დამოუკიდებელი ადამიანის შეგნებული ნებისყოფისაგან მისი დადგომის თვალსაზრისით (აქ მხედველობაში არ მიიღება მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები, რომლებიც დემოგრაფიული სტატისტიკის განხილვის საგანს არ შეადგენს).

გარდაცვალების შემთხვევათა სტატისტიკური დაკვირვების დროს რეგისტრაციას ექვემდებარება არა მარტო გარდაცვალების თვით ფაქტი, არამედ სასამართლოს ცნობა გარდაცვალებულად ჩათვლის შესახებ. გარდაცვალების შემთხვევებს მიეკუთვნებიან აგრეთვე მკვდრადდაბადების შემთხვევებიც, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო (ნ. ზევით, § 2), დაბადების შემთხვევებსაც მიეკუთვნებიან და ამის გამო მოსახლეობის კვლავწარმოების ორივე რგოლში აღირიცხებიან.

გარდაცვალებულთა რეგისტრაცია ეხება ფაქტიურ მოსახლეობას, ე. ი. ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულში ფაქტიურად მომხდარ გარდაცვალების შემთხვევათა რეგისტრაციას. მაგრამ ცალკეული ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში გარდაცვალების სტატისტიკური შესწავლისას ამ შემთხვევათა აბსოლუტურ სიდიდეზე შეიძლება შესამჩნევი გავლენა მოახდინოს სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებათა თავმოყრამ. სადაც სტაციონალური მკურნალობა წარმოებს და ადგილი აქვს გარდაცვალებულთა შედარებით დიდ რიცხვს. ამიტომ გარდაცვალების რეგისტრაციის გზით მიღებული მასალები უნდა დამუშავდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გამოირკვევა იმ ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც ეხება გარდაცვალებული პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართს.

მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებში ფაქტიურ გარდაცვალებათა რიცხვი სწორი გამომსახველი იქნება გარდაცვალების აბსოლუტური სიდიდისა ამ ერთეულებისათვის, ვინაიდან აქ წვრილი ტერიტორიული ერთეულების უსწორობანი ურთიერთგაბათილდებიან.

გარდაცვალების შემთხვევათა რეგისტრაციის დროს საქმე ეხება არა მარტო გარდაცვალების ფაქტს, არამედ გარდაცვალების მიზეზის კონსტატაციასაც. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ გარდაცვალების ფაქტი დასტურდება ყველგან, სადაც სამკურნალო პუნქტებია, საექიმო მოწმობის საშუალებით. ამ გზით გარდაცვალების მიზეზის რეგისტრაცია უშუალო დაკვირვების საგანს შეადგენს.

დაბადების შემთხვევათა აბსოლუტური სიდიდე დიფერენცირებული უნდა იქნეს სხვადასხვა ნიშანთა—ადგილის, დროის და საგნობრივი ნიშნების—მიხედვით, რათა ასეთი დიფერენციაციით შესაძლებელი გახდეს: ა) გარდაცვალების შემთხვევათა მასის შემადგენლობის გარკვევა მისი მორფოლოგიური

შესწავლის მიზნით; ბ) გარდაცვალების შემთხვევათა მასის გა-მოცალკევებული ჯგუფების შესწავლა იმ განსაკუთრებული პირობების ნათელსაყოფად, რომლებშიც ეს ჯგუფები ცხოვრობ-დნენ გარდაცვალების პირობების მხრივ; გ) გარდაცვალების შემ-თხვევათა დემოგრაფიულ-სტატისტიკური ანალიზი, დაკავშირებული მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის საერთო-მსვლელობასა და ხასიათთან.

ბ. გარდაცვალების შემთხვევათა განაწილება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით

გარდაცვალების შემთხვევათა აბსოლუტური სიდიდე უპირველ-ესად დიფერენცირებული უნდა იქნეს დროის მიხედვით, ჩვე-ულებრივ, კალენდარული წლების შესაბამისად. მაგრამ დე-მოგრაფიულ-სტატისტიკური მიზნებისათვის გარდაცვალების შემ-თხვევათა დროის მიხედვით შესწავლა ხშირად მოითხოვს გარდა-ცვალებულთა განაწილებას არა მარტო წლების, არამედ თვეე-ბის და, ზოგჯერ, კვირეების და დღეების მიხედვით. ამ უკანასკნელის საჭიროება განსაკუთრებით დიდია გარდაცვალების განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ეპიდემიები მასობრივ ხასიათს იღებს და რაც საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს.

გარდაცვალების შემთხვევათა განაწილება დროის მიხედვით გაცილებით უფრო მეტ რხევას გვიჩვენებს, ვიდრე დაბადების შემთხვევათა განაწილება. ეს ბუნებრივად იმ გარემოებით აიხსნება, რომ პირობები, რომლებიც დაბადების შემთხვე-ვათა წარმოშობას უწყობენ ხელს, უფრო თანაბარზომიერ და არანახტომისებურ ხასიათს ატარებენ, ვიდრე გარდაცვალების პი-რობები, რომელთა ცვალებადობა ხშირად უეცარ და მკვეთრ ხა-სიათს ატარებს. მართალია, როგორც დაბადების, ისე გარდაცვა-ლების აბსოლუტურ სიდიდეს სოციალურ-ეკონომიური პირობები განსაზღვრავენ, მაგრამ ამ პირობათა ზეგავლენა პირველ შემთხვე-ვაში უფრო თანაბარზომიერია, ვიდრე მეორეში, სადაც სოცია-ლურ-ეკონომიურ მიზეზთა მოქმედებას ხშირად თან დაერთვის ძლიერად გამომჟღავნებული ბუნებრივი გარემოებანი.

გარდაცვალების შემთხვევათა რიცხვი, დალაგებული დინამიკუ-რი მწკრივების სახით, საშუალებას იძლევა დანახულ იქნეს გარ-დაცვალების შემთხვევათა ცვალებადობა, დაკავშირებული დროის სხვადასხვა პერიოდთან, რომლებიც მეტ-ნაკლებ ხელშემწყობ პირო-ბებს მოიცავენ გარდაცვალების მოძრაობისათვის. არა მარტო კალენდარული წლების მიხედვით ცვალებადობა, არამედ ცვალება-

დობა თვით კალენდარული წლების ფარგლებში, საკმაო მასალას იძლევა იმისათვის, რომ განზოგადებული დასკვნები მიღებულ იქნეს გარდაცვალების შემთხვევათა მოძრაობის კანონზომიერების დასადგენად, თუ, რა თქმა უნდა, ასეთ დასკვნებს საფუძვლად უდევს შესწავლილი მოვლენის სწორი სოციალურ-ეკონომიური ანალიზი. ამასთან, ასეთ კანონზომიერებათა დასადგენად აუცილებელია დაკვირვება მოიცავდეს საკმაოდ დიდი მოცულობის დასაკვირვებელ მასას და დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც იქნება მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები ერთიანი პროგრამისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე.

გარდაცვალების შემთხვევათა დროის მიხედვით განაწილება მოითხოვს, თავის მხრივ, მასალის კომბინირებულ დამუშავებას სხვა ნიშნებთან კავშირში, როგორიცაა, მაგ., კლასობრივი კუთვნილება, მოსაქმეობა, ასაკი, გარდაცვალების მიზეზი, გეოგრაფიულ-ტერიტორიული განაწილება, ფიზიკურ გეოგრაფიული პირობები და სხვ. ასეთი კომბინირებული დამუშავება გარდაცვალების შემთხვევათა მოძრაობის ანალიზისათვის განსაკუთრებით ფართო საფუძველს ქმნის.

გარდაცვალების შემთხვევათა განაწილება ადგილის მიხედვით შეიძლება მოხდეს მეტ-ნაკლები ტერიტორიული დეტალიზაციის საფუძველზე. რაც უფრო მეტად არის გატარებული ასეთი დეტალიზაცია, მით უფრო მეტად არის შესაძლებელი მსხვილი ტერიტორიული ერთეულებისათვის მიღებული დასკვნების შემოწმება და კორექტირება წვრილი ერთეულების მონაცემთა საფუძველზე. ამასთანავე, ასეთი დეტალიზაცია საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს ლოკალური გადახრანი მსხვილი ერთეულებისათვის მიღებული დასკვნებიდან და ნათელყოფილ იქნეს ამ გადახრათა გამომწვევი მიზეზები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდაცვალების შემთხვევათა განაწილება ქალაქისა და სოფლის მიხედვით. ქალაქად მომხდარი გარდაცვალების შემთხვევათა შემდგომი დიფერენციაცია მოითხოვს, ერთი მხრივ, მსხვილ ქალაქთა გამოცალკევებას, ხოლო, მეორე მხრივ, მსხვილ ქალაქთა ცალკეული რაიონების გამოყოფას. კაპიტალიზმის პირობებში მსხვილი ქალაქების ამ რაიონთა ასეთი გამოყოფა შეიძლება ერთადერთი არაპირდაპირი საშუალება გახდეს იმისათვის, რომ მიახლოებითი სურათი მიღებულ იქნეს გარდაცვალების მოძრაობისა მოსახლეობის კლასობრივი ჯგუფების მიხედვით (ნ. ზევით, § 2).

გარდაცვალების შემთხვევანი შეიძლება განაწილდეს აგრეთვე ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს მიხედვით, როგორც მაგ., ზღვის დონიდან სიმაღლის ზონების მიხედვით, ტემპერატურის პირობების მიხედვით, ატმოსფერული წნევის და ჰაერის მდინარებათა მიხედვით და სხვ..

გარდაცვალების შემთხვევათა ადგილის მიხედვით დიფერენციაციის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა: ა) დაჯგუფების კომბინაცია რიგ არსებით ნიშნებთან, როგორც, მაგ., საზოგადოებრივი კლასისადმი კუთვნილებასთან, მოსაქმეობასთან, ასაკთან, გარდაცვალების მიზეზთან და სხვ.; ბ) სტატისტიკის იმ დარგების მონაცემების სათანადოდ დამუშავებასთან, რომელთა ბაზაზე უნდა მოხდეს მასალის კომბინაციური დამუშავება.

გარდაცვალების შემთხვევათა დიფერენცირებული შესწავლისას ყველაზე მნიშვნელოვანია, ადვილად გასაგები მიზეზის გამო, გარდაცვალებულთა განაწილება ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს მიხედვით: გარდაცვალების დამოკიდებულება ასაკისაგან ყველაზე ნათლად მეღავნდება მასობრივი სტატისტიკური დაკვირვების საშუალებით. ამიტომ ეს ნიშანი—ასაკი—არა მარტო დამოუკიდებელ შესწავლას მოითხოვს გარდაცვალების შემთხვევათა განხილვისას, არამედ იგი აგრეთვე მრავალგვარ კომბინაციაში უნდა იქნეს აღებული სხვა ნიშნებთან.

გარდაცვალებულთა ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლისათვის უპირველესად საჭიროა შესაბამისი პირველად მასალის მიღება: გარდაცვალებულთა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები (კალენდარული წელი, თვე, დღე).

ამ მონაცემთა დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა ს საჭიროა მიღებულ იქნეს ასაკობრივი ჯ გ უ ფ ე ბ ი ყ ო ვ ე ლ ი ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი წ ლ ი ს ა თ ვ ი ს. მაგრამ დაბალი ასაკებისათვის, განსაკუთრებით ერთ წლამდე ასაკისათვის საჭიროა დაჯგუფება მოხდეს მეტი დეტალიზაციით: ერთ თვეზე მეტი ასაკისათვის — ნ ა ც ო ც ხ ლ ი თ ვ ე ე ბ ი ს მიხედვით, ხოლო ერთ თვემდე ასაკისათვის — ნ ა ც ო ხ ლ ი დ ღ ე ე ბ ი ს მიხედვით.

გარდაცვლილთა ასაკობრივი შემადგენლობის სტატისტიკური შესწავლა მოითხოვს ასაკის დაკავშირებას რიგ სხვა ნიშნებთან: გარდაცვალების დროსთან, ადგილთან, სქესთან, გარდაცვალების მიზეზთან და სხვ., რომელთა კომბინაცია ასაკთან მნიშვნელოვან მასალას იძლევა გარდაცვალებულთა მორფოლოგიური დახასიათებისათვის.

გარდაცვალებულთა ასაკობრივი შემადგენლობის აბსოლუტური სიდიდენი საჭიროა გამოისახოს აგრეთვე სტრუქტურის შეფარდებით სიდიდეთა საშუალებით, რათა გამოირკვეს თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონა გარდაცვალებულთა საერთო მასაში. შემდეგ შესაძლებელია გამოანგარიშებულ იქნეს აგრეთვე გარდაცვალებულთა საშუალო ასაკი, რომელიც მხოლოდ ზოგად და მიახლოებულ წარმოდგენას მოგვცემს ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ და მოითხოვს კორექტირებას იმ საშუალებით, რომლებიც ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის იქნება მიღებული. ასეთი საშუალო, რა თქმა უნდა, არ გამოდგება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის გასაზომად. ვინაიდან სინამდვილეში ამ საშუალოზე გავლენა აქვს, ერთი მხრივ, მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას და, მეორე მხრივ, თვით მოსახლეობის სიცოცხლის ნაშდვილ ხანგრძლიობას. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა, რომელშიც გარდაცვალებულთა მასა მეტწილად მოხუცი ასაკის პირთაგან შედგება, მოგვცემს სიცოცხლის დიდ საშუალო ხანგრძლიობას, ხოლო მოსახლეობა, რომელშიც ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევები დიდია, მოგვცემს სიცოცხლის მცირე საშუალო ხანგრძლიობას.

3. მოკვდაობა. მოკვდაობის კოეფიციენტი

გარდაცვალების შემთხვევათა სტატისტიკური შესწავლისას, მსგავსად დაბადების შემთხვევებისა, საჭიროა აბსოლუტური სიდიდეებისაგან მიღებულ იქნეს შეფარდებითი სიდიდენი გარდაცვალების ინტენსიობის (სიხშირის) გაზომვის მიზნით. ამიტომ გარდაცვალების შემთხვევათა აბსოლუტური რიცხვი უნდა დაუპირისპიროთ მოსახლეობის რიცხვს. ასეთი დაპირისპირებისას გარდაცვალების შემთხვევათა რიცხვი განსაზღვრული დროს პერიოდისათვის—ჩვეულებრივ კალენდარული წლისათვის—უნდა შეეუფარდოთ ამავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხვს. მიღებული კოეფიციენტი აღინიშნება მოკვდაობის კოეფიციენტის სახელწოდებით, ხოლო ვინაიდან აქ გარდაცვლილთა რიცხვი მოსახლეობის საერთო მთელი მოსახლეობის საშუალო რიცხვს შეეფარდება, ამიტომ ამ კოეფიციენტს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ეწოდება. ეს კოეფიციენტიც ისევე, როგორც შობადობის კოეფიციენტი პრომილური გამოსახულებით მიიღება და გვიჩვენებს: მოცემული პერიოდის (ჩვეულებრივი წლის) განმავლობაში გარდაცვალების რამდენი შემთხ-

ვევა მოდის ამავე პერიოდის (ჩვეულებრივი წლის) საშუალო მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე.

მოკვდაობის ასეთი ზოგადი კოეფიციენტი გარდაცვალების ინტენსიობის შესახებ მხოლოდ ზ ო გ ა დ და მიახლოებულ წარმოდგენას გვაძლევს, რამდენადაც იგი გამოიანგარიშება მთელი მოსახლეობის საშუალო რიცხვის მიმართ. მოსახლეობა კი ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენს. იგი სხვადასხვა სოციალური, ასაკობრივი და სხვა ჯგუფებისაგან შედგება, რომლებშიც გარდაცვალების შემთხვევათა ინტენსიობა სხვადასხვაგვარია როგორც ს ო ც ი ა ლ უ რ - ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ფაქტორების ზეგავლენის მეოხებით, ისე ისეთი არსებითი მნიშვნელობის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს შედეგად, როგორიცაა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი შედგენილობა. მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გარდაცვალების სიხშირე სხვადასხვაგვარია: დაბალ და მაღალ ასაკობრივ საფეხურებზე იგი უფრო მაღალია, ვიდრე შუა ასაკობრივ საფეხურებზე. კაპიტალიზმის პირობებში მოსახლეობის შესაძლებელ და ღარიბ ფენებში გარდაცვალების ინტენსიობა სხვადასხვაგვარია; იმავე კაპიტალისტურ ქვეყნებში საქმიანობის რიგ დარგებში შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო უფრო მაღალი მოკვდაობაა ვიდრე სხვა დარგებში.

მოკვდაობის ასეთ სხვადასხვა ინტენსიობას მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ვერ გამოსახავს, ვინაიდან მისი გამოანგარიშებისას აიღება, ერთი მხრივ, გარდაცვალების ყ ო ვ ე ლ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა მოცემულ პერიოდში მ თ ე ლ ი (საშუალო) მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ამავე პერიოდში.

ამიტომ სრულებით ბუნებრივად ისმის საკითხი იმის შესახებ, რომ გამოანგარიშებულ იქნეს მოკვდაობის ისეთი კოეფიციენტები, რომლებიც მიღებული იქნება მოსახლეობის ამ სპეციალური (სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი) ჯგუფებისათვის, რამდენადაც გარდაცვალების ინტენსიობა და ხასიათი ამ ჯგუფებში თავისებურ ხასიათს ატარებს და მკვეთრად განსხვავებულია მოსახლეობის სხვა ჯგუფების მოკვდაობის დონისაგან. ამ მიზნით გამოიანგარიშება, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, მ ო კ ვ დ ა ო ბ ი ს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ე ბ ი.

ასეთი კოეფიციენტების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ მ ო კ ვ დ ა ო ბ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ე ბ ი მოსახლეობის ცალკეული ა ს ა კ ო ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ამ კოეფიციენტების მისაღებად საჭიროა: განსაზღვრულ ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი გარკვეული პერიოდისათვის (ჩვეულებრივი წლის) შეუფარ-

დოთ ამავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხვს. ამით გავიგებთ იგივე პერიოდის (ჩვეულებრივ წლის) განმავლობაში მოცემულ ასაკში გარდაცვალების რამდენი შემთხვევა მოდის გამოყოფილი საშუალო მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე.

ანალოგიურად შეიძლება მივიღოთ მოკვდაობის სპეციალური კოეფიციენტები მოსახლეობის სხვა სპეციალურად შერჩეულ ჯგუფებისათვის, რომლებიც გამოცალკევებულია კლასობრივი, პროფესიული და სხვა ნიშნების მიხედვით. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი სპეციალური კოეფიციენტების გამოანგარიშება უნდა ემყარებოდეს მეთოდოლოგიურად სწორ დაჯგუფებას. სახელდობრ, როგორც გარდაცვლილთა ისე მოსახლეობის სათანადო ჯგუფები არსებით ნიშანთა საფუძველზე გამოცალკევებულ ერთგვაროვან მასებს უნდა წარმოადგენდნენ.

მოკვდაობის სპეციალური კოეფიციენტები მოსახლეობის კვლავწარმოების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს წარმოადგენენ. ამ მაჩვენებლებს უკავშირდება მოსახლეობის სპეციალურ კოეფიციენტებთან ერთად კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზე მიიღება ე. წ. მ ო კ ვ დ ა ო ბ ი ს ც ხ რ ი ლ ე ბ ი.

საბჭოთა სტატისტიკა ფართოდ სარგებლობს მოკვდაობის კოეფიციენტებით, რომელთა გამოანგარიშება წარმოებს სათანადო მასალის პერიოდულ დამუშავებასთან ერთად. ასე, მაგ., მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი და ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი 1000 დაბადებულზე) მიიღება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო შედეგების წლიური დამუშავებისას (ფორმა № 1-ა).

8. ბავშვთა მოკვდაობა. ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტები

გარდაცვლილთა ასაკობრივი შედგენილობის სტატისტიკური შესწავლისას განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ს ა ს ა კ ში გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ თ ა განხილვა, ვინაიდან აქ გარდაცვალების აბსოლუტური სიდიდე, მისი ინტენსივობა და მოძრაობა მეტად თავისებურია და ცალკე განხილვას საჭიროებს. ეს ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ მოსახლეობის არსებობის სოციალურ-ეკონომიური და სანიტარული პირობების დახასიათებისათვის ბავშვთა გარდაცვალების დონის, ინტენსიობის და დინამიკის შესწავლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბ ა ვ შ ვ თ ა მ ო კ ვ დ ა ო ბ ა დ იგულისხმება მოკვდაობა ბავშვობის ასაკში, რაც შეიძლება განისაზღვროს ორგვარად:

ა) 1 წლამდე ასაკით (ბავშვთა მოკვდაობა ვიწრო მნიშვნელობით)

ბ) 5 წლამდე ასაკით (ბავშვთა მოკვდაობა ფართო ნნიშვნელობით).

შესაძლებელია ეს ასაკობრივი საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდეს (მაგ., 10 წლამდე), მაგრამ ბავშვთა მოკვდაობის შესწავლის სპეციალური მიზნებისათვის სრულიად საკმარისად არის მიჩნეული 1 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის განხილვა. საბჭოთა სტატისტიკა, გარდა ამისა, ცალკე გამოყოფს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობას (წლიურ, ასაკობრივ საფეხურებად დაყოფვით), რაც ბავშვთა მოკვდაობის ანალიზისათვის კიდევ უფრო ფართო მასალას იძლევა.

ბავშვთა მოკვდაობის ინტენსიობის დასახასიათებლად გამოიყენება ბ ა ვ შ ვ თ ა მ ო კ ვ დ ა ო ბ ი ს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი, რომელიც შემდეგნაირად გამოიანგარიშება: განსაზღვრული პერიოდის (ჩვეულებრივ—წლის) განმავლობაში 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი უნდა შეეუფარდოთ ამავე პერიოდში დაბადებულთა რიცხვს. ამრიგად, ეს კოეფიციენტი ბოკვდაობის კოეფიციენტთან შედარებით განსხვავებული წესით გამოიანგარიშება. გამოანგარიშების დროს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი შეუფარდდება არა ამავე ასაკის მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო რ ი ც ხ ვ ს ამავე პერიოდისათვის, არამედ ამ პერიოდის დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ თ ა რ ი ც ხ ვ ს. ეს სიდიდე გვიჩვენებს: განსაზღვრულ პერიოდში (ჩვეულებრივ წელიწადში) ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი რამდენი ბავშვი მოდის ამავე პერიოდში (წლის განმავლობაში) დაბადებულ ყოველ 1000 ბავშვზე და გამოვსახოთ პრომილურად ან პროცენტულად. პროცენტული გამოსახულება აქ უფრო მეტადაა გამოსაყენებელი მოსახლეობის კვლავწარმოების სხვა კოეფიციენტებთან შედარებით, იმის გამო, რომ ბავშვთა მოკვდაობა მოცულობით უფრო მაღალია, ვიდრე მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფთა მოკვდაობა. გამოანგარიშების ეს განსაკუთრებული წესი შემდეგი გარემოებით აიხსნება: ერთ წლამდე ასაკის მოსახლეობის (ბავშვთა) რიცხვი მეტად ცვალებად სიდიდეს წარმოადგენს. ეს კი თავის მხრივ აძნელებს 1 წლამდე ასაკის (ძუძუმწოვარ ბავშვთა) საშუალო-წლიური რიცხვის გამოანგარიშებას, რის გამო 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვთა რიცხვი შეეფარდება ამავე პერიოდში დაბადებულ ბავშვთა რიცხვს.

ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის გამოანგარიშების ამ წესსაც ერთგვარი ნაკლი აქვს: მოცემული პერიოდის (წლის) განმავლობაში 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი შეიცავს იმ ბავშვებსაც, რომლებიც არაა მოცემული, არამედ წინა პერიოდში (წელიწადში) არიან დაბადებულნი. ამიტომ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტების გამოანგარიშებისას მრიცხველში, გარდაცვლილთა რიცხვში, შესული იქნება წინა წლის დაბადებულნი, ხოლო მნიშვნელში, დაბადებულთა რიცხვში, აღებული იქნება მხოლოდ მიმდინარე წელს დაბადებულნი. ეს გარემოება კი უზრუნველყოფს ბავშვთა მოკვდაობის ინტენსიობის კოეფიციენტის მიღებას, თუ დაუშვებთ, რომ შობადობის კოეფიციენტი ამ ორი მომიჯნე წლისათვის ერთიმეორისაგან მეტად განსხვავებული იყო. მაგ., თუ გასული წლისათვის ბავშვთა დაბადების მეტად დიდი რიცხვები გვაქვს, ეს, სხვა თანაბარ პირობებში, მეტად გაზრდის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტს, ვინაიდან 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი (კოეფიციენტის მრიცხველი) დიდი იქნება იმის გამო, რომ მასში შესულია გასულ წელს დაბადებული და 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილნი.

აღნიშნული გარემოება იწვევს იმას, რომ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ა დ აიღება არა მიმდინარე წლის და ბადებულთა რიცხვი, არამედ ს ა შ უ ა ლ ო რ ი ც ხ ვ ი, მიღებული მიმდინარე და გასულ წელს დაბადებულთაგან. ეს საშუალო გამოიანგარიშება შ ე წ ო ნ ი ლ ი ა რ ი თ მ ე ტ ი კ უ ლ ი ს ა შ უ ა ლ ო ს ი დ ი დ ი ს სახით: ვარიანტებად აიღება მიმდინარე და გასულ წელს დაბადებულთა რიცხვი, ხოლო წონებად—თანაფარდობა მიმდინარე და გასულ წელს დაბადებულთა მონაცემებს შორის. ეს თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვა ზომით იქნეს აღებული შემდეგ ფარგლებში: 3 : 2—4 : 1. მეტწილ შემთხვევაში კი ასეთ თანაფარდობად აიღება 2 : 1, მაშასადამე, მიმდინარე წელს დაბადებულთა რიცხვიდან 2/3, ხოლო გასულ წელს დაბადებულთა რიცხვის 1/3.

ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის მნიშვნელი შეიძლება აღებულ იქნეს სხვა წესით: მოსაზღვრე წლებისათვის აიღება იგივე შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ, როგორი შეფარდებაც არის 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილთა შორის დაბადების წლების მიხედვით, ასე, მაგ., 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილთა საერთო რიცხვიდან—68% მიმდინარე წელს არის დაბადებული, ხოლო გასულ წელს—32%, მაშინ დაბადებულთა რიცხვიც ამ შეფარდების შესაბამისად აიღება, ე. ი. მიმდინარე წელს დაბადებულთაგან—68%, ხოლო გასულ წელს დაბადებულთაგან—32%.

ბავშვთა მოკვდაობის წლიური კოეფიციენტის გარდა შეიძლება გამოვიანგარიშოთ თვიური კოეფიციენტები წლის ცალკეული თვეების მიხედვით. ამისათვის საჭიროა თვის განმავლობაში 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი შეუფარდოთ დაბადებულთა საშუალო არითმეტიკულ რიცხვს, რომელიც მიიღება მოცემული თვისა და წინა 12 თვის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვისაგან [1].

ე. მოკვდაობის ცხრილი. სიცოცხლის ხანგრძლივობა

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების განხილვისას ადგილად შეიძლება შევამჩნიოთ, რომ არსებობს გარკვეული სისწორე, რომლითაც მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობას აქვს ადგილი. ასე, მაგ., მოკვდაობა ბავშვობის ასაკში, მოკვდაობა მოხუცებულობის ასაკში და სხვა მოკვდაობის განსაზღვრულ დონეს და სიხშირეს გვიჩვენებს, რაც მოსახლეობის ამ ასაკობრივ ჯგუფთა თავისებურებასთან არის დაკავშირებული.

მაგრამ ამ კერძო ამოცანიდან მოსახლეობის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში ინტენსიობის გაზომვიდან შეიძლება უფრო ფართო ამოცანაზედაც გადავიდეთ—მოკვდაობის მიმდინარეობის სრული სურათი მივიღოთ—მოსახლეობის კვდომის თანმიმდევრობის გამორკვევის გზით. აქაც მკვლევარის წინაშე შეიძლება ორგვარი ამოცანა დაისვას:

ა) გამოარკვიოს, თუ დაბადებულთა ძირითადი მასა დროის მსვლელობასთან ერთად როგორ განიცდის კვდომას სრულ ამოწყვეტამდე;

ბ) გამოარკვიოს, თუ გარკვეულ საკმაოდ მაღალ ასაკობრივ საფეხურამდე მიღწეული მოსახლეობის მასა, როგორ განიცდის კვდომას სრულ ამოწყვეტამდე.

ვინაიდან პირველი ამ ამოცანათაგანი ზოგადია და იმდენად ფართო, რომ თავის მხრივ მოიცავს მეორე ამოცანის საკითხის

---

[1] ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტებს შეიძლება ალგებრული გამოსახულება მიეცეს უკეთუ პირობით ნიშნებს გამოვიყენებთ და აღვნიშნავთ: გარდაცვალების შემთხვევათა რიცხვს მოცემულ პირობებში (წლის განმავლობაში) Mo-ით, დაბადებულთა რიცხვს ამავე პერიოდში—N-ით, წინა პერიოდში—N_1-ით, ბავშვთა მოკვდაობას m_0-ით, — მოკვდაობის კოეფიციენტს მიეცემა შემდეგი გამოსახულება:

$$m_0 = \frac{Mo}{{}^2/_3 N + {}^1/_3 N_1}$$

გარკვევას, ამიტომ არსებითად პირველი ამოცანა უკვე ფარავს შინაარსობრივად მეორეს. მოსახლეობის წესის გარკვევისას საჭიროა გექონდეს თანმიმდევრული ცნობები დაბადებულთა და გარდაცვალებულთა შესახებ, აგრეთვე ცნობები მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფებად დანაწილების შესახებ, რასაც ჩვეულებრივ მოსახლეობის აღწერის შედეგები გვაწვდის.

აღსანიშნავია, რომ გარდაცვალებულთა ჯგუფი ყოველთვის დაბადებულთა ორ სხვადასხვა ჯგუფს შეესაბამება: მაგ., 1952 წ. ერთი წლის ასაკში გარდაცვლილნი, დაბადებულნი არიან ნაწილობრივ 1952 წელს, ხოლო 1951 წელს; 1951 წლის ორი წლის ასაკში გარდაცვლილნი, დაბადებულნი არიან ნაწილობრივ 1951 წელს, ხოლო ნაწილობრივ 1950 წელს, და ა. შ.

იგივე ეხება ცოცხლად მყოფთა რიცხვს, რომელთა ასაკსაც შეეხება საქმე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა დადგენილი უნდა იქნეს კალენდარული წლის დასაწყისში ან დამლეგს.

დაბადებულთა, გარდაცვლილთა და ცოცხლადმყოფი მოსახლეობის მასები ერთგვაროვანი უნდა იყოს დროისა და ადგილის მიხედვით, ე. ი. თვითეული ზემოაღნიშნული ჯგუფი მტკიცედ განსაზღვრული ტერიტორიული და ქრონოლოგიური ნიშნით უნდა იყოს გამოცალკევებული. რაც შეეხება ამ ჯგუფთა დიფერენციაციას არსებული ნიშნების მიხედვით, ამ მხრივ მათი გამოცალკევება შეიძლება მოხდეს როგორც ფიზიკური ნიშნების მაგ., სქესის, ისე სოციალური ნიშნების, მაგ., საზოგადოებრივი კლასების მოსაქმეობის, მიხედვით. ასეთ სოციალურ ჯგუფთა გამოცალკევება თავის მხრივ გულისხმობს გაანგარიშებისათვის დანიშნული მასალის სათანადო დამუშავებას მეთოდოლოგიურად სწორი დაჯგუფების შედეგად.

სტატისტიკურ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს დაბადებულთა კვდომას თანმიმდევრული ასაკობრივი საფეხურების მიხედვით ეწოდება მოკვდაობის ცხრილი (ნ. ქვემოთ). ამ ცხრილის გამოანგარიშება შეიძლება ორგვარი წესით მოხდეს:

ა) პირდაპირი წესით: დაკვირვების გზით უნდა გამოირკვეს დაბადებულთა განსაზღვრული ნამდვილად არსებული მასის თანდათანობითი კვდომა თვითოეული ასაკობრივი ჯგუფების ფარგლებში. ეს გარემოება შესაძლებელს გახდის გამოანგარიშებულ იქნეს თვითოეული ასაკობრივი საფეხურებისათვის სიკვდილის ალბათობა;

ბ). არაპირდაპირი წესით: უნდა გამოირკვეს დაბადებულთა განსაზღვრული აბსტრაქტული მასის თანდათანობითი

კვდომა არა დაკვირვების გზით, არამედ გაანგარიშების გზით, ე. ი. დაბადებულთა მასის თანდათანობითი კვდომა განისაზღვრება არა უშუალოდ დაკვირვებების საფუძველზე, არამედ შემდეგნაირად: გამოირკვევა სიკვდილის ალბათობა სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურისათვის და ამის საფუძველზე შემდეგ გამოიანგარიშება დაბადებულთა ძირითადი მასის კვდომის თანმიმდევრული პროცესი.

რუსეთის ევროპული ნაწილის მამრობითი მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილი 1896—1897 წწ.

ასაკი	x ასაკამდე ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი	x ასაკიდან x + 1 ასაკამდე გადასვლისას მოკვდავთა რიცხვი	ალბათობა სიკვდილისა შემდგომი წლის განმავლობაში	ალბათობა ცოცხლად დარჩენისა სიკვდილის შემდგომი წლის განმავლობაში	საშუალო ხანგრძლივობა მომავალი სიცოცხლისა წლობით	საერთო ხანგრძ. მომავალი სიცოცხლისათვის	ასაკი
1	2	3	4	5	6		8
0	100,000	29.800	0,29800	0.70200	31,32	17,87	0
1	70.200	7.038	0,10026	0,89974	43,41	50.56	1
2	63 162	3.651	0,05781	0,94219	47,19	54,01	2
3	59.511	2.296	0,03858	0,96142	49,06	55,23	3
4	57 215	1.606	0,02807	0,97193	50,00	55.64	4
5	55.609	1.134	0,02039	0,97961	50,43	55,41	5
6	54.475	834	0,01531	0,98460	50,47	55,00	6
7	53.641	618	0,01152	0,98848	50.25	54,46	7
8	53.023	484	0,00912	0,99088	49,83	53,79	8
9	52 539	410	0,00780	0,99220	49,27	53,04	9
10	52.129	357	0,00684	0,99316	48.67	52,25	10
11	51.772	308	0,00594	0,99406	48,00	51,42	11
12	51.464	270	0,00524	0,99476	47,28	50,58	12
13	51.194	242	0,00473	0.99527	46,53	49,72	13
14	50.952	225	0,00442	0,99558	45,76	48.84	14
15	50 727	232	0,00457	0,99543	44,95	47.96	15
16	50 495	256	0,00506	0,99494	44,15	47,07	16
17	50.239	275	0,00548	0,99452	43,38	46,19	17
18	49.964	299	0,00599	0,99401	42,61	45,33	18
19	49.665	318	0,00641	0,99359	41,87	44,47	19
20	49.347	327	0,00663	0,99337	41,13	43,62	20
21	49.020	339	0,00691	0,99309	40,40	42,78	21
22	48.681	346	0,00711	0,99289	39,68	41,94	22
23	48.335	349	0,00723	0,99277	38,96	41,11	23
24	47.986	357	0,00745	0,99255	38,24	40'27	24
25	47.629	356	0,00747	0,99253	37,53	39,43	25
26	47.273	256	0,00753	0,99247	36,80	38,59	26
27	46.917	355	0,00757	0,99243	36,08	37,76	27

1	2	3	4	5	6	7	8
28	46.562	354	0,00761	0,99239	35,35	36,92	28
29	46.208	357	0,00773	0,99227	34.62	36.08	29
30	45.851	362	0,00789	0,99211	33.88	35.23	30
31	45.489	368	0,00808	0,99192	33.15	34,40	31
32	45.121	378	0,00837	0.99163	32,42	33,56	32
33	44.743	389	0 00869	0,99131	31,69	32.73	33
34	44.354	399	0,00900	0.99100	30,96	31,90	34
35	43.955	409	0.00931	0,39069	30.24	31.07	35
36	43 546	418	0.00961	0,99039	29,51	30 25	36
37	43.128	426	0.00987	0,99013	28,80	29,43	37
38	42.702	436	0,01020	0,98980	28,08	28.61	38
39	42.266	440	0,01040	0,98960	27.36	27.80	39
40	41.826	463	0,01119	0,98881	26,64	26,99	40
41	41.358	484	0,01171	0.28829	25,94	26,19	41
42	40.874	515	0,01260	0.98740	25,24	25,39	42
43	40.359	538	0,01334	0,98666	24.56	24,61	43
44	39 821	560	0,01407	0,98593	23 88	23,84	44
45	39.261	580	0,01478	0,99522	23,22	33,07	45
46	38.681	599	0.01849	0,98451	22.56	22,32	46
47	38 082	617	0,98451	0,98451	22,56	22.32	47
48	38.082	635	0,01696	0,98.04	21.26	20,83	48
49	36.830	656	0,01780	0,98220	20.61	20.10	49
50	36.174	678	0.01878	0 98122	19,98	19,37	50
51	35.496	707	0,01991	0,98009	19.35	18 66	51
52	34.789	736	0.02116	0.97884	18.73	17.97	52
53	34.053	767	0,0 253	0,97747	18,13	17.27	53
54	33 286	698	0.02397	0.97603	17.55	16,60	54
55	32 488	824	0,02536	0.97464	16.95	15.94	55
56	31.664	815	0.02670	0,97330	16,38	15,29	56
57	30 819	856	0,02788	0 97212	15,82	14.66	57
58	29.960	883	0 02947	0,97053	15,26	14,04	58
59	29.079	894	0,03075	0.96925	14,70	13,43	59
60	28.183	920	0,03164	0.96736	14.15	12.83	60
61	27.2 3	952	0,03492	0,96508	13,61	12.25	61
62	26.311	991	0'03768	0.96232	13,09	11,68	62
63	25.320	1.038	0.04101	0.95899	12,58	11.14	63
64	24 282	1.087	0.04477	0,95523	12,10	10,63	64
65	23.195	1.130	0 04873	0.95127	11,64	10,14	65
66	22 065	1.165	0,05278	0.94722	11,21	9,69	66
67	20.900	1.184	0.08664	0.94336	10,81	9,26	67
68	19,716	1.187	0 06022	0.93978	10.43	8.86	68
69	18 529	1.182	0.06381	0.33619	10.07	8,48	69
70	17.347	1 175	0 06772	0.93228	9,72	8,10	70
71	16.172	1 147	0.07091	0,92909	9 39	7.75	71
72	15.025	1.121	0 07464	0,92536	9,07	7,42	22
73	13.904	1.095	0,07879	0.92121	8.76	7.09	73
74	12.809	1.066	0,08325	0 91675	8,46	6,78	74
75	11.743	1,033	0,08794	0,91206	8,18	6,50	75
76	10 710	994	0,09277	0,90723	7.93	6,24	76
77	9.716	949	0.09766	0 90234	7,69	5 98	77
78	8 767	899	0,10254	0.89746	7,46	5.77	78
79	7.868	846	0.10747	0.89253	7,26	5.57	79
80	7.022	787	0,11201	0.88799	7.07	5,38	80
81	6.235	722	0,11583	0,88417	6,90	5,21	81

1	2	3	4	5	6	7	8
82	5.513	666	0.12078	0,87922	6,74	5.05	82
83	4'847	605	0,12481	0,87519	6 60	4,92	83
84	4.242	545	0,12856	0.87144	6.47	4,81	84
85	3 697	488	0.13203	0,86797	6,35	4.70	85
86	3.209	434	0,13520	0,86797	6.24	4,62	86
87	2.775	381	0,13738	0.86262	6,13	4,54	87
88	2.394	337	0.14066	0.85934	6,03	4.46	88
89	2 057	294	0,14298	0,85702	5.91	4.39	89
90	1.763	256	0,14505	0,85495	5,84	4,33	90
91	1.507	221	0,14692	0,85308	5.75	4.27	91
92	1.286	192	0,14895	·0.85105	5.65	4.21	92
93	1.094	195	0,15110	0,84890	5,56	4.15.	93
94	929	142	0,15330	0.84670	5,46	4,09	94
95	787	122	0,15548	0,84452	5,35	4,02	95
96	665	105	0,15755	0,84245	5,24	3.98	96
97	560	89	0,15945	0,84055	5,13	3,94	97
98	471	76	0,16106	0,83894	5,01	3.88	98
99	395	64	0.16229	0,83771	4,87	3.81	99
100	331	—	0,16302	0,83698	4,72	3,72	100

მოკვდაობის ცხრილი საშუალებას იძლევა გამოვარკვიოთ სიცოცხლის ხანგრძლიობა მოსახლეობის გარკვეული ასაკობრივი საფეხურებისათვის, უკეთუ ვიგულისხმებთ, რომ მოსახლეობის თანდათანობითი კვდომის წესი დადგენილი მოსახლეობის ცხრილის საფუძველზე უცვლელი რჩება. ამ მიზნით გარკვეული უნდა იქნეს სიცოცხლის საალბათო ხანგრძლიობა ან საშუალო ხანგრძლიობა.

პირველ შემთხვევაში უნდა გამოირკვეს რას უდრის მოცემული ასაკობრივი საფეხურისათვის დროის ხანგრძლიობა იმ მომენტამდე, როდესაც დაკვირვების საგნად აღებული მოსახლეობის (ახლად დაბადებულთა ან შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე მყოფთა) ნახევარი ამოწყდება. ამის გამოსარკვევად საჭიროა განვსაზღვროთ სიცოცხლის საალბათო ხანგრძლიობა, ანუ რას უდრის სიცოცხლის შანსი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ასაკობრივ სკალაზე მონახულ იქნეს ის წერტილი, როდესაც დაკვირვების საგნად აღნიშნული მასის წევრი რეგისტრირებულია, როგორც გარდაცვალებული.

მეორე შემთხვევაში ამოცანად უნდა იქნეს დასახული იმის დადგენა, თუ რა ხანგრძლიობა უნდა იქნეს დროის იმ პერიოდის, რომლის განმავლობაშიც უნდა იცოცხლონ საშუალოდ იმ პირებმა, რომლებმაც მოცემულ მომენტში განსაზღვრულ ასაკობრივ საფეხურს მიაღწიეს. ამის გასარკვევად საკმარისია განვსაზღვროთ სი-

ცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა, ე. ი. იმ წლების რიცხვი, რომელიც დარჩა სიცოცხლისათვის დაკვირვების საგნად აღებულ მოსახლეობის მასას თანახმად მოკვდაობის ცხრილისა, გაყოფილს ამ ასაკში შემავალ პირთა რიცხვზე.

სიცოცხლის საალბათო და საშუალო ხანგრძლიობაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ბავშვთა მოკვდაობის დონეს. ამიტომ სიცოცხლის ხანგრძლიობის გაანგარიშებისას და განსაკუთრებით შედარებით სტატისტიკური განხილვისას ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და, შედარების შემთხვევაში, თავიდან აცილებული. ეს შესაძლებელია მოხერხდეს იმით, რომ სიცოცხლის ხანგრძლიობაც (საალბათო და საშუალო) გამოცალკევებულად იქნეს მიღებული ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფისათვის.

სიცოცხლის საალბათო და საშუალო ხანგრძლიობა ჩვეულებრივად ერთი მეორისაგან განსხვავდება: მოცემულ შემთხვევაში საალბათო ხანგრძლიობა უფრო დიდია ვიდრე საშუალო ხანგრძლიობა. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის ,ვდომა გარდაცვალების შემთხვევათა საერთო მასის მეორე ნახევარში უფრო სწრაფია, ვიდრე პირველში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბავშვთა მაღალ მოკვდაობას აქვს ადგილი.

3. გარდაცვალების მიზეზები

გარდაცვალება შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა, რომელთაგან აღსანიშნავია: 1. მუცლის ტიფი; 2. პარატიფი; 3. პარტახტიანი ტიფი; 4. შებრუნებითი ტიფი; 5. ბრუცელოზი; 6. ყვავილი; 7. წითელა; 8. ქუნთრუშა; 9. ყივანახველა; 10. ხუნაგი; 11. გრიპი; 12. დეზინტერია; 13. ჰემოკოლიტი; 14. მწვავე პოლიომიელიტი; 15. ეპიდემიური (ლეტარგიული) ენცეფალიტი; 16. ეპიდემიური (ცერებროსპინური) მენინგიტი (მენინგოკოკური); 17. ქოთაო; 18. ჯილეხი; 19. გაშეშება; 20. წითელი ქარი; 21. ტულარემია; 22. ცოფი; 23. ანგინა; 24. მწვავე ინფექციური სხვა სნეულებანი; 25. მალარია; 26. სასუნთქი ორგანოების ტუბერკულოზი; 27. ტვინის გარსის და ცენტრალური ნერვული სისტემის ტუბერკულოზი; 28. ძვალ-სახსრის ტუბერკულოზი (ხერხემლის ტუბერკულოზის ჩათვლით); 29. გაფანტული (მილიარული) ტუბერკულოზი; 30. ტუბერკულოზის სხვა ფორმები; 31. თანდაყოლილი სიფილისი; 32. ზურგის ატროფია. პროგრესული დამბლა; 33. სიფილისის სხვა ფორმები; 34. ქრონიკული ინფექციური სხვა სნეულებანი; 35. პარაზიტული სნეულებანი; 36. მკვლელობა; 37. თვითმკვლელობა, 38. ძალადობითი სიკვდილი, დაუდგენელი (მკვლელო-

ბა, თვითმკვლელობის ხასიათისა; 39. საწარმოო ტრავმა და მოწამვლა; 40. მექანიკური ტრავმადაუდგენელი (წარმოებაში თუ მის გარეთ) ხასიათისა; 41. სხვა ტრავმები არასაწარმოო ან დაუდგენელი (წარმოებაში თუ მის გარეთ) ხასიათისა და მოწამვლა (გარნარკომანიისა); 42. კიბო და სხვა ავთვისებიანი ახალი წარმოქნანი საჰმლის მოსანელებელი ორგანოებისა; 43. კიბო და სხვა ავთვისებიანი ახალი წარმოქმნანი სუნთქვის ორგანოებისა; 44. კიბო და სხვა ავთვისებიანი ახალი წარმოქმნანი და ქალის სასქესო ორგანოებისა; 45. კიბო და სხვა ავთვისებიანი ახალი წარმოქმნანი სხვა ორგანოებისა და ლოკალიზაციის აღუნიშვნელად; 46. კეთილთვისებიანი და დაუდგენელი ხასიათის ახალი წარმოქმნანი; 47. რევმატული დაავადებანი; 48, დიაბეტი; 49. ნივთიერებათა ცვლის სხვა სნეულებანი; 50. ენდოკრინული სისტემის სნეულებანი; 51. სისხლის და სისხლის წარმომშობი ორგანოების სნეულებანი; 52. მენინგიტი (არა ეპიდემიური); 53. ტვინის არტერიოსკლეროზი, სისხლჩაქცევა ტვინში; 54. ნერვული სიხტემის სხვა სნეულებანი; 55 გრძნობის ორგანოთა სნეულებანი; 55. გულის ანგინა და გვირგვინისებრი არტერიის სნეულებანი; 56. გულის სხვა სნეულებანი; 57. სისხლმიმოქცევის ორგანოების და ლიმფატური სისტემის სნეულებანი; 58. ფილტვების კრუპოზული ანთება, 59. ფილტვების სხვა სახის ანთება და აღუნიშვნელი; 60. სუნთქვის ორგანოების სხვა სნეულებანი; 61. ტოქსინური დისპეპსია; 62. მწვავე გასტრო-ენტეროკოლიტი 3 წლამდე ასაკში; 63. მწვავე გასტრო-ენტეროკოლიტი 3 წლის ასაკში და ზევით; 64. აპენდიციტი; 65. ღვიძლის, ნაღვლის მილების და ნაღვლის ბუშტის სნეულებანი; 66. საჰმლის მომნელებელი ორგანოების სხვა სნეულებანი; 67. ძვლების, სახსრების და კუნთების სნეულებანი; 68. კარბუნკული, ფურუნკული, ფლეგმონა, აბსცესი; 69. კანის და სხვა სნეულებანი; 70. თირკმლის მწვავე, ქრონიკული ან აღუნიშვნელი ანთება; 71. შარდსადენი ორგანოების სხვა სხეულებანი: 72. მამაკაცის სასქესო ორგანოების სნეულებანი (არა ვენერიული) 73. ქალის სასქესო ორგანოების სნეულებანი (არა მშობიარობისშემდგომი და არა ვენერული); 74. საშვილოსნოსგარეშე ორსულობა; 75. ხელოვნური აბორტი სამედიცინო ჩვენების მიხედვით და მისი შედეგები; 76. აბორტი, დაწყებული სამკურნალო დაწესებულების გარეთ და მისი შედეგები (თვითნებური); 77. სხვა აბორტი და აღუნიშვნელი; 78. მშობიარობის შემდგომი სეფსისი; ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობისშემდგომი სხვა სნეულებანი; 80. თანდაყოლილი სისუსტე (1 თვემდე); 80 ნაადრევი დაბადება; 81. თანდაყოლილი

შანკი განვითარებისა; 81 ახალშობილთა სნეულებანი (1 თვემდე); 82. მოხუცებითი დაჩაჩანაკება; 83. სიკვდილის სხვა მიზეზები; 84. გარდა ამისა, არასწორად აღნიშნული და კლასიფიკაციაში არსებული სნეულებანი და სიკვდილის მიზეზები.

§ 5. დაძურწინებათა და განძურწინებათა სტატისტიკური მაჩვენებლები

მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების საქმეში ქორწინებას და ოჯახს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც უმჯობესდება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, იმდენად დიდია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი.

სოციალისტურ საზოგადოებაში, წინააღმდეგ კაპიტალისტური საზოგადოებისა, მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე დღითი-დღე იზრდება. შექმნილია პირობები იმისათვის, რომ საბჭოთა ოჯახმა წარმოშვას და აღზარდოს ჯანსაღი ახალი თაობა, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი. ქორწინება და ოჯახი განსაღვრულია საზოგადოებრივი წარმოების წესით.

ცნობები ქორწინებაში შესვლის შესახებ მოცემულია ფ. 7. ამ ფორმის მონაცემთა საფუძველზე ჯგუფდება ქორწინებაში შესულთა მაჩვენებლები ასაკის ნიშნის მიხედვით. მამაკაცთათვის: 18 წელზე ახალგაზრდა, 18 წლის, 20 წლის, 21 წლის, 22 წლის, 23 წლის, 24 წლის; 25 წლის, 26 წლის, 27 წლის, 28 წლის, 29 წლის. შემდეგ: 30—34 წლ., 35—39 წლ., 40—49 წლ., 50—59 წლ. და 60 წელზე უხნესი. ამგვარადვე ჯგუფდება მონაცემები ქორწინებაში შესულ ქალთა შესახებ. ამ დაჯგუფებათა საფუძველზე ვარკვევთ, თუ ქორწინებაში შესვლის შემთხვევათა უმრავლესობა მოსახლეობის რომელ ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის.

მოსახლეობის სტატისტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ქორწინების კოეფიციენტი, რომელიც გამოიანგარიშება ქორწინების შემთხვევათა რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს კოეფიციენტი არ არის სათანადოდ ზუსტი. ამიტომ პრაქტიკაში ზოგჯერ ანგარიშობენ ე. წ. გაწმენდილ კოეფიციენტს. ამ კოეფიციენტის გამოანგარიშებისათვის საჭიროა დაქორწინების ყოველი 1000 შემთხვევიდან გამოირიცხოს განქორწინების შემთხვევათა რაოდენობა.

ქორწინების სპეციალური კოეფიციენტების გამოანგარიშებისათვის საჭიროა ავიღოთ მამაკაცთათვის მაჩვენებლები, მოთავსებული ასაკობრივ ინტერვალში—20—44 წლამდე, ხოლო ქალთათვის —15—39-წ-მდე.

დაქორწინების შემთხვევათა რეგისტრაციის პარალელურად აღირიცხება განქორწინების შემთხვევებიც. „ცნობები განქორწინების შესახებ“ (ფ. 8) შეიცავს მონაცემებს განქორწინებულთა შესახებ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ეს ჯგუფები შემდეგია: 18 წლამდე, 18—19, 20—24, 25—29, 30—39, 40—49, 50—59, 60 წელზე უხნესი და გაურკვეველი ასაკი. ამავე ფორმიდან შესაძლებელია დადგენილ იქნეს პირველ, მეორე, მესამე და მეტ ქორწინებაში მყოფთა რაოდენობის მაჩვენებელიც.

ფორმა 8, აგრეთვე, გვაძლევს ცნობებს ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლიობის შესახებაც 1 თვემდე, 1—5 თვემდე, 6—11 თვემდე, 1 წლიდან—2 წლამდე, 3—4 წლამდე, 5—9 წლამდე, 10—19—წლამდე, 20 წელი და ზევით. აქვე მოცემულია ქორწინების გაურკვეველი ხანგრძლიობის შემთხვევათა მაჩვენებლებიც.

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებელია განქორწინების კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი გამოიანგარიშება განქორწინების საერთო რაოდენობის მაჩვენებლის შეფარდებით მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე, ანდა ყოველ 10.000 სულზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური საზოგადოების პირობებში განქორწინების მაჩვენებლები მკვეთრად მცირდება. მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში განქორწინების შემთხვევათა რაოდენობა თანდათანობით იზრდება.

§ 6. მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის მაჩვენებლები

მიგრაციის ცნების ქვეშ ჩვეულებრივად იგულისხმება მოსახლეობის ტერიტორიული გადანაცვლება, როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ.

სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის მიგრაცია დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასთან და ამავე დროს გვიჩვენებს ხალხთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ზრდას.

სსრ კავშირში წარმოებული გიგანტური სამშენებლო სამუშაოები საჭიროებს მუშა-ძალას დიდი რაოდენობით, რომელიც უმთავრესად სოფლიდან მოედინება. მუშა-ძალის მოზიდვა წარმოებს არა სტიქიურად, ფვითდინებით, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში, არამედ ორგანიზებულად, გეგმიანად. ი. სტალინი, ჯერ კიდევ 1931 წლის 23 ივნისს სამეურნეო მუშაკთა თათბირზე აღნიშნავდა, რომ ჩვენში სოფელი გლეხისათვის დედინაცვალს აღარ წარმოადგენს, რომ გლეხები

სოფლიდან ქალაქისაკენ აღარ გარბიან. ამიტომ საჭიროა მუშა-ძალა მოზიდულ იქნეს მრეწველობაში ორგანიზებულად, გეგმიანად.

სსრ კავშირში მოსახლეობის მიგრაცია განსაზღვრულია სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარებით. აღსანიშნავია, რომ 1926 წლიდან—1939 წლამდე, მოსკოვის ოლქში გადასახლდა 3,5 მილიონი კაცი, ლენინგრადის ოლქში 1 3 მილიონი კაცი, გორკის—350 ათასი კაცი. მოსახლეობის საგრძნობმა რაოდენობამ გადაინაცვლა ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში.

მოსახლეობის დიდი გადანაცვლება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში მრეწველობის სწრაფად განვითარებამ. მოსახლეობის გადანაცვლებას ქვეყნის ტერიტორიის შიგნით შ ი ნ ა გ ა ნ ი მ ი გ რ ა ც ი ა ეწოდება. მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელში სათანადო ადგილს იკერს სოფლიდან ქალაქში გადასული მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელი.

მოსახლეობის გადანაცვლება ხდება არა მხოლოდ სოფლიდან ქალაქში, არამედ სოფლიდან სოფელშიც. ცნობილია, რომ ჩვენს პირობებში ადგილი აქვს მწირ ადგილებში მყოფი სოფლის მოსახლეობის გეგმიან გადაყვანას ნაყოფიერ და მდიდარ რაიონებში. სოფლის მოსახლეობის ამგვარი ტერიტორიული გადანაცვლება აგრეთვე შიზნად ისახავს მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას. მოსახლეობის ადგილგადანაცვლება ხდება არა მხოლოდ სოფლიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში, არამედ ასეთ გადანაცვლებას ადგილი აქვს ქალაქიდან ქალაქშიც. მოსახლეობის მიგრაციის ცნების ქვეშ ნაგულისხმებია მოსახლეობის ყოველგვარი ადგილგადანაცვლება, მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იქნა გამოცვლილი საცხოვრებელი ადგილი.

სსრ კავშირის მოსახლეობის შინაგანი მიგრაციის დახასიათება, 1926 წლიდან 1939 წლამდე შეიძლება შემდეგი მაჩვენებლებით (მილიონებში, ნ. შემდეგი გვერდი)[1].

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ შინაგანი მიგრაცია, მაგრამ არსებობს აგრეთვე გ ა რ ე გ ა ნ ი მ ი გ რ ა ც ი ა, რომელიც ნიშნავს მოსახლეობის გადანაცვლებას ერთი ქვეყნიდან მეორეში. ე მ ი გ რ ა ც ი ა ნიშნავს მოსახლეობის ერთი ნაწილის გასახლებას, წასვლას სხვა რომელიმე ქვეყანაში მუდმივად ან ხანგრძივი პერიოდით საცხოვრებლად.

---

[1] А. Говулов, Экономическая статистика, 1953 წ. გვ. 72.

ლ ა ნ ა რ თ ი

წყაროები	მოსახლეობა		სულ
	სოფლის	ქალაქის	
1926 წლის აღწერით .	120,7	26,3	147,70
12 წლის განმავლობაში გადავიდა სოფლიდან ქალაქში . . .	—18,5	+18,5	—
ბუნებითი ნამატი	+18,2	+5,3	+23,5
სოფლიდან ქალაქად გარდაქმნილ პუნქტებში . .	—5,8	+5,8	—
1939 წლის აღწერით .	114.6	55,9	170,5
სხვაობა 1926 წ. და 1939 წ. შორის	—6,1	+29,6	+23,5

ცნობები მოსახლეობის შინაგანი მიგრაციის შესახებ ფიქსირებულია სპეციალურ ფორმულარში, რომელიც შედგება სამისამართო ბარათების ტალონების საფუძველზე. ეს ფორმა გვაძლევს ორ ძირითად მაჩვენებელს. ერთი მათგანი გამოსახავს შემოსული მოსახლეობის რაოდენობას, ხოლო მეორე კი — გასული მოსახლეობის რაოდენობას. ხსენებული მოსახლეობის საფუძველზე გამოიანგარიშება მოსახლეობის მექანიკური მატების მაჩვენებელი. იმის მიხედვით, თუ რა ზომისაა შემოსული და გასული მოსახლეობის მაჩვენებელი, მექანიკური მატების ამს ხველი იქნება დადებითი ან უარყოფითი სიდიდე.

ფორმა № 1 შეიცავს მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ასახავს მოსახლეობის მიგრაციას სსრ კავშირის მასშტაბით. ამავე მაჩვენებელთა საფუძველზე ხდება მოსახლეობის მექანიკური მატების სიდიდის განსაზღვრა, როგორც ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ისე მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

დანართი

სტატისტიკის საგნისა და მეთოდის შესახებ

სტატისტიკის მეცნიერების შინაარსის მართებული გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი ისტორიულად მეცნიერთა შორის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და დაუსრულებელი დავის საგანს წარმოადგენდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა ბურჟუაზიულმა სტატისტიკოსებმა ამ საკითხის ერთნაირ გაგებას მაინც ვერ მიაღწიეს. სტატისტიკოსთა 1869 წლის საერთაშორისო კონგრესზე ენგელმა სტატისტიკის 180 სხვადასხვა განმარტება წარმოადგინა. ბუნებრივია, რომ დღეისათვის სტატისტიკის განმარტებათა რაოდენობამ კიდევ უფრო იმატა.

საბჭოთა სტატისტიკოსთა 1954 წლის მარტის საკავშირო მეცნიერულმა თათბირმა, რომელიც მოეწყო სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივით, აგრეთვე, პრესაში მანამდე და მის შემდეგ გაშლილმა დისკუსიამ, ძირითადად სწორად გადაწყვიტა სტატისტიკის მეცნიერების საკვანძო თეორიული საკითხები, რითაც მძლავრი ბიძგი მიეცა საბჭოთა სტატისტიკის მეცნიერებას შემდგომი განვითარების საქმეში:

დისკუსიისა და თათბირის მსვლელობის პროცესში სამი ძირითადი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: პირველი მიმდინარეობის მიხედვით სტატისტიკა აღიარებულია უნივერსალურ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის საზოგადოებისა და ბუნების მოვლენებს ერთობლივ; მეორე მიმდინარეობა სტატისტიკას მიიჩნევს მხოლოდ მეთოდად, რომელსაც გამოიყენებს სხვა მეცნიერებანი; მესამე მიმდინარეობა აღიარებს, რომ სტატისტიკა არის სოციალურ-ეკონომიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, ამ მოვლენათა და პროცესთა თვისობრივ მხარესთან განუყრელ კავშირში.

თანამედროვე საბჭოთა სტატისტიკაში პირველი მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლებად ითვლებიან: აკად. ვ. ნემჩინოვი, პროფ. ბ. იასტრემსკი და პროფ. ი. პისარევი.

აკად. ვ. ნემჩინოვის მტკიცებით „სტატისტიკა არის მეცნიერება მასობრივი მოვლენების რაოდენობრივი შესწავლის შესახებ“ (сельскохозяйственная статистика с основами общей теории,

გვ. 10). ამ განმარტებაში ნაგულისხმებია, როგორც საზოგადოებრივი, ისე ბუნებრივი მასობრივი მოვლენები. აკად. ვ. ნემჩინოვმა ეს თვალსაზრისი უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა სტატისტიკოსთა 1954 წლის მარტის საკავშირო თათბირზე: „სტატისტიკის საგანს წარმოადგენს საზოგადოებრივი მოვლენები და ბუნებრივი მოვლენები". (ჟურნ. Вестник статистики № 5, 1954 წ., გვ. 54). პროფ. ბ. იასტრემსკის მიხედვით „... სტატისტიკური მეცნიერება უნივერსალურია" (იქვე, გვ. 43). ამავე თვალსაზრისს იმეორებს პროფ. ი. პისარევი (იქვე, გვ. 41).

მიმდინარეობა, რომელიც სტატისტიკას უნივერსალურ მეცნიერებად სთვლის, უწინარეს ყოვლისა, ემყარება დებულებას იმის შესახებ, რომ საზოგადოება და ბუნება შინაგანად დაკავშირებულია. მათი აზრით ამ შინაგანი კავშირის ბაზაზე სტატისტიკა შეიჭრა ბუნების მეტყველების მეცნიერებათა სფეროებში — ფიზიკაში, ასტრონომიაში, ბიოლოგიაში და ა. შ.. ამ კონცეპციის დამცველთა მიხედვით ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ამდენად, სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, მასობრივ მოვლენათა და პროცესთა შესახებ, შეისწავლის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებს და პროცესებს, არამედ ბუნების მოვლენებსა და პროცესებსაც.

აღსანიშნავია, რომ ეს მიმდინარეობა სტატისტიკის ისტორიაში ახალს არ წარმოადგენს. მისი ფესვები მოცემულია ა. კეტლეს იდეალისტურ შეხედულებათა სისტემაში, რომლის მიხედვით ბუნების კანონები მექანიკურად ვრცელდება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ამ საფუძველზე სტატისტიკა აღიარებულია უნივერსალურ მეცნიერებად საზოგადოებისა და ბუნების მასობრივ მოვლენათა და პროცესთა ერთობლივი შესწავლის შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოება ბუნებასთან მჭიდრო კავშირშია და მათი ურთიერთისაგან მექანიკური მოწყვეტა შეცდომაა. ადამიანი ბუნების ძალებთან დაკავშირებულია წარმოებით. თვით წარმოება თავის თავში შეიცავს ამ კავშირს, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ეს შინაგანი კავშირი ბუნებასთან არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს მათ შორის არსებულ სხვაობას. საზოგადოებისა და ბუნების მოვლენები თვისობრივად სხვადასხვაგვაროვანნი არიან და ამდენად მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელია.

საზოგადოებისა და ბუნების ძალები იმყოფებიან რა შინაგან კავშირში განცდიან ურთიერთ აქტიურ ზემოქმედებას. ამ ურთიერთ ზემოქმედების პროცესში მთავარს, განმსაზღვრელს წარმოად-

გენს არა ბუნება და მისი ძალები, არამედ საზოგადოება, საზოგადოებრივი ძალები.

როგორ ვიცით წარმოების პროცესი საზოგადოებისა და ბუნების ძალების დაკავშირებას წარმოადგენს, ამ კავშირის შესწავლა სტატისტიკის ინტერესს შეადგენს. მაგალითად, სოფლად მეურნეობის წარმოების პროცესი ბუნებრივი წარმოების პროცესს ენასკვება. გასაგებია, რომ სტატისტიკას არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ ფაქტს. ამიტომ სოფლის მეურნეობის სტატისტიკა შეისწავლის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებს, რომელთაც ადგილი აქვთ სოფლის მეურნეობაში, არამედ ბუნების მოვლენებსაც, იმდენად, რამდენადაც ეს მოვლენები დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიურ პროცესებთან. მაშასადამე, სტატისტიკა შეისწავლის სოციალურ-ეკონომიურ და ბუნებრივ მოვლენებს შორის არსებულ კავშირსაც.

მეორე მიმდინარეობის მიხედვით, სტატისტიკა არის მხოლოდ მეთოდი, რადგან მას თითქოს არ გააჩნია კვლევის საკუთარი ობიექტი. ამდენად, სტატისტიკას როგორც მეთოდს იყენებს მეცნიერებათა სხვა დარგები.

სტატისტიკის ისტორიაში ეს მიმდინარეობაც ცნობილია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია პროფ. ა. კაუფმანი. მისი აზრით, „...სტატისტიკას არა აქვს თავისი საგანი" (Введение в теоретическую статистику, 1923 წ. გვ. 54) და ამის გამო „სტატისტიკა, მაშასადამე, არის ყველა საზოგადოებრივ და სხვა მრავალ მეცნიერებათა მოსამსახურე—ancilla" (იქვე, გვ. 544). უნდა ითქვას, რომ ამ წმინდა იდეალისტურ შეხედულებას მხარს უჭერს და უკრიტიკოდ იმეორებს პროფ. ნ. დრუჟინინი, რომელმაც თავის შრომაში теория статистики (1954 წ. გამოც.) მოგვცა სტატისტიკის შემდეგი განმარტება: „სტატისტიკა, როგორც მეცნიერება გამოყენებით ხასიათს ატარებს... სტატისტიკას შეიძლება ეწოდოს მოძღვრება საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლის მეთოდების შესახებ, მათ რიცხობრივ გამოსახულებაში" (დასახ. შრ. გვ. 5). ამრიგად, პროფ. ა. კაუფმანისა და პროფ. ნ. დრუჟინინის აზრით, სტატისტიკა არის გამოყენებითი მეცნიერება, ე. ი. მოძღვრება მეთოდის შესახებ, ამავე დროს ეს მეთოდი თავისი შინაარსისა და მოქმედების ფარგლების მიხედვით, მსგავსად მატერიალისტური დიალექტიკისა,—უნივერსალურია. აღსანიშნავია, რომ პროფ. ნ. დრუჟინინი კიდევ უფრო აღრმავებს მოცემულ აშკარა მცდარ თვალსაზრისს თავის შრომაში—Лекции по статистике (1955 წ., გვ. 8).

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შეუძლებელია მექანიკუ-

რად გამოვაცალკევოთ მეთოდი სისტემისაგან. თუ არსებობს გარკვეული თეორიული სისტემა ამათუიმ კონკრეტული ობიექტური სინამდვილის შესახებ, არსებობს მოცემული თეორიული სისტემის, კვლევის ობიექტის შესატყვისი მეთოდიც. ყოველ მეცნიერულ დისციპლინას თავის კვლევის სპეციალური მეთოდი აქვს. მაგრამ ამავე დროს არსებობს ერთი უნივერსალური მეთოდი, რომელსაც მატერიალისტურდიალექტიკურ მეთოდი ეწოდება. ეს მეთოდი გამოიყენება ყველა მეცნიერებაში, ამ მეცნიერებათა სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით. მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდის გამოყენება არ უარყოფს სპეციალური მეთოდების საჭიროებას. თვით კვლევის ობიექტის შინაარსის თავისებურება მოითხოვს სპეციალური მეთოდის შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოცემული ობიექტური სინამდვილის განვითარების შინაგანი კანონზომიერების შეცნობა. სტატისტიკას, როგორც დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებას აქვს კვლევის საკუთარი ობიექტი და ამ ობიექტის შესწავლის სათანადო სპეციალური მეთოდიც.

მეთოდი და სისტემა შინაგანად დაკავშირებულია და მათი ურთიერთისაგან მოწყვეტა დაუშვებელია.

პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას თავისი კვლევის მეთოდი აქვს. კ. მარქსი აღნიშნავს „...ეკონომიური ფორმაციების ანალიზის დროს არ შეიძლება არც მიკროსკოპის, არც ქიმიური რეაქტივების გამოყენება. ორივეს მაგივრობა უნდა გაუწიოს აბსტრაქციის ძალამ“ (კაპიტალი, ტ. I, ქართ. გამ., 1954 წ. გვ. 4). პოლიტიკური ეკონომიის მიერ გამოყენებული აბსტრაქტულ-ანალიტიკური მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემმეცნებელი სუბიექტი გამომდინარეობს რა უმარტივესი მოვლენებიდან, თანდათანობით მაღლდება რთულ კონკრეტულ სინამდვილემდე, რომელიც ყოველთვის მის მრავალფეროვნებაში გვევლინება. მაგრამ, პოლიტიკურ ეკონომიას როგორც მეცნიერებას არ ესაჭიროება ორი მეთოდი—საკუთარი და სტატისტიკური მეთოდი. მართალია, პოლიტიკური ეკონომია საჭირო შემთხვევაში გამოიყენებს სტატისტიკურ მონაცემებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკა პოლიტიკური ეკონომიის ან სხვა რომელიმე მეცნიერული დისციპლინის ancilla-ს წარმოადგენს.

პოლიტიკური ეკონომია აღმოაჩენს, შეისწავლის საზოგადოებრივი მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების კანონებს, მაშინ როდესაც სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას ამ კანონების აღმოჩენა არ ევალება. ვ. ლენინის აზრით, „სტატისტიკა

თვითმიზნად კი არ უნდა იქცეოდეს, როგორც ეს ჩვენში ძალიან ხშირად ხდება, არამედ უნდა აშუქებდეს ყოველმხრივი ანალიზით დადგენილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას" (თხზულებანი, ტ. III, 1948 წ. ქართ. გამ., გვ. 599). მაშასადამე, სტატისტიკის მეცნიერების ამოცანაა საზოგადოებრივ-ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების გაზომვა, ასახვა სათანადო მონაცემთა სისტემაში და ამ მოვლენათა და პროცესთა ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე ურყევი და მტკიცე საფუძვლების დადგენა.

ამრიგად, სტატისტიკა არ წარმოადგენს მხოლოდ მეთოდს, სხვა მეცნიერებათა მოსამსახურეს. იგი არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს კვლევის საკუთარი ობიექტი და მეთოდი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მესამე მიმდინარეობის თვალსაზრისით სტატისტიკა დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიური მეცნიერებაა, რომლის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კონკრეტულ მასობრივ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა და პროცესთა რაოდენობრივი მხარე, თვისობრივ მხარესთან ორგანულ კავშირში.

სტატისტიკა შეისწავლის ობიექტურ სინამდვილეს მის კონკრეტულ ყოფაში. მაგრამ, ეს კონკრეტული ობიექტური სინამდვილე შესაძლებელია შესწავლილ იქნას სხვა მეცნიერული დისციპლინის მიერაც. ცალკეული მეცნიერული დისციპლინები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმით, რომ „... თვითეული იკვლევს მოძრაობის ცალკეულ ფორმას ან მოძრაობის ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთში გარდამავალ მთელ რიგ ფორმებს..." (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ. ქართ. გამ., გვ. 261).

საკითხი, წარმოადგენს თუ არა სტატისტიკა დამოუკიდებელ მეცნიერებას, შესაძლებელია მართებულად გადაწყდეს, თუ ჩვენ გამოვალთ მეცნიერებათა მარქსისტული კლასიფიკაციიდან, რომლის მიხედვითაც ყოველი ცალკეული მეცნიერული დისციპლინა შეისწავლის ობიექტური სინამდვილის მოძრაობის ამათუიმ მხარეს, ფორმას, ფორმათა ურთიერთში გადასვლებს და მათ კავშირს.

მასობრივი სოციალურ-ეკონომიური მოვლენები და პროცესები შესაძლებელია შევისწავლოთ რაოდენობრივი და თვისობრივი თვალსაზრისით. „ყოველი სასარგებლო ნივთი, როგორც, მაგალითად, რკინა, ქაღალდი და ა. შ., შეიძლება ორნაირი თვალსაზრისით განვიხილოთ: თვისობრივობისა და რაოდენობის მიხედვით" (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954 წ. ქართ. გამ., გვ. 50). მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიური მოვლენები და პროცესები, რომელთაც სტატისტიკა შეისწავლის შესაძლებელია განხილულ იქნას,

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. სტატისტიკა შეისწავლის ობიექტის რაოდენობრივ მხარეს თვისობრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

სტატისტიკა სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებს, როგორც გარკვეულ თვისობრივ განსაზღვრულობას, ასახავს რაოდენობრივ მაჩვენებელთა სისტემაში. ამრიგად, სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა რაოდენობრიობისა და თვისობრიობის მთლიანობას წარმოადგენს. სტატისტიკაში არ არსებობს მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელი თვისობრიობის გარეშე. სტატისტიკა არის მეცნიერება სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა და პროცესთა თვისობრივი მხარის რაოდენობრივი ასახვის შესახებ.

სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა ერთობლიობის შემადგენელი ერთეულები (ელემენტები) 'შინაგან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ამ კავშირს ობიექტური ხასიათი აქვს. მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს ჩვენ განვიხილავთ„... როგორც შეკავშირებულ, ერთიან მთლიანს, სადაც საგნები, . მოვლენები ორგანულად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ. გვ. 673). ამასთან, სოციალურ-ეკონომიური მოვლენებსა და პროცესებს, როგორც სტატისტიკის კვლევის ობიექტს, განვიხილავთ არა როგორც მუდმივს, კონსტანტურს„... არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილებების, განუწყეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშობა და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება“ (ი. სტალინი, იქვე). აქედან გამომდინარე სტატისტიკის მეცნიერების ამოცანაა ასახოს ობიექტური სინამდვილე მის განვითარებაში, „როგორც გადასვლა ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაზე, როგორც განვითარება მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან უმაღლესისაკენ“ (ი. სტალინი, იქვე, გვ. 674).

ამრიგად, გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტატისტიკა არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს საკუთარი კვლევის ობიექტი და მეთოდი, იგი შეისწავლის დიალექტიკურ განვითარების პროცესში მყოფ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, თვისობრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა დიალექტიკური მეთოდი კვლევის უნივერსალური მეთოდია, რომელიც გამოიყენება ყველა მეცნი-

ერულ დასციპლინაში და, მაშასადამე, სტატისტიკაშიაც. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდი მოიცავს და მიზნად ისახავს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ზოგადი კანონების შესწავლას. ეს მეთოდი არის ობიექტური სინამდვილის შემეცნების ერთადერთი სწორი, უნივერსალური ხასიათის მეთოდი. როგორც ცნობილია, „მეთოდი" გულისხმობს მკვლევარის შემოქმედებით მოძრაობას, სვლას, ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესში. ხოლო შემეცნების კონკრეტული გზები და პროცესები მეცნიერებათა ცალკეულ დარგებში ერთნაირი არაა. ყოველი ცალკეული დარგი მეცნიერებისა ფლობს კვლევის საკუთარ მეთოდს, კვლევის გარკვეულ ხერხებსა და წესებს. ჩვეულებრივად ამგვარ მეთოდებს უწოდებენ სპეციალურს ანუ კერძო მეთოდებს. რამდენადაც ეს მეთოდები სპეციალური ხასიათისანი არიან, ამდენად მათი გამოყენების სფეროები განსაზღვრულია და ამის გამო კვლევის უნივერსალურ მეთოდამდე, დიალექტიკურ მეთოდამდე, ვერ ამაღლდებიან. მაგრამ ეს კერძო, სპეციალური მეთოდები, მაშასადამე, სტატისტიკური მეთოდიც, თავის მხრივ ემყარება დიალექტიკურ მეთოდს და განისაზღვება ამ უკანასკნელით.

ამრიგად, მეცნიერების ყოველ ცალკეულ დარგს აქვს კვლევის საკუთარი მეთოდი, რომელიც თავის მხრივ გაგებული უნდა იქნას მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით. სტატისტიკის მეცნიერებაში გამოყენებული კვლევის ხერხები და წესები აღებული ნათ ერთობლიობაში შეადგენენ სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც მოიცავს: მასობრივ დაკვირვებას, ე. ი. სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა და პროცესთა სისტემატურ თანმიმდევრულ რეგისტრაციას, ამ რეგისტრაციის ბაზაზე მოპოვებული პირველადი მონაცემების დაჯგუფებას და თავმოყრას, განზოგადებული მაჩვენებლების გამოანგარიშებასა და აქედან გამომდინარე მეცნიერული დასკვნების გაკეთებას.

სტატისტიკა არის კლასობრივი მეცნიერება, რომელიც ემყარება მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას და ისტორიულ მატერიალიზმს. ჩვენში საერთოდ აღიარებულია, რომ ყოველ სტატისტიკურ გამოკვლევას წინ უსწრებს შესასწავლი ობიექტის თეორიულ-ეკონომიური ანალიზი.

ვ. ლენინმა თავის კლასიკურ შრომას „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" წარუმძღვარა თეორიული გამოკვლევა რეალიზაციის მარქსისტული თეორიის საკითხებთან დაკავშირებით, რუსეთში შინა ბაზრის წარმოშობის შესახებ. ვ. ლენინმა დაასაბუთა, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს სა-

ზოგადოებრივი შრომის დანაწილება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მიწათმოქმედებას გამოეყო და იწყო განვითარება მრეწველობის დამოუკიდებელმა დარგებმა. მიწათმოქმედებას ტოვებდა სასოფლო სამეურნეო მოსახლეობის ერთი ნაწილი და მიდიოდა ქალაქად, იზრდებოდა ინდუსტრიული მოსახლეობა. დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება, რაც მაჩვენებელი იყო შინა ბაზრის წარმოშობისა. ვ. ლენინმა მოგვცა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ბრწყინვალე ილუსტრირება სათანადო სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე. ამ მიზნით მან გამოიყენა საერობო სტატისტიკის მონაცემები: ნოვოროსიის, სამარის, სარატოვის, პერმის, ორიოლის, ვორონეჟის და სხვ. გუბერნიებისა. სტატისტიკური მონაცემები ხსენებულ გუბერნიათა შესახებ ვ. ლენინმა არსებითად გადაამუშავა და მოგვცა ნათელი სურათი რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედეგების შესახებ. გამოირკვა, რომ რუსეთში კაპიტალიზმი არა თუ არ ვითარდებოდა, როგორც ამას ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, არამედ კაპიტალიზმმა უკვე მიაღწია განვითარების სათანადო დონეს.

ამრიგად, შესასწავლი საგნის თეორიულ-ეკონომიური ანალიზი სტატისტიკის, როგორც სოციალურ-ეკონომიური მეცნიერების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ეს ანალიზი წინ უსწრებს ისეთ სტატისტიკურ სამუშაოებს როგორიცაა მონაცემთა მოპოვება, სტატისტიკური დაჯგუფებანი, ასევე საშუალო სიდიდეების, შეფარდებითი სიდიდეებისა და ინდექსების გამოანგარიშებას, კავშირის სტატისტიკურ გაზომვას და სხვ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალურ-ეკონომიური მოვლენები და პროცესები, რომელთა სტატისტიკური გამოკვლევა ემყარება წინასწარ თეორიულ ანალიზს, უნდა ხორციელდებოდეს ამ მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობათა შემადგენელ ერთეულთა ურთიერთ მჭიდრო კავშირში. ვ. ლენინი ერთ-ერთ თავის დაუმთავრებელ შრომაში—„სტატისტიკა და სოციოლოგია", აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში არ არის იმაზე უფრო გავრცელებული და უსაფუძვლო ხერხი, როგორც ცალკეულ მცირე ფაქტთა ამოგლეჯა და მაგალითებით თამაში... ფაქტები, თუ მათ ავიღებთ მთლიანობაში, მათ კავშირში, არა თუ „ჯიუტი", აუცილებლად დამაჯერებელნი არიან. მცირედი ფაქტები, რადგან ისინი აღებულია მთელის გარეშე, კავშირის გარეშე, თუ ისინი წყვეტილად და თვითნებურად არის აღებული, წარმოადგენენ მხოლოდ სათამაშოს ანდა კიდევ უფრო უარესს." სტატისტიკის მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იგი ყოველთვის ემყარება საგანთა

და მოვლენათა ერთობლიობას, მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს, რომლის შემადგენელ ერთეულთა შინაგანი მჭიდრო კავშირის ბაზაზე ახდენს განვითარების კანონის ასახვას რაოდენობრივ მაჩვენებელთა სისტემაში.

სტატისტიკის ისტორიაში ცნობილ მათემატიკურ სკოლას საკმაო ხანგრძლივი წარსული აქვს. ამ სკოლის ფუძემდებელთაგან მოსახსენებელია: პიერ ფერმა, ბლეზ პასკალი, იაკობ ბერნული, კარლ გაუსი და სხვ. მათემატიკური სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სტატისტიკის მეცნიერება მთლიანად დაფუძნებულია კვლევის მათემატიკურ მეთოდზე. ამდენად სტატისტიკა არის არა სოციალურ-ეკონომიური მეცნიერება, არამედ გამოყენებითი მათემატიკა. ხსენებულ სკოლას თავისი წარმომადგენლები აღმოაჩნდა ჩვენშიაც (პროფ. ბ. იასტრემსკი, პროფ. ა. ბოიარსკი და სხვ.).

სოციალურ-ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების შესწავლის საქმეში მათემატიკის გამოყენება ძალზე შეზღუდულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. როგორც ვიცით სტატისტიკას საქმე აქვს ისეთ სიდიდეებთან, რომლებიც ასახავენ სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებს, საგნებსა და ფაქტებს, მათი განვითარების პროცესში, ხოლო „მათემატიკა არის მეცნიერება სიდიდეთა შესახებ; იგი სიდიდეთა ცნებიდან გამოდის“ (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ. ქართ. გამ., გვ. 270). ამავე დროს სტატისტიკა კვლევის პროცესში ასახავს კონკრეტულ სინამდვილეს მის მრავალფეროვნობაში, მაშინ როდესაც„... მათემატიკა აბსტრაქციაშია გართული, რომ ყველა მისი სიდიდე, ზუსტად თუ ვიტყვით, წარმოსახვითი სიდიდეებია და რომ ყველა უკიდურესობამდე მიყვანილი აბსტრაქცია უაზრობად ან თავისი თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა“ (ფ. ენგელსი, დასახელებული შრომა, გვ. 287). აქედან აშკარაა, რომ სტატისტიკის მეცნიერებისა და მათემატიკის მეცნიერების ამოცანებს შორის რადიკალური განსხვავებაა, რომ სტატისტიკური სიდიდე თვისობრივად განსხვავდება მათემატიკური სიდიდისაგან. ფ. ენგელსმა მათემატიკის გამოყენების სფერო შემდეგნაირად განსაზღვრა: „მყარი სხეულების მექანიკაში, აბსოლუტურია, აირების მექანიკაში მიახლოვებითია, სითხეების მექანიკაში უკვე გაძნელებულია; ფიზიკაში უფრო საცდელადაა და შეფარდებითია; ქიმიაში—პირველი ხარისხის უმარტივესი განტოლებანი; ბიოლოგიაში=0-ს“ (დასახელებული შრომა, გვ. 287). როგორც ვხედავთ, ფ. ენგელსი, სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა სფეროს არც კი იხსენიებს. სოციალურ-ეკონომიური მოვლენები, რომლებიც თავიანთი შინაარსით ესოდენ მრავალმხრივს და

რთულს წარმოადგენენ, უკიდურეს აბსტრაქტულ-მათემატიკურ სიდიდეებში ვერ აისახებიან. ცხადია, ამით ჩვენ არ მოვითხოვთ მათემატიკის განდევნას სოციალურ-ეკონომიური მოვლენების სფეროდან. ცნობილია, რომ მარქსი საჭირო შემთხვევებში ეკონომიური საკითხების შესწავლის დროს მიმართავდა მათემატიკური ხერხების გამოყენებას განსაზღვრულ ფარგლებში და მათემატიკური ფორმულების მომარჯვების საფუძველზე იკვლევდა მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს (ზედმეტი ღირებულების ნორმა, მოგების ნორმა და სხვ).

სხვაგვარად მსჯელობს პროფ. ა. ბოიარსკი. მისი აზრით, სტატისტიკაში „რადგან ჩვენ საქმე გვაქვს რაოდენობასთან, ამიტომ ყველაფერი რასაც გვაძლევს თანამედროვე მეცნიერება რაოდენობის შესახებ უნდა გამოვიყენოთ“ (теоретическая статистика გვ. 32). აქედან ნათელია, რომ პროფ. ა. ბოიარსკის აზრით, სტატისტიკას როგორც უნივერსალურ მეცნიერებას აინტერესებს მხოლოდ რაოდენობა. ეს თვალსაზრისი არსებითად ფორმალისტურია და გამომდინარეობს მახისტური ფილოსოფიიდან, რომლის მიხედვით „მატერია ჰქრება, რჩება მხოლოდ განტოლებანი“ (ვ. ლენინი, ტ. 13, გვ. 313).

ალბათობის თეორია, დიდ რიცხვთა კანონი, განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნას სტატისტიკაში.

სოციალურ-ეკონომიური მოვლენების თავისებურება განსაზღვრავს მათემატიკური მეთოდის გამოყენების ფარგლებს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში და ხდის მას დაქვემდებარებულ მეთოდად, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში.

სტატისტიკა ადრინდელ პერიოდში განვითარების დაბალი დონით ხასიათდებოდა. სტატისტიკის მეცნიერების განვითარება, მისი სპეციალური დარგების წარმოშობა, უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდგომ პერიოდებთან. სოციალისტურ საზოგადოებაში სტატისტიკის მეცნიერება თავისი შინაარსით და განვითარების დონის მხრით ყველაზე უფრო მაღლა დგას მთელ მსოფლიოში.

სტატისტიკის მეცნიერება ნაწილდება მრავალ სპეციალურ მეცნიერულ დისციპლინად. უწინარეს ყოვლისა, სტატისტიკის მეცნიერება იყოფა: 1. სტატისტიკის ზოგადი თეორია, 2. სპეციალური სტატისტიკა.

სტატისტიკის ზოგადი თეორია დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინას არ წარმოადგენს. იგი არის სტატისტიკის მეცნიე-

რების შემადგენელი ნიწილი, რომელიც გამოყოფილია ცალკე საგნად იმისათვის, რომ შეისწავლოს ზოგადი მეთოდური თეორიული ხასიათის საკითხები. ამავე დროს სტატისტიკის ზოგადი თეორია ნიადაგს ამზადებს სპეციალური სტატისტიკების შესწავლისათვის და აძლევნად იგი ერთგვარ შესავალს წარმოადგენს სპეციალური სტატისტიკის შესწავლის საქმეში.

სტატისტიკის მეცნიერების სპეციალურ დარგებს შეადგენენ: 1. ეკონომიური სტატისტიკა, 2. მრეწველობის სტატისტიკა, 3. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, 4. ვაჭრობის სტატისტიკა, 5. ტრანსპორტის სტატისტიკა, 6. კომუნალური მეურნეობის სტატისტიკა, 7. კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკა, 8. სოციალურ-კულტურული მშენებლობის სტატისტიკა, 9. დემოგრაფიული სტატისტიკა და სხვა.

ეკონომიური სტატისტიკის კვლევის სფერო მოიცავს იმ მაჩვენებელთა სისტემებს, რომლებიც შეეხებიან მთელ სახალხო მეურნეობას. ასეთებია: 1. ნაციონალური სიმდიდრის სტატისტიკის მაჩვენებლები, 2. საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და განაწილების სტატისტიკის მაჩვენებლები, 3. ნაციონალური შემოსავლის სტატისტიკის მაჩვენებლები, 4. სახალხო მეურნეობის ბალანსი და ა. შ.. რაც შეეხება სტატისტიკის მეცნიერების ისეთ სპეციალურ დარგებს, როგორიცაა მრეწველობის სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, ტრანსპორტის სტატისტიკა და სხვ., შეისწავლიან სათანადო დარგის იმ მასობრივ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც სპეციფიკური არიან მოცემულ დარგთათვის. სტატისტიკის მეცნიერების ამ სპეციალურ დარგთათვის საერთო ის არის, რომ ყველა მათგანი ნატერიალური წარმოების სფეროს შეისწავლის. ამავე დროს მატერიალური წარმოების დარგთა შორის არსებული სხვაობა წარმოშობს ზემოხსენებულ სპეციალურ სტატისტიკებს.

დემოგრაფიული სტატისტიკა რამდენადმე განსხვავებულ ადგილს იჭერს სპეციალურ სტატისტიკებს შორის. მისი კვლევის ობიექტი არის მოცემული ტერიტორიის და განვითარების განსაზღვრული ეპოქის ფარგლებს შიგნით არსებული მოსახლეობა, მისი რიცხოვნობა, შემადგენლობა (მრავალი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით), დინამიკა, გეოგრაფიული განლაგება და ა. შ.

* * *

გ. გამყრელიძე გარდაიცვალა 1953 წლის 6 ივლისს. თავისი უკანასკნელი შრომა—დემოგრაფიული სტატისტიკა—მან ძირითადად დაამთავრა და გაამზადა დასაბეჭდად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1954 წლის მარტში ჩატარდა სტატისტიკოსთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო თათბირი, რომელმაც მოგვცა სტატისტიკის მეცნიერიბის საკვანძო საკითხების ახალი გაგება. ეს საკითხები უმთავრესად უკავშირდებიან სტატისტიკის საგანსა და მეთოდს.

ეს წერილი, რომელიც ჩვენ დაურთეთ გ. გამყრელიძის დემოგრაფიულ სტატისტიკას, მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს მიაწოდოს, რამდენადმე შემოკლებულად, არსებული საჭირო ახალი მასალა.

გ. გამყრელიძის შრომის პირველ თავში განხილულია დემოგრაფიული სტატისტიკის საგანი და ამოცანები. კერძოდ, დაწვრილებით არის შესწავლილი მოსახლეობის კანონები. ავტორი დემოგრაფიული სტატისტიკის განმარტებას გვაძლევს არა შრომის დასაწყისში, არამედ პირველი თავის მეხუთე პარაგრაფში. ეს განმარტება რამდენადმე შორდება საერთოდ მიღებულ განმარტებას. ავტორი წერს: „ამრიგად, მოსახლეობის სტატისტიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია, საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ისტორიულ პირობებში აღებული მოსახლეობა, როგორც სოციალური მასა და მასში მიმდინარე დ ე მ ო გ რ ა ფ ი ულ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი განხილული ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომლებიც სტატისტიკურ შესწავლას ექვემდებარებიან“ (გვ. 36). ამ განმარტების მიხედვით მოსახლეობის სტატისტიკა გაგებულია დამოუკიდებელ მეცნიერებად და არა სტატისტიკის მეცნიერების ერთ-ერთ სპეციალურ დარგად. ამასთან, განმარტებაში ნათლად არ არის მოცემული დემოგრაფიული სტატისტიკის სოციალურ-ეკონომიური შინაარსი.

შრომის მეორე თავი ეთმობა მოსახლეობის სტატისტიკის წყაროების შესწავლას. ამ თავში დაწვრილებით არის განხილული მოსახლეობის აღწერები და მიმდინარე რეგისტრაციის საკითხები.

მესამე თავში გადმოცემული საკითხები უკავშირდება მოსახლეობის რიცხოვნობისა და შედგენილობის შესწავლას. მოსახლეობის რიცხოვნობის, სიმჭიდროვის და ტერიტორიული განლაგების საკითხების განხილვასთან ერთად დაწვრილებით არის გადმოცემული მოსახლეობის შედგენილობის არსი. მოსახლეობის შედგენილობა დახასიათებულია მრავალ ჩვენთვის საინტერესო ნიშანთა საფუძველზე: სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, დედაენის, მოსაქმეობის, კლასობრივი და სხვ. ნიშანთა მიხედვით.

მეტად მნიშვნელოვანს და ფრიად საინტერესოს წარმოადგენს შრომის მეოთხე თავი, რომელიც ეთმობა მოსახლეობის კვლავწარ-

მოებისა და მიგრაციის სტატისტიკის საკითხების შესწავლას. ამ თავის დაწერა ავტორმა ვერ დაასრულა, (იგი გარდაიცვალა). გეგმით გათვალისწინებული საკითხებიდან ავტორს დარჩა დასამუშავებელი:

1. ქორწინებათა და განქორწინებათა სტატისტიკის მაჩვენებლები.

2. მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის მაჩვენებლები.

ამ საკითხთა შემოკლებული გადმოცემა „დემოგრაფიულ სტატისტიკაში" ჩვენ გვეკუთვნის.

ავტორს განზრახული ჰქონდა წიგნისათვის დაერთო გამოყენებული ლიტერატურის სია. ამ მიმართულებით ზოგი რამ მას კიდეც გაუკეთებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მეტად ძნელი აღმოჩნდა ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურული წყაროების სრული სიის შედგენა და წიგნისათვის დართვა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ავტორმა აგრეთვე ვერ მოასწრო ყველა პარაგრაფის შიგნით განხილული ცალკეული კონკრეტული საკითხების დასათაურება. ეს შეეხება შრომის მესამე და მეოთხე თავს.

შრომაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებანი არ შეგვიტანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ცალკეულ განმარტებათა დაზუსტებებს და ტერმინოლოგიური ხასიათის შესწორებებს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე დაწერილი მოსახლეობის სტატისტიკის სახელმძღვანელო დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვება. გასაგებია, რომ გ. გამყრელიძის „დემოგრაფიული სტატისტიკა" დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას.

წიგნის გამოსაცემად მომზადების საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია: პროფ. ლ. კარბელაშვილმა, დოც. ი. მიქელაძემ, დოც. თ. ლობჯანიძემ, დოც. ი. კოდუამ.

შ. ბერაძე.

სარჩევი

თავი I

		გვ.
	მოსახლეობის სტატისტიკის საგანი და ამოცანები	3
§ 1.	მოსახლეობის კანონების ისტორიული ხასიათი . .	3
§ 2.	მოსახლეობის კანონი კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში	6
§ 3.	მოსახლეობის კანონი სოციალისტური წარმოების წესის პირობებში	17
§ 4.	მოსახლეობის ბურჟუაზიულ-რეაქციული თეორიები და მათი კრიტიკა .	22
§ 5.	მოსახლეობის სტატისტიკის საგანი . . .	34
§ 6.	მოსახლეობის სტატისტიკის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის	37
§ 7.	ბურჟუაზიული დემოგრაფიული სტატისტიკა და საბჭოთა დემოგრაფიული სტატისტიკა	40

თავი II

	მოსახლეობის სტატისტიკის წყაროები . . .	45
§ 1.	მოსახლეობის სტატისტიკის წყაროები და მათი შედარებითი დახასიათება	45
§ 2.	მოსახლეობის აღწერა	48
	ა. მოსახლეობის ადწერის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები	48
	ბ. აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები	51
	გ. აღწერის პროგრამა . . .	55
	დ. აღწერის ისტრუმენტარი	63
	ე. აღწერის ორგანიზაცია	65
	ვ. მოსახლეობის აღწერები რევოლუციამდელ რუსეთში	70
	ზ. მოსახლეობის აღწერები სსრ კავშირში . . .	73
	თ. ქალაქის მოსახლეობის 1923 წლის სრულიად საკავშირო აღწერა .	74
	ი. მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა .	75
§ 3.	მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრაცია	80

		გვ.
	ა. არსი, ორგანიზაცია, მოთხოვნები, სახეები .	80
	ბ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია	82
	გ. მოსახლეობის მიგრაციის რეგისტრაცია	86
§ 4.	მოსახლეობის აღრიცხვა სასოფლო საბჭოებში	87
§ 5.	მოსახლეობის ერთდროული სტატისტიკური აღრიცხვა .	90
§ 6.	საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკური წყაროები .	92
	ა. მოსახლეობის აღწერები ძველ საქართველოში .	92
	ბ. მოსახლეობის აღწერები საბჭოთა საქართველოში	101

თავი III

	მოსახლეობის შედგენილობა	. 105
§ 1.	მოსახლეობის რიცხობრივობა	105
§ 2.	მოსახლეობის სიმჭიდროვე	108
§ 3.	მოსახლეობის განლაგება გადასახლებული ადგილების მიხედვით	111
§ 4.	მოსახლეობის სქესობრივი შედგენილობა .	120
§ 5.	მოსახლეობის ასაკობრივი შედგენილობა .	. 123
§ 6.	მოსახლეობის ოჯახობრივი შედგენილობა (მოსახლეობის დანაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით)	128
§ 7.	მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა	132
§ 8.	მოსახლეობის შედგენილობა დედა-ენის მიხედვით	138
§ 9.	მოსახლეობის შედგენილობა მოსაქმეობის მიხედვით. მოსახლეობის დანაწილება სახალხო შეურნეობის დარგების მიხედვით	. 144
§ 10.	მოსახლეობის კლასობრივი შედგენილობა	157
§ 11.	მოსახლეობის კულტურული დონე .	166

თავი IV

	მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკა	. 172
§ 1.	მოსახლეობის კვლავწარმოება სსრ კავშირში . . .	172
§ 2.	მოსახლეობის კვლავწარმოების სტატისტიკის ამოცანები. მეთოდოლოგიური მოთხოვნანი	. 178
§ 3.	დაბადების სტატისტიკა	. 185
	ა. დაბადების აბსოლუტური სიდიდე	185
	ბ. დაბადებათა დიფერენციაცია სხვადასხვა ნიშნის ნიხედვით .	187
	გ. შობადობა, შობადობის კოეფიციენტები .	190
§ 4.	გარდაცვალების სტატისტიკა	. 196

გვ.
ა. გარდაცვალების აბსოლუტური სიდიდე 196
ბ. გარდაცვალების შემთხვევათა განაწილება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით 190
გ. მოკვდაობა. მოკვდაობის კოეფიციენტი 201
დ. ბავშვთა მოკვდაობა. ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი 203
ე. მოკვდაობის ცხრილი. სიცოცხლის ხანგრძლიობა . . . 206
ვ. გარდაცვალების მიზეზები 211
§ 5. დაქორწინებათა და განქორწინებათა სტატისტიკური მაჩვენებლები 213
§ 6. მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის მაჩვენებლები . . 219
დანართი 219
სტატისტიკის საგნისა და მეთოდის შესახებ . 219

Гамкрелидзе Георгий Самсонович

ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ СТАТИСТИКА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского государственного
университета им. Сталина
Университетская, 1.

Тбилиси—1955 г.

რედაქტორი შ. ბერაძე

კორექტორი გ. ნიქაბაძე

გადაეცა წარმოებას 29/I—55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IX—55 წ. ქაღალდის ზომა 60×92. წიგნის ანაწყობის ზომა 6×10. ტირაჟი 2000. სტამბის შეკვეთა № 82. უე 05929. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,5. სასტამბო თაბახი—14,62.

ფასი 7 მან.

სტალინის სახელობის თ. ს. უ. გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ. № 1